

ლუარა სორდინ

მერაპ პოსტავას პოეზია

(ეროვნული, რელიგიურ-ფილოსოფიური და
სახისმეტყველების ასპექტები)



გამომცემლობა „ანივერსალი“
თბილისი 2017

ნაშრომში შესწავლით მერაბ კოსტავას ესთეტიკური თვალსაწიერი, მსოფლიშედველობის მთავარი ორიენტირები – საღვთო სიბრძნე, საღვთო სიყვარული, ანტიციპაცია, მხატვრული სიტყვისა და მეცნიერების მისის გააზრება მაღალი გადასახედი-დან.

პოეტის შემოქმედების მთავარ მახასიათებლად წარმოჩნდება ქრისტიანული რწმენისა და სახისმეტყველების საკითხები, ბიბ-ლიურ-რელიგიური პარადიგმები, გრაალის იდეალი.

ფილოსოფიურ ლირიკაში ყურადღებას იქცევს ჰადესის, სოფლისა და ზესთასოფლის კავშირის, სულის მარადიული სამ-შობლოს ძიების, ზნეობის პრობლემები.

წიგნში ნაჩვენებია „მსოფლიო კაცისა“ და „ერისკაცის“ მი-მართების, ლეკალურისა და გლობალურის, ეროვნულ-კოსმიურის გააზრება ქართველი ლირიკოსის შემოქმედებაში.

სათანადო წყაროების, ტიპოლოგიური პარალელების გათვა-ლისწინებით გამოტანილია დასკვნა, რომ მერაბ კოსტავას პოეტუ-რი და პუბლიცისტური ნააზრევი არის ჩვენი კლასიკური მწერლო-ბის ორგანული ნაწილი, „სახიერო ერის“ მაღალმხატვრული აპო-ლოგია, შორსმხედველი „გონის თვალით“ მომავლის უცდომელი ჭვრეტა.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს XX ს. ქართული პოეზიის პრობლემებით დაინტერესებულ სტუდენტ-ახალგაზრდობას, ასე-ვე განკუთვნილია ფართო მკითხველისთვის.

**რედაქტორი: ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მარიამ მირესაშვილი**

**რეცენზენტები: ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ტიტე მოსია
ფილოლოგის დოქტორი ლელა მირცხულავა**

© ლ. სორდია, 2017

გამომცემლობა „ენივალი“, 2017

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, სახ. 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-003-2

შინაარსი

შესავალი	5
----------------	---

თავი I

მერაბ კოსტავას ესთეტიკური თვალსაწიერი

პოეტის კუმირები.....	13
„სამების მძლე სიყვარული“	24
„წიაღთა სიბრძნის აიაზმად მასხურებელი“	33
წინასწარმჯვრეტი და წინათმგრძნობი	47
მერაბ კოსტავა მეცნიერების შესახებ.....	65

თავი II

ქრისტიანული რწმენისა და სახისმეტყველების საკითხები

საღვთო სიმბოლიკა	73
პოეტის „ნუგეშის და“	93
გრაალის იდეალი	103
მაცდური და კეთილი დემონი.....	126
მრავალთავიან ჰიდრასთან მებრძოლი	138
სული – ოკეანე.....	149

თავი III

ფილოსოფიური ლირიკის ზოგიერთი პრობლემა

ჰადესი მერაბ კოსტავას პოეზიაში	157
სოფელი და ზესთასოფელი	168
ჩემი სამშობლო ზეცაა თავად.....	184

პოეტის ზნეობრივი იდეალი195

**თავი IV
ეროვნული და ზეეროვნული იმპულსები**

სახიერი ერი მერაბ კოსტავას პოეზიაში203
მკრთალნი რაინდნი მწუხარე სახის (ზვიად გამსახურდია
და მერაბ კოსტავა).....223

შესავალი

მერაბ კოსტავა საქართველოს თანამდევ, მარადიულ სულთა სამყაროშია დავანებული.

ის იყო ზნეობრივი გმირი, ბუნებით რაინდი, „ვაჟკაცონ-ბის დიდი მოძღვარი“, ერის სინდისი, „გონის თვალი“, ეროვ-ნული მოძრაობის დიდი მედროშე, სულიწმინდით გაბრძნო-ბილი სიტყვის მეუფე.

ალბათ არ არსებობს ეპითეტი, მისი ზნეობრივი და გო-ნებრივი სრულყოფილების ამომწურავად წარმოჩენა რომ ხე-ლენიფებოდეს.

მერაბ კოსტავა უსათუოდ იყო შოთა რუსთაველის „ვეფ-ხისტყაოსნის“ იდეალური მეგობრის და ბრძენი პერსონაჟის – ავთანდილის რეინკარნაცია, მეოცე საუკუნის წითელ გრიგა-ლებთან შეუბოვარი მორკინალი, „დაუცხრომელი სპარაზენი სულიერ ომის“, „უამთ ასპარეზზე“ გაჭენებული „ცეცხლოვა-ნი ჰუნეს“ უებრო მხედარი... მისი „ზეკაცური ნატერფალები“ წარუშლელია ჩვენი სამშობლოს მიწაზე თუ ცაში.

ერის ტიტანური ძალების შემკრებმა, საღათას ძილით დაბანგულ ხალხში, ზვიად გამსახურდიასთან ერთად, დაა-რისხა გამოღვიძების ზარი, პერიოდულ პრესაში და თვითგა-მოცემის უურნალებში („ოქროს საწმისი“, „საქართველოს მოამბე“) ეროვნული იდეალებით დამუხტული წერილებით შეძრა თვისტომი, მაგრამ ვერ დაუსხლტა „ქორმეძებრებიან ცენზურას“ და ათი წლის პატიმრობა იწვნია საბჭოთა გუ-ლაგში, თუმცა ერთხელაც არ ჩაუმუხლავს, არ გაუტეხია არაადამიანურ წამებას, არ დაუკარგავს რწმენა.

სამშობლოსათვის დევნილი, ერის სიყვარულისთვის შე-რისხული და რეპრესირებული პიროვნება იყო მერაბ კოსტა-ვა. მისი გამძლეობის, მრავალთავიან პიდრასთან შერკინების მაგალითები ლეგენდად გადაეცემა თაობებს.

„საღვთო ზნეობის“ ქართველს, მთაწმინდის მომღე-რალს, ქრისტესავით ჯვარცმულს, მშობელმა ხალხმა დაუ-ჩოქა და ერის საფიცარი შვილების უპირველეს სავანეში –

მთანმინდის პანთეონში მიუჩინა სამარადჟამო ადგილი, საიდანაც გადმოგვყურებს მისი წუთისოფლისგან აუმღვრეველი, ყოვლისმხედველი თვალი, რათა შეგვახსენოს „ერის სამერმისო მისია“, „ჩვენი მოდგმის ბალავარი ურლვევი მიწყივ“, „საძვალენი მამა-პაპათა“, წარუვალი საუნჯის ძიება, რნმენის ერთგულება.

„მხრებზე ფრთასხმული ცეცხლით“, ანგელოსის ფრთებით დაფრინავს მისი სული კოსმოსში ქართული სახით. მაკროკოსმიურ არსებად ქცეული სამყაროს უპირველესი ადამიანის ხატი, ადამიანობის გადაუფასებელ ფორმულას გვთავაზობს: „საქმეა იქცე მსოფლიო კაცად და არ უმუხთლო ერსა და თვისტომს, ცის მაღალ ყელზე ვარსკვლავთა აცმას ჰმატოზურმუხტი და ამეთვისტო“ (ტანჯვათა ტიტანი).

პოეტის იდეალი იყო მაკროკოსმიური კაცი, მაკროკოსმიური პოეზია.

მერაბ კოსტავა ბელზებელ-ლუციფერთა ზეობის უამს მოევლინა სამშობლოს და სულის მთელი ძალისხმევა მიმართა დამჭკნარ კვერთხზე ყლორტის გახარებისა და დაბზარული ცის კაბადონის გამთელებისთვის, მას არასოდეს არევია „გეზი ღმერთისკენ“ და „ბნელში ნათლით გზების გამკვლევი“, თანამოძმეთ მოუწოდებდა: „ურნმუნოებას ავუგოთ წესი“ (ირაკლის).

პოეტი მუდმივად ეწაფებოდა „რელიგიის ზედაშეს“, ღმერთის რჩეულ ბიბლიურ მოსესავით წინ მიუძღვდა ერს აღთქმული თავისუფლებისკენ.

რელიგიური, ქრისტიანული იყო მერაბ კოსტავას აზროვნება, პოეზია, რადგან კარგად იცოდა, რომ ჭეშმარიტი კულტურა ყოველთვის რელიგიურია, ხოლო ურელიგიო მსოფლებელია – ფსევდოკულტურა. რელიგიით ეპრძოდა მსოფლიო სევდას: „მხსნელად მივირქვათ ჩვენ მაცხოვარი, დაგვიშოშმინებს მსოფლიო სევდას“ (იყავ უმნიკვლო, ვითაცხოვარი).

„დაუშრეტელი ოქროპირობის“ მომადლებას შესთხოვდა უფალს „შეუცდომელი ბრძენი და მისანი“ და, მართლაც,

მასზე უხვად იყო „მადლი ცისა, მოუწყველი, დაულეველი, მადლი ციური, იდუმალი და მისტიური“...

მაღალი აზრის მსახურთ რომ მიმართავდა, თითქოს, ამავე დროს, თავის თავზეც ეთქვას პოეტს: „დასანახავად უცდომელი გასხედს თვალებში, შენშია უკვე ზეცის მადლი, რაც გადმოსჩქეფდა, ან დასაპყრობად მოგელიან სხვა მწვერვალები, მომავალს განდობ შესამოსად შეუმოსველთა“ (ბიბლიური რემინისცენციები).

მერაბ კოსტავას პოეზია ამაღლებული ესთეტიკური ფენომენია, ამაღლებულის ძიება და პოვნა ერთეულთა ხვედრია: „ამაღლებული მაღალი აზრის ნაყოფია, ხოლო მისი შემქმნელი თავადაც მაღალია და მაღლად მხედი“... „მხოლოდ ამაღლებული ამაღლებს ჩვენს სულს და ღვთაებრივი გონების ჭვრეტად მიაქცევს მას, ყოველივე, დანარჩენი კი კაცთა საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება“ (ფსევდო-ლონგინე, „ამაღლებულისათვის“).

პოეტი მთელ სამყაროს, მსოფლიოს სატკივრებს, კოსმოსს იტევდა სულში, წარსულის, აწმყოს, მერმისის პრობლემებს ერთდროულად აცნობიერებდა, მოსალოდნელის განჭვრეტას აღნევდა, ბიბლიური წინასწარმეტყველებივით, ენიგმებით, ალეგორიებით, „სფინქსის ქარაგმების სიბრძნით“ გვაოცებდა.

კარგად არჩევდა მინიერ, ხორციელ გონებას და საღვთო სიბრძნეს, იყო „წიაღთა სიბრძნის აიაზმად მასხურებელი“.

ექებდა არა სადღეისო, წარმავალ, მატერიალური დოვლათის მოხვეჭისათვის განკუთვნილ ეშმაკეულ სიბრძნეს, არამედ მარადიული ზეცის საუნჯეს, მისთვის სიბრძნის წყარო იყო ღმერთი და მრავალი ორიგინალური, ახლებურად გააზრებული სახე-სიმბოლოებით მიგვანიშნებდა უზენაესზე.

იზიარებდა მესიანისტურ იდეას, მუხლმოყრილი ლოცულობდა ჩვენი ზეციური დედის წინაშე, ევედრებოდა სამშობლოს ხსნას და ამრავალფეროვნებდა საღვთისმშობლო სახისმეტყველებას.

მერაბ კოსტავა იყო ნათელმხილველი, ნათელმსმენი, ერთდროულად აინტერესებდა მიწა და ზეცა, ხილული და უხილავი, ეს სოფელი და ზესთასოფელი, წარმავალი და მარადიული.

ხედავდა სულს, „მეუფებას ოქროს ტახტიანს“, ევლინებიდა „ხილვების გამმა“. ხედავდა „მიჯნურთა სამოთხის ხეს“, მისი სული ისწრაფოდა ედემისკენ: „ახლოს ვართ, სულ ახლოს ედემთან, როს გული მკერდში არ ეტევა და სისავსისაგან სრულქმნილი იფრქვევა მენამულ ღველფებად. ახლოს ვართ, სულ ახლოს ედემთან“ (ივერიის მნათობის ქეთევან წამებულისადმი).

ესმოდა ზეციური ხმები, ანგელოზთა ნანა, მფარველი სულის მუდარა, სამყაროს ენა, დრო-უამის ენა, საგანთა ენა, კოსმოსის სუნთქვა, წმინდა მუსიკა, სფეროთა ქნარი.

ხილვას გულთა სმენა და განსჯა ემეზობლებოდა: „ხილვას დაგანძავს თვალთ მონაგარი და გულთა სმენას წვდომა განსჯისა, ყოველი არსი სად მონა არი უზეშთაესის მფეთქავ მაჯისა“ (სფინქსი).

კოსმიურში გადიოდა მისი „აღმართხედვა“, ვარსკვლავებს მიღმა. ხილულის მიღმა, იდუმალი სიტყვის ცა ეხსნებოდა: „გადაიხსნება ზეცის თავაზი, იდუმალ სიტყვის მაღალმშვენებით, გადაევლები ოდენ სამანებს მოგვის არტახში ჩაკრული ვნებით“ (სფინქსი).

„სიბრძნის დედად“ სულიწმინდას სახავდა, პოეზიას უზენაეს მადლად აცხადებდა, შთაგონების მაუნყებელ „ცით მონაბერ უხილავ ქარებს“, „ცისფერ ქარებს“ ელოდებოდა.

„სიშმაგის სამანებს“ მიღმა მოარული სული „უმწვერვალეს ექსტაზს“ აღწევდა, „ქვესკნელეთის ვრცელი ველის მონაპირების“ შემდეგ „ყვავილწნულების სამსჭვალებით“ ზეცაზე იყო გაკრული, ლექსი იყო „საღვთო ზვარაკი, „საღვთო ქორწილის მაყარი“. სამყაროს ბედი აწუხებდა, მისი უპირველესი სიყვარული იყო სამება, მერე სამშობლო, მთელი სამყარო და ზეცა.

„დამიწებული ხალხის“, რწმენასგანშორებულთა ხვედრი აფიქრებდა, გადაგვარების პროცესებში გადაშენების

საფრთხეს ხედავდა და ხსნის ყველაზე სწორ გზას პოულობდა: „ეგრე დაცემული გიხსნას რელიგიამ, სიბრძნემ, სიყვარულმა და მშვენიერებამ“. პოეტის, მეცნიერის მაგიდას „ნმინდათა ნმინდა საკურთხეველთან“ აიგივებდა. მერაბ კოსტავა იყო „პნელში ნათლით გეზის გამკვლევი“.

სულინმინდისგან ხელდასხმულს, უზენაესი სიბრძნის მოხელთება ძალედვა, „აზრების რთველი“ ეფა, საღვთო ჭეშმარიტების თვალუწვდენელ პორიზონტებს ჭვრეტდა, „ცნობიერების განუწყვეტელ გრადაციას, მსოფლიო კულტურების თანმიმდევრობას, ზეციურ გეომეტრიას, ცის და მიწის ისტორიას“ ითავისებდა, „უმაღლესი საწყისებიდან მერმისის თავთავს“ იმკიდა, „ბედის უქცეველი გრაგნილის“ უტყუარი კითხვა დაეპედა, ცდილობდა, ზეცის ზნეობა მიწაზე გადმოენერგა. მრავალი რამ გვამცნო უტყუარი ჭვრეტით და მინდიასებური სმენით მომაღლებულმა, ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დარად, დროს უსწრებდა და მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს განჭვრეტდა, თემიდა იყო მისი იდეალი: „....თემიდას სვეტი, მეკვლე დამდეგის, პიროვნულ ეგოს სულმთლად დამთმობი“ (შიმშილობა).

თემიდას სასწორის მომარჯვება საშუალებას აძლევდა, მერმისში გადაეხედა, გიორგი გურჯიევივით, აზრები აეწონა, „სულეთის სიღრმე“ განეცადა.

აღაშფოთებდა დემონთა მძლავრობა და ლოცვის, სინანულის, მსხვერპლის გზით ცდილობდა ცოდვის მორევში ჩათრეულთა მოქცევას, რომელთაც მოუწოდებდა: „სიქველის ნათელით იხსენ სამშვინველი, თვითონ სამშვინველი გარდაპქმენ სულადა“ (ეტიუდი).

სულის საჭრეთლით, რწმენის აბჯრით, სიტყვის მახვილით აღჭურვილმა, „ერისთვის გახელილი თვალით“, „მამულის ტრფობით ნაშიმშილებმა“, ეროვნული თავისუფლების-თვის შენირულმა ახალი იმპულსებით დამუხტა მშობელი ხალხი, სიტყვით და საქმით ემსახურა ქართული სულის ზრდას, მისი სანუკვარი იდეალების ხორციშესხმას.

ქრისტეს მებაღემ, მევენახემ, სამკალის ერთგულმა მუშაკმა ძნებად შეკრული კონები ზოდიაქოებში აიტანა, მარადიული საუნჯისკენ მიმართა მზერა.

სამშობლოს თავზე ზეცის ხელს ხედავდა მისი ერის-თვის გახელილი თვალები, „შემოქმედის განზრახვას“ სცნობდა, ქვეყნის „ახალ მეტამორფოზას“ იგულვებდა „ქართლის ბედის თანამდგომად“, ამირანად სახელდებული სამშობლოს ბორკილების ახსნას წინასწარმეტყველებდა.

იყო პოეტი ფილოსოფოსი, მორალისტი, „ზეცის ზნეობის“ მიწაზე გადმომწერგავი, საღვთო ეთიკის, „ზეციური ნესტრით“ ვნებული, „უზეშთაესის მფეთქავ მაჯას“ მიყურადებული.

„ზოდიაქალურ ველებზე“ გაჭრილი, ხედავდა „წუთი-სოფლის დასასრულის“ მიღმა მოსალოდნელს, სულთა განსჯას, განწმენდას, გაღვიძებას, რეინკარნაციას, ახალ მიზნებს, „ორი სამყაროს შემტკიცებაზე“ ზრუნავდა.

„ახალი ხედვა, ახალი დონეა“ მიღწეული პოეტის შემოქმედებაში.

გრაალის ორდენის რაინდების, დავით აღმაშენებლის, მამა დავითის, გალაკტიონის დარად, მზად იყო ბარძიმში ჩაღვრილი თავისი სისხლით დაერწყულებინა იბერიის შვილები.

მარტვილი, ჯვარცმული, დევნილი და შერისხული პოეტი სულის შიმშილს ზეციური მანანათი იოკებდა, ცით მონადენი წყაროთი იკლავდა უზენაეს წყურვილს.

„სულიერი ომის სპარაზენი“ იყო, ჩვენი ქვეყნის წაუქცეველი ბასტიონი. ერის სახიერებისთვის იღვანა, სიცოცხლით გაიღო მსხვერპლი, თავისი ხალხის „ჭეშმარიტ ერად“ ქცევას, მისი სამერმისო მისიის შეცნობა-მსახურება დაისახა უპირველეს მიზნად.

მერაბ კოსტავა იყო „დაულეველი ტრფობის, სამების მძლე სიყვარულის, საღვთო ტრფობის, სრულქმნილი სიყვარულის“ ადეპტი.

პოეტის სულის პლანეტა სფინქსის ქარაგმების სიბრძნით გაბრწყინდა, „სამყაროს ენის“, ანგელოზთა ნანას

გამგონე მისანს ცის კარი გაეხსნა და სანთლებით გაჩახჩახებული ზენა სამყარო იხილა: „ანაზდად პირი იბრუნა ბნელმა, ზეცამ სივრცეებს მოხსნა სარქველი და იდუმალი მლოცველის ხელმა ერთად აანთო ყველა სანთელი“.

ჭვრეტდა „პატიოსნების თვალს“ (ღვთისმშობელს), ზეციურ მანანას (ქრისტეს), ესმოდა ანგელოზური უჩინარი ბაგის ნანა, ანუ საღვთო მუსიკა, რაც მხოლოდ ჭეშმარიტ მორწმუნეთა ხვედრია: „და როგორც თვალი პატიოსნების, ცით მონაბერი უკვდავი მანა, სივრცეებს ავსებს ანგელოზებრი უჩინარ ბაგით ნათქვამი ნანა“ (თეთრი ქალწული).

მიწიერთა სიამაყე „იმ სოფლის“ გადასახედიდან გაზომა, სადაც სულ სხვა კრიტერიუმით განიკითხებიან ადამიანები, სადაც მიწიერი პლანეტის მილიარდერები მათხოვრად წარმოჩნდებიან.

პოეტმა ზეკაცური ნებელობით დაიოკა სული-ოკეანე და მასში ოქროს ზოდები, მარგალიტები აღმოაჩინა, „მამულის ტრფობით“ იმარტვილა, ქვეყნის „სახიერ ერად“ გარდაქმნას ემსახურა, ქრისტესმიერი ძმები დაიყენა სატრფოს – მამულის სახსნელად, ზნეობრივი გმირობით, „საღვთო ზნეობით“ გაგვაოცა, თაობებს გაუნათა სული, რადგან მას ჰქონდა ერისთვის გახელილი თვალი, ერის „გონის თვალი“ დაუშრეტელი.

მერაბ კოსტავას სული პრეისტორიიდან მოაჭენებს ცეცხლოვან რაშს, მან უკვე მიაღწია XXI საუკუნემდე და ასევე იქროლებს საუკუნეთა ასპარეზზე. ქერუბიმული ცეცხლი ტრიალებს მის ნაკვალევზე.

პოეტი „წუთისოფლის საცერსაც“ ხედავდა, „უფლის საცერსაც“ და სამართლიანად ეიმედებოდა დაფარულთა მხილველის მსჯავრი.

გააცნობიერა რა თავისი გზები, საქმეების სიდიადე, უტყუარი დასკვნა გააკეთა: „...ცხოვრება ჩემი განვლიე სწორად, მუდამ მთლიანი ვიჯექ ინახად, არ გავთიშულვარ აროდეს ორად... წილხვდომილ სიკვდილს თუ ვმზერდე ავად, მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო, ჩემი სამშობლო ზეცაა თავად, შემდეგ ეს მიწა და საქართველო“ (შიმშილობა).

„შეუცდომელი ბრძენის და მისნის“ მრავალი სასიკეთო წინასწარმეტყველება უკვე ასრულდა.

მართალი აზრის მსახური, ჭეშმარიტების მჯვრეტელი პოეტი ზეცის მოქალაქედ, მაკროკოსმიურ კაცად აქცია არ-სთაგანმრიგემ, რადგან სჯეროდა: „მაღალი აზრი უფსკრულ-თა ზედა, გარეშემოთა და შენდა ბედად, კვლავაც აღმართავს ხელთუქმნელ სვეტად, ჭეშმარიტების შენისა ჭვრეტად, მშობლიურ ცასთან კვლავ შეგაერთებს“ (შიმშილობა).

თავი I

მერაბ კოსტავას ესთეტიკური თვალსაწიერი

პოეტის კუმილები

მერაბ კოსტავა იყო არა მხოლოდ ეროვნული იდეალებისთვის ჯვარცმული „საღვთო ზვარაკი“, არამედ საკაცობრიო მასშტაბებში მოაზროვნე შემოქმედი, დიდი ესთეტი, მხატვრული სიტყვის ოსტატი. მის ფართო თვალსაწიერში მოქცეულია რელიგიის, ფილოსოფიის ყველაზე არსებითი, აქტუალური პრობლემები, მოვლენები განჭვრეტილია უზენაესი სამართლიანობის გადასახედიდან.

ამ „ვაჟკაცობის დიდი მოძღვრის“ მსოფლმხედველობას ასაზრდოებდა უმაღლესი ზნეობა, საღვთო ეთიკა, საღვთო სიბრძნე და საღვთო სიყვარული.

მერაბ კოსტავას მხატვრული სიტყვა აღჭურვილია რელიგიის, ღვთისმეტყველების ფუნქციით, პოეზია დასახულია, როგორც სულინმინდის მადლი, პოეტის მისიაა რწმენის, ზნეობის განმტკიცება, მინის და ზეცის საიდუმლოებათა შეცნობა, ეროვნული და კოსმიური იდეალების დასმა-გადაწყვეტასთან, საერთაშორისო არენაზე საკუთარი ერის ადგილის ძიებასთან ერთად.

პოეტი არის „ზეშთაგონებით გაბრძნობილი მოძღვართმოძღვარი“, უმაღლესი მისანი.

მერაბ კოსტავას ყოვლისმომცველი ხედვა ერთმანეთის-გან არასოდეს თიშავდა გრძნობას და აზრს, გულს და გონებას.

პოეტის „გრძნობის ცეცხლზე“ მდებარე გონი საზღვრების მიღმა ილტვოდა, „ვულკანის სიმძაფრით“, „ეთერის ჰაეროვნებით“ ხასიათდებოდა.

მერაბ კოსტავას აზრით, ლექსი არის „აღძრული სასწაულითა, საღვთო ქორწილის მაყარი“ (ლექსი) (1,60-61).

სასწაული საღმრთო სახელია: „მოავლინე სასწაული და საოცრებანი ჩვენს შორის“ (ფს. 134/135,9) (2,669).

„სასწაულით აღძრული“, ანუ უზენაესისგან ჩაგონებული მხატვრული სიტყვა სულის უკვდავების, სასუფევლისკენ სავალი გზით მიემართება, რადგან „საღვთო ქორწილი“ არის სასუფევლი, სამოთხე, სულით სპეტაკთა სავანე...

„სამეფო ტიარით“ მოსილი ლექსი არის „სიკვდილის ზიარი, შავეთში გადანახედი“, ანუ მიღმურში მჭვრეტელი, „უსაზღვრობიდან მოსული“, „უსაზღვრობა“ კი საღვთო სახელია (იოანე დამასკელი) (3,334).

ლექსი „დემონურ ჭანგებთან“, ეშმაკეულთან შეჭიდებული უძლეველი ძალაა, „უკმარობის ხანძარი“, ტანჯვა, რომელიც მოითხოვს სულის გაღებას (ლექსი) (1,60-61).

ჭეშმარიტი პოეტი სილაჟვარდეში არწივივით ნავარდობს, ამასთან, ეამბორება მიწასაც (სულო, დაიცა) (1,40-42).

საღმრთო სიტყვა სამყაროს საცნაურმყოფელია, იცის „სამყაროს ენა, დრო-ჟამის ენა, ვარსკვლავთა ენა“.

პოეტის მისიაა „შეიცნოს თავი, უმაღლესი გახდეს მისანი“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,87-104).

დიდი პოეზიის მახასიათებელია ზღვა, ოკეანე (შეხვედრა) (1,56-58).

„აზრების რთველის“ მოწევას სჭირდება თვალი და გამორჩევა, რწმენა და ცოდნა: „რადგან თვალია გამორჩევის და სიბრძნის დედა, ის რწმენას ძლიერს შარავანდედს ცოდნისას ადგამს“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1, 87-104).

სრულყოფილი თვალი „ჭვრეტს მეუფებას ოქროს ტახტიანს“ (სულო დაიცა) (1,40-41).

ამასთან, წმინდა სულების მეგზურია „ხმა ზეციური“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,88), „უკვდავების ქნარის ხმა“, „ანგელოზთა უჩინარ ბაგით ნათქვამი ნანა“ (თეთრი ქალწული) (1,45).

„გულთა სმენა“ და „განსჯის წვდომა“ უზენაესისგან ხელდასხმულთ მიემაღლებათ: „ხილვას დაგანძავს თვალთ მონაგარი და გულთა სმენას წვდომა განსჯისა, ყოველი არსი სად მონა არი უზეშთაესის მფეთქავ მაჯისა“ (სფინქსი) (1,76-77).

„აღმაფრენის ფრთებს“ შეისხამენ მხოლოდ „უკვდავების წყაროს“ (ღმერთის სახელია) ნაზიარებნი (შენ გევედრები სულით გლახაკი) (1,23).

მაღალთა და მაღლადმხედთა ხვედრია გაითავისონ „ზეციური გეომეტრია“, „ისტორია ცისა და მიწის“, „მსოფლიო კულტურების თანმიმდევრობა“, „ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი“.

პოეტი არის „მთარგმანებელი, წამკითხველი ვარსკვლავთ ენისა, ჩამძიებელი და ამხსნელი ყოველგვარ ნიშნის“.

მთავარია „თვალთა ახელა, ახლად ხედვა, გონის თვალი“ (ბიბლიური რემინისცენციები).

რეზიუმესავით უდერს ყოველი დიდი შემოქმედისათვის აუცილებელი მოთხოვნა: „საქმეა იქცე მსოფლიო კაცად და არ უმუხთლო ერსა და თვისისტომთ, ცის მაღალ ყელზე ვარსკვლავთა აცმას ჰმატო ზურმუხტი და ამეთვისტო“ (ტანჯვათა ტიტანი) (1,16-20).

მერაბ კოსტავა ეთაყვანებოდა დიად, ამაღლებულ ადამიანებს, მარადიულ ფენომენებს, კაცობრიული აზრის გიგანტებს.

მის კუმირებში უპირველესი ადგილი ეკუთვნის გალაკტიონ ტაბიძეს.

არავის შეუღწევია ასე ღრმად „არტისტული ყვავილების“ ავტორის ურთულეს სამყაროში.

„ათასის... მხედველობა“, „ასი ათასის სმენა“, „ათასის მზე“ ჰქონდა მიმადლებული პოეტების მეფეს და ჰიპერბოლად არ უნდა მოგვეჩვენოს მისი გაბედული განაცხადი: „და ურუანტელით ისე, ვით ბავშვი, შენ საუკუნე გიცქერის შიშით“...

მერაბ კოსატავას, როგორც თვითონაც არსთავანმრიგის რჩეულს, დაძლეული ჰქონდა პოეტური ტიტანის შიში, ის თავისუფლად ნავარდობდა გალაკტიონის პოეზიის ტალღებში და უცდომლად აგნებდა მის ფარულ, ჯერაც შეუმჩნეველ დინებებს, ისე სიღრმისეულად განჭვრეტდა „ლურჯა ცხენების“ ავტორის ენიგმური ლირიკის საიდუმლოებებს, რომ აშ-

კარაა: ის ერთი იმათგანია, ვინც ამ გენიოსის სკოლა ძირდეს-
ვიანად გაიარა.

ლექსში გალაკტიონი წარმოჩნდება არა როგორც მიწიერ
თავადთა მეხოტბე, პოეტური არტელის ერთ-ერთი წარმო-
მადგენელი, არამედ როგორც სულინმინდისგან ხელდასხმუ-
ლი რელიგიური პოეტი, ზეციური ცეცხლითა და საღვთო ნა-
თელით შემოსილი „სიტყვის ნათლისმცემელი“, რომელიც
რწმენის, ეროვნულობის, ზოგადსაკაცობრიო იდეალების მსა-
ხურად მოავლინა უზენაესმა (გალაკტიონი) (1,144).

პოეტების მეფის გამორჩეულობას განაპირობებდა მის
შემოქმედებაში დაუნეუბული საღვთო სიბრძნე, „სიბრძნის ერ-
თი დარგის“ ერთგულება, რადგან სიბრძნე ღმერთია: „წყარო
სიბრძნისა – უფალი“ (ბარუქ წინასწარმეტყველი, 3,12) (4,190).

„ღმერთი – სიბრძნეა – ყოველთა შემოქმედი“ (სიბრძნე
სოლომონისა, 7,27) (5,24).

„სიბრძნე“ მხოლოდ „უბინო სულებს“ განამზადებს
ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად“ (სიბრძნე
სოლომონისა, 7,21) (5,24).

ახალ აღთქმაში გარჩეულია „მიწიერი, მშვინვიერი, ეშმა-
კეული, სიბრძნე“ და „მაღლიდან გარდმოვლენილი, წმინდა,
მშვიდობიანი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუ-
კერძოებელი და უთვალთმაქცო სიბრძნე“ (იაკობ მოციქული,
4,15,17) (2,298).

პავლე მოციქული გმობდა „წუთისოფლის სიბრძნეს“ და
შეგვაგონებდა შეგვეცნო „ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში
დაფარული“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 2,64) (2,358).

გალაკტიონი „ცრუ სიბრძნეს“ უპირისპირებდა „უკვდავ
აზრის ბჭეს“ (უმშვენიერეს კიბეზე) (6,471).

მერაბ კოსტავა მიმართავდა დიდ პოეტს: „მზეთა ორგია
გბანგავდა ძველი, მთვარის მაგიას არც შენ მიჰრიდე, ახალუხ-
ლებსაც დაასხი ხელი, სიბრძნის იმ ერთ დარგს როს დაენინ-
დე, ვითარცა მოსემ აღმართე გველი, ანაზდად ლურჯას მათ-
რახი სწყვიტე, საასპარეზო უჩვენე ვრცელი“ (1,141).

„სიბრძნის ერთი დარგი“ საღვთო, უზენაესი სიბრძნეა.

„მზეთა ორგია“ და „მთვარის მაგია“ საღვთო შინაარსის სახეებია.

მზე საღვთო სიმბოლოა: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (2,612).

მთვარე უფლის მეტაფორაა სასულიერო სახისმეტყველებაში (7,124).

ლექსში ძალიან მიგნებულად არის ჩასმული ბიბლიური სპილენძის გველის ამბავი.

ბიბლიაში მოთხრობილია, რომ ღმერთმა ურჩი ებრაელები დააგესლინა გველებს. ისრაელიანებმა ამის შემდეგ შეინანეს, აღიარეს დანაშაული, სთხოვეს თავიანთ წინამძღვრ მოსეს, რათა შევედრებოდა მათთვის ღმერთს და ეხსნა შხამიანი გველებისგან. ღმერთმა აპატია ებრაელებს, მოსეს გააკეთებინა სპილენძის გველი და ჩამოაკიდებინა მაღალ ადგილზე. ქვეწარმავლებისგან დაკბენილნი შეხედავდნენ ამ სპილენძის გველს, რომელიც შხამს ანეიტრალებდა და ასე ახერხებდნენ გადარჩენას (რიცხვ. 21,6-9) (5,157).

რა კავშირი აქვს ბიბლიის ამ ეპიზოდს გალაკტიონთან?

ხელისუფლება გალაკტიონს ავალდებულებდა საბჭოთა წყობილების საქებარი ლექსების წერას (რაც გადარჩენის ერთადერთი გზა იყო), შემდგომ „პრინციპული“ კრიტიკა კი ვერ ჰქონილი ასეთ კომპრომისებს, მიზეზებს კი არავინ უღრმავდებოდა.

მერაბ კოსტავამ ამ საკითხს გამგები თვალით შეხედა, ასეთი ნიმუშები კეისართა საკადრის „თაღლით თვალად“ მონათლა, რომელთაც სპილენძის გველის (ანუ თავის გადარჩენის) ფუნქცია ეკისრებოდა, ზენაარისტვის მიძღვნილ შედევრებს კი „თვალი პატიოსანი“ უწოდა: „...თაღლითი თვალი წარეც კეისარს, ზენაარს – თვალი პატიოსანი“.

მართლაც, გალაკტიონმა შეძლი სატანური, გველური, შხამიანი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბიბლიურ მოსესავით აღემართა „სპილენძის გველი“ (შეკვეთით დაწერილი სახოტბო ლექსები), ვითომცდა „საბჭოთა სამოთხის“ (სინამდვილეში

„ჯოჯოხეთური სამოთხის“) ამსახველი ნიმუშები, სხვაგვარად გარდუვალი იყო პოეტის სიცოცხლის ხელყოფა.

მერაბ კოსტავას გალაკტიონის ლირიკის მთავარ განმასხვავებლად, საღვთო სიბრძნესთან ერთად, მიაჩნია საღვთო სიყვარულის ერთგულება: „....ანაზდად ლურჯას მათრახი სწყვიტე, საასპარეზო უჩვენე ვრცელი, როცა გახელდი, მთლად აიწყვიტე, ახსენე ტრფობა უკანასკნელი, მღვრიე მშვენება უმაღლ დასწმინდე, მკვიდრად შეაბი ზეცას ქვესკნელი“ (1,145).

მართლაც, გალაკტიონის პოეზის უმთავრესი პრობლემაა საღვთო ტრფობა, მისივე ტერმინებით, „ზექვეყნიური სიყვარული, მზიანი სიყვარული, სიყვარული უკანასკნელი, ტრფობა სრული“.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს პლატონის „ნადიმი“. პლატონი განასხვავებს მიწიერ და ციურ ეროსს. ეროტიკულ მისტერიათა საწყისი სტადია პირველი საფეხურია, რის შემდეგაც იწყება „სულის მშვენიერების“ უპირატესობის აღიარება, ზეციური მშვენიერების უკიდეგანო ოკეანის ჭვრეტა, როცა „გაბრძნობილი“ სული მიადგება... ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებას... აბსოლუტური მშვენიერების შესახებ, როცა ხდება „მარადიული, ხელთუქმნელი, სულიერი მშვენიერების“ აღქმა, რომელიც „წმინდაა, შეურყვნელი და შეურევნელია კაცის ხორცით“ და არის „ერთსახოვანი ღვთაებრივი მშვენიერება“.., ანუ სიყვარულის უკანასკნელი, უმაღლესი საფეხური“ (8,17,60,63).

საღვთო სიყვარულის იდეა, „რელიგია სიყვარულისა“, ღაზელები (საღვთო სიბრძნე) ცნობილა აღმოსავლურ სუფიზმში (ჯალალ-ედ-დინ რუმი, იბნ ელ არაბი) (9,17).

საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და „საყვარელს“ – ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, „საყვარელი“ და „სულიკო“ ერთდღროულად (9,106-117).

„პირველი სიყვარული“ ეწოდება ღმერთს იოანეს გამოცხადებაში. ქრისტემ მიმართა ეფესელთა ეკლესიას: „შენ დაივიწყე შენი პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადება, 2,4) (2,492).

ახალი აღთქმის მიხედვით, „ღმერთი სიყვარულია“ (კათოლიკე ეპისტოლენი იოანესი, I,4,8).

მთავარია „რწმენა, სასოება და სიყვარული, ხოლო ამათში უმეტესი სიყვარულია“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 13,12,3,4).

ზვიად გამსახურდია სუფისტურ ასპექტში კითხულობდა რუსთაველურ მიჯნურობას (10,10).

დანტემ სულიერ ზეცაში შეიცნო „სიყვარული სხვადასხვაგვარი“. პოეტს იზიდავდა „სიყვარული პირველი, სიყვარული ღვთაებრივი, სიყვარული დაუშრეტელი, სიყვარული მისნური“ (11,328).

საღვთო სიყვარულის იდეა იყითხება რუსულ პოეზიაში (ვლ. სოლოვიოვი, ალ. ბლოკი) (12,102,145,168).

გალაკტიონმა მართებულად ირწმუნა, რომ „უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“ (ანუ უღმერთოდ). ამასთან, „იმ საწყისებს, მიწიერს, ციურს“ პოეტი შემოქმედების უინით“ ავსებდა“ (1,159).

მერაბ კოსტავას ლექსში „საღმრთო ტრფობა, სრულებრილი სიყვარული“ უძლეველი ძალაა: „ეგ საღმრთო ტრფობა თუ გაგიჯდა ძვალსა და რბილში, მაშინ სრულებრილმან სიყვარულმან განდევნოს შიში“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,88).

„ლურჯა ცხენების“ ავტორი „სხვისთვის უხილავს ჭვრეტდა ეთერში“ (1,154). უხილავი ღმერთის სახელია...

განსაკუთრებული ინტუიცია, გულისა და გონების ძალა გალაკტიონს ანიჭებდა მხოლოდ ერთეულთათვის დამახასიათებელ უნარს – წინასწარ ეგრძნო, წინასწარ განეჭვრიტა მოსალოდნელი მოვლენები: „....ინტუიციით, განწინით მიზნის, წინათგამჭვრეტი და წინათმგრძნობი, პოეტის გული გულია მისნის“.

პოეტის რელიგიურობის დასტურია ინტერესი გრაალი-სადმი, ძვირფასი თასისადმი: „...რამეთუ გფერფლავს, ვითარ-ცა ალი, სინრფელე გულთამხილავი თვალის, შეუღწევლობა მონსალვატისა, მიუწვდომლობა წმინდა გრაალის“ (1,148).

„გრაალი არის სიმბოლო სულინმინდისა, ღვთისმშობლი-სა და გრაალის მფლობელი არის სულინმინდით გამსჭვალუ-ლი ადამიანი“ (13,134).

გალაკტიონის ტრაგიზმი ასხნილია ღმერთისუარმყოფე-ლი ეპოქის რწმენის გემების მსხვრევით: „როდემდე ზღვაში დამსხვრეულ გემის უიმედობის აფრა გვემოსოს“...

დრამას განაპირობებდა „ღირსთა მამათა წმინდა სავა-ნის“ მდუმარება, „ჭაობზე უნოტიესი სულის“ მძლავრობა, რომელმაც ჯვარს აცვა უფალი, მაგრამ ეს ხელს ვერ უშლიდა პოეტს, ცაზე ისევ ეძებნა „ვარსკვლავი იგი — ფიქრთა საგა-ნი“.

ვარსკვლავი საღმრთო სახელია. ქრისტე არის „ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი“ (იოანეს გამოცხადება, 22,16) (2,52).

მერაბ კოსტავას ხიბლავს გალაკტიონის განუმეორებელი ენიგმები: სილაუვარდე, ანუ ვარდი სილაში, ივლისისფერი ყინ-ვის თასები, ვარდისფერი და იისფერი თოვლის მშვენიერება.

ყურადღების სფეროში შემოღის „ჯვარცმული ელვის“, „ცეცხლოვანი აზარფეშის“ სახეები, რომლებიც მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოდ გვესახება „ალის თასის, სიხარუ-ლის ჭიქის“ პარალელურად (14, 129-193).

გალაკტიონის იდუმალ სამყაროში შესასვლელი უმთავ-რესი კარია მისი განუმეორებელი, რელიგიურ მსოფლმხედვე-ლობაზე მიმანიშნებელი სიმბოლურ-მეტაფორული სახეები...

მართებულია მიძღვნით ლექსში დიონისური და აპოლო-ნური საწყისების დანახვა, ქვეცნობიერთან, დიონისესთან ერ-თად, აპოლონურის, კოსმიური ჰარმონიის ძიება.

მერაბ კოსტავას დაკვირვებით, როგორც სოკრატეს, გო-ეთეს სამყაროში, გალაკტიონის შემოქმედებაშიც მძლავრობ-და „დემონი საანგელოზო“ – სიმბოლო გენიალობისა და „მაც-დური დემონი“, ლუციფერი, როგორც ბოროტება.

მართლაც, დემონი ერთმნიშვნელოვანი ცნება არ არის გალაკტიონთან, იგი ხან გენიალობის, ხან ბოროტების სიმბოლოა.

გალაკტიონი, ლექსის ავტორის თქმით, იყო „შემმეცნებელი მეფისტოფელის“, ლოცვით, ღმერთის სასწაულის ძალით, ბოროტების გაკეთილშობილების, მისი შენდობის მთხოვნელი.

პოეტების მეფის შემოქმედების მთავარი მიზანი იყო „სულის წრთობა“, ერის ზიარება სიმაღლეებთან, მამულის გრძნობით ავსება, ეროვნული იდეოლოგიის სამსახური: „მამულის გრძნობით შენგან ავივსეთ, ვცანით ვით მადლის სულში ჩადგომა, მისი მაისი, მისი აპრილი, მისი მკათათვე და შემოდგომა“ (1,146).

ლექსში ხაზგასმულია „ჰადესში ჭვრეტის“ უნარი, „სულეთის სიღრმის“ განცდა, რაც არ ახასიათებდათ არც ლადო ასათიანს, არც ნიკო სამადაშვილს, არც გიორგი ლეონიძეს, აქ მხოლოდ „მემენტო მორის“ ავტორთან კეთდება პარალელი. გალაკტიონმა ახლებურად შეხედა სიკვდილის პრობლემას, „მესამე გზას“, რაც სულით სპეტაკულ მარადიულ სახლში დაბრუნებას, უკვდავებას გულისხმობს.

„არტისტული ყვავილების“ ავტორის გამორჩეულობას განაპირობებდა საღვთო მუსიკის, ზეციური მუსიკის, კოსმიური რიტმის მოსმენის და გათავისების უნარი, ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენები...

სიტყვის ჯადოქარი ადამიანური შესაძლებლობების გაფართოებისთვის, საზღვრის მიღმა, სივრცეებს იქით, კოსმიურისკენ ესწრაფვოდა. ის თვით იყო გალაკტიკები, მესაური მასშტაბების, მაკროკოსმიური, ზოდიაქალურ ველებში გაჭრილი, ზესთასიმაღლეს ნაზიარები, სულის წრფობის, სულის განწმენდის, კათარსისის, რწმენის განტკიცების მისით მოვლინებული, „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუციით“ გატაცებული.

გალაკტიონი სამყაროს საცნაურმყოფელია, სივრცეებს მიღმა მიმსწრაფი, თავად კოსმოსად სახელდებული: „...გაიერთსახე, რაიც დაჰყავი, როცა სამყარო საცნაურ ჰყავი, როს

სულის წრთობას ხელი მიჰყავი, რადგან კოსმოსი თავად იყავი“ (1,159).

ადამიანი შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა, ღმერთმა იგი სულით დაიმსგავსა, ამიტომ მიწიერთა სული უკიდეგანოა და მთელი სამყაროს დამტევია: „ადამიანი არის მცირე ქვეყნი-ერება“ (წმინდა იოანე დამასკელი) (13,362).

პოეტურ პარნასს გალაკტიონი ქართული სულით მიეახლა.

როგორც ნოვატორმა და რეფორმატორმა, შორს გასწია მხატვრული სიტყვის შესაძლებლობები და რუსეთს, ევროპას გააცნო და დააწია ეროვნული პოეტური გონი.

„ლურჯა ცხენების“ ავტორის მახასიათებელია ამირანის შემართება, ყაზბეგის სიდიადე, ჩინარის სიმაღლე, მუხის ძლი-ერება და განმარტობულობა.

„პოეტების მეფე“ წარმოგვიდგება, როგორც „ევერესტი-ვით ნისლმოხვეული“, ანუ თანამედროვეთათვის შეუცნობელი, მაკროკოსმიური არსება.

მერაბ კოსტავას გალაკტიონი ესახებოდა, როგორც „ჯა-დოქტორულ სიტყვის ალფა, ომეგა, საჭეთმპყრობელი და წარ-მმართველი“, „ქართული სიტყვის ოქრომჭედელი“, რუსთავე-ლის ჯუფთი“ გენია.

დავიწყებული არ არის სატანური ხელისუფლების წვლი-ლი პოეტის თვითმკვლელობაში, „საქმენი ბარბაროსის“, რო-მელიც ვერ იგუებდა მაღალთ, მართალთ, რომელმაც გენიო-სის დაშინების და დათრგუნვის მიზნით ციმბირში გადაასახ-ლა პოეტის უდანაშაულო მეუღლე – ოლია ოკუჯავა.

ლექსში პოეტი სახელდებულია, როგორც „საქართვე-ლოს თვალის სინათლე“, რომლის უკიდეგანო, უსახლო სულმა დამსახურებულად დაივანა სიმართლის მარადიულ სახლში: „შენ, საქართველოს თვალის სინათლევ, ხომ მოიპოვე, რაიც ინატრე, დაუსაბამო სახლი სიმართლის, მიუსაფართა თავშე-საფარი“ (გალაკტიონი) (1,161).

ლიტერატურა

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
3. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმინევნითი გადმოცემა, თბ. 2000
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982
7. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996
8. პლატონი, ნადიმი, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ. 1964
9. აღმოსავლური პოეზია, თამაზ ჩხერიმელის თარგმანი, თბ. 1964
10. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, თბ. 1990
11. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941
12. მარადი დღე, თბ. 1987
13. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990
14. ლუარა სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, თბ. 2009

„სამეცნიერო გამოყენების მიზანის და სისტემური განვითარების სამსახური“

მერაბ კოსტავამ ტოტალიტარულ, ათეისტურ ეპოქაში იცხოვრა, რომელსაც „მეფისტოფელის საუკუნეს“ უწოდებდა გალაკტიონ ტაბიძე.

მიუხედავად იმისა, რომ რწმენა ჩამორჩენილობად და პოლიტიკურ ბრალდებადაც იქცეოდა ხოლმე საბჭოთა იმპერიაში, ერის ღირსეულ შვილებს კავშირი არ გაუწყვეტიათ უზენაეს საწყისებთან. აანალიზებდნენ რა ქვეყნის ტრაგედიას მიზეზებს, ხალხის ჭეშმარიტი ჭირისუფლები ყოველგვარი უბედურების მიზეზებს ურნმუნობაში ხედავდნენ.

მერაბ კოსტავას მოღვაწეობის და შემოქმედების წინამდღვარი იყო მართლმადიდებლური ქრისტიანობა, ღმერთის რანგში გააზრებული სამშობლო. მხატვრული სიტყვის მისია პოეტი რწმენის მსახურებაში, ხალხისთვის ტაძრის გზის ჩვენებაში, სულიერების, ეროვნული იდეალების ერთგულებაში ხედავდა. საღვთო იყო მისი გზა, ზნეობა, ჰანგი. „საუფლო გულის“, „უმაღლესი მისანი“ გამუდმებით ენაფებოდა „რელიგიის ზედაშეს“, „იდუმალების წყაროს“, ნებაყოფლობით იყო „საღვთო ზვარაკი“.

უპირველესი ადგილი უკავია მერაბ კოსტავას შემოქმედებაში საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის იდეას. მის სიტყვას და საქმეს წარმართავდა „სამების მძლე სიყვარული“, უდრეკ ზღუდეთა დამძლევი სიყვარული, უზენაესი სიყვარული, საღმრთო ტრაფობა, მოყვასის ტრაფიალი, ტრაფობა დაულეველი, სიყვარულის გზა და ხიდი“.

პრობლემას შორეული ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ვლინდება ინტერესი ამ საკითხისადმი.

პლატონის მიხედვით, „მხოლოდ სიყვარულს მიჰყავს კაცი ჭეშმარიტი გზით ამ ცხოვრებაში“.

აღიარებს რა შთაგონების ეროსთან წილნაყარობას, პლატონი განასხვავებს მიწიერ და ციურ ეროსს, ეროტიკულ მისტერიათა საწყისი სტადია პირველი საფეხურია, ხოლო უმაღლეს, ეპოპტიკურ სტადიამდე მიახლოებისთვის აუცი-

ლებელია „სულის მშვენების“ უპირატესობის აღიარება „სხეულის მშვენებაზე“, შემზადება „მშვენიერების უკიდეგანო ოკეანის ჭვრეტისათვის“, ვიდრე „უხვი სიბრძნით გაბრძნობილი სული მიაგნებს „ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებას აბსოლუტური მშვენიერების შესახებ“, რომელიც წარმოადგენს „გასაოცარ მშვენიერებას, მარადიულს, ხელთუქმნელს, სახიერს თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექტში“ (1,17).

ახალი აღთქმის მიხედვით, „სიყვარული ღმერთისგან არს“.

„ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი იმიტომ, რომ ღმერთი სიყვარულია“ (I იოანე, 4,7,8) (2,320).

იოანეს გამოცხადებაში ღმერთი არის „პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადება, 2,4) (2,492).

ღმერთი აღიქმება, როგორც „დიადი სიყვარული“, რომლითაც „სამყარო... ბრწყინავს, ვითარცა მარადიული შუვა დღე“ (ნეტარი ავგუსტინე) (3,240).

„საღვთო ტრფობა“ არის ნეტარება... ყოვლადსაწანადელი, სიხარული მიუთხოობელი“ (წმ. სვიმეონ ღვთისმეტყველი) (4,266).

„საღვთო სიყვარული“... არის „მოძღვარი წინასწარმეტყველთა, თანამსრბოლი მოციქულთა, ძალი მოწამეთა, შთაბერვა მამათა და მოძღვართა, სრულქმნილება ყველა წმინდანისა“ (4,268).

დანტე აცხადებდა: „სიყვარული... აპრუნებს მზეს და ვარსკვლავებს“, „სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამოძრავებს ამ მშვენიერ ციურ ცდომილებს“ (5,43,45).

დანტესთან მთავარია „მისნური სიყვარული, დაუშრეტელი სიყვარული, სიყვარულის ყოვლისშემძლეობა, მარადიული ტრფიალი, პირველადი სიყვარულის სიყვარული, უზეშთაესი სიყვარული, სულიერი ტრფობა“ (5, 303, 292, 246, 360, 308, 205).

„წმინდა სულს“ დანტემ შესთხოვა „სიყვარულის და სიბრძნის ნიჭი“.

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ, უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“, ამბობდა გალაკტიონი.

ცხადია, აქაც ღმერთია ნაგულისხმევი, რადგან სამყაროს მამოძრავებელი, სილამაზისა და მარადიულობის მომნიჭებელი მხოლოდ ღმერთია.

იოანე პეტრინი სიყვარულს – სამებას ეთაყვანებოდა (სათნოებათა კიბე) (6,184).

სუფისტურ სიყვარულს პოულობენ ჯალალ-ედ-დინ რუმის, იბნ ელ არაბის პოეზიაში (7,21).

საღმრთო სიყვარულს ხედავდა ზვიად გამსახურდია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და „საყვარელს“ – ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, „საყვარელი“ და „სულიკო“ ერთდროულად (8,89-98).

„ტრფობის ქვეყანას“ ეძებდა ვაჟა ფშაველა, ხოლო „სატრფოში“ გულისხმობდა ღმერთს (სიყვარულის სამეფო) (8, 98-106).

მეოცე საუკუნეში საღვთო სიყვარულის იდეას ავითარებდა ა. კალანდაძე (8,106-116).

ანა კალანდაძე მოუხმობდა ღმერთს – „ცის და მიწის სიყვარულს“, „რჩეულს“ (ღმერთს) და გვამცნობდა: „ყოველთა დიდი არს სიყვარული და არაფერი არ არის მეტი“ (8,116-122).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში კიდევ უფრო ღრმავდება ეს პრობლემა (8,170-186).

ათეისტურ მეოცე საუკუნეში გალაკტიონმა ხელახლა აღმოაჩინა თანამედროვეთაგან „მიუკვლეველი... სიყვარული“ (დადგა აგვისტო).

საღმრთო სიყვარულის გამომხატველი ტერმინებია გალაკტიონის ლექსებში „ზექვეყნიერი სიყვარული“, „ტრფობა

სრული“, „მზიანი სიყვარული“, „პირველი სიყვარული“, „შორეული ტრფობა“ (8, 106-116).

მერაბ კოსტავა საუბრობდა „სიყვარულის გრადაციაზე“, მოყვასის სიყვარულზე, რაც ღმერთისადმი სიყვარულის საწინდარია, სულიერი სიყვარული კი – „კოსმიური ჰარმონის“, „სფეროთა მუსიკის“ შეგრძების გზად ესახებოდა.

„როგორც სიყვარულის სულები – სერაფიმები არიან სულიერ იერარქიათა შორის უპირველესნი, ერთნაირად რომ განმსჭვალავენ დანარჩენ იერარქიებსაც და მთელ კოსმოს-საც, ასევე სიყვარულია ადამიანის უკვდავი სულის ყველა ღირსებათა შორის უპირველესი და დანარჩენ ღირსებათა ამოსავალი წყარო“, წერდა მერაბ კოსტავა (9, 56-57).

სამყაროში ადამიანის უმაღლესი და უპირველესი გრძნობაა „საღმრთო ტრფობა, სრულქმნილი სიყვარული“, რომელიც ყოველგვარ ნეგატიურ ძალას ამარცხებს: „...ეგ საღმრთო ტრფობა თუ გაგიუდა ძვალსა და რბილში, მაშინ სრულქმნილმან სიყვარულმან განდევნოს შიში“ (ბიბლიური რემინისცენიები) (10,88).

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, პოეტის პიროვნება მერაბ კოსტავასთვის იყო „ნარსული, აწმყო, მარადისობა“. მის შემოქმედებაში ხედავდა „მიწიერ და ციურ საწყისებს“, უკანასკნელ ტრფობას, ანუ საღმრთო ტრფობას: „სიბრძნის იმ ერთ დარგს როს დაეწინდე, ვითარცა მოსემ, აღმართე გველი, ანაზდად ლურჯას მათრახი სწყვიტე, საასპარეზო უჩვენე ვრცელი, როცა გახელდი, მთლად აიწყვიტე, ახსენე ტრფობა უკანასკნელი, მღვრიე მშვენება უმალ დაწმინდე, მკვიდრად შეაბი ზეცას ქვესკნელი“ (გალაკტიონი) (2,145).

ტერმინი „უკანასკნელი“ საღმრთო ტრფობის მისამართით პირველად გვხვდება პლატონის „ნადიმში“, ვინაიდან ეს გრძნობა, საღმრთო სიყვარულამდე ამაღლება ადამიანის ცხოვრების ბოლო, უკანასკნელ ეტაპზე ხერხდება ხოლმე.

ხორციელი გრძნობიდან „დიადი სიყვარულის“ საფეხურზე მიღწევის შესახებ საუბარია ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებაში“.

გალაკტიონის ლექსში „უსიყვარულოდ“ გვხვდება სიტყვა „უკანასკნელი“, რომელსაც ახასიათებს ხორციელი ვნება-უინისგან განრიდება, ჩვეულებრივი მიწიერი გრძნობის-გან განსხვავებულობა: „მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი, როგორც ყვავილი შემოდგომის, ხშირად პირველს სჯობს, იგი არ უხმობს ქარიშხლიან, უმიზნო ვნებებს, არც ყმაწვილურ უინს, არც ველურ ხმებს იგი არ უხმობს“.

ამასთან, ლექსში ნათქვამია, რომ „ჭკნება, ჭკნება სიყვარული უკანასკნელი, ჭკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ უსიხარულოდ და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება, თვით უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“ (უსიყვარულოდ) (11,25).

ვფიქრობთ, უკანასკნელი სიყვარულის ჭკნობა ნიშნავს ათეისტურ ეპოქაში რწმენაზე, საღვთო სიყვარულზე უარის თქმას.

როგორც ვნახეთ, ტერმინი „უკანასკნელი“ ამ შემთხვევაში კი არ ენინააღმდეგება პირველს, არამედ ორივე იდენტური შინაარსისაა, „პირველი“ აღნიშნავს გრძნობის უზენაესობას, მის უმაღლეს ხარისხს, ხოლო „უკანასკნელი“ მისი მოსვლის სტადიას ადამიანის ცხოვრების უკანასკნელ საფეხურზე.

საღვთო სიყვარულის პრობლემას მერაბ კოსტავა ისევ და ისევ გალაკტიონის შემოქმედებაში ხედავს სრულყოფილად, ყველაზე სააწმუნოდ და ასე მიმართავს პოეტების მეფეს: „რუსთველის მიერ ნაანდერძალი, კვლავ აღგვიდგინე ღმერთების ენა, ოდეს გვასწავლე შთასმა სამსალის და სიყვარულის ასე მოთმენა. და ახლა ვერვინ შეგვედავება, რომ თვით სატანას დავცემთ არულით, რადგან ვირწმუნეთ, თვით უკვდავება, რომ არ არსებობს უსიყვარულოდ“ (გალაკტიონი) (10,147).

შემდეგ ნათქვამია: „...სიბრძნის იმ ერთ დარგს რას დაენიდე, ვითარცა მოსემ, აღმართე გველი, ანაზდად ლურჯას მათრახი სწყვიტე, საასპარეზო უჩვენე ვრცელი, როცა გასელდი, მთლად აიწყვიტე, ახსენე ტრფობა უკანასკნელი,

მღვრიე მშვენება უმალ დასწმინდე, მკვიდრად შეაბი ზეცას ქვესკნელი“ (გალაკტიონი) (10,145).

უკვდავების მომნიჭებელი მხოლოდ სიყვარულის ომერთია.

ახალ აღთქმაში ნიჭიე, სიბრძნეზე, წინასწარმეტყველებაზე, ქველმოქმედებაზე მაღლა სიყვარულია დაყენებული: „თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ უდარუნა რვალი ვარ ან ჩხარუნა წინწილა.

„წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარობა ვიქნებოდი.

„მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფრად ვარგივარ.

„სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს.

არ სჩადის უნესობას, თავისას არ ეძებს, არ რისხდება და არ განიზრახავს ბოროტს.

„არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს.

„ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს ითმენს.

„სიყვარული არასოდეს მთავრდება. წინასწარმეტყველებანი იყოს, გაუქმდება, ენები იყოს, შეწყდება, ცოდნა იყოს, გაუქმდება.

„ვინაიდან ნაწილობრივი ვიცით და ნაწილობრივს ვწინასწარმეტყველებთ.

„....ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული ეს სამი. ხოლო მათგან სიყვარულია უმეტესი“ (პავლე მოციქული, 1 კორინთელთა, 13,1-13) (2,375-376).

„ესწრაფეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჭებს, უფრო კი, რომ იწინასწარმეტყველოთ“ (პავლე მოციქული, 1 კორინთელთა, 14,1) (2,376).

„ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს“ (I კო-რინთელთა, 8,1) (2,367).

მერაბ კოსტავას ლექსში „მსხვერპლი“ (1,165) საღვთო სიყვარულს ჰქვია „ტრფობა დაულეველი“, რომელიც გულისხმობს ქვეყნის ბოლომდე შეყვარებას ისეთი ძალით, როგორითაც იგი უყვარდა ქრისტეს და სწორედ ასეთი სიყვარულის (მსხვერპლის) გზა მიდის სამუდამო სასუფევლისკენ: „რამ მოგანიჭა ესე ტრფობა დაულეველი, შენი შემყურე ვით არ გავხდე ჭკუათმყოფელი. თუ გსურს ბოლომდე დაიმკვიდრო სასუფევლი, უნდა ბოლომდე შეიყვარო ესე სოფელი ისე, ვით ქრისტემ შეიყვარა იგი ბოლომდე“ (მსხვერპლი) (10,165).

ახალ აღთქმაში მთავარია „სულის“ (ლმერთის) დამკვიდრება ადამიანის არსებაში, ქრისტეს სიყვარულის შეცნობა, რომელიც ცოდნაზე აღმატებულია: „ნუ დათვრებით ღვინით, რომელიც აღვირახსნილობაა, არამედ აღივსენით სულით“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 5,18) (2,420).

„და შეიცანით ქრისტეს სიყვარული, ცოდნას რომ აღემატება, რათა აღივსოთ სრული ღვთიური სისავსით“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 4,19) (2,420).

მერაბ კოსტავა ადამიანურ სიბრძნეს და სიყვარულს ერთმანეთს ადარებს და სახარების შთაგონების გათვალისწინებით აკეთებს დასკვნას: „...ყოველი საწყისი სასრულს ჩაბარდება, შეწყდება სიკვდილი, შეწყდება დაბადება, ცდომილთა დუნე სიარული, ყოველივე, სიბრძნეც კი განქარდება. დარჩება... მხოლოდ სიყვარული“ (ყველგან, ან არსად) (10,116).

ლექსში „ირაკლის“ (10,128) სიყვარული გზა და ხიდია სოფელსა და ზესთასოფელს შორის, ბნელში გზის გამკვლევია: „ტრფობანაჭარბი რადგან გულებით, სასუფეველი იიძულების, უდრეუ ზღუდეთა მარად დამძლევი, ვყოთ სიყვარული ჩვენ გზად და ხიდად და ბნელში ნათლით გეზის გამკვლევი, მეოხ გვექმნების განგება დიდად“.

სრულყოფილი არსებობის საწინდარი ხდება „აღთქმულის მადლი“ და „სამების მძლე სიყვარული“: „მაშინ გაუვა ყავლი წამებას, აღთქმულის მადლი როს არ აგვცდება, როს ჩვენს წიაღში ესე სამება მძლე სიყვარულით გაერთარსდება“ (ირაკლის) (10,129).

ასევე, მოძმის სიყვარულის მსახური იყო პოეტის სიტყვა და საქმე: „შემაძლებინე, მაღალო ღმერთო, მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო, მოძმე მკერდიდან არ მომიკვეთო, ტრფიალი მისი არ განმიქარვო“ (ქართული საგალობელი) (10,31).

მოძმის სიყვარულის უარმყოფელი უზენაესი სიყვარულის საფეხურამდე ვერასოდეს ააღწევს: „განა ღმერთს ჰყვარობს, მოძმეს თვისას ვინც პატივს არ სცემს, მართალთა შორის განა არის ის შესარაცხი?“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,96).

პოეტის იდეალია „მამულის ტრფობით ნაშიმშილები“ ადამიანი (მამაცი მხედრის) (10,14).

გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის „მესამე გზის“ გამკვლევად სიყვარულს გაიაზრებდა მერაბ კოსტავა: „...მესამე გზა... შენ გეპყრა აქ სიყვარულით, იქ სივრცეების დაპატრონებით“ (გალაკტიონი) (10,154).

კოსმიურ ჰარმონიას და სფეროთა მუსიკას უზენაეს სიყვარულთან აიგივებდა პოეტი: „კოსმიური ჰარმონია და სფეროთა მუსიკა სხვა არაფერია, თუ არა უზენაესი სიყვარული“ (9,57).

სიყვარული მოითხოვს მსხვერპლს, თავდადებას: „...ვაჟკაცურ გზნების გარეშე არ არის ქვეყნად არც სიყვარული“ (იქ თავგანწირვა გაგილებს კარებს) (9,22-23).

ლიტერატურა

1. პლატონი, „ნადიმი“, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ. 1964
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
3. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
4. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ. 1991
5. დანტე, „ლვთაებრივი კომედია“, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941
6. იოანე პეტრინი, სათნოებათა კიბე, თბ. 1968
7. აღმოსავლური პოეზია, თარგმანი თამაზ ჩხერიმელის, თბ. 1981
8. ლუარა სორდია, საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადეპტები ქართულ პოეზიაში, თბ. 2009
9. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991
10. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
11. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982

„ნიაღთა სიპრეზის აიაზმად მასხურებელი“

მერაბ კოსტავას მსოფლმხედველობა მართლმადიდებლურ ქრისტიანობას ეფუძნებოდა. მის რელიგიურ პოსტულატებში უპირველესი ადგილი უკავია საღვთო სიბრძნეს და საღვთო სიყვარულს.

პოეტი განარჩევდა ბოროტეულ, ეშმაკეულ ცოდნას და წმინდა, ზეციდან მომადლებულ სიბრძნეს, ხორციელ და სულიერ გონებას.

ბიბლიის, მითოლოგიის, ღვთისმეტყველების, ფილოსოფიის, კლასიკური ლიტერატურის ზედმინევნითი ცოდნა, შეუმცდარი ინტუიცია საშუალებას აძლევდა, გაერჩია ნათელი და ბნელი, ყალბი და ჭეშმარიტი, სიკეთე და ბოროტება, თვალთმაქცობა და პირუთვნელობა.

პოეტის აზრით, მიწიერი მოვლენები გაპირობებულია „ზეციური იერარქიით“, ამიტომ აუცილებელია „ზეციური გეომეტრიის“, ცის და მიწის ისტორიის შეცნობა. მხატვრული სიტყვის დანიშნულებაა შექმნას სულის ისტორია, განამტკიცოს რწმენა, ხალხს უჩვენოს ტაძრისკენ მიმავალი გზა, ემსახუროს ეროვნულ და საკაცობრიო იდეალებს, შეიცნოს თავისი ხალხის სულიერი ფენომენი, მისი მარადიულობის საფუძვლები: „სცან შენი მოდგმის ბალავარი, ურყევი მიწყივ“.

მხოლოდ რწმენის ძალას ხელენიფება მთა-ბარის, ზეცის და მიწის შეძვრა-გაერთიანება: „რწმენამ უდრეკმან შეარყიოს, შესძრას მთა-ბარი, რომ არ განიყოს ისტორია ცისა და მიწის (ბიბლიური რემინისცენციები) (1,87-104).

სრულყოფილების საწინდარია ორი საწყისის შეცნობა-მსახურება: „ვარსკვლავთა ლაუვარდს ოცნებით ასწვდი და ეამბორე მიწას“ (სულო, დაიცა) (1,40-42).

პოეტური ნიჭი სულიწმინდის მადლია და შემოქმედი, როგორც ხატი ღვთისა, ხილულის პარალელურად, მიღმურ-საც უნდა სჭვრეტდეს: „ლექსი, სიკვდილის ზიარი, შავეთში გადანახედი“ (ლექსი) (1,60-61).

ბიბლიის მიხედვით, ღმერთი არის „სიბრძნე – ყოველთა შემოქმედი“ (სიბრძნე სოლომონისა, 7,21) (2,24).

„წყარო სიბრძნისა“ ღმერთია (ბარუქ წინასწარმეტყველი, 3,12) (2,190).

„ერთია ბრძენი, ფრიად საშიში, თავის ტახტზე დაბრძანებული“ (სიბრძნე ზირაქისა, 1,8) (2,35).

„ყოველი სიბრძნე უფლისგან არის და მასთანაა საუკუნოდ“ (სიბრძნე ზირაქისა, 1,1) (2,35).

სიბრძნე ღმერთის სახელია: „ღმერთი ითქმის გონებად, აზრად, სულად, სიბრძნედ, ძალად. სულინმინდა ითქმის სულად ჭეშმარიტებისა და სიბრძნისა“ (იოანე დამასკელი) (3,341).

„ღმერთი ჭვრეტს ყოველივეს თავისი საღვთო, ყოვლის მხედველი და უნივთო მზერით, აწმყოსაც, წარსულსაც და მომავალსაც“ (3,342).

ღმერთს ენოდება აზრი და მოაზროვნე, სიბრძნე და ბრძენი, გონება და გონისმიერი (3,338).

მერაბ კოსტავა დაცემული სულის ხსნის გზას საღვთო სიბრძნესა, სიყვარულსა და მშვენიერებაში ხედავდა: „ეგრე დაცემული გიხსნას რელიგიამ, სიბრძნემ, სიყვარულმა და მშვენიერებამ“ (ეტიუდი) (1,80-82).

სიბრძნესა და სიყვარულში ღმერთია ნაგულისხმევი, რადგან „ღმერთი სიყვარულია“ (I იოანე, 4,8).

ნ. ბარათაშვილი ბრძანებდა: „მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული“ (რად ჰყვედრი კაცსა).

ბიბლიაში მშვენიერებაც უფლის „სამოსელია“: „უფალო, სიმშვენიერით და ბრწყინვალებით ხარ შემოსილი“ (ფს. 104,1) (4,633).

„შენა ხარ მშვენება მათი ძალისა“ (ფს. 68,18) (4,619).

„...ღმერთი ჩემო... შენს დიდმშვენიერებაზე, დიდებაზე, ბრწყინვალებაზე, შენს საოცარ საქმეებზე ვილაპარაკებ“ (ფს. 145,5) (4,679).

მერაბ კოსტავა ეძებდა საღვთო სიბრძნეს – „სიბრძნეს დაწმენდილს“, „ნათლის სვეტად“ მოვლინებულს, ნათელი,

„ნათლის სვეტი“ და მისი ვარიაციები კი საღმრთი სახელია: „სიბრძნეს დაწმენდილს, ნათლის სვეტად აღვიქვამთ მუდამ, ამადაც, როცა თითო ნაბიჯს დგამენ ცოდნისკენ, ორი ნაბიჯი ზეობისკენ გადადგან უნდა“ (1,101).

მხოლოდ „უზენაესის რჯულის“ შემცნობნი ჩასწვდებიან ჭეშმარიტ სიბრძნეს და წინასწარმეტყველების უნარით, ანდაზების, იგავების, გამოცანების აზრის განჭვრეტით გამოირჩევიან: „მხოლოდ ის, ვინც თავს შესწირავს უზენაესის რჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნეს და წინასწარმეტყველებაში გაიწაფება.

„გამოიკვლევს ანდაზების დაფარულ აზრს და იგავთა გამოცანებს გამოიცნობს“ (ისო ზირაქი, 39,1,2) (2,62).

„...ის გარდასულისა და მომავლის მაუწყებელია და დაფარულთა კვალის გამომცხადებელი“ (ისო ზირაქი, 42,19) (2,65).

აგარის შვილები, ვაჭრები, მიწიერი ცოდნის მაძიებლები ვერ იპოვიან სიბრძნის გზა-ბილიკებს, შეგვაგონებს ბარუქ წინასწარმეტყველი: „ვერც აგარის შვილებმა, რომელნიც მიწიერ ცოდნას ეძებდნენ, ვერც მერონისა და თემანის ვაჭრებმა, ვერც მთხოობელებმა და ვერც ცოდნის მძებნელებმა ვერ გაიგნეს სიბრძნის გზა და ვერ გაიხსენეს მისი ბილიკები“ (ბარუქი, 3,23) (2,190).

ადამიანი შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა და მას შეუძლია „შეიცნოს თავი, უმაღლესი გახდეს მისანი“, „ზეშ-თაგონებით გაპრძნობილი მოძღვართ-მოძღვარი“ (ბიბლიური რემინისცენიები) (1,100).

„მზაკვარ, ცოდვილ სულში ვერ დაივანებს სიბრძნე“ (სიბრძნე სოლომონისა, 1,4) (2,19), „ვერც შურიანი ეზიარება სიბრძნეს“ (სიბრძნე სოლომონისა, 6,23) (2,23).

სიბრძნე „...ეწვევა უბინო სულებს თაობიდან თაობაში და ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად განამზადებს მათ, რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს“ (სიბრძნე სოლომონისა, 7,28) (2,24).

„უკვდავებაა სიბრძნესთან წილნაყარობა“ (სიბრძნე სოლომონისა, თ. 8,18) (2,24).

ნეტარი ავგუსტინე განასხვავებდა „ჭეშმარიტ სიბრძნეს“ (1,39) და „ხორციელ სიბრძნისმეტყველებას“ (5,49-50).

პავლე მოციქული საუბრობდა „ღვთის მრავალმხრივ სიბრძნეზე“ (ეფესელთა, 3,10) (4,416), „სულინმინდისგან მომავალ სიბრძნეზე“: „და ამას ვლაპარაკობთ არა ადამიანთა სიბრძნით შესწავლილი სიტყვებით, არამედ სულინმინდისგან შესწავლილით, სულიერს სულიერად განვმარტავთ“ (I კორინთელთა, 3,13) (4,359).

წმინდა მამა სულინმინდის ძალას უსურვებს რომაელთ: „იმედის ღმერთმა აგავსოთ ყოველგვარი სიხარულით და მშვიდობით რწმენაში, რათა სულინმინდის ძალით იუხვოთ იმედში“ (პავლე მოციქული, რომაელთა, 15,13) (4,352).

ამასთან ბიბლიური ბრძენი კითხულობდა: „კაცთაგან რომელი შეიცნობს ღვთის განზრახვას? ან უფლის ნებას ვინ მისწვდება?“

„რადგან უსუსურია მოკვდავთა ფიქრები და ჩვენი ზრახვები მერყევია“.

„რადგან განხერწნადი ხორცი ამძიმებს სულს და ეს მინიერი კარავი ტვირთად აწევს ფიქრით სავსე გონებას“ (სიბრძნე სოლომონისა, 9,13,14,15) (2,25).

დანტე ალიარებდა: „...შეძლებას, ნებისყოფას კაცთაგანის, ფრთენი ასხია უთანაბრო ძალმოსილების“, „მომაკვდავია მზერა შენი, ხედვის უნარი“ (6,138).

„სულის საყდრის“ განახლებას, უზენაესის მადლის მითენის, უხილავის გამოცხადებას, „მზიანი ღამის“ ანთებას, „სათავის“ ხილვას ნატრობდა მერაბ კოსტავა: „...ღირსად მყავ შენი გამოცხადების, დამბადებელო და მაცხოვარო... მომმადლე ლექსით აღვსებულ გულის დაუშრეტელი ოქროპირობა. ცდაში მარჯვენა არ მომიცარო, აბჯრად ამასხი ძალი თმენისა, უკვდავებისა შთამასვი წყარო, შემასხი ფრთენი აღმაფრენისა“ (შენ გევედრები სულით გლახაკი) (1,23-25).

„სიბრძნისა და ჭეშმარიტების გზის“ ჭვრეტაა პოეტის იდეალი, რაც მოითხოვს სულის უმანკოებას, ჯვრის ერთგულებას, მომხვეჭელობის დაგმობას, პირუთვნელობას, სიწრფელეს, „ღმერთის გზის“ ცოდნას, სულში სამების „გაერთარსებას“, იდეალებისთვის მარტვილობას, უზენაესი მცნებების დაცვას (იყავ უმნიკვლო, ვითა ცხოვარი) (1,54-55).

„სულინმინდის თვალი“, „თვალნი გონის“ დაჟყურებს პოეტს, რათა გზაჯვარედინებზე გზა გაიკვალოს...“აზრების სთველს“ მხოლოდ „გონის თვალით“ მომადლებულნი, წმინდა სულის ადამიანები იმკიან.

ათეისტური ეპოქის უკეთურობათა მხილველ პოეტს ანუხებს ღვთის გზიდან გადახვევა: „ტაძართა სიბრძნე რად დაქნინდა, რად დაექანა?“

განსჯის, მეცნიერების და ზნეობის დაცილებით ვერ მიიღწევა დადებითი შედეგები. თუ მეცნიერის სამუშაო მაგიდასთან საკურთხევლის სიწმინდე არ იქნა მიტანილი, მხოლოდ ბოროტება აღზევდება სინდისის და უზენაესი ცეცხლის (ღმერთის) უარყოფის ხარჯზე: „...და შედეგები არ იქნება შესაბამისი, განსჯამ ზნეობის საფუძველი თუ გადასძლია. სულია სისხლში სინდისის და ცეცხლის საწყისი და მომავლისთვის ბოროტებად შესარაცხია, მეცნიერებამ სამუშაო მაგიდა თვისი, წმინდათა წმინდა საკურთხევლად თუ არ აქცია“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,94).

პოეტს მტკიცედ ეპყრა ხელთ საკუთარი ჯვარი და ქრისტეს ჯვარი, მარტვილობისთვის მუდმივ მზადმყოფს, ყველა განსაცდელის ვაჟკაცურად გამძლებს, საღვთო ცეცხლი და ჭეშმარიტება ემოსა, რადგან იცოდა, რომ „...დღეს მსხვერპლი ინირვის სულით, საღვთო ცეცხლით და ჭეშმარიტებით“ (გალაკტიონი) (1,157).

„გონის თვალით“ მომადლებული, საღვთო სიბრძნეს ეძებდა და მას აიგივებდა ღმერთთან: „სიბრძნეს დაწმენდილს ნათლის სვეტად აღვიქვამთ მუდამ“ (ბიბლიური რემინისცენციები).

„სიბრძნე“ და „ნათლის სვეტი“ საღმრთო სახელებია.

ლაუგვარდების მკვიდრია „სიბრძნის წყარო“ (ლმერთი) და პოეტი მიწყივ ტატნობებში ეძებდა თავის წილხვედრს: „და ნუ დაჰკარგავ შენ იმ ტატნობებს, სადაც ლაუგვარდებს ეტრფის არნივი, მან, სიბრძნის წყარომ, ერთმა გაცნობოს შენი წილხვედრი, შენი არჩივი“.

6. ბარათაშვილიც ხომ თავის ხვედრს ზეცაში ეძებდა: „ეძიე, ყრმაო, შენ ხვედრი შენი, ვინძლო იპოვო შენი საშვენი“ (ხმა იღუმალი).

ოკეანის დაურვებით, „სიბრძნის წყარო“ ამკვიდრებდა სულში სხვა პლანეტას, აზიარებდა სფინქსის ქარაგმების სიბრძნეს: „და ოდეს ვნებას ოკეანეთა, გარდაჰქმნი პირმშოდ შენივ ნებისა, სულში ჩადგება სულ სხვა პლანეტა, სხვა სიბრძნე სფინქსის ქარაგმებისა“ (სფინქსი) (1,16-17).

მერაბ კოსტავას პოეზიაში სულინმიდა სიბრძნის, ნიჭის მომნიჭებელია, რადგან „სულინმიდა... ითქმის სულად ჭეშმარიებისა და სიბრძნისა“ (3,341).

სიბრძნე ორგვარია: „მინიერი, მშვინვიერი, ეშმაკეული სიბრძნე და მალლით გარდმოვლენილი, წმინდა, მშვიდობიანი, ლმობიერი, წესიერი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალობაქცო სიბრძნე“ (იაკობ მოციქული, 4,13,14,15,16,17) (4,298).

პავლე მოციქული განასხვავებდა „ქვეყნიერების, წუთისოფლის სიბრძნეს და ღვთის სიბრძნეს“ (I კორინთელთა, 2,6,7) (4,358), „ხორციელ გონებას“ (კოლასელთა, 2,18) (4,432), „ხორციელ სიბრძნეს“ და „ღვთის მადლს“ (I კორინთელთა, 2,7) (4,358).

სულინმინდას „ფალავან მწიგნობარს“ უწოდებდა ნმ. ბასილ დიდი (7,140).

სულინმინდის მადლია „სიბრძნის სიტყვა, ცოდნის სიტყვა, რწმენა, განკურნებითა ნიჭი, სასწაულმოქმედების, წინასწარმეტყველების, სულების გარჩევის, ენების ცოდნის, ენების განმარტებების ნიჭი“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,9,10,11) (4,374).

ღვთისმეტყველებაში სულინმინდის მოქმედებას უკავ-შირდება ტერმინი „მობერვა, დაბერვა, შთაბერვა“.

„საღმრთო სულითაა გაპირობებული ღვთიური მობერ-ვა, „ზეშთაგონება“, წერდა გრიგოლ ნოსელი (პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის) (8,376).

„ორფიკულ არგონავტიკაში“ უფალს მომბერავი ეწო-დება, ხოლო „მობერვა“ შთაგონების აზრით გვხვდება შუა საუკუნეების ქართულ საგალობლებში (9,39).

პეტრე იბერის (ფსევდო დიონისე არეოპაგელის) შრო-მებში ზვიად გამსახურდია ყურადღებას მიაქცევს ტერმი-ნებს „საღმრთო მობერვა“ და „მღვდელმთავრობითი მობერ-ვა“ და აღნიშნავს, რომ „მობერვა“ უკავშირდება სულინმინ-დას.

„მოციქულთა საქმეში“ სულინმინდის მოსვლა შედარე-ულია ქარის დაბერვასთან“, ასკვნის ზვიად გამსახურდია (10,294).

მეცნიერის დაკვირვებით, ჩახრუხაძის „თამარიანში“ „საუფლო სული“ ანუ სულინმინდა შედარებულია ნიავთან, რაც იწვევს „მობერვის“ ასოციაციას.

ზ. გამსახურდია აღნიშნავს: „ახალ აღთქმაში ქრისტე არის „მომბერი სულისა... აღდგომის შემდეგ მაცხოვარმა მო-ნაფებს „შეჰბერა და ჰრქუა: „მიიღეთ სული წმინდაი“ (იოა-ნე, 2,10) (11,64).

სულინმინდის ქნარი ეწოდებოდათ გამორჩეულ ჰიმ-ნოგრაფებს – სირიელ ეფრემს და მოციქულ პავლეს. სულინ-მინდის კარნახით იქმნებოდა ბასილ დიდის ჰომილიები, სუ-ლინმინდის შთაგონებულად ითვლება ახალი აღთქმა, ქრის-ტიან ღვთისმეტყველთა წიგნები.

სულინმინდის მადლით ჭვრეტდნენ ღვთაებრივ საი-დუმლოს წინასწარმეტყველნი, რადგან ნიჭთა და მადლთა გამანაწილებელი სულინმინდაა.

ჰიმნოგრაფიაში საუბარია საღმრთო ნიავის მობერვა-ზე: „ლამპრითა ბრწყინვალითა სათხოებითაითა განჰბრწყინ-დი შენ, სანატრელო, ბრწყინვალებითა სულისა წმინდისაითა

და მომბერენ ჩუენ ნიავითა საღმრთოისა მადლისათა სწავლანი სულიერნი და შესცვალენ ცნობანი სულელნი სიბრძნედ, ნეტარო და უმეცრებისა ბნელი განიქარვე“ (ბასილი, „გალობანი ეფთვიმე მთაწმინდელისანი) (12,508).

„ის, რაც ღვთისგან გამოდის, როგორც სიყვარული, შობილი ძე როდია, არამედ მონაბერი სული (სულინმიდა)“ (თომა აქვინელი) (10,64).

სულინმიდა გვხვდება ვაჟა-ფშაველას „ბუნების მგოსნებში“, „ქებათა ქებაში“, გალაკტიონის პოეზიაში (13,86-91).

სულინმიდის პერსონიფიკაცია სახარებაში არის მტრე-დი, ცეცხლის ენები.

მერაბ კოსტავას ლექსში „ვერაფერმა განაქარვოს“ (1,20-21) სულინმინდა ხან „მტრედივით გალურსული“, ხან კი „უშრეტ ალად ანთებული“ ვლინდება, ათასთვალ, ქვეყნად დაუტეველ, უჩინარ, მჭვრეტელთან უხილველ სულს მოუთმენლად ელიან „ბრძენთა გულები“: „ვერაფერმა განაქარვოს ხსოვნა გარდასულისა, საიქიოც, სააქაოც სუნთქვა არის სულისა... დაისებში ჟონავს სული აისობის სიალით, ხან მტრედივით გალურსული, ხან ელჭექის გრიალით, ანთებული უშრეტ ალად, ბრძენთა გულის მლეველი, ათასფერი, ათასთვალი, ქვეყნად დაუტეველი“.

სახარებაში იესო ქრისტე იოანესთან მოინათლა იორდანები და როცა „ნათელლებული იესო... ამოვიდა წყლიდან და აპა, გაიხსნენ ცანი და მან იხილა ღვთის სული, მტრედივით გარდმომავალი, მასზე რომ ეშვებოდა და აპა, ხმა ციდან მეტყველი: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“ (მათე, 4,17) (4,5).

„შებერვის“ ცნება გვხვდება იოანეს სახარებაში, როცა აღდგომის შემდეგ ქრისტე შეხვდა თავის მოწაფეებს:

„კვლავ უთხრა მათ იესომ: „მშვიდობა თქვენდა! როგორც მე მომავლინა მამამ, მეც მიგავლენთ თქვენ“.

„ეს რომ თქვა, შეუბერა და უთხრა: „მიიღეთ სულინმიდა“ (იოანე, 2,21,22) (4,225).

მოციქულთა საქმეებში საუბარია ქარის დაბერვაზე, ცეცხლის ენების მოფენაზე და სულიწმინდით ავსებაზე:

„მოულოდნელად იყო ხმაური ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაპერაო და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი ისხდნენ.

და ეჩვენათ მათ გაყოფილი ენები, თითქოს ცეცხლისანი და სათითაოდ მოეფინა ყოველ მათგანს.

ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე, როგორც სული ამეტყველებდა მათ“ (საქმეები, 2,2,3,4,) (4,230).

მერაბ კოსტავას ლექსში, ახალი აღთქმის კვალობაზე, სულიწმინდა ცხადდება, როგორც „უშრეტ ალად ანთებული“.

სულიწმიდა „უჩინარი მხლებელია“, „მჭვრეტელთაგან უხილველი“ (1,20).

პოეზია „ღვთაებრივი სიგიურა“, შთაგონება კი „უამიქროლვისა:ჰა, საკანი დაუტევა, დადგა უამიქროლვისა. ვიცი, ვერსად დაეტევა, აღმვსებია ყოვლისა. ვიცი, ვერსით აღუდგება ვერა ზღუდე-კედელი, როცა ბოროტს განუდგება ხუნდ-ბორკილთა მკვნეტელი“ (ვერაფერმა განაქარვოს) (1,20-21).

იოანე ნათლისმცემელი ამბობს იესოზე: „მე წყლით გნათლავთ, მაგრამ მოდის ჩემზე ძლიერი... ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდით და ცეცხლით“ (ლუკა, 3,16) (4,116).

მშობლიურ შემოგარენში, უფლის წმინდა სახლებში – ზედაზენსა და მცხეთაში შეიგრძნობს მერაბ კოსტავას ლექსის ლირიკული გმირი „ცით მონაბერი ოცნების ქარის“ – სულიწმინდის ქროლვას: „ვინ დაგაქარგა ეგ ზედაზენი, ვინ დაგაქსოვა ეგ მცხეთის ჯვარი, რა სიწმინდენი, რა სინაზენი, ცით მონაბერი ოცნების ქარი“ (1,162).

პოეტი ეძებს სიბრძნეს, სულიწმინდას, როგორც „ჭეშმარიტების სულს“: „თუკი სამყაროს აზრია ღმერთი, გზაა სიბრძნეც და ჭეშმარიტებაც“ (ირაკლის) (1,126-127).

და პოეტი უგალობს „მსოფლიო დედას, სულინმიდას“, სიბრძნის სულში დამვანებელ სახეებს: „მსოფლიო დედა სულინმინდათ გადმოიღვარა, თქვენა ხართ მისი ღაღადისი და გარინდება, ბრძენო იზიდავ, სათნო სიტავ, მზეგრძელო სარა“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,98).

„ჭეშმარიტების ჭვრეტა“ მხოლოდ „ზეციური ნესტრით ვნებულთ“, „არსობის პურით“, „ცხოვრების პურით“, გაპრძნობილთ ხელეწიფებათ.

„სიბრძნის დედაა სიკვდილზე ფიქრები“, „მაღალი აზრები“ - ჭეშმარიტების ჭვრეტის საშუალება: „სიკვდილზე ფიქრებს, სიბრძნის ამ დედას, თუ სამარცხვინოდ არ გაექცევი, ჯანგალეული სხეულის ჭვრეტა შემაზრზენ შიშად თუ არ გექცევა, მაღალი აზრი უფსკრულთა ზედა, გარეშემოთა და შენდა ბედად, კვლავაც აღგმართავს ხელთუქმნელ სვეტად, ჭეშმარიტების შენისა ჭვრეტად, მშობლიურ ცასთან კვლავ შეგაერთებს“ (შიმშილობა) (1,133).

მხოლოდ „უდრევი ნების“ მქონეთ, „მდარე სურვილების“ დამძლევთ, მუდმივად ამაღლებულის მაძიებელთ ხელენიფებათ ჭეშმარიტების წვდომა: „უდრევის ნებით ვინც წარხოცავს სურვილებს მდარეს, მუდმივი სწრაფვით მოიპოვებს ჭეშმარიტებას“.

„ბრმადშობილები“ კი სიბნელეში რჩებიან, ცნობიერება, მაღალი აზრი მათთვის მიუწვდომელია (ბიბლიური რემინისცენციები) (1,89).

მხოლოდ სიბრძნის წყარო შეგვაცნობინებს ადამიანობის არსს, ჩვენს დანიშნულებას, ამიტომ ხამს ტატნობებთან მარადიული კავშირი: „და ნუ დაჰკარგავ შენ იმ ტატნობებს, სადაც ლაჟვარდებს ეტრფის არწივი, მან, სიბრძნის წყარომ, ერთმა გაცნობის შენი წილხვედრი, შენი არჩივი“ (სფინქსი) (1,76).

„სიბრძნის უჩინარ ტახტს“ მაცდურნი ამაოდ ეპოტინებიან (ქარვა გაუხუნდათ ალვებს) (1,66-67).

ამაღლებული, გაპრძნობილი სულის პრეროგატივაა შეცნობა „ქველის და ავის“, „სფინქსის ქარაგმების“ წვდომა (ეტიუდი), „ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი“.

მხოლოდ „შეუცდომელი ბრძენი და მისანი“ უსწრებს დროს და წინასწარ ღალადებს მოსალოდნელს: „რა დაადუ-მებს შეუცდომელ ბრძენსა და მისანს, თუ უწერია აღსრულე-ბა წინათქმას მისას“ (ბიბლიური რემინისცენციები).

პოეტის იდეალია „ზეშთაგონებით გაპრძნობილი მოძ-ლვართ მოძლვარი“, „საღვთო ეთიკის“, „ზეცის ზნეობის“ მიმ-დევარი.

ეგვიპტეში ეგულება მერაბ კოსტავას „სიბრძნის კარი“, „წარუვალი საუნჯე“ (ბიბლიური რემინისცენციები).

ინტერესის საგანია „სიბრძნით მოსირმული გზა ოდი-სევსისა“ (შვენის ირლანდიას მზიური ლანდი), გილგამეშის სევდა (ირაკლის), ფილოსოფოსთა სიბრძნე – „ფილოსოფიის ვენიე სიბრძნეს“ (შიმშილობა).

„წიაღთა სიბრძნის აიაზმად“ მასხურებლებად ისახები-ან სულიერი მამები, მათგან ისმის „საღვთო ჰანგი“. მათ ას-ხიათ „რწმენის აბჯარი“, უპყრიათ „სულის საჭრეთელი“: „სულის, სიტყვის მახვილი“, ჰმოსავთ „უშრეტი ცეცხლი“: „უშრეტი ცეცხლი მოაზღვავეთ ქერუბიმული, ცეცხლი, რომ-ლითაც მიაპობდით უსიერ წყვდიადს“ (1,108).

ისინი იყვნენ „მაღალ სასწაულთა“ ხელდასმულნი, „სუ-ლიერი ომების სპარაზენნი“, „ზნეობის რაინდები და ღმერ-თკაცები, ჩვენი კაცობის ბასტიონები“ რომელთაც ლოცვით შებორკეს ბილნი დემონები, სატანები...“ (ლირს მამა დავითს) (1,104-111).

„მინის საგზურის“ უარმყოფელი, „მზერაუქცეველ აღ-მართხედვით ნამწვერვალები“, იდუმალთმწვდომი, „ფიქრე-ბის საკმეველით შემოჯარული“, „სიტყვით ნათლისმცემელი“ წმინდა მამა ზეცას იგულვებდა თავის მარადიულ სამშობ-ლოდ (ლირს მამა დავითს).

მერაბ კოსტავა ეზოტერულ სიბრძნეს ხედავდა მრგვა-ლი მაგიდის, გრაალისა და ტაძრელ რაინდთა შორის და აღ-ნიშნავდა, რომ ისინი „უშუალო კონტაქტს ამყარებდენ სუ-

ლიერ სამყაროსთან“ (მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991, გვ. 43).

კოსმიური მასშტაბის სიბრძნეს პოეტი მხოლოდ გალაკტიონის პოეზიაში იგულვებდა: „გაიერთსახე, რაიც დაჰყავი, როცა სამყარო საცნაურ ჰყავი, როს სულის წრთობას ხელი მიჰყავი, რადგან კოსმოსი თავად იყავი“.

მინისა და ზეცის საიდუმლოებათა შეცნობის მაგალითი პოეტების მეფის შემოქმედება: „შენ იმ საწყისებს, მინიერს, ციურს, შემოქმედების ჟინით ავსებდი...“

„სიბრძნის იმ ერთი დარგის“ სრულყოფილი გამოვლინების ნიმუში მერაბ კოსტავასთვის გალაკტიონის პოეზია იყო: „მზეთა ორგია გბანგავდა ძველი, მთვარის მაგიას არც შენ მიჰრიდე, ახალუხლებსაც დაასხი ხელი, სიბრძნის იმ ერთ დარგს რაც დაეწინდე“ (გალაკტიონი) (1,145,159).

პოეტის გული იყო „გული საუფლო“, „ეთიკა უზენაესი“, „ადათები საღვთო“, მისი ლექსი – „მოყვასისათვის გაღებული საღვთო ზვარაკი“. „რელიგიოს ზედაშე“ იყო მერაბ კოსტავას ლტოლვის საგანი.

პოეტს აფიქრებდა ატლანტიდა, სიბრძნის ოკეანის გაუჩინარება, „მსოფლიო კულტურების თანმიმდევრობა“, „ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი“, მითოსის სამყარო, „სიბრძნე არაკის“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,97-98).

„ქველისა და ავის შემცნობ“ პოეტს იტაცებდა შუამდინარული ეპოსი, ენქიდუ, გილგამეში, უთნაფიშთიმი, სფინქსის ქარაგმების სიბრძნე, „ზეაღმტაცი ინდოეთი“ (შვენის ირლანდიას), 72), ბიბლიური წინასწარმეტყველები, მსაჯულები, მოციქულები, დავითი, სოლომონი, მოსე, ელია, იოანე.

მოწინებით ახსენებდა გოეთეს, ტოლსტოის, შამილს, განდის, რადგან მათ „ირჩიეს მხოლოდ გეზი მთავარი, დაჰგმეს წვრილმანი ათი ათასი“ (შიმშილობა) (1,133).

პოეტი მოძღვრავდა თაობებს: „ესწრაფონ მხოლოდ წარუვალი საუნჯის პოვნას, იმათ წიაღში მოიპოვონ სული ცხოველი, კანონს სიქველე შეაშველონ მოყვასის მიმართ“.

იდეალად ესახებოდა ბიბლიური აბრაამი, უზენაესი ძალებისკენ სწრაფვის გამი: „იდუმალების სურს გასტეხოს შეუვალობა, შეიცნოს თავი, უმაღლესი გახდეს მისანი, გულს შეგზნებია საღვთო ცეცხლი გასაოცარი, ზეშთაგონებით გაპრძნობილი მოძღვართ-მოძღვარის“ (ბიბლიური რემინის-ცენიები) (1,92-93).

მერაბ კოსტავას პოეზიაში მრავალგზის გვხვდება ცნებები: შეცნობა, საცნაურყოფა, შემეცნება, ცნობა.

ამ სამყაროს ცენტრში აღმართულია „თემიდას სვეტი“, როგორც სიმბოლო უზენაესი სამართლიანობისა, მომავლის მეკვლე: „...თემიდას სვეტი, მეკვლე დამდეგის, პიროვნულ ეგოს სულმთლად დამთმობი“ (შიმშილობა)!

აქ „გონის თვალი“ სწონის ყველაფერს...

წმინდა მამა გვირჩევს: „ნუ დათვრებით ღვინით, რომელიც აღვირასნილობაა, არამედ აღივსენით სულით“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 5,18) (4,420).

ლიტერატურა

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
3. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმინევნითი გადმოცემა, თბ. 2000
4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
5. სიტყვა მართლისა სარწმუნოების, ნ. IV, 1992
6. დანტე, ლვთაებრივი კომედია, თბ. 1941
7. ბასილ დიდი, თხზულებანი, ფსალმუნთა განმარტებანი, ჰომილიები ექვსი დღისთვის, თბ. 2002
8. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1989
9. ორფიკული საგალობლები, პროკლე დიადოხოსის საგალობლები, ლ. კვირიკაშვილის თარგმანი და კომენტარები, თბ. 1989
10. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, თბ. 1989
11. ზვიად გამსახურდია, „თამარიანი და ვეფხისტყაოსანი“, „მაცნე“, 1987, №4
12. ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ. 1960
13. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბ. 1996

ნინასნარმაზვეთი და ნინათმგრძნობი

მერაბ კოსტავა ეზიარა საღვთო სიბრძნეს, საღვთო სიყვარულს, მას მომადლებული პქონდა სულიერი თვალი, სულიერი ხედვა, ესმოდა სფეროთა ქნარის უღერა, ნათელ-ხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით შეეძლო გაეღწია ვარსკვლავებს მიღმა, ეხილა სხვისთვის უხილავი, ესმინა „კოსმოსის სუნთქვა“, განეჭვრიტა წარსული, აწმყო, მომავალი.

მერაბ კოსტავას პოეზიაში დასმულია ყველა დროის-თვის აქტუალური ეროვნული თუ საკაცობრიო პრობლემები.

„რელიგიის ზედაშეს“ დაწაფებულ პოეტს გამოარჩევდა „საღვთო სინედლე“, „გული საუფლო“, „ციური ჭვრეტა, ციურთა თვალები“, „ზეციური მხედველობა“, საღვთო ჰანგი, ზეცის ზნეობა, ის მართლაც იყო „ხატი ღვთისა“, „საღვთო ზვარაკი“, „უმაღლესი მისანი“.

უმაღლესი პარამეტრებით, ზეციური, უცდომელი გადასახედიდან აფასებდა მოვლენებს, ქმნიდა ისტორიას ცისა და მინის, ზომავდა „სულეთის სიღრმეს“.

მერაბ კოსტავას შემოქმედების უმთავრესი პრობლემაა ქრისტიანული რწმენისა და სახისმეტყველების საკითხები. მისი ფილოსოფიური ლირიკა წარმოადგენს სოფლისა და ზესთასოფლის, სიცოცხლისა და სიკვდილის, ბიბლიური პარადიგმების გამოყენებით მიწისა და ცის, სიკეთისა და ბოროტების, ხორცისა და სულის საიდუმლოებათა უცდომელი გათავისების ნიმუშს, ადამიანურის არსის ამოხსნას, მისი დანიშნულების დაუცხრომელ ძიებას, „სიქველის ნათელით“ სულის ხსნის გზების ჩვენებას, სულის ზრდას ემსახურება მისი პოეზია.

მერაბ კოსტავას ლირიკის პერსონაჟი „მსოფლიო კაცია“, მთელი კაცობრიობის სატკივრების დამტევი, პლანეტის ბედზე ჩაფიქრებული და, ამავე დროს, საკუთარი ერის, თვისტომის ადგილის მაძიებელი მიწაზე თუ ზეცაში, მიწიერ პლანეტაზე თუ კოსმოსში: „საქმეა იქცე მსოფლიო კაცად და არ უმუხლო ერსა და თვისტომს, ცის მაღალ ყელზე ვარ-

სკვლავთა აცმას ჰმატო ზურმუხტი და ამეთვისტო“ (ტან-ჯვათა ტიტანი) (1,16-19).

მერაბ კოსტავა საქართველოს თანამდევი მარადიული სულია, პრეისტორიდან მომავალი, მერმისის გზებს ადევნებული და ერის უკვდავებისთვის მღოცველი.

სულიერი ჭვრეტა, გონის თვალის ახელა, გულთა სმენა მას საშუალებას აძლევდა გაელნია მოვლენების მიღმა, საცნაურ ეყო ხილული, არსებული, უხილავი და განესაზღვრა მომავლისთვის განკუთვნილი სასიცოცხლო იმპულსები.

რამდენად შესაძლებელია ადამიანისთვის ხილულის მიღმა არსებულის დანახვა, მომავლის განჭვრეტა?

ბიბლიაში ორგვარ სიბრძნეზე კეთდება აქცენტი: მიწი-ერზე, წარმავალზე, ხილულზე, მატერიალურზე, ეშმაკეულ-ზე და მარადიულზე, ღვთისგან მოცემულ „სულიერ სიბრძნე-ზე“ (ბარუქ წინასწარმეტყველი, პავლე მოციქული).

მაგრამ ბიბლიაშივე გვხვდება დაეჭვება ადამიანურ ცოდნაზე: „ბრიყვია ყოველი კაცი თავისი ცოდნით“ (იერემია, 51,17) (2,177).

პავლე მოციქული საუბრობს წუთისოფლის სიბრძნის ამაოებაზე...

არსებობს ჭეშმარიტი, სულიერი, წმინდა, სამართლიანი სიბრძნე, რაც „უფალმა მხოლოდ ღვთისმოსავებს მისცა“ (ისო ზირაქი, 44,33) (2,66).

მხოლოდ რწმენასთან, უზენაესთან წილნაყართ, სულინმიდით მომადლებულთ ხელეწიფებათ მომავლის მაუწყებელი ინფორმაციის მიღება: „როცა მოვა იგი სული ჭეშმარიტებისა, შეგიძლვებათ ყოველ ჭეშმარიტებაში. თავისით კი არ იღაპარაკებს, არამედ იმას იღაპარაკებს, რასაც ისმენთ და მომავალს გაუწყებთ თქვენ“ (იოანე, 16,13) (3,215).

წინასწარმეტყველების უნარის მომნიჭებელია სულინ-მინდა (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,2,9-11).

მაგრამ „სულინმიდის სიღრმეში წვდომის უნარი მხოლოდ მათ ხელეწიფებათ, რომლებიც გაცისკროვნდებიან უმწვერვალესი განუხრელი ღვთაებრივი ნათლის შუქით და სუ-

ლის მიერ მოუხვეჭავთ სრულად აღურევნელი გონება“ (წმ. ნიკიტა სტიფატე, წმ. სვიმეონ ღვთისმეტყველის საღმრთო სიყვარულის პიმნებისათვის) (4,408).

სულინმიდის ზეციურ მადლის მიღებისთვის აუცილებელია „წმიდა მცნებათა სწავლება“ (წმ. ნილოს სინები) (4,112).

„მხოლოდ ის, ვინც თავს შესწირავს უზენაესის რჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნე და წინასწარმეტყველებაში გაიწაფება“ (სიბრძნე ზირაქისა, 39,1) (2,62).

„ის გარდასულისა და მომავლის მაუწყებელია და დაფარულთა კვალის გამომცხადებელი“ (სიბრძნე ზირაქისა, 42,19) (2,65).

„ყოველივე უფალმა შექმნა და სიბრძნე ღვთისმოსავებს მისცა“ (სიბრძნე ზირაქისა, 43,33) (2,66).

„სულიერ ხედვას“, „სულიერ თვალს“ სჭირდება სიმდაბლე, სარწმუნოების მცნებათა სრულყოფილი ცოდნა (წ. ეპისკოპოსი ეგნატე) (5,435).

პავლე მოციქული განასხვავებდა „მიწიერ, მშვინვიერ, ეშმაკეულ სიბრძნეს“ და „მაღლიდან გარდმოვლენილ“ „წმინდა სიბრძნეს“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 2,13).

პოეტი ეძებდა „წარუვალ საუნჯეს“, იყო რწმენის მსახური, ერთგული დამცველი „საღვთო ზნეობის, საღვთო ეთიკის, საღვთო ადათების“. მის სულს ანათებდა „საღვთო ცეცხლი“, იყო „გაბრძნობილი მოძღვართ-მოძღვრის ზეშთაგონებით“, გამუდმებით ეწაფებოდა „რელიგიის ზედაშეს“, „სიბრძნე დაწმენდილი“ ევლინებოდა, როგორც „ნათლის სვეტი“, საწერ მაგიდას აიგივებდა „წმინდა საკურთხეველთან“.

მერაბ კოსტავასთვის ლექსი იყო „საღვთო ზვარაკი“, „საღვთო ქორწილის“ მაყარი“ (ლექსი) (1,60-61).

პოეტის შემოქმედებაში ხშირად ფიგურირებს ჭეშმარიტება – სულინმინდა. მასთან კი მხოლოდ ამაღლებული ზნეობის ადამიანები არიან წილნანაყარი: „უდრეკის ნებით ვინც

წარიხოცს სურვილებს მდარეს, მუდმივი სწრაფვით მოიპოვებს ჭეშმარიტებას“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,91). „ჭეშმარიტებას იტყვის ორგზის ნაშობი შვილი“ (იქვე, გვ. 94).

ბიბლიას გასდევს რწმენის ყოვლისშემძლეობის აზრი (პავლე მოციქული, ეპრაელთა, თ. 11, 1-34) (3,480-484).

მერაბ კოსტავა რწმენას სამყაროს მამოძრავებელ ძალად მიიჩნევდა: „რწმენამ უდრეკმან შეარყიოს, შესძრას მთა-ბარი“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,87-104).

პოეტი ზნეობრივ სიწმინდეს მიიჩნევდა „სიბრძნის კარის“ გასაღებად: („იყავ უმნიკვლო, ვითა ცხოვარი“) (1,54).

ბიბლიური წინასწარმეტყველები, მოციქულები (ისო ზირაქი, იერემია წინასწარმეტყველი, პავლე მოციქული, იოანე მოციქული) უნდობლობას უცხადებდნენ „ხორციელ გონებას“, მაგრამ ყოველთვის იგულვებდნენ სიბრძნეს სულინმიდის ხელდასხმულთა შორის: „სიბრძნე... მყოფობს ყველა ხორციელში მისი ნიჭის მიხედვით, მიმადლის იგი მის მოყვარეებს“ (სიბრძნე ზირაქისა, 1,19) (2,35).

„ყოველ ჩვენგანს მოცემული აქვს მადლი ქრისტესმიერი ნიჭის ზომისაებრ“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 4,7) (3,417).

დანტეს ეცოტავებოდა ჩვეულებრივთა შესაძლებლობები: „მომაკვდავია მზერა შენი, ხედვის უნარი“, „შეძლებას, ნებისყოფას კაცთაგანის ფრთენი ასხია უთანაბრო ძალმოსილების“, „შენს მზერას თან ახლავს ზადი, შენს თვალს აკლია საკმარისი მზერის სიმძაფრე“ (6,347,361,399).

ამასთან, დანტე სულიერი თვალით ჭვრეტდა ზეციურთა სავანეს, „უზეშთაესის სათავეს“: „ვჭვრეტდი... თამამად... სიდიადეს უფლის ბაღისას“ (6,400). „...ვხედავ სათავეს, უზეშთაესის მარადიულ ძალმოსილებას“ (6,361), „მე უკვე ვხედავ ფიქრების შენის აღმოცენებას“ (6,374).

ღვთისგან ხელდასხმული – დანტე, გოეთე, ცვაიგი, დოსტოევსკი, ბლოკი, დ. გურამიშვილი, გალაკტიონი. ტ. გრანელი, ნათელმხილველები – ვანგა, ნოსტრადამუსი ხედავდნენ სულს.

არსებობს ცოდნის ორი სახე – რაციონალური და ინტუ-იციური. მათ შორის არ არის უფსკრული (7,24,85).

იუნგი ინტუიციას მხედველობის ველში რეალურად მო-ცემულს მიღმა ხედვას უწოდებდა და ტელეპატიურ ხედვას წინასწარმეტყველურ სიზმრებსაც უკავშირებდა (8,24).

მერაბ კოსტავა იზიარებდა რუდოლფ შტაინერის აზრს, რომ გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანო ეპიფიზი, რომელიც ნათელხილვის ორგანოა და ადამიანის სპირიტუა-ლურ უნარებთან არის დაკავშირებული (9,51).

XX ს. ქართულ პოეზიაში ნათელხილვისა და ნათელსმე-ნის ფენომენებით გამოირჩენ გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, ანა კალანდაძე. პროზაში წინაგრძნობისა და წი-ნასწარმეტყველების საოცარი მაგალითებით სამუდამოდ დარჩენ ერის მეხსიერებაში გრ. რობაქიძე, მიხ. ჯავახიშვი-ლი, კ. გამსახურდია, ო. ჭილაძე, გ. ჩოხელი, რ. მიშველაძე.

მერაბ კოსტავა ეძებდა „წარუვალ საუნჯეს“, „ნიჭის ზომაში“ არ ეჭვობდა, ადამიანის შესაძლებლობების უსაზ-ლვრობის აზრს უნერგავდა ბიბლიური სიბრძნე, რადგან ლვთის სახედ და ხატად შექმნილი ადამიანი დედამინაზე ავ-ლენდა შემოქმედების უნარს: „მხოლოდ კაცია გამართული, ლარივით სწორი, დასაპამიდან ვისაც სწყალობს სამყაროს დედა, დედამინაზე მობინადრე არსებებს შორის, მხოლოდ მას ძალუძს მოელვარე ვარსკვლავთა ჭვრეტა. სანამ არა აქვს, იბრძვის მუდამ მოსაპოვებლად, მოიპოვებს და კვლა-ვაც რჩება უკმაყოფილო. ვით ხატი ჩემი, სიძნელეებს არ ეპუება, მიელტვის ახალს, ნაცვლად ძველის, ნაცვლად ყო-ფილის“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,88-89). „აწ მოსახ-დენის“ განსაზღვრა უზენაესის პრეროგატივაა. სულიერი თვალით მომადლებულთა ხვედრია მომავლისათვის თვალის მიწვდენა (1,94).

ადამიანის მიზანია „შეიცნოს თავი, უმაღლესი გახდეს მისანი“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,100), შეიცნოს „სა-

მერმისო ერის მისია“, „იმპულსები ზეეროვნული“, შეძლოს „ჭეშმარიტების... ჭვრეტა“ (შიმშილობა) (1,133).

„ყოვლისმხედველი“ ღმერთია (10,335).

„ღმერთი ჭვრეტს ყოველივეს თავისი საღვთო, ყოვლისმხედველი და უნივერსალური მზერით, აწმყოსაც, წარსულსაც და მომავალსაც“ (10,342).

მერაბ კოსტავას პოეზიაში მთავარია „ჭეშმარიტების ჭვრეტა“ (შიმშილობა) (1,133).

თითქოს „ციერთა თვალები“, „ციური ჭვრეტა“ მიემადლებინა განგებას: „...სად სული ზღვებს მიელალება, ღმერთებმა მიწაზე სამსხვერპლოს გულიდან აგასხეს ციერთა თვალებად“ (შეხვედრა) (1,56).

მერაბ კოსტავას პოეზიაში ყურადღებას იქცევს „ციური ჭვრეტა“, „გონის თვალის“ ახელა, „უცდომლის“ მზერა, ზეცის მადლი, „მომავლის გეზი“: „დასანახავად უცდომლი გასხედს თვალებში, შენშია უკვე ზეცის მადლი, რაც გადმოსჩქეფდა. ან დასაპყრობად მოგელიან სხვა მწვერვალები, მომავალს განდობ შესამოსად შეუმოსველთა“ (ბიბლიური რემინისცენციები) 1,94).

რწმენისა და ცოდნის შემწედ, „სიბრძნის დედად“ სრულყოფილი თვალი ეგულებოდა: „...სანთლად გუამისა სრულყოფილი მოგმადლოთ თვალი, უთვალოდ სმენა სამარცხევინო შიშია მხოლოდ, მხოლოდ მახვილი თვალი გახლავთ დამძლევი შიშის, რამდენად ხედავ, იმდენადვე სწვდები და ბედავ, რადგან თვალია გამორჩევის და სიბრძნის დედა. ის რწმენას ძლიერს შარავანდედს ცოდნისას ადგამს“.

მშვენიერების, სიყვარულის წარმომჩენი და საგალობელი თვალია: „...თუკი სამყარო უმთავრესად მზერას უგალობს, სახეობათა და ფორმათა უწყვეტ თარეშში, მშვენიერებაც არ არსებობს მაშინ უთვალოდ, თვით სიყვარული არ არსებობს თვალის გარეშე“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,87-88).

გონების, შემოქმედების დასაყრდენი თვალია, „აზრების სთველის“ მომწევი თვალია: „რომლისა თვალმან მოიკ-

რიბოს აზრების სთველი, ის ეზიაროს ჩემს იდუმალ შემოქმედებას. ფორმების ჭვრეტა, აღტაცება იმათგან წრფელი, მის ნათელ მზერას სამუდამოდ დაებედება“ (1,90).

ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დარად, მერაბ კოსტავას სწამდა, რომ განგების მიერ „სიბილნესთან შეურევნელი გულშეუძრავთა, პირუთვნელთა ჭვრეტის უნარი“ მხოლოდ უმნიკვლო სულის ადამიანთ მიემადლებოდათ (ბიბლური რემინისცენციები) (1,101).

პოეტი ღვთის ხატად ქმნილ სულს აღაპყრობდა დაფარულის მხილველისკენ – ღმერთისკენ და ეიმედებოდა, რომ დამსახურებულს მიუზღავდა უზენაესი: „სული მარტვილი აღვაპყარ შენდა, ოდითგან ქმნილი შენეულ ხატად, გულის სილრმეში დაფარულს ხედავ, დაფარულთათვის მომაგებ ცხადად“ (შენ გევედრები სულით გლახაკი) (1,26).

პოეტის ზეცისკენ მზირალი სულის თვალი ჭვრეტდა უზენაეს მეუფეს: „სულო... ადევნებიხარ ცამი კომეტებს, ზევსთან შეკრული ზავით, სჭვრეტ მეუფებას ოქროს ტახტიანს, მნათობთა ბადეს გაშლილს, განგებას შენთვის დაურახტია ცეცხლის მფრქვეველი რაში“ (სულო, დაიცა) (1,40).

„ზოდიაქალურ ველებზე“ იყო მისი ასპარეზი.

ხილვა, გულთა სმენა, განსჯა, წვდომა უზეშთაესისგან ხელდასხმულთ მიემადლებათ: „ხილვას დაგანძავს თვალთ მონაგარი და გულთა სმენას წვდომა განსჯისა, ყოველი არსი სად მონა არის უზეშთაესის მფეთქავ მაჯისა“ (სფინქსი) (1,76-77).

სიბრძნე „ნათლის სვეტის“ სახით ევლინებოდა (ბიბლიური რემინისცენციები) (1,101).

ჭვრეტდა „მზიან ღამეს“, „შუალამის მზეს“ (ღმერთს) (შენ გევედრები) (1,25).

ღვთისმეტყველი შეგვახსენებს: „თუ განწმენდილი ხარ ვნებათგან, მაშინ შენშია ცა და ამ ცაში ხედავ ანგელოსებს, ...მათთან ერთად, მეუფეს მათსას“.

„თუკი ყოველთვის საღმრთო აზრებით იქნები დაკავებული, მაშინ ჭეშმარიტად იხილავ შენს სულში ქრისტეს ნათელს, დაუღამებელს“ (წმინდა ისაავ ასური) (5,230-240).

პოეტი ხედავდა ცის კაბადონის უხილავ ბზარებს, ცრემლებს: „ცრემლი სდიოდათ კაბადონის უხილავ ბზარებს“ (ღირს მამა დავითს) (1,104).

გალაკტიონი ურნმუნებაზე დალენილი, დანგრეული ზეცის სახით მიგვანიშნებდა, მერაბ კოსტავას ცრემლიანი და გაბზარული ცის კაბადონი ღმერთისუარმყოფელ ეპოქაზე მიუთითებს.

„არსთა არსის“, ციერთა დასის ჰარმონია ანათებდა პოეტის სულს: „მშვიდი სამშვინველი აროდეს ბერდება, ის ამრეკლავია თვით არსთა არსისა, საოცარ ნათებად ოდეს აუღერდება მასში ჰარმონია ციერთა დასისა“ (ეტიუდი) (1,81).

აქაც ხილვისა და სმენის უნარი შეთანხმებულად ვლინდებოდა.

„ქველის და ავის შეცნობა მხოლოდ უმწიკვლოთ დაებედებათ, ხოლო „ბრმადშობილთათვის ეს სამყარო დარჩება ბნელი, ცნობიერებას მათვის აზრი არ ემეტება“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,89).

გალაკტიონის გამორჩეულობას, მერაბ კოსტავას აზრით, განაპირობებდა მისი განსაკუთვრებული ჭვრეტის ნიჭი: „სხვისთვის უხილავს ჭვრეტდი ეთერში, ამაოებას არ დაემონე“ (გალაკტიონი) (1,154).

თითქოს ხორცის დამტევებელი პოეტის სულიც ხედავდა სხვათა, ცოცხალთათვის უხილავს: „რასაც ვერ ჭვრეტდა ცოცხალთა თვალი, გულთმისანივით ხედავდი მკვდარი“ (1,157).

მერაბ კოსტავას ლირიკის პერსონაჟები ერთდროულად მოიხილავენ ცას და მიწას: „ვარსკვლავთა ლაჟვარდს ოცნებით ასწვდი და ეამბორე მიწას“ (სულო, დაიცა!) (1,40-41).

ქვესკნელ-ზესკნელის საიდუმლოებების მაძიებელი სულია პოეტის იდეალი: „გიჯობს ქვესკნელის ვრცელი ველი

მოინაპირო, ხოლო მერმე ყვავილწნულების სამსჭვალებით გაეკრა ზეცას“ (რუსთავი) (1,83-84).

წმინდა მამას ასე მიმართავს პოეტი: „გამჭოლავ მზე-რას აღაპყრობდი უძრავ ვარსკვლავეთს და საოცრებას დაე-ძებდი ვარსკვლავებს მიღმა“ (ლირს მამა დავითს) (1,104-105).

ლექსში „შიმშილობა“ წერდა: „ანგელოზთ დასის უბინო თვალში... მთელი ზეცა აირეკლება“ (შიმშილობა) (1,137).

მადლშემოსილი წმინდა მამები „წიაღთა სიბრძნეს“ ას-ხურებდნენ აიაზმად (ლირს მამა დავითს) (1,104-105).

პოეტს ეიმედებოდა „მადლი ციური, რაღაც ძვირფასი, იდუმალი და მისტიური“ (ლირს მამა დავითს) (1,104), რადგან „ღვთის მადლი ყველა ადამიანის მხსნელია“ (პავლე მოციქუ-ლი, ტიტეს, 3,11).

ადამიანს ღვთის მადლით ეძლევა ნიჭი: „და გვაქვს მად-ლით სხვადასხვა ნიჭი, ჩვენთვის მოცემული“ (პავლე მოცი-ქული, რომაელთა მიმართ, 13,6).

„შეიცანით ჭეშმარიტებაში ღვთის მადლი“, მოგვიწო-დებს წმინდა მამა.

დანტე ადიდებს სამების მადლს: „დიდება შენდა, ერ-თარსებავ, სამების სახით, ჩემთა ნაშიერთ რომ აღავსებ ციუ-რი მადლით“. პოეტის აზრით, „ზენაარის მადლის შემცნობი ღვთის საბრძანისში ივანებს“ (6,335).

„ადამიანი... უმადლოდ, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია“ (12,7).

ანა კალანდაძეს აღავსებდა „ძალი ზემადლთა მიმოფე-ნისა“ (13,87).

მერაბ კოსტავას აზრით, „აღთქმულის მადლი“ სამების „მძლე სიყვარულით“ მოიპოვება: „მაშინ გაუვა ყავლი წამე-ბას, აღთქმულის მადლი როს არ აგვცდება, როს ჩვენს წიაღ-ში ესე სამება მძლე სიყვარულით გაერთარსდება“ (იყავ უმ-წიკვლო, ვითა ცხოვარი) (1,54-55).

მერაბ კოსტავას პოეზიაში ღვთისნიერი სულის მეგზუ-რი იყო ხმა ზეციური: „მეგზურად მუდამ წაგიძრვება ხმა ზე-

ციური, თუკი საკუთრად გადააქცევ ჩემს წმინდა ნებას“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,101).

პოეტს ესმოდა ჩვეულებრივთათვის მოუსმენელი, თითქოს ცის კარი იღებოდა და უჩინარი ბაგე ანგელოზთა ხმით უგალობდა: „ანაზდად პირი იბრუნა ბნელმა, ზეცამ სივრცე-ებს მოხსნა სარქველი და უჩინარი მლოცველის ხელმა ერთად დაანთო ყველა სანთელი. და როგორც თვალი პატიოსნების, ცით მონადენი უკვდავი მანა, სივრცეებს ავსებს ანგელოზებრი უჩინარი ბაგით ნათქვამი ნანა“ (თეთრი ქალწული) (1,42-48).

პოეტს ესმოდა „დრო-ჟამის ენა, სამყაროს ენა, საგნების ენა, ვარსკვლავების ენა, კოსმოსის სუნთქვა, სფეროთა ქნარი, ანგელოზთა ნანა, წარსულის სუნთქვა.“

ცის ფერი და „სამყაროს ენის“ გაგება გაავდრებას კი არა, სამყაროს გაბრნებინებას ამცნობდა: „მოუსხამს ლურჯი ცას კრეტსაბმელი, გაავდარება არ უწერია, სამყარო ელავს, როგორც კანკელი და ენა მისი ერთობ მჭევრია“ (შიმშილობა) (1,131).

„სულის საყდრის“ განახლებისთვის ევედრებოდა „სასოებას და სიხარულს“ (ლმერთს) და „მეოხად“ ესახებოდა მისი ხმა, მადლი: „„რაღას დამაკლებს ჟამთა დინება, თუკი მეოხად ხმა შენმიერი და შენი მადლი მომეფინება“ (შენ გევედრები სულით გლახავი) (1,23).

ნიკოლოზ ბარათაშვილივით ცდილობდა მერაბ კოსტავა საკუთარი ხვედრის გარკვევას და „სიბრძნის წყაროსთან“ (ლმერთთან) ეგულებოდა ამ საიდუმლოების გასაღები: „მან, სიბრძნის წყარომ, ერთმა გაცნობოს შენი ნილხვედრი, შენი არჩიო“ (სფინქსი) (1,75-76).

მისთვის ზვიად გამსახურდია იყო შეუცნობის ძიებით გატაცებული, „სვებედის საწყისის მძებნელი“ (ძმას ქრისტესმიერს).

„მარადისობის ნერგის“ (ლმერთის) „უკვდავების ქნარის“ გალობა განუმტკიცებდა რწმენას: „...რა უკვდავების

ქნარით გვიგალობ, ეს რა სამკვიდრო გერგო, ბოროტებას-თან შეურიგალო, მარადისობის ნერგო“ (სულო, დაიცა) (1,40).

პოეტი ყურს მიაპყრობდა ბრძენთა და მისანთა წინათემას: „რა დაადუმებს შეუცდომელ ბრძენსა და მისანს, თუ უწერია ასრულება წინათემას მისას“ (ბიბლიური რემინის-ცენციები) (1,95).

წინასწართქმულის აცხადებისას, ფაფარაშლილი სამყაროს ხილვისას განსაცდელში სიმშვიდეს ურჩევდა ქარიშხლის პირმშოს: „როცა წინასწარ თქმული ახდება, როცა სამყარო ფაფარს აიშლის, განსაცდელს მშვიდად თუ არ დახვდები, როგორ იწოდო პირმშო ქარიშხლის“ (იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს) (1,22-23).

წინასწარმეტყველი და წინასწარმჭვრეტი, უტყუარი ინტუიციით მომადლებული მისნის იდეალი მერაბ კოსტავას-თვის გალაკტიონ ტაბიძე იყო: „ინტუიციით, განწონით მიზნის, წინათგამჭვრეტი და წინათმგრძნობი, პოეტის გული გულია მისნის“ (გალაკტიონი) (1,155).

პოეტების მეფის მახასიათებელი იყო „გულთმისნის“ ხედვა, „სხვისთვის უხილავის“ ჭვრეტა, სფეროთა ქნარის, წმინდა მუსიკის, კოსმიური რიტმის, კოსმოსის სუნთქვის მოსმენა, ციური და მინიერი საწყისების წვდომა, გრძნობისა და აზრის თანხმიერება, რაც მარადიულობის საწინდარია: „განა ოდესმე დაიფერფლები, გრძნობას აზრით თუ გარს მოევლები და ვით მუდმივი ცეცხლი ტაძრების, შენ არასოდეს დაინაცრები“ (გალაკტიონი) (1,146).

წმინდა მამას ესმოდა „ანაზდეული რეკვა ციდან“ (ლირს მამა დავითს) (1,106).

ხედავდა რა ცის კაბადონის უხილავ ბზარებს, სილაუვარდის ცრემლებს, სჯეროდა, რომ „არსშემოსილი“ მამების, „სიბრძნის წყაროს აიაზმად მასხურებელთა“ ღვანლი ამაოდ არ ჩაივლიდა, ისევ აინთებოდა რწმენის წმინდა ცეცხლი და დამჭვნარი კვერთხი ისევ აყვავდებოდა, ისევ მიუბრუნდებოდა ათეიისტური ეპოქა თავის საუკუნოვან რწმენას – ქრისტიანობას, რაც ახდა კიდეც: „მამაო, წყარო ცხოვრებისა ვისხუ-

როთ ვინძლო, მამაო, ვინძლო დამჭკენარ კვერთხებზე ყლორტი ვახაროთ“ (ლირს მამა დავითს) (1,107).

კვერთხი მარიამის სიმბოლოა (14,124), ყლორტი – ქრისტესი (15,122).

„გამხმარი კვერთხის აყვავება... რელიგიურ სიმბოლიკაში მარადიული ცხოვრებისა და სპირიტუალობის გამომხატველია“ (მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე).

„პიროვნული ეგოს“ შემცნობი, „უმაღლესი მისანი“ იყო პოეტის იდეალი: „...შეიცნოს თავი, უმაღლესი გახდეს მისანი, ზეშთაგონებით გაბრძნობილი მოძღვართ-მოძღვარის“.

აქვე დიდი ადგილი უჭირავს ალლოს, „გუმანს“, რაც ინტუიციის ტოლფასია: „გუმანით გრძნობდი, რომ ბედისწერას მუდამ დაჰყვება ხმა გამგმირავი“ (ირაკლის) (1,124).

მერაბ კოსტავას მრავალმხრივი მოღვაწეობის უმთავრესი კრედო იყო „სამყაროს საცნაურყოფა“, „სამერმისო ერის მისიის“ განსაზღვრა, რასაც უძღვნა კიდეც თავისი წიგნი „ფიქრები საქართველოს მისიაზე“ (თბ. 1991).

პოეტს ხელენიფებოდა, განეჭვრიტა ზეციური გეომეტრია, „ისტორია ცისა და მიწის“, „მსოფლიო კულტურების თანმიმდევრობა, ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი...“, მომაღლებული ჰქონდა ასტრალური ხედვა, ასტრალური სმენა, ხედავდა ასტრალურ სინათლეს, შეეძლო ასტრალური ბერითი ტალღების მოახლოება, საუბრობდა ეპიფიზზე, როგორც ნათელხილვის ორგანოზე...

ზვიად გამსახურდია ესახებოდა, როგორც „უკიდეგანო ასტრალურ ზღვაში დემონთა ხროვის დამამხობელი“ (ძმას ქრისტესმიერს) (1,11-15).

აღიარებდა ცოდნის ორ სახეს, რაციონალურს და ინტუიციურს, თანაც აუცილებლად მიაჩნდა მათი ერთობლივი მოქმედება.

ინტუიციას, როგორც მხედველობის ველში რეალურად მოცემულის ფარგლებს მიღმა ჭვრეტას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, სწამდა ადამიანის სპირიტუალური უნარები.

„განა ოდესმე დაიფერფლები, გრძნობას აზრით თუ გარს მოევლები?“ (გალაკტიონი).

მერაბ კოსტავა საუბრობს გრაალის ძმობის რაინდების სივრცული ნათელხილვის უნარზე, შორი მანძილიდან, მონ-სალვატის მთიდან ბოროტების კონცენტრაციის ჭვრეტაზე, რაც საშუალებას აძლევდათ, დროზე აელაგმათ ძალმომრეობა (9,46).

დავით აღმაშენებელმა სპირიტუალური უნარის მეშვეობით იცოდა თითოეული ეკლესიის მსახურისა თუ ფეოდალის ზნეობრივი დონე, განზრახვანი. ამის შიშით ვერავინ ბე-დავდა ღალატს ან სხვა რამე ბოროტი განზრახვის ფიქრადაც გავლებას (9,45).

მეფეს უშუალო კონტაქტი ჰქონდა სულიერ სამყაროს-თან, ამიტომაც გახლდათ იგი ღირსი გრაალის ბარძიმის ფლობისა (9,49).

გონისა და ინტუიციის ფენომენებით დაჯილდოებული პოეტი რწმენას ცოდნას შეაშველებდა ხოლმე და, პირიქით, რაც უტყუარი დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევდა.

მითოლოგიის, ბიბლიის, ღვთისმეტყველების, სასულიერო მწელობის, მსოფლიო კლასიკური ნააზრევის ცოდნა ასაზრდოებდა მის დიდ ინტუიციას.

ხშირად გადიოდა საინფორმაციო ველზე.

ეროვნული იდეალებისთვის ჯვარცმულ პოეტს სჯეროდა, რომ მშიბელი ხალხი თავისუფლების იდეალებისთვის, მრავალსაუკუნოვანი რწმენისთვის თავს გასწირავდა და ღვთის შეწევნით მიაღწევდა სანუკვარ ოცნებას, რაც ახდა კიდეც: „დღევანდელობის ავიტანთ პროზას, რადგან განზრახვა შემოქმედისა გვპირდება ახალ მეტამორფოზას, თანამდგომელად ქართლის ბედისა“ (ტანჯვათა ტიტანი) (1,47), „არა, არა სურს ჭეშმარიტებას განირვა დედა საქართველოსი“ (1,10).

როგორც აკაკი წერეთელთან, მერაბ კოსტავას პოეზიაშიც მიჯაჭვული ამირანი არის საქართველოს სიმბოლო. საქართველოს უგვირგვინო მეფეს – აკაკი წერეთელს სწამდა

ამირანის აშვება: „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გას-ნევეტს გმირთა გმირი“...

მერაბ კოსტავას იდეალი იყო რკინის მკვნეტელი ამი-რანის გათავისუფლება: „...ხოლო ამირანს, რკინის მკვნეტე-ლად ვინც დაპხადა, იგი აუშვებს“ (რუსთავი) (1,84).

აწმყოს პრობლემების საფუძვლიანი ანალიზი საშუა-ლებას აძლევდა უცდომლად განეჭვრიტა მერმისი.

პოეტის მთელი ცხოვრება იყო მრავალთავიან ჰიდრას-თან ბრძოლა, ხვედრი – ციხე, გადასახლება, რეპრესიები, გა-მუდმებული დევნა. ინტუიციით გრძნობდა პოეტი, რომ მას არ აპატიებდნენ საზარელ ურჩხულთან მუდმივ რაინდულ შემართებას და ყველაფერს იღონებდნენ მუხანათი მტრები მის დასადუმებლად.

ზვიად გამსახურდია მართებულად აღნიშნავს: „მერაბ კოსტავამ ლექსში „პაემანი“ საოცრად იწინასწარმეტყველა ის, რომ იგი ჩემზე ადრე დასტოვებდა ამ წუთისოფელს და მე, მის აკლდამასთან, თალხით მოსილი, დაველოდებოდი მე-გობრის აჩრდილს! აკი ამიხდა ყოველივე“ (1,5).

ლექსში საუბარია სულზე, როგორც აბობოქრებულ ოკეანეზე, მის ჭიდილზე ტალღებთან, სულში დიონისეს ღრეობაზე, აპოლონის ღვთაებრივი ჰანგების აუღერებაზე, ბოლოს ობლის სამარხთან თაღლით მოსილის გლოვაზე, ძმა-კაცის აჩრდილის მოვლინების ლოდინზე, რაც აქილევსის ლაერტის ძესთან შეხვედრას ჰქავს. აი ეს სტრიქონები: „შენ ხარ ოკეანე, აბობოქრებული, ამასთანავე, შენ ხარ ჯებირი, შმაგი ტალღების შემკეტველი რვალის კლიტულში. შენში ღრეობდა დიონისო და ან აპოლონ უკრავს შენში ღვთაებრივ ჰანგებს. ობლის სამარხზე აკვნესევულ საროზე ხარ შენ მგლოვიარე. ხსოვნას გიშხამავს საფლავების ჩამოლამება და აკლდამასთან თალხით მოსილი, ვითა აქილევს, ელოდები მე-გობრის აჩრდილს“ (პაემანი) (1,121).

მერაბ კოსტავას დაებედა „ბედის გრაგნილის“ უტყუა-რი კითხვის უნარი. მიღმურში გასასვლელად მხოლოდ ჯვარ-

ცმის გზას იგულვებდა: „მიღმეთში ისე ვერ გადახვალ, ჯვარ-ცმულის წვით თუ არ ევნები“ (ვინ იცის) (1,122).

სამკალის მუშაკთ, ზოდიაქოებში ოქროცურვილი თავ-თუხების ძნების ზეცაში ამტანთ, მყოფადში წმინდანის შარა-ვანდელით ხედავდა (ლირს მამა დავითს) (1,106).

ეიმედებოდა ერის მარადიულობა და მოგვიწოდებდა მისი ფენომენის მსახურებისკენ: „სცან შენი მოდგმის ბალა-ვერი, ურყევი მიწყივ“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,93).

საღვთო სიყვარულის მსახურთა, „ტრფობა ნაჭარბი... გულებით“, უზენაესი ნათლის წინამძღვრობით მავალთა ხევდრია განგების წყალობა: „...რადგან სამკალი ასე გვემ-დიდრა, ისევ ჩვენ შევკრათ თავთუხის ძნები... უდრეკ ზღუ-დეთა მარად დამძლევი, ვყოთ სიყვარული ჩვენ გზად და ხი-დად და ბნელში ნათლით გეზის გამკვლევი, მეოს გვექმნების განგება დიდად“ (ირაკლის) (1,128).

წინასწარმეტყველურია მერაბ კოსტავას ზვიად გამსა-ხურდიასადმი მოძღვნილი ლექსი „ძმას ქრისტესმიერს“ (1,11-15).

მასში ზედმიწევნით კარგად, კეთილმოსურნე ადამიანის თვალით არის დანახული ზვიადის პიროვნება, მისი რე-ლიგიური და ეროვნული იდეალები, რაც საშუალებას აძლევს ნაწარმოების ავტორს, განჯვრიტოს ამ პიროვნების როლი ერის სულიერ წრთობაში, მისი კეთილი ზემოქმედება თაო-ბებზე. სრულიად ბუნებრივად იქმნება ლექსში სახე მორწმუნე და პატრიოტი ადამიანისა, რომელიც წმინდა ალაგებთან, ტაძრებთან, წმინდა მამათა ძვალშესალაგებთან, მღვდელ-მთავართა და მეფეთა საძვალებთან ჩნდება ხშირად, რაც ათეისტურ, ეროვნულობის უგულვებელყოფელ საუკუნეში მის გაუცხოებას იწვევს, მაგრამ ლექსის ავტორს ზვიადი ესახება, როგორც თამარ დედოფლის მწირი, „საღვთო სი-ნედლის გულში აღმძვრელი“, პარსიფალის ნახევარძმა, დიდ-გორს მოსული ტაძრელი, ღვთისგან ხელდასმული გრაალის მცველი, იდუმალებებით მოცული ადამიანი, რომელმაც ვაჭ-რულ ეპოქაში „ნათლობის მადლი“ განუახლა თანამოძმეებს,

„დაშრეტელი რწმენის ჭირისუფლად“ მოევლინა ერს... ჭეშ-მარიტების მაძიებელმა რაინდმა თავისი ხალხის ეროვნული თვითშეგნება აამაღლა, მისი სულიერი წყობა შეცვალა უკე-თესობისკენ: „დიდ წინაპართა ტანჯვით ვნებულმან ერში ზრახვანი აღძარ ვნებისა, როს განაახლე მინავლებული ხმა ეროვნული თვითშეგნებისა. ოსტატის სიბრძნით გამოარჩიე, აზრთა განწყობას უცვალე ფერი, ხელნერა შენი გულს დაამ-ჩნიე, ახალ ხარისხზე ასწიე ერი“ (ძმას ქრისტესმიერს).

ზვიადის დამსახურება იყო „ვეფხვთან სარკენად“ გა-სული ცხრა მოძმის „ფიცვერცხლით შემომტკიცება“ დევი-ზით: „ჩვენადვე თავი ხამს გვეყუდნოდეს“.

ზვიადის „გულისსწორი“ იყო სამშობლო, ქაჯეთის ტყვე ნესტანი, ზვიადი ხალხს ევლინებოდა „სიმართლის ფარით, რწმენის სამკლავით და საფუხარით“...

ნესტანის მაძიებელი ტარიელის მარადი თანამდგომი იყო თვით მერაბი – ავთანდილობის უებრო მაგალითი.

ლექსის ავტორს უკვირს მოყვასისგან ერის სულიერი მესვეურის განსჯა, ეკალ-ბარდებში სიკეთის მთესველს არც „ჭორის ღვართქაფი“ ასცდა, არც ძმრით სავსე ფიალა, რაც არ აიცდინა. ეს იყო უფლის გამოცდა, „რადგან განგებას რო-მელი უყვარს, მასვე მოუვლენს სასტიკ განსაცდელს“.

მაცდურნი ამაოდ ამაყობენ ამ წუთისოფლად, იმ სოფ-ლის ბჭესთან ისინი მათხოვრად წარსდგებიან, ძმის აღსარე-ბის გამცემი ზეცაში ვერ იპოვის თავშესაფარს.

ჯვარცმული მოღვაწის დაუვინყარ სახეს რომ ქმნის, რეზიუმესავით გაუღერდება ქვეყნის პირველი პრეზიდენტის უკვდავების იდეა, რომელმაც დაამხო დემონთა ხროვა: „გა-დაიჭრები გზნებით მყოფადში, დაემკვიდრები ხალხში მითი-ვით, ზეალმართული ჩვენს ეპოქაში მიქელანჯელოს კუშტ დავითივით. დაუცხრომელო სულიერ ცდაში დაუსაბამო სიტყვის მხმობელო, უკიდეგანო ასტრალურ ზღვაში დემონ-თა ხროვის დამამხობელო“.

ციმბირში მყოფ პატიმარ მერაბ კოსტავას, რომელსაც შვილის თვითმკვლელობის ტრაგედიაც ვერ ასცდა, ზვიადმა უძღვნა ასევე წინასწარმეტყველური ლექსი, რომელშიც

მგზნებარებით არის წარმოდგენილი მერაბის რაინდული ბუნება, მორწმუნის ჯვარცმა და მარადიულობა: „ერის მჭმუნვარე ძმათა კრებული ერის საფიცარ რაინდს გინოდებს, უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული სასუფეველში შეხვალ, იცოდე! ქრისტემ მოგმადლა ცის გასააღები და სერაფიმთა პაეროვნება, არ გწამს მონდოლის ნატრაბახები და არც მარდოხეს ყალბი ცხოვნება“.

ისინი ერთმანეთის გარეშე ვერ წარმოიდგინებოდნენ და ლექსშიც რაინდებად, იდეალურ მეგობრებად წარმოჩნდებიან, უკეთურთა მცდელობის მიუხედავად: „გვეტანებოდნენ ძალლნი და ღორნი, შემუსვრა სურდათ ელვარე ჭალის, მაგრამ ხომ დავრჩით მაინც ჩვენ ორნი, მკრთალნი რაინდი მწუხარე სახის!“.

მათ იმედებს კვებავდა „ცხოვრების წყარო, თვალი არსთავანმრიგის“.

ლექსში ნათლად ჩანს მათი ოცნებების სიდიადე, ღვთისმშობლის წილხვდომილი მამულისათვის თავდადებულთა მაღალი მისია: „და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენი, ცა გარდაგვეხსნა მარადუამული... დე, ელვარებდეს ივერთა ცაზე მზე შუალამის, ბარძიმი წმინდა, გვწყალობდეს, ვინაც გვიკურთხა ვაზი და ღვთისმშობელი ვინაც დაწინდა. ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე, ბნელში მსხდომთ კვალავაც ავუნთოთ კვარი და მიგვიძლოდეს ეკლიან გზაზე წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი“ (1,9-10).

„მზე შუალამის“ საღვთო სახელია, ბარძიმი, გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულინინდისა და გრაალის მფლობელი არის სულინმიხდით გამსჭვალული ადამიანი“ (16,38).

„სამერმისო ერის მისიაზე“ მუდმივად მოფიქრალი პოეტი ოპტიმისტურად უყურებდა ჩვენი ქვეყნის მომავალს: „დღევანდელობის ავიტანთ პროზას, რადგან განზრახვა შემოქმედისა გვპირდება ახალ მეტამორფოზას, თანამდგომელად ქართლის ბედისა“ (ტანჯვათა ტიტანი) (1,17).

ლიტერატურა

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
4. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბ. 1992
5. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ. 1991
6. დანტე, ლვითაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941
7. ანრი ბერგსონი, ცნობიერების უშუალო მონაცემები, თბ. 1993
8. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ. 1995
9. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991
10. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმინებითი გადმოცემა, თბ. 2002
11. ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, თბ. 1995
12. ილია ჭავჭავაძე, აზრები, შემდგენელი გ. კალანდარიშვილი, თბ. 1983
13. ანა კალანდაძე, რჩეული, თბ. 1987
14. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, 1995
15. ტიტე მოსია საღვთოსმშობლო სახისმეტყველება, 1996
16. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ 1990

მერაბ კოსტავა მეცნიერების შესახებ

მერაბ კოსტავას ეროვნული, რელიგიური, ფილოსოფიური თვალსაწიერის გაცნობით ვრწმუნდებით, რომ ის იყო ერის სინდისი, ქრისტეს მებაღე, ზნეობრივი რაინდი, სულიერ ომში ჩაბმული „რწმენის აბჯრით, სიტყვის მახვილით, სულის საჭრეთლით“.

სულის ხილვის, „გულით სმენის“ უნარით მომადლებული პოეტი მთელ სამყაროს იტევდა საკუთარ არსებაში, მიღმურში გადახედვას, ცისა და მიწის საიდუმლოებათა შეცნობას ცდილობდა, გათავისებული ჰქონდა ბიბლიის, ღვთისმეტყველთა, ფილოსოფოსთა სიბრძნე, სულით მოგზაურობდა ანტიკურ ეპოქაში, კრიშნას ინდოეთში, შეეძლო გამოეხმო ენქიდუს, გილგამეშის, აქილევსის, ლაერტის, განდის, შამილის, ოზირისის, იზიდას, გარდაცვლილი შვილის აჩრდილები, ეპაექრებოდა ტოლსტოის, დოსტოევსკის, ნაწვნევი ჰქონდა „ოკულტიზმის ნესტარი“.

მერაბ კოსტავას იდეალი იყო ცნობიერების ყველა უფსკრულის და ყველა მწვერვალის მომვლელი, ეროვნული ფენომენის შემცნობ-დამფასებელი „მაკროკოსმიური“ ადამიანი, „მსოფლიო კაცი“: „საქმეა იქცე მსოფლიო კაცად და არ უმუხოლო ერსა და თვისტომს“ (ტანჯვათა ტიტანი) (მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990, გვ. 17).

პოეტს ეიძედებოდა „ქვეყანა ღმერთის მაძიებელი“ (მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990, გვ. 17).

მერაბ კოსტავას სულიერი სიდიადის მასაზრდოებელი იყო „საღვთო ეთიკა“, „საღვთო ტრფობა“, საღვთო სიბრძნე.

სულინმიდის ხელდასხმული, სიბრძნის წყაროს ეწაფებოდა, პიროვნული ეგოს სიღრმეს სწვდებოდა: „...მან, სიბრძნის წყარომ, ერთმა გაცნობოს შენი წილხვედრი, შენი არჩივი“ (სფინქსი).

მეცნიერების, ინტელიგენციის, როგორც ერის წინამდღოლის, როლს და მნიშვნელობას გაისიგრძეგანებდა.

მერაბ კოსტავას აზრით, ნამდვილი მეცნიერი არის „მთარგმანებელი, ნამკითხველი ვარსკვლავთ ენისა, ჩამძიე-

ბელი და ამხსნელი ყოველგვარ ნიშნის“ (ბიბლიური რემინისტენიები).

ჭეშმარიტი პოეტი და მეცნიერი უხილავის მჭვრეტელია, უტყუარი ინტუიციის, მთელი გალაკტიკის საიდუმლოებათა მაძიებელი“, მეფისტოფელის შემმეცნებელი“, მიწისა და ცის იდუმალების, „ზეციური გეომეტრიის“ საცნაურმყოფელი (გალაკტიონი).

პოეტის დევიზი იყო: „სცან შენი მოდგმის ბალავერი, ... მსოფლიო კულტურების თანმიმდევრობა, ისტორია ცისა და მიწის, ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი“, „იცან სიკვდილი და მკვდრეთით აღსდექ“ (ბიბლიური რემინისცენიები).

ჭეშმარიტი კულტურა მხოლოდ რელიგიურია, ურწმუნონი „ბრმადშობილები“ არიან, „ცნობიერებას მათთვის აზრი არ ემეტება“ (იქვე).

მერაბ კოსტავას წერილებსა და ლექსებში დასმულია მეცნიერებისა და ზნეობის, განსჯისა და ეთიკის მარადაქტუალური პრობლემები.

ამ ცნებათა დაპირისპირებას თუ მორიგებას შორეული ისტორია აქვს.

იესო ქრისტე ამხელდა მწიგნობართა ნილბით მოვლენილთ, ფარისეველთ, თვალთმაქცობაში, ანგარებაში, ურჯულოებაში სდებდა ბრალს, უწოდებდა მათ „ბრმა წინამძღვებს“, „იქედნეთა ნაშობ გველებს“, „უწმინდურ მკვდართა სამარხებს“ და ჯოჯოხეთს უწინასწარმეტყველებდა: „ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, შეთეთრებულ სამარხებს რომ ჰგავხართ, რომლებიც გარედან ლამაზები ჩანან, შიგნით კი სავსენია მკვდართა ძვლებით და ყოველგვარი უწმინდურებით.

ასევე, თქვენც გარეგნულად მართლები ჩანხართ ადამიანთა წინაშე, შიგნით კი თვალთმაქცობით და უსჯულოებით ხართ აღვსილნი.

„ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო..., იქედნეთა ნაშობნო გველებო! როგორ გაექცევით გეენის სასჯელს“ (მათე, 23,24,27,33).

ბიბლიაში გარჩეულია „მიწიერი ცოდნა“ და ჭეშმარიტი სიბრძნე (ბარუქ წინასწარმეტყველი), პირველი სულის და-ლუპვას, ხოლო მეორე ტაძრისკენ მიმავალი გზის პოვნას მო-ასწავებს.

პავლე მოციქული განასხვავებდა „ხორციელ სიბრძნეს“ და „ღვთის მადლს“ (II კორინთელთა, 1,12), „ცოდნას“ და „უკულმართ გონებას“ (რომაელთა, 2,28).

ნეტარი ავგუსტინე ამხელდა მეცნიერებად წოდებულ სიყალბეს: „ეკრძალენით საზარელსა და არაადამიანურ ამ-პარტავნებას, გარყვნილებათა ფუჭ სიამეს და იმას, რაც ყალბად იწოდება მეცნიერებად“ (ნეტარი ავგუსტინე, აღსა-რება, თბ. 1995, გვ. 294).

ნიცშეს იდეალი იყო სისხლით დაწერილი სტრიქონები, რადგან მხოლოდ სისხლით შეიცნობა სული (ფრიდრიხ ნიც-შე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბ. 1993, გვ. 35).

სხვათა აზრებზე მონადირე მეცნიერებს ასე ამათრა-სებდა ნიცშე: „გამოველ მეცნიერთა სახლიდან და კარიც გა-მოვიჯახუნე.“

...ისინი უდარაჯებენ სხვის ცოდნას, ვით ობობა.

მათი საქმენი და ჭეშმარიტებანი მამცივნებენ. მათ სიბ-რძნეს რაღაც სუნი ასდის, თითქოს წუმპეს წარმოეშვას...

...ფრთხილად შხამს ამზადებენ... ყალბი კამათლებით იციან თამაში.

...აქ დიდ აზრებს ცოცხლად ადულებენ და ხარშვით ამ-ცირებენ

...მათი სული... ზღვა ამაოებისა... სული... ბინძური ძონ-ძებივით... და ამ ძონძებისგან გაზეთსაც აკეთებენ...

ძლიერ მცირე ცოდნა გვაქვს, ამად გვჭირდება სიცრუე“

ნიცშე საუბრობდა „მმეცნების ყინულზე“, „მმეცნების გველზე“, „მეცნიერ ნახევარ რეგვენზე“, „მღვდელთა ზებ-რძნულ რეგვენობაზე“, „უცხოთა აზრებით ბრძნობაზე“ (ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბ. 1993, გვ. 62, 134, 138, 146, 189).

შტაინერი გმობდა არიმანული ძალების მკვდარ, ზემინიერს მოწყვეტილ ინტელექტუალურ აზრებს და აზროვნების ამოცანად მიიჩნევდა „სულიერებისკენ მიმავალი გზის“ პოვნას.

„სამშვინველისთვის გამაჯანსაღებელია თაყვანისცემა, მოკრძალება, მონინება, აღიარება. აღიარების ღირსის გაკიცხვა, ზიზღი... იწვევს შემეცნების აქტივობის დასუსტებას და ჩაკვდომას.

....მცდარი აზრი ისევე გამანადგურებლად მოქმედებს იდეათა სივრცის გამაცოცხლებელ აზრებზე, როგორც ბრმად ნასროლი ტყვია გზად შემხვედრ ფიზიკურ საგნებზე“, გვამცნობს შტაინერი (რუდოლფ შტაინერი, როგორ მიიღწევა ზენა სამყაროს შემეცნება, თბ. 1993, გვ. 12), რომელსაც უბედურებად მიაჩნდა „ზემინიერი ძალებისგან მოწყვეტა, მიწაში დაძირვა“ (რუდოლფ შტაინერი, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, თბ. 1994, გვ. 270,273).

ილია ჭავჭავაძეს იდეალურად ესახებოდა გაბრიელ მთავარებისკოპოსის აზროვნება, რადგან იგი „სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა“ (სიტყვა, თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების დღეს).

კონსტანტინე გამსახურდია ‘სხვისი აზრებით მუცელა-მოყორილ“, უპრინციპო, მედროვე მეცნიერ-კრიტიკოსებს „ინტელექტუალურ ინვალიდებს“ უწოდებდა და ადარებდა უნივერმალის კარებს, რომელიც იქით იღება, საითაც ხელს ჰკრავ.

დიდოსტატი აფასებდა მხოლოდ კეთილშობილური იდეებისათვის აბჯარასხმულ მეცნიერებსა და მწერლებს, რომლებიც „გულის სისხლით“ ქმნიდნენ.

მერაბ კოსტავა ავითარებდა მოსაზრებას: „მეცნიერებისკენ გადაგმულ ერთ ნაბიჯს თან უნდა ახლდეს მორალობისათვის გადაგმული ორი ნაბიჯი“ (მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991, გვ. 84).

ოთარ ჭილაძე ვერ იგუებდა „ინტელექტუალურ მექანიკებს“, „ინტელექტუალურ ნაგავს“, „ფიქრების ჯართს“, „ოცნების შლამს“ („აველუმი“, გვ. 309, 514).

ასევე, მავანნი ხშირად საუბრობენ „ლიტერატურულ პროსტიტუციაზე“, „ლიტერატურულ ასინეთებზე“.

პოეტი ხედავდა ურწმუნო მეცნიერთა უგნურ, მხოლოდ პრაგმატულ დამოკიდებულებას დედამინისადმი, რომლებიც სამყაროს მესაფლავედ ქცეულიყვნენ და სულიერი გზების ჩახერგვაზე, ადამის ნაშიერის განირვაზე აკეთებდა აქცენტს: „შავი ჯოჯოხეთის კუპრით ხართ ნახადი,... გინდათ რომ უკუსვლით ვიდოდეს სამყარო, გსურთ რომ დედამიწა, როგორც ღორმა მუხა, დედაბუდიანად გეზიდან ათხაროთ. ეს რა ხვაშიადი ჩაითქვეს ერებმა, უსისხლოდ გამართეს კაცთა სასაკლაო, ბოროტს მიეყიდნენ და მეცნიერება თავად დედამიწის ხდება მესაფლავე. გონება ეფლობა სიბილნის სკორეში..., გენის ქედაფმა როდემდე იდინოს, შხამი და ბალლამი გამყიდველ პრესის... ვაჲ, თუ ჩაირაზა გზები სულიერი, ვაჲ, თუ გაინირა ადამის თესლი... კუშტად გადმოსცერის სამყაროს მიქაელ არქისტრატეგოსი ზეციურ მხედრობის“ („შავი ჯოჯოხეთის კუპრით ხართ ნახადი“ (მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990, გვ. 85-86).

„ცრუ მეცნიერთაგან“ განსხვავებით, მერაბ კოსტავა ჭეშმარიტ მეცნიერს უწოდებდა შლიმანს, რომელმაც მითოსი აქცია გზამკვლევად და აღმოაჩინა ნანგრევებში ჩამარხული ტროა: „ცრუ მეცნიერთა აზრებმა მქისემ როს შეგიბდალეს ტრფობის საგანი... წყვდიადს გადაჰკარ ჭავლი სინათლის და აქაველთა განთქვი დიდება, მითოსში იგრძენ ძირი სიმართლის, მითოსით გახსენ ჭეშმარიტება... გწადდა და მკვდრეთით კვლავ აღდგა ტროა, ტროა, დიდება აგამემნონის“ (შლიმან).

ზნეობისა და ტექნიკური მეცნიერების პრობლემაა დასმული ლექსში „რუსთავი“, რომელშიც პოეტს აღიზიანებდა „კაენის მოდგმა“ „სამსალის ბკე“, სილფების „მჭვარტლის სამოსი“ (მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990, გვ. 83-85).

საზოგადოების ზნეობრივ „გადაგვარებაში“ „გადაშენების“ საფრთხეს ხედავდა პოეტი: „...ატავიზმისგან ხელყოფილი თუ არ განახლდა და სამერმისო დვრიტად კაცში თუ არ ჩასახლდა, წარსულს სინედლის სიო თუ არ მიეკარება, გადაშენებით დასრულდება გადაგვარება“ (ბიბლიური რემინისცენციები).

დიდი სულიერი აღმოჩენების საფუძველია „ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი“, „საღვთო ეთიკა“, მაგრამ არ ცხრება „ბოროტების შავი გენია“. ის ცრუ სასწაულებით აბრუებს „ბრმადშობილთ“ და მათთან სატანა სისხლით სდებს ხელშეკრულებას.

„ეშმას ნაზირი“ ვერასდროს მიაღწევს სისხლისა და სულის კავშირს, ვერ ეზიარება ამაღლებულ იდეებს: „...ამაოდ დაშვრა მწიგნობარი, ეშმას ნაზირი, ერთობ ძნელია სულისა და სისხლის კავშირი“.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: „ხალხს დამინებულს რა აღმართავს, მაღლა რა ასწევს?“.

სამომავლოდ ღირებული მეცნიერული ნალვანი არა მხოლოდ გონების ცივ განსჯას, არამედ ზნეობრივ საფუძვლებს ემყარება, ოდენ წმინდათა წმინდა საკურთხეველს მიმსგავსებულ მაგიდაზე ივანებს ჭეშმარიტება, მხოლოდ სისხლით დაწერილში ვლინდება სული: „სულის გარეშე არ არსებობს სხვა თვალსაზრისი, სისხლის ქმედება არის მისი ინფორმაცია და შედეგები არ იქნება შესაბამისი, განსჯამ ზნეობის საფუძვლები თუ გადასძალა. სულია სისხლში სინდისის და ცეცხლის საწყისი და მომავლისთვის ბოროტებად შესარაცხია, მეცნიერებამ სამუშაო მაგიდა თვისი წმინდათა წმინდა საკურთხევლად თუ არ აქცია“.

ეპოქის სატკივარია რწმენის, საღვთო სიბრძნის დეფიციტი და პოეტი კითხულობს: „ტაძართა სიბრძნე რად დაკნინდა, რად დაექანა?“.

ცოდვილები მოკლებული არიან „იდუმალების წყაროს“, „ნათლის სვეტს“ (ლმერთს), ამიტომ ეკეტებათ სიბრძნის კარი.

ცოდნისკენ გადადგმულ ერთ ნაბიჯს ზნეობისკენ გა-
დადგმული ორი ნაბიჯი სჭირდება: „იდუმალების დასწყეტი-
ათ წყარო ცოდვილთა, სიბრძნეს, დაწმენდილს, ნათლის სვე-
ტად აღვიქვამ მუდამ, ამადაც, როცა თითო ნაბიჯს დგამენ
ცოდნისკენ, ორი ნაბიჯი ზნეობისკენ გადადგან უნდა“.

ღმერთია სამყაროს არქიტექტორი, მსოფლიო სცენის
დრამატურგი და რეჟისორი. ზეცა განსაცდელს იმიტომ უვ-
ლენს ადამიანებს, რომ გამოიწოთოს კაცთა მოდგმა, სძლიოს
სიბრძლეებს. განიწმინდოს, ჭეშმარიტებას, ცხოვრების საზ-
რისს მიაგნოს. ინდივიდი პიროვნებად იქცევა ზეეროვნული
იმპულსებით, ცის ჰარმონიას ეზიარება.

ადამიანს, ერს უნდა ახსოვდეს მოწინება უფლის სახ-
ლისადმი, მამა-პაპათა საძვალენი, უნდა ეძებოს „წარუვალი
საუნჯე“, „სული ცხოველი“, რწმენა, კანონს სიქველე უნდა
შეეშველოს მოყვასისადმი, „რომ არ განიბნეს ისტორია ცისა
და მინის“.

მხოლოდ „ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი“,
მსოფლიო კულტურებთან კავშირი, „ზეციური გეომეტრიის“
გაგება, მსოფლიო დედასთან – სულიწმინდასთან ზიარებაა
წარმატების გარანტია.

პოეტს ახარებდა ადამიანის თვალის ახელა ახლებუ-
რად, ბაბილონის გოდლის დანგრევა. უზენაესი ნათელი, სიბ-
რძლის დამარცხებაა ჭეშმარიტების მიგნების საწინდარი, რა-
თა მიღწეულ იქნეს „აზრების სთველი“.

აზროვნების მიზანია მეფისტოფელის შემეცნება, „სამ-
ყაროს საცნაურყოფა“, „სულის წრთობა“, მიწიერი და ციური
საწყისების მორიგება და შემოქმედების კუთვნილებად ქცევა.

არა მხოლოდ ცოდნა, სიბრძნე, არამედ რელიგია, სიყვა-
რული, მშვენიერებაა ბედნიერების, ხსნის გზა: „აღარ გაბა-
დია შენ სხვა რელიგია, ვერსით მოიპოვო სხვა ბედნიერება,
ეგრე დაცემული გიხსნას რელიგიამ, სიბრძნემ, სიყვარულმა
და მშვენიერებამ“ (ეტიუდი, მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ.
1990, გვ. 81).

„სიყვარულია ღმერთი“ (იოანე, 4,8) გვასწავლის ბიბ-
ლია.

„სიბრძნის წყაროა უზეშთაესი“ (სფინქსი), მოძღვართ-მოძღვარია უფალი (ეტიუდი), გვმოძღვრავს წიგნთა წიგნის ჭეშმარიტებით გაბრძნობილი პოეტი. „სულიერი პლანეტის“ აშენების სტიმულია „ტაძართა სიბრძნის“ გათავისება, „საღ-მრთო ტრფობა“, რათა ამოიხსნას „სფინქსის ქარაგმები“ (სფინქსი).

მერაბ კოსტავას შემოქმედებაში უფლის მებაღედ და მევენახედ გრაალის მცველი რაინდები გვევლინებიან (გა-ლაკტიონი).

„გრაალი არის სიმბოლო სულინმინდისა, ღვთისმშობ-ლისა“ (ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990, გვ. 38).

თავი II

ერისთავიანული რწმენისა და სახისმაფყვალების საკითხები

საღვთო სიგარმლიკა

მერაბ კოსტავა იყო ორთოდოქსი მორწმუნე, საღვთო ეთიკის, საღვთო ზნეობის, ეროვნული ტრიადის თავგამოდებული დამცველი. პოეტს სჯეროდა, რომ მხოლოდ მორწმუნე, მხოლოდ უფლის ერთგული ესათნოება ყოვლისშემძლეს: „არსთა გამრიგემ არ გაიმეტოს, ვინც სამყაროთა თვალის ჩინია, ადამიანო, შენდა იმედად ღალადებს სიტყვა „ნუ გეშინია„.

მხოლოდ „უტეხი რწმენით“ მარცხდება ბოროტება, არა მხოლოდ თანაგრძნობა, იდეალებისათვის თავგანწირვა ხელენიფება „ქარიშხლის პირმშოს, ცხოვრების გრიგალებთან მებრძოლს (იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს) (1,22-23).

სამყაროს შექმნელ ღმერთს—საბაოთს ევდრება პოეტი, ასმინოს „სიტყვა დაუსაბამო“ (შენ გევედრები სულით გლახაკი) (1,25-28).

ლექსში „სფინქსი“ ზეცაშია „იდუმალი სიტყვა“: „გადაიხრება ზეცის თავანი, იდუმალ სიტყვის მაღალმშვენებით“ (1,76-77).

„სიტყვა“ ძე ღმერთის სახელია: „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოანეს სახარება, 1,1) (2,176).

„სულის საყდრის“ განახლების, უზენაესი ნათლის, შუალამის მზის ხილვისთვის ღალადებს გულმხურვალედ და, მართლაც, ეზიარება საღმრთო ბრწყინვალების სიხარულს: „ოდეს ვირეკდე, განმიღე კარი, ელვავ, ღრუბლებში შემოპარულო და განმიახლე სულის საყდარი, სასოებაო და სიხარულო. როდესაც წარვთქვი. „იყავნ ნათელი“, აენთო ჭალი მზიან ღამისა“...

ლექსში ღმერთის კანონიური სახელებია: კარი, ელვა, სასოება, სიხარული, ნათელი, მზიანი ღამე. ეს სახეები ბიბ-ლიურ-ქრისტიანული არსენალიდან მომდინარეობს.

დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებში ღმერთის სახელია „მარადი კარი“: „მაღლა ასწიეთ, კარიბჭებო, თქვენი თავები და აინიეთ, კარნო მარადნო, რომ შემოვიდეს მეფე დიდებისა“ (ფს.23/24,7) (2,544).

სახარებაშიც კარია ძე ღმერთის სიმბოლო: „მე ვარ კარი ცხოვართა“ (იოანე, 10,8)(2,201).

კარი საღმრთო სახელად ფიგურირებს მერაბ კოსტავას ლექსში „თეთრი ქალწული“: „სიჩუმე, კარი მარადისობის“.

„ელვა, ღრუბლებში შემოპარული“ ერთად აფიქსირებს ძე ღმერთისა და მისი დედის-მარიამ ღვთისმშობლის სახელებს.

მაცხოვრის მოვლინება სახარებაში ელვის გამოპრნყინებასთან არის შედარებული: „როგორც ელვა შემოდის აღმოსავლეთიდან და თავად დასავლეთამდე ანათებს, ასევე იქნება კაცის ძის მოსვლაც“ (მათე, 24,27).

„...ვინაიდან, როგორც ელვა ელავს ცის ერთი კიდიდან და ანათებს მეორე კიდემდე, ასევე იქნება კაცის ძე თავის დღეს“ (ლუკა, 18, 24) (2,153/2,155). ღრუბელი, ნათელი ღრუბელი მათეს სახარებაში (17,5) (2,37), „უძველეს იადგარში“ (3,98), „სინურ მრავალთავში“ (4,200) არის მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორა.

სასოება, იმედი ღმერთის ცნობილი სახელია: „შენ ხარჩემი იმედი, უფალო“ (ფს.70-71,5) (2,595).

ქრისტე არის იმედის ღმერთი: „იმედის ღმერთმა აგავსოთ ყოველგვარი სიხარულით“ (პავლე მოციქული, რომაელთა, 15,13) (2,352).

ან: „მტკიცედ მივყვეთ იმედის აღსარებას (პავლე მოციქული, ეპრაელთა, (10,23)(2,481-484).

„სიხარული“ საღვთო სახელია, სახარებაში ქრისტე არს „დიდი სიხარული მთელი ხალხისა“ (ლუკა 2,10) (2,113).

„მზიანი დამის“ სახე მომდინარეობს „ვეფხისტყაოსნი-დან, გვხვდება დავით გურამიშვილის „დავითიანში“ და მიჩნეულია საღვთო სახელად, კერძოდ, ქრისტეს მეტაფორად (5,124).

„მზიანი დამე“ ანალოგიური გაგებისაა გალაკტიონის პოეზიაში (ტფილისი დამით) და ნოდარ დუმბაძის რომანში „მზიანი დამე“.

ზემოთაღნიშნულ ლექსში მერაბ კოსტავა ნატრობს საღვთო მადლის მოფენას, ზეციური ხმის გაგონებას, დამბა-დებლის, მაცხოვრის გამოცხადებას, უკვდავების წყაროსთან ზიარებას: „ცდაში მარჯვენა არ მომიცარო, აბჯრად ამასხი ძალი თმენისა, უკვდავებისა შთამასვი წყარო, შემასხი ფრთენი აღმაფრენისა“.

წყარო ღმერთის სახელად გვევლინება ძველ და ახალ აღთქმაში, ღვთისმეტყველებაში, სასულიერო პოეზიაში, თანამედროვე კლასიკურ ლირიკაში.

მივმართოთ მაგალითებს. იერემია წინასწარმეტყველთან ღმერთს ეწოდება „ცხოველმყოფელი წყაროსთვალი“ (იერემია, 17,13) (6,141).

„მოგცემთ უფალი ჭირში პურს და სიმწარეში წყალს და აღარ დაიმალება თქვენი მოძღვარი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 30,20) (6,95).

ზაქარია წინასწარმეტყველი ღმერთს მოიხსენებს, როგორც „სიცოცხლის წყალს“ (ზაქარია, 14,8)(6,304).

ღმერთი არის „წყარო ცხოვრებისა“ (ფს. 35,10) (2,558).

სახარების მიხედვით, ღმერთი არის „სიცოცხლის წყლის წყარო, მოწყალებისა წყარო, წმინდა წყარო, წყარო ჭეშმარიტებისა, საიდუმლო წყარო“ (7,194,224,179,404,424).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ღმერთი მოიხსენება, როგორც „მარადიული დიდების წყარო, მარადუამული სათავის წყარო, მარადუამული ჭის წყალი, შადრევნის წყარო“ (8,197,264,372,403).

დავით გურამიშვილმა ქრისტიანულ ღმერთს უწოდა „ცხოვრების წყაროს „ლარი“ (9,118).

ამ მხრივ მრავალი მაგალითი მოიპოვება გალაკტიონის შემოქმედებაში (10,41-47).

მერაბ კოსტავას პოეზიაში ასეთი საღმრთო სახელია „უკვდავების წყარო“, „იდუმალების წყარო“, „წყარო ცხოვ-რების“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,87-104).

ლექსში „შენ გევედრები სულით გლახაკი“ მთავრდება მიმართვით მამალმერთის, ძე ღმერთისა და ღვთისმშობლი-სადმი: „ჭეშმარიტების მიჯნურთა მწფეო, ბჭეთა დახშულთა ლოცვავ ფარულო, მარადი მამის მარადო ძეო, რწმენავ, იმე-დო და სიყვარულო“.

„მარადი მამა“ მამალმერთია.

ღმერთი არის „დიდების მამა“ (პავლე მოციქულის წე-რილი ეფესელთა მიმართ, 1,6), „მოწყალების მამა“ (პავლე მოციქულის მეორე წერილი კორინთელთა მიმართ, 1,3), „მა-რადისობის მამა“ (ესაია წინასწარმეტყველი, 9,5) (6,45), „ნა-თელთა მამა“ (იაკობ მოციქული, 1,17).

„მოხუცი მამა“ ეწოდება მამალმერთს დანტეს „ღვთაებ-რივ კომედიაში“, გოეთეს „უკანასკნელ საზღვარში“, გალაკ-ტიონის „მამულში“ (11,54).

საღვთო სახელებია „იმედი“ და „სიყვარული“,

ქრისტე არის „იმედის ღმერთი“ (პავლე მოციქული, რო-მაელთა, 1,13).

ღმერთი სიყვარულია (იოანე, I.4,8) (2,320).

„ბჭე დახშული“ მიგვანიშნებს მარიამ ღვთისმშობელზე.

„დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელი არის „სამოთხისა ბჭეთა განმღებელი“, ბჭე ცხოვრები-სა“ (12,10,12).

ლექსში „განაჩენის მოლოდინში“ (1,28-30) ღმერთის სა-ხელია „ცხოვრების ყვავილი“.

მისი წყაროა ბიბლია: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირ-ზე, ჟამი გალობისა მოინია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხა-რეში“ (ქებათა ქება სოლომონისა, (2,12)) (6,15).

ღვთის სახედ და ხატად შექმნილი ადამიანის „მბორგა-ვი“ სული ერთდროულად ნავარდობს ლაშვარდში, ვარ-

სკვლავთა წალკოტში და, ამავე დროს, როგორც მიწის შვილი, ეამბორება მამულის მიწას: „სულო, გასდიე სალი კლდის არნივს, ლაჟვარდში შვება იცან, ვარსკვლავთა წალკოტს ოცნებით ასწვდი და ეამბორე მიწას“ (სულო დაიცა) (1,40).

ზექსის შემართების, ცაში კომეტებს ადევნებული სული ჭვრეტს ჩვეულებრივთათვის უხილავს: „სჭვრეტ მეუფებას ოქროს ტახტიანს, მნათობთა ბადეს გაშლილს, განგებას შენთვის დაურახტია ცეცხლისმფრქვეველი რაში“.

უფალი, მეუფე საღვთო სახელია (იოანე დამასკელი (13,335).

ლექსის ლირიკულ გმირს ეხვევა საღვთო ცეცხლი, ხარობს აღდგომით და დარწმუნებულია, რომ სინანული მკვდრეთით აღადგენს: „ჰა, გარიურაჟმა ცეცხლი დაგინთო, აღდგომა კვირის დამდეგს, ხამს სინანულის ზღვაში ჩაყვინთო, მოკვდი და მკვდრეთით აღდექ!“

ცეცხლი საღვთო სახელია, ღმერთი არის „ცეცხლი უნებლად განმანათლებელი“ (პეტრე იბერი) (14,144) ღმერთი არის „ცეცხლი უსხეულო, უჩინარი ცეცხლი“ (იოანე მტბევარი).

„დიადი ცეცხლი“ ეწოდება ღმერთს „ღვთაებრივ კომედიაში“ (8,244), ე.რერიხის ნააზრევში (15,139).

ქრისტე არის აღდგომა, მარადიული სიცოცხლე: „მევარ აღდგომა და სიცოცხლე, ჩემი მორწმუნე, კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს“ (იოანე 11,25) (2,204).

ლექსის ბოლოს ისმის ქედებისა და მისი დედის გალობა: „რა უკვდავების ქნარით გვიგალობ, ეს რა სამკვიდრო გერგო, ბოროტებასთან შეურიგალო მარადისობის ნერგო“. „დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამი არის „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარი“ (12,10). ლექსში უფლის დედაზე მანიშნებელია „უკვდავების ქნარი..“

საღვთო სახელია „ნერგი“ მენერგე.

მერაბ კოსტავას ლექსში ღმერთის სახელია „მარადისობის ნერგი“, ხოლო „ბიბლიურ რემინისცენციებში“

ღმერთს ეწოდება „ნერგი, ზეცით გადმორგული“: „ნერგს, ზეცით გადმორგულს ნუ დააზიანებ“.

პოეტის ნატვრაა სულის დამკვიდრება წმინდა ლაშვარ-დში, ედემში: „სად მიისწრაფვი, სულო, დაიცა, სულო მბორ-გავო, შესდექ, წმინდა ლაშვარდიც უნდა გაიცრას, რომ მიემ-თხვიოს ედემს“ (1,41).

პოეტის ზნეობრივი კრედოს განმსაზღვრელია ქრისტი-ანული რელიგია: „იყავ უმწიკვლო, ვითა ცხოვარი, სიწმინდის თვალი, ასპიტის ელდა, მხსნელად მივირქვათ ჩვენ მაცხოვა-რი, დაგვიშოშმინებს მსოფლიო სევდას“ (იყავ უმწიკვლო, ვი-თა ცხვარი) (1,54).

„თვალი“ უფლის სახელია: „ყველგან უფლის თვალებია, ხედავენ უკეთურებს და კეთილებს“ (იგავნი სოლომონისა: 15,3) (6,627).

„დიდგანმზრახველო და მრავალმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამიანის ძეთა საქციელის მიმართ, რა-თა მიაგო თითოეულს თავისი საქციელის და თავისი ნამოქ-მედარის მიხედვით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 32,19) (6,156).

ღმერთის სახელია „ცხოვრების თვალი“. მარიამი არის „ცხოვრების თვალის მშობელი“ (ძლისპირნი) (16,535).

ლექსში, „შეხვედრა“ ფიგურირებს „ციერთა თვალები“ (1,56).

ადამიანობის უმძიმესი ტვირთის, საკუთარი წილი ჯვრის ტარება, მომხვეჭელობის დაგმობა, უზენაესი პირუ-ვნელობის გზის არჩევა, ღმერთის გეზის გაგება, ურთიერ-თის ძიება უნდა იყოს ჭეშმარიტი არსებობის მიზანი: „არ-ცოდნა აღარ გვეპატიება იმის, თუ რაა გეზი ღმერთისკენ, ეს ურთიერთის არის ძიება, იგი გზა არის ურთიერთისკენ“.

„ერთის“ ირგვლივ გაერთიანება გაგვაგნებინებს სიწ-რფელისა და ერთგულების გზას: „ასე იკვრება მრავალი ერ-თით, მსგავსი რომლისაც არ გვეგულება, თუკი სამყაროს, აზრია ღმერთი, გზაა სიწრფელეც და ერთგულებაც, თუკი სამყაროს აზრია ღმერთი, გზა სიბრძნეც და ჭეშმარიტებაც“.

„ერთი“ უზენაესის სახელია: „... ღმერთი ჩვენი, უფალი ერთია“ (მარკოზი, 12,29) (2,96).

„...საუკუნეთა მეფეს, უხრწნელ, უხილავ, ერთადერთ ღმერთს–მას, დიდება და პატივი უკუნით უკუნისამდე. ამინ“ (პავლე მოციქული, I ტიმოთე, 2,17) (2,449).

„... კურთხეული და ერთადერთი ხელმწიფე, მეფეთა მეფე და უფალთა უფალი, ერთადერთი, რომელსაც უპყრია უკუნდავება, მკვიდრობს მიუწვდომელ ნათელში, რომელიც არავის უხილავს ადამიანთაგან და არც ძალუბს მისი ხილვა“ (პავლე მოციქული, I ტიმოთე, 6,15,16) (2,455).

„სამნი მოწმობენ ცაზე: მამა, სიტყვა და სულინმინდა და ეს სამი, ერთია“ (I იოანე, 5,7) (2,321).

სიბრძნე ღმერთის სახელია: „სიბრძნე–ყოველთა შემოქმედი“ (სიბრძნე სოლომონისა, 7,21) (6,24) 9 „ერთია ბრძენი, ფრიად საშიში, თავის ტახტზე დაბრძანებული“ (სიბრძნე ზირაქისა 1,8) (2,35).

ღმერთი არის „ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც გაუნათებს წუთისოფლად მომსვლელ ყველა ადამიანს“ (იოანე, 1,9) (2,176).

ღმერთის სახელებია „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე, 14,6) (2,211)

ღმერთი არის „ჭეშმარიტების სული“ (იოანე, 14,16) (2,212).

სიტყვისა და საქმის ერთიანობით „ჩვენს წიაღში ესე სამება, მძლე სიყვარულით გაერთარსდება“, ამბობს პოეტი.

მოძმის, მოყვასის სიყვარული, ერისთვის მძიმე ხვედრის გაძლება, უფლის განსაცდელ–გამოცდათა წარმატებით ჩაპარება, მარტვილობით გამობრძმედა, ძე ღმერთის პრიპნციპების სამაგალითოდ ქცევა, სულის თვალით უდიადესის ჭვრეტა, აი უმაღლესი იდეალი: „გთხოვ, მარტვილობა გვიქციო ბრძმედად, გარდასახდენი არ განგვარიდო, ღირსად გვყო ძისა შენისა ჭვრეტად, ჩვენი ცხოვრების სამაგალითოდ“ (1,55).

პოეტის სურვილია „ტატნობთა კრეტსაბმელის“ იქით ჭვრეტა, რათა იხილოს „ვარსკვლავთა გარდამოსვლა, სერა- ბინთა სერობა“ (შეხვედრა) (1,56).

ვარსკვლავი საღმრთო სახელია: ქრისტე არის „ცის- კრის კაშკაშა ვარსკვლავი“ (იოანეს გამოცხადება) (22,16) (2,521).

ლექსში „გალაკტიონი“ პოეტი წუხს ვარსკვლავის გაუ- ჩინარებაზე, უღმერთობაზე: „ერთი უმრავლეს ვარსკვლავ- თაგანი რად არ აღენთო ზეცაში დღემდე?“ (1,151).

ლექსში „შეხვედრა“ (1,56) მცხეთის და საეგროს ფონზე ფიქსირდება საწმისი, იგივე გრაალი, ბარძიმი, რომელიც არის „სიმბოლო სულინმინდისა, ღვთისმშობლისა და გრაა- ლის მფლობელი არის სულინმინდით გამსჭვალული ადამია- ნი“ (17,38).

„შეხვედრაში“ საუბარია სოკრატის, დიონისოს, წინას- წარმეტყველ ესაიას სულებზე, ისმის ღვთისმშობლის მუდა- რა, ხდება რაბისა და იდუმალი „სერაბინთა სერობის“ ხსენე- ბა.

რაბი (ებრ. מֶלֶךְ וְעָמֵד, მსახური) (18,343) ქრისტეს მიე- მართება: „რაბი, რა კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა“ (მარკოზი, 9,5) (2,84).

„რაბი ჩვენ ვიცით, რომ შენ ხარ მოძღვარი, ღვთისგან მოსული, ვინაიდან არავის ძალუძს ისეთი სასწაულების მოხ- დენა, როგორსაც შენ ახდენ, თუ მასთან ღმერთი არ არის“ (იოანე, 3,2) (2,180).

მერაბ კოსტავას „ბიბლიურ რემინისცენციებში“ აბრაა- მი არის ზეშთაგონებით გაბრძნობილი მოძღვართ მოძღვა- რი.“ მოკვდავთა გაბრძნობა კი მხოლოდ ღმერთს, მოძ- ღვართ-მოძღვარს ხელეწიფება (1,100).

მერაბ კოსტავასთვის ჭეშმარიტი ლექსი არის „აღძრუ- ლი სასწაულითა, საღვთო ქორწილის მაყარი, უსაზღვრობის პირმშო“ (ლექსი) (1,60,61).

სასწაული არის ღმერთის სახელი: „მოავლინე სასწაუ- ლი და საოცრებანი ჩვენს შორის“ (ფს. 134/135,9) (2, 669).

„უსაზღვრობის“ ადრესატი არის ღმერთი (იოანე და-მასკელი) (13,334).

„საღვთო ქორწილი“ სასუფეველს გულისხმობს.

„საღვთო ქორწილის მაყარი“ პოეზია არის რელიგიური იდეალებთან წილნაყარი მხატვრული სიტყვა, რომელიც უნდა ემსახუროს სარწმუნოების განმტკიცებას და ერს გაუძღვეს სასუფევლისკენ, სულის უკვდავების გზაზე...

ლექსში „ბალლო ლომისფაფარიანო (1,17) რამდენიმე საღვთო სახელია: უფსკრული სინათლისა, დაუშრეტელი მზერა, პური ცხოვრებისა, წყარო უკვდავებისა, ცის ბინადარი. აქვე, მარიამზე მიგვანიშნებს „ხელთუმტკიცესი ბეჭედი, დაუჭკნობელი ყვავილი, ქალნულის კდემა“.

ღმერთი არის „ნათელი წუთისოფლისა“ (იოანე, 8,12) (2,196), „ნათელი ჭეშმარიტი“ (იოანე, 19,10) (2,176).

ღმერთი არის ჭეშმარიტი პური, „სიცოცხლის პური“: მამაჩემი გაძლევთ ჭეშმარიტ პურს ზეციდან, რადგან ღვთის პური ისაა, რომელიც ზეციდან ჩამოდის და სიცოცხლეს აძლევს წუთისოფელს.

„მე ვარ პური სიცოცხლისა, ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება და ჩემს მორწმუნეს არ მოსწყურდება.

„მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან ჩამოსული. ვინც ამ პურს შეჭამს, სააუკუნოდ იცოცხლებს“ (იოანე, 6,32,33,35,51) (2,190,191).

ღმერთის მახასიათებელია დაუშრეტელი მზერა„: „უფლის თვალი ათასჯერ ნათელია მზეზე. ის ადამიანის ყველა გზას ჭვრეტს და დაფარულ ადგილებშიც აღწევს“ (სიბრძნე ზირაქისა, 23,19) (6,50).

„ის თვალს ავლებს ქვეყნის კიდეებს, მთელ ცისქვეშეთს ხედავს“ (იობი, 28,24) (19,538).

ღმერთის თვალები „განჭვრეტენ სწრაფად“ (ფს. 16/17,2) (2,554).

„ჩემი ჩანასახი იხილა შენმა თვალებმა და შენს წიგნში ჩაწერილია დღენი მომავალი ჩასახვისა“ (ფს. 138/139,16).

„ღვთის სიტყვა... არცერთი ქმნილება არ არის დაფარული მისი ხედვისაგან, არამედ ყოველივე გაშიშვლებული და ღიაა მის თვალთა წინაშე, ვისაც ვაბარებთ ანგარიშს“ (პავლე მოციქული, ებრაელთა მიმართ, 4,12,13) (2,472).

ცა, ცის სასუფეველი არის ღმერთის სავანე.

ცვარ-მარგალიტი ღმერთის სახელია: „ვიქნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“ (ოსია წინასწარმეტყველი, 14,6) (6,273).

მარგალიტი საღვთო სახელია (19) (9,122).

ქრისტეს ეწოდება „ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი“ (იოანეს გამოცხადება, 2,216) (2,521).

„ამ სოფლად მოვლინებული ბინადარი ცისა“ არის ქრისტე.

მერაბ კოსტავას ლექსში იესო ქრისტე მოხსენებულია, როგორც „შუქთამთოვი და მანანას მთოვარი“ (შვენის ორანდიას მზიური ლანდი) (1,72).

ფსალმუნში ნათქვამია: „უფალი შუქი არის და ხსნაა ჩემი, ვის შევუშინდე?“ (ფს.26,1) (2,54).

„გამოგზავნე შუქი შენი და ჭეშმარიტება შენი. ისინი წარმიძღვებიან და მიმიყვანენ შენს წმინდა მთასთან და შენს სამკვიდროსთან“ (ფს. 43,3) (25,66).

„იხსენი ჩემი სული სიკვდილისგან, აგერ, ჩემი ფეხი წაბორძიკებისაგან, რათა ვიარო ღმერთის წინაშე სიცოცხლის შუქით“ (ფს. 56,14) (2,580).

მანანას, ზეციური პურის მომცემი არის ღმერთი. ამ სახის წყაროა ბიბლია. ეგვიპტიდან გამოსვლისას მშიერ ებრაელებს ღმერთმა საჭმელად მისცა ზეცის პური, სახელად მანანა ორმოცი წელი ამ პურით საზრდოობდნენ ისრაელიანები, ვიდრე ქანანანში მივიდოდნენ (გამოსვლა, XVI-16) (20,73-74).

ლექსებში „სფინქსი“ (1,76-77) საღვთო სახეებია „უზეს-თაესი“ და „სიბრძნის წყარო“.

იოანე დამასკელის მიხედვით, ღმერთი არის „უზემოესი“ ზეარსი, ზეკეთელი, ზესრული“ (18,19,325) (327).

ღმერთი არის „არსთა არსების წყარო“, „სიკეთის წყარო“ (13,326,338).

„ცისკრის ვარსკვლავი“ და „მზე“ გვევლინება უფლის სახელებად ლექსში „დე ჩამოიქცეს“.

„ცისკრის ვარსკვლავის“ წყაროა იოანეს გამოცხადება.

ფსალმუნში „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (2,614).

ბიბლიაში ღმერთი არის „მზე სიმართლისა: „ამოგიბ-რწყინდებათ, ჩემი სახელის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე“ (მალაქია წინასწარმეტყვე-ლი, 3,20) (6,307).

ლექსში „ეტიუდი“ (1,80-83) გადაგვარებული სულის სსნა არის „სიბრძნე, სიყვარული და მშვენიერება“.

ღმერთი არის „სიბრძნე და ბრძენი“, ღმერთი ითქმის „გონებად, აზრად, სულად, სიბრძნედ, ძალად“ (იოანე დამას-კელი) (13,341).

დავით წინასწარმეტყველი მიმართავს ღმერთს: „შენა ხარ მშვენება მათი ძალისა“ (ფს. 68,18) (2,619).

„უფალო, სიმშვენიერით და ბრწყინვალებით ხარ შემო-სილი“ (ფს. 104,1) (2,633).

დავით წინასწარმეტყველი ხაზს უსვამს უფლის „დიდ-მშვენიერებას, დიდებას, ბრწყინვალებას“ (ფს. 145,5) (2,679).

„ბიბლიურ რემინისცენციებში“ (1,87,102) საღვთო სა-ხისმეტყველების ნიმუშებია: უჩრდილო ნათელი, ცხოვრების სული, მეუფე, განმგებელი, გამოუთქმელი, ერთადერთი, ცი-სარტყელა, პირველი სხივი, სამყაროს არქიტექტორი, მსოფ-ლიო სცენის დრამატურგი, რეჟისორი, სული ცხელი, მზის სული, შუალამის მზე, ძე მაღლის, სიტყვა, ჭეშმარიტება, ნა-თელი, გულთამხილავი, ერთარსება, წარუვალი ძალა, მოძ-ღვართ— მოძღვარი, მომავლის სვეტი.

ლექსში წინა პლანზეა საღვთო ტრფობა, საღვთო ცეც-ხლი.

ბიბლიაში ღმერთი არის „სული გონიერი“ (სიბრძნე სო-ლომონისა, 7,22) (6,24).

„სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა“ (იოანე, 4,240) (2,184).

დიონისე არეოპაგელის მიხედვით, „სულიცა უფალ არს, ღმერთი სულია სახიერი, ღმერთი სულია ჭეშმარიტებისა, რომელიც მამისგან გამოვალს“ (14,15).

დანტე ღმერთს მოიხსენებს, როგორც „პირველქმნილ სულს, მაღალ სულს, უღრმეს სულს“ (8,285,335,383).

გოეთეს „ფაუსტში“ ღმერთი არის „დიადი, დიდებული სული, მიწის სული“.

მერაბ კოსტავა ღმერთს უწოდებს „ცხოვრების სულს“, მზის სულს“.

მივმართოთ წყაროებს. „ღმერთი არის მზე, სინათლე, გამოუთქმელი, ერთი, ერთადერთი, მეუფე (იოანე დამასკელი) (13,322).

ქრისტიანული სამების გამომხატველია მზის სახე, რომელიც მამაღმერთს ეწოდება მზე, ძე ღმერთს—შუქი, სხივი, სულიწმინდას—ნათელი.

სხივი, პირველი სხივი ძე ღმერთის სახელია ბიბლიაში: „ხალხები მოვლენ შენს ნათელზე და შენი სხივის ელვარებაზე“ (ესაია, 60,3) (6,118).

პირველი სხივი ძე ღმერთის სახელია გალაკტიონის პოეზიაში (10,29-32).

დაბადების წიგნში მოთხრობილია, როგორ გააფრთხილა ღმერთმა დასჯით კაცობრიობა უზნეობის გამო. მაგრამ 120 წელი არ აღმოჩნდა საკმარისი ცოდვილი ადამიანების მოსაქცევად. მაშინ ღმერთმა წარღვნა მოუვლინა გადაგვარებულებს და გადაარჩინა მხოლოდ კეთილმსახური ნოე, რომელსაც გააკეთებინა კიდობანი, რათა შიგ შეეყვანა თავისი ოჯახი და ყველა სახის ცხოველი. ხუთი თვე სტიქია მძვინვარებდა, ერთი წელი დაჲყო ნოემ კიდობანში და როგორც კი გადარჩა, მაშინვე სამადლობელი შესწირა ღმერთს. ღმერთმა კეთილად მიიღო ნოეს მსხვერპლი და აღუთქვა, რომ ამის შემდეგ აღარ იქნებოდა წარღვნა. თავისი აღთქმის ასრულე-

ბის ნიშნად უჩვენა მას ცაში შვიდფეროვანი ცისარტყელა (დაბ., 7,24,8,1-22,9,11-24).

ამის შემდეგ ცისარტყელა ღმერთის წყალობის, უზენა-ესის გამოცხადების ნიშნად ითვლება ბიბლიური წიგნებისა და სასულიერო ტექსტების საფუძველზე.

საღმრთო სახელია „ცისარტყელა“ (9,122).

ანტონ კათალიკოსი თავის „მარტირიკაში“ იესო ქრის-ტეს წარმოსახავს ცისარტყელად. ირისე ღვთისმშობლის სა-ხელიცაა (9,112).

ლექსში „შავი ჯოჯოხეთის კუპრით ხართ ნახადი“ (1, 85-86) მერაბ კოსტავას იდეალად ესახება ეპოქები, როცა „ჰყვაოდა რწმენის მისტერია“. ნაწარმოებში თავად ქრისტე არის „ვენახი“. ამ სახის წყაროა ბიბლია.

ბიბლიაში ორგვარი ბალი და ვენახი გვხვდება – მიწის და ზეცის.

მიწის ვენახი ებრაელი ხალხის პარადიგმაა: „უფლის ვე-ნახი ისრაელის სახლი და იუდას სახლია, მისი სანატრელი ნერგი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 5,7) (6,77).

ზეციური ვენახი, ჭეშმარიტი ვენახი ქრისტეს სიმბო-ლოა: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამაჩემი მევენახეა“ (იო-ანე: 15,1) (2,203).

პოეტი საუბრობს ცამეტ ასურელ მამათა შესახებ, მამა დავითის ლვანლზე.

ეს სულიერებით გამორჩეული წმინდა მამები „ბილწი დრაკონის“, ეშმაკეულთა დამარცხებით არიან ცნობილნი.

ნაწარმოებში კანონიკური საღმრთო სახელებია: ირისე, კეთილი მწყემსი, ნათლის სვეტი, წყარო ცხოვრების, უსახე-ლო.

ირისეს (ცისარტყელას) შესახებ ზემოთ გვქონდა საუ-ბარი.

კეთილი მწყემსი ქრისტეს სახელია: „მე ვარ მწყემსი კე-თილი. მწყემსი კეთილი თავის სულს გასწირავს ცხვართათ-ვის“ (იოანე, 10,1) (2,201).

ნათლის სვეტის წყაროა ბიბლია. ქანაანისკენ მოსეს მე-თაურობით მიმავალ ისრაელიანებს „წინ მიუძღვდა ... უფა-ლი დღისით ღრუბლის სვეტში გზის საჩვენებლად, ღამით ცეცხლის სვეტში გზის გასანათებლად, რათა ევლოთ დღით და ღამით“ (გამოსვლა, 13,21) (20,71).

ნათლის სვეტი საღვთო ნათლის ვარიაციაა.

„არეოპაგიტულ კრებულში“ დიონისე არეოპაგელს ეწოდება „ნათლის სვეტი“ (20,180), „სათნოების სვეტი“ (21,189).

ნათლის სვეტი ღმერთის გამოცხადების ნიშანია: „სუე-ტისა მიერ ნათლისა გამოცხადებითა... აღაშენე ხევი ეგე უდაბნოისი“.

შატბერდის კრებულისეულ „ნინოს ცხოვრებაში“ ქარ-თლის მოქცევის შემდეგ დანახული ნათლის სვეტი ქრისტეა.

ნიკოლოზ გულაბერაძის „გალობანი სუეტისა ცხოვე-ლისანი“ ნათლის სვეტის მრავალ ვარიაციას შეიცავს (22,541).

აქვე „ყოვლად წმინდა სვეტში“, რომელიც ასოცირებუ-ლია ნათელთან და „დაუვალ მზესთან“, ქრისტე გვეცნაურე-ბა (22,538).

უცნობი ჰიმნოგრაფი წმინდა ნინოს უწოდებს „ნათლის სვეტს“: „შენ ხარ მოძღვარ ქართლისაი, სვეტი ნათლისაი, ცვარი ღრუბლისაი, მზრდელი სულისაი, მასწავლელ სიხა-რულისაი“ (გალობანი ნინოისა) (24,481).

იოანე მინჩხე ღვთისმეტყველთ უწოდებს „სულიერ სვეტთ“, ბასილი საბანმინდელთან წმინდანია „ნათლის სვე-ტი“, იოანე შავთელის „აბდულმესიანში“ თამარს ეწოდება „სვეტი სჯულისა“, „ცნობის სვეტი“, „ახოვნების სვეტი“.

მერაბ კოსტავას „ნათლის სვეტის“ ადრესატი არის ქრისტე ღმერთი. „დაუსაბამო, მიუწვდომელი, უსახელო“ საღვთო სახელებია (იოანე დამასკელი) (13,332).

„სულის მახვილის“ წყაროა ახალი აღთქმა.

პავლე მოციქული გვმოძღვრავს: „...ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი კი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიე-რება სიმაგრეთა დასანგრევად“ (II კორინთელთა, 10,4) (2,396).

„იდექით ჭეშმარიტებით წელშემოსარტყულნი და სი-
მართლის ჯავშნით შემოსილები“.

„... აიღეთ რწმენის ფარი, რომლითაც შესძლებთ ბორო-
ტების გავარვარებული ისრების ჩაქრობას.

აიღეთ ხსნის ჩაჩქანი და სულის მახვილი, რომელიც
არის ღვთის სიტყვა“ (პავლე მოციქული, ეფესელთა,
6,14,16,17) (2,422).

პავლე მოციქული მოგვიწოდებს:... ვიფხიზლოთ და შე-
ვიმოსოთ რწმენისა და სიყვარულის აბჯრით და ხსნის იმე-
დის მუზარადით“ (I თესალონიკელთა, 5,8) (2,442).

ლექსში „შიმშილობა“ (1,131-143) კანონიკურ საღმრთო
სახელთა მთელი წყებაა: პური არსობის, ჭეშმარიტება, ძე,
მაღალი ცა, გზა, კარი, ახალი ცხოვრების კარი, ციური ცვა-
რი, სინმინდის კვართი, კაცობის მდინარე, რწმენის წყარო,
ცხოვრების წყარო, პური, გარეშეუწერელის სავსება, დიდი
გამჩენი“.

„ბიბლიურ რემინისცენციებში“ (1,87-102) რელიგიური
სიმბოლიკის მრავალი ნიმუშია: უჩრდილო ნათელი, ცხოვრე-
ბის პირველი სხივი, სული ცხოველი, მზის სული, შუაღამის
მზე, ძე მაღლის, სიტყვა, ჭეშმარიტება, ნათელი, გულთამხი-
ლავი, ერთარსება, წარუვალი ძალა, მოძღვართ მოძღვარი,
მომავლის სვეტი“, რომელთა უმეტესობაზე უკვე გვქონდა
საუბარი.

„ერთარსების“ შესახებ წმიდა იოანე დამასკელი ბრძა-
ნებს: „ღმერთი ერთია ანუ ერთი არსებაა„...სამ გვამოვნებაში
შეიცნობა და არსებობს იგი მამაში, ... ძეში და წმინდა სულში,
რომ მამა, ძე და სულინმინდა ყოვლითურთ ერთია“ (13,322).

ღმერთი არის „ყოვლისშემძლე ძალა“ (13,338).

მერაბ კოსტავას ლექსში ღმერთის სახელებია „სამყა-
როს არქიტექტორი, მსოფლიო სცენის დრამატურგი, რეჟი-
სორი“.

ღმერთი ასე მოიაზრება ახალ აღთქმაში: „ვინაიდან
ელოდა ქალაქს საძირკვლიანს, რომლის მშენებელი და შე-

მოქმედი ღმერთია“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 11,10) (2,483).

პოეტი სამყაროს, ჭეშმარიტი არსებობის საწინდრად სახავს საღვთო ცეცხლს, საღვთო ტრფობას.

„ჭეშმარიტებად ერთს სცნობდა გონი“, ამბობს პოეტი. სრულყოფილი ცნობიერების ადამიანები უპირველესად, ჭეშმარიტებას, ღმერთს ეძებენ: „უბირი მონა ცხოვრებაში ეძებს სასწაულს, თავისუფლების მეტრფე მხოლოდ ჭეშმარიტებას“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,94).

ღმერთის სახელებია: „მზის სული, ძე მაღლის, სიტყვა, ჭეშმარიტება, მზე, ნათელი, გულთამხილავი, ერთარსება“.

„მზის სული იგი სამ წელინადს მიწაზე ივლის, სული ცხოვრების, ძე მაღლისა, სიტყვა ღმერთისა, ჭეშმარიტებას იტყვის ორგზის ნაშობი შვილი, ნათლისლებისას დედამიწას ვინც მზედ ეწვია და სამი წელი დადიოდეს უჩინრად ბრძოში, ნათელი იგი, რომელს ბნელი ველარ ენია. განა დაფარულს არ კითხულობს გულთამხილავი, წიაღთა შიგან დაფარულთა ფიქრთა განდობა ერთარსებისათვის საკმარისი არ არის განა!“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,95).

ამავე ლექში ნახსენებია ნოე, როგორც თეურგი (განდობილი) და მისთვის გზის მაჩვენებელი „დემიურგი“ (ღმერთი) (1,97).

ღმერთი არის „შეუცნობელი, გამოუთქმელი“ (ი. დამასკელი).

„გამოუთქმელმან აგვსახა ფარი, ძე მოგვივლინა, ვით გზა და კარი“... (1, 89).

ლექსის „გამოუთქმელი, გზა, კარი“ ღმერთის სიმბოლოებია.

ღმერთი არის „სვე-ბედის საწყისი“ (გალავტიონი).

მერაბ კოსტავა აქცენტს აკეთებს გალავტიონის რელიგიურობაზე, ამაოების უარყოფასა და „უხილავისადმი“ ინტერესზე: „სხივისთვის უხილავს ჭვრეტდი ეთერში, ამაოებას არ დაემონე, ვით სოკრატეში, ვით გოეტეში, შენშიც მძლავრობდა ის დაიმონი“ (1,151).

დემონი აქ შემოქმედებითი გენის სინონიმია, რომელ-საც ამავე ლექსში მოიხსენიებს, როგორც „შენდობის ღირსს და საანგელოზოს“ (1,151), მათგან განასხვავებს „მაცდურ დაიმონს, ლუციფერს, ეშმაკს.“

„უხილავი“ ღმერთის სახელია: „ხოლო საუკუნეთა მე-ფეს, უხრწელ, უხილავ, ერთადერთ ღმერთს – მას დიდება და პატივი უკუნითი უკუნისამდე“ (პავლე მოციქული, I ტი-მოთე, 2,17) (2,449).

მერაბ კოსტავა მიმართავს გალაკტიონს: „მარადისობამ თავისთან გიხმო... თუ თავად შენ ხარ მარადისობა, წარ-სული, აწმყო და მერმისობა?“ (გალაკტიონი) (1,158).

„ღმერთი არის კურთხეული და ერთადერთი ხელმწიფე, მეფეთა მეფე და უფალი“ (I ტიმოთე, 6,16) (2,455).

„ერთადერთ, რომელსაც უპყრია უკვდავება, მკვიდ-რობს მიუწვდომელ ნათელში, რომელიც არვის უხილავს ადამიანგან და არც ძალუძს მისი ხილვა“ (I ტიმოთე, 6,16).

მარადისობა, მარადისობის მამა არის საღვთო სახელი (ესაია წინასწარმეტყველი, 95,5) (1,45).

სიცოცხლისა და ცნობადის ხე ხარობს სამოთხეში და ქრისტეს ორბუნებოვნებაზე მიანიშნებს (ა.ბაქრაძე, სასული-ერო პოეზიის სახეები, კრ. „პოეზია“, 1981)

ლექსში „გაზაფხული (1,113) ფიგურირებს, მიჯნურთ სა-მოთხის ხე“, როგორც საღვთო სახელი.

მერაბ კოსტავას პოეზიაში მხილებულია ღმერთისუარ-მყოფელი ეპოქა. პოეტი მრავალგზის ამხელს რწმენისგან განშორებულთ, მხოლოდ ცოდნის მაძიებელთ, რომელთაც ზნეობა დავიწყებიათ: „იდუმალების დარწყვეტიათ წყარო ცოდვილთა, სიბრძნეს დაწმენდილს, ნათლის სვეტად ალვიქ-ვამთ მუდამ, ამადაც, როცა თითო ნაბიჯს დგამენ ცოდნის-კენ, ორი ნაბიჯი ზნეობისკენ გადადგან უნდა“.

ხედავდა რა ტაძართა იავარქმნას, რელიგიური სიბ-რძნის უარყოფას, გულისტკივილით კითხულობდა პოეტი: „ტაძართა სიბრძნე რად დაკინძდა, რად დაექანა? ... რატომ მდუმარებს ღირსთა მამათ წმინდა სავანე? ნუთუ დაგვეხმო

აღსავლის კარი და ერთიანად წაგვერთვა სმენა?“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,149).

მერაბ კოსტავა აფიქსირებდა ზეციური ვარსკვლავის (ქრისტეს) გაუჩინარებას, ზღვაში დამსხვრეული გემის (რწმენის) გამო უიმედობას: „ერთი უმრავლეს ვარსკვლავთა-განი, რად არ აღენთ ზეცაში დღემდე? როდემდე ზღვაში დამსხვრეულ გემის უიმედობის აფრა გვემოსოს?“ (გალაკტიონი) (1, 151).

წმინდა მამა გვმოძღვრავს: „გქონდეს რწმენა და კეთი-ლი სინდისი, რომელიც უარყვეს ზოგიერთებმა და დაიმ-სხვრა მათი რწმენის ხომალდი“ (პავლე მოციქული, I ტიმოთე 2,19) (2,449).

მერაბ კოსტავა გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსში ხაზს უსვამს პოეტების მეფის რელიგიურობას, საღვთო სიბ-რძნისა და საღვთო სიყვარულის პრიმატს მის შემოქმედება-ში და, ბუნებრივია, მრავალი ქრისტიანული სახელი აქვს და-მოწმებული: „მრავალძალი, მუდმივი ცეცხლი, გულთამხი-ლავი თვალი, ირისე, ვარსკვლავი, უხილავი, მარადისობა, სიტყვა, შემოქმედი, დაუსაბამო სიმართლის სახლი“.

მარიამ ღვთისმშობლის სახელებია: ცეცხლოვანი მაყვალი, აზარფეშა, ბარძიმი, გრაალი.

ამ სახელთა წყაროებია ბიბლია, სასულიერო პოეზია, ღვთისმეტყველთა წიგნები, „დაუჯდომელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა“.

პრობლემაზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ მერაბ კოსტავა ზედმიწევნით კარგად იცნობდა ქრისტიანული რე-ლიგის მოთხოვნებს, საღვთო და საღვთისმშობლო სიმბო-ლიკას.

სიღრმისეულად გაიაზრებდა ათეიისტური ეპოქის სატ-კივრებს, ამრავალფეროფნებდა, ახალი ელფერით მოსავდა ჩვენი ზეციური დედისა და ძე ღმერთის სახელებს. პოეტმა დიდი ძალისხმევა გამოიჩინა რწმენისკენ მეფისტოფელის ეპოქის ადამიანების მოქცევისთვის, გამორჩეულია მისი წვლილი ეროვნული ტრიადის მსახურება – გადარჩენაში.

მერაბ კოსტავას პოეზიაში ღმერთი არის სიტყვა, იდუ-
მალი სიტყვა, სიტყვა დაუსაბამო, კარი, ელვა, სასოება, სიხა-
რული, ნათელი, მზე, მზიანი ღამე, შუაღამის მზე, მზის სუ-
ლი, უკვდავების წყარო, წყარო ცხოვრების, იდუმალების
წყარო, წყარო, მარადი მამა, მარადი ძე, იმედი, სიყვარული,
ცეცხლი, მარადისობის ნერგი, უკვდავების ქნარი, ერთი, სა-
მება, ვარსკვლავი, სიწმინდის თვალი, მაცხოვარი, რაბი, სას-
წაული, უსაზღვროება, უფსკრული სინათლისა, დაუშრეტე-
ლი მზერა, პური ცხოვრებისა, წყარო უკვდავებასა, სასუფე-
ველი ცისა, ცვარ—მარგალიტი, ვარსკვლავეთის საუნჯე, წა-
რუვალი საუნჯე, ედემის მშვენება, შუქთამთოვი, მანანას
მთოავარი, უზეშთაესი, სული ცხოველი, ცხოვრების სული,
მეუფე, განმგებელი, გამოუთქმელი, ერთადერთი, ცისარ-
ტყელა, პირველი სხივი, სამყაროს არქიტექტორი, უჩრდილო
ნათელი, სული ცხოველი, ძე მაღლის, ჭეშმარიტება, გულ-
თამხილავი, ერთარსება, წარუვალი ძალა, მოძღვართ მოძ-
ღვარი, ნათლის სვეტი, მომავლის სვეტი, ვენახი, ირისე, კე-
თილი მწყემსი, ზეცის უშრეტი თვალი, სულის მახვილი, დაუ-
საბამო, მიუწვდომელი, უსახელო, პური არსობის, ძე, მაღა-
ლი ცა, გზა, კარი, ახალი ცხოვრების კარი, ციური ცვარი,
სიწმინდის კვართი, კაცობის მდინარე, გარეშეუწერელის
სავსება, დიდი გამჩენი, მრავალძალი, მუდმივი ცეცხლი, მა-
რადისობა, შემოქმედი, დაუსაბამო სიმართლის სახლი, ცეც-
ხლის ყვავილი, გულთამშილავი, მიჯნურთ სამოთხის ხე.

ლიტერატურა

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
3. უძველესი იადგარი, თბ. 1988
4. სინური მრავალთავი, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ. 1959
5. ტიტე მოსია, „ოქსიმორონი „მზიანი ლამის“ პრობლემატიკა, თბ. 1999
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
7. ნეტარი ავგუსტინე, „ალსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
8. დანტე, ლვითაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941
9. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
10. ლუარა სორდია, მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონი, თბ. 2011
11. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982
12. საპატრიარქოს უწყებანი, 3-9აპრილი, 2009, № 12
13. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნეობის ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000
14. პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეპოგელი), შრომები, თბ. 1961
15. Мозайка Агни Иоги, в двух книгах, I, 1990
16. ნევმირებული ძლისპირნი თბ. 1982
17. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990
18. მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 1943
19. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
20. არეოპაგიტული კრებული, თბ. 1981
21. პავლე ინგოროვა, გიორგი მერჩულე, თბ. 1954
22. ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ. 1960
23. ქართული მწერლობა, ტ. I, თბ. 1960
24. ქართული მწერლობა, ტ. II, თბ. 1987

პოეტის „ნუგაშის და“

ათეიისტურ მეოცე საუკუნეში, „მეფისტოველის საუკუნედ“ რომ მონათლა დიდმა გალაკტიონ ტაბიძემ, ხელისუფლებისგან ხელდასხმული კალმოსნები ურწმუნოებით, ყალბი, ამსოფლურ-წარმავალი ლირებულებების გაფეტიშებით, ქვეყნის ტირანი მესვეურების ხოტბით, სიმართლის გამრუდებით გამოირჩნენ. მაგრამ რწმენის, სიკეთის, ობიექტურობის დევნის პირობებშიც იყვნენ დინების წინააღმდეგ მავალი სიტყვის ოსტატები, რომელნიც ჭეშმარიტებას, მართლმადიდებლურ ქრისტიანობას, სულიერებას ემსახურებოდნენ და თავიანთ უპირველეს მისიას რწმენის ერთგულებაში, ეროვნული იდეალებისთვის თავგანწირვაში ხედავდნენ. ისინი ტაძრისკენ სავალ გზას უჩვენებდნენ ხალხს და შემოქმედებით ნიჭს სულინებიდის მადლად მიიჩნევდნენ.

წიგნთა წიგნის სიბრძნით, ღვთისმეტყველთა, იდეალისტ ფილოსოფოსთა, მორწმუნე კლასიკოსთა მარადიული იდეებით გაპრძნობილი მერაბ კოსტავა უპირველესად რელიგიური, ეროვნული სულიერი ფასეულობების მსახური იყო საქმითაც და სიტყვითაც.

პოეტი იზიარებდა მესიანისტურ იდეას, რომლის მიხედვითაც, საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, რაც უკეთურ ძალთა მძლავრობის პერიოდებში ოპტიმიზმის დიდი საფუძველი იყო.

ჩვენი ზეციური დედისადმი სიტყვითა და საქმით თაყვანისცემის მაგალითი იყო მერაბ კოსტავას ცხოვრება და შემოქმედება.

ცნობილია, ივერიის ღვთისმშობლის ხატის საქართველოში ჩამოპრძნებისას აეროპორტში მისულმა მერაბ კოსტავამ მუხლებზე დაჩოქებით გამოხატა ჩვენი სამშობლოს მფარველი ძე ღმერთის დედისადმი თაყვანისცემა, ხოლო პოეზიაში მრავალი შედევრი უძღვნა.

მარიამ ღვთისმშობლის უკვდავმყოფელი პოეტის ლექსებში ტრადიციების შემოქმედებითი გამოყენებით გამრავლეროვნებულია საღვთისმშობლო სახისმეტყველება, მი-

სი სახეები გააზრებულია ახლებურ კონტექსში, ახლებური ნიუანსებით. ეს ლექსები თამამად დაუდგება გვერდით ქართველ მორწმუნე კლასიკოსთა შედევრებს.

მერაბ კოსტავა უგალობდა ქრისტეს, ამკობდა მას კანონიკური და ორიგინალური ეპითეტებით და, ბუნებრივია, იქვე გამოხატავდა მოწინებას ძე ღმერთის დედისადმი. პოეტი ასე მიმართავდა ადამიანთა სახსნელად ზეციდან მიწაზე მოვლინებულ იესოს: „... სერაფიმ—საგალობელო, უფსკრულო სინათლისაო, მზერაო დაუშრეტელო და პურო ცხოვრებისაო, წყარო უკვდავებისავ, სასუფეველო ცისაო, ცვარ—მარგალიტის სიგრილევ, ნიავო წალკოტისაო... ვარსკვლავეთისა საუნჯევ, მშვენებავ ედემისაო, ამ სოფლად მოვლინებულო შენ ბინადარო ცისაო“ (ბალლო ლომისფაფარიანო) (1,71).

აქვე მარიამ ღვთისმშობელი ფიგურირებს სასულიერო მწერლობაში დამკვიდრებული სიმბოლური სახეებით: „ხელთუმტკიცესო ბეჭედო, მაღალი განზრახვისაო. უსათუთესო შეხებავ ანგელოსური ფრთისაო. დაუჭკნობელო ყვავილო, კდემაო ქალწულისაო, აღურაცხელო მადლო და სასუფეველო ცისაო“.

ლექსში მარიამის სახელებია: ხელთუმტკიცესი ბეჭედი, ანგელოსური ფრთა, დაუჭკნობელი ყვავილი, ქალწული, აღურაცხელი მადლი, სასუფეველი ცისა.

ლექსის ავტორი ზედმინევნით იცნობდა ამ სახეთა წყაროებს.

„ნევმირებული ძლისპირნი“ მარიამ ღვთისმშობელს მოიხსენიებს, როგორც „ზეცის ბეჭედს“ (2,821).

ქართველ პოეტთან ბეჭედს ახლავს მიგნებული ეპითეტი – „ხელთუმტკიცესი“.

„დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამს ენოდება „უხრნნელი ყვავილი“.

„გიხაროდენ, ყუავილო უხრნნელებისაო“ (3,11).

ესაიას წინასწარმეტყველებაში მარიამი არის „ქალწული“, რომელიც მუცლადილებს“ ძეს: „აჰა მუცლადილებს ქალ-

წული და შობს ძეს და უწოდებს „სახელად იმანუილს (ჩვენთან არს ღმერთი)“ (ესაია წინასწარმეტყველი, 7,14) (4,78).

ასევე, „დაუჯდომელში“ მარიამი არის „ზღუდე ქალ-წულთა“, „ძეგლი ქალწულებისაი“, „ქალწულებისა და შობის შემაულლებელი“ (3,12).

„სინურ მრავალთავში“ მარიამი წარმოიდგინება, როგორც ცა, საცნაური ცა, ზეცის საყდარი“ (5,201), „ნევმირებულ ძლისპირში“ „სულიერი ცა“ (2,37) „უძველეს იადგარში“. - ცათა ცა, ღვთის ცა, საცნაური ცა“ (6,184).

„დაუჯდომელში“ მარიამი მოიხსენება, როგორც „ანგელოსთა ცხოვრებისა გამომაჩინებელი“ (3,11).

ზეციური დედისადმი მიძღვნილ მერაბ კოსტავას ციკლში განსაკუთრებით გამორჩეულია ლექსი „ღვთისმშობლი-სადმი“ (1,34-35). მასში იქსოს მშობელი წარმოდგენილია, როგორც ადამის მოდგმის მხსნელი, სოფლის მუხანათობით გულდაკოდილთა ნუგეში, „ძველი მიწის“ და „ძველი ზეცის“ განმაახლებელი, მაღალ მიზანთა შთამაგონებელი, ცისკენ ხიდის გამდები, ცოდვათაგან მკურნალი, ძე ღმერთთან შუამდგომელი, უკვდავი სიტყვის მშობელი, სინმინდე შეუვალი, ღმრთის სძალი, დედოფალი: „... თუ მიხსნის შენი წყალობა და შენი წილხვდომილობა. შენგან, შენგან განიდიდა და განახლდა მიწა ძველი, შენ დაბადე სიკვდილითა სიკვდილისა და მათრგუნველი. ანგელოზთ დასმა გადიდა უკვდავი სიტყვის მშობელი... სინაული განმიახლე, სინმინდე შეუვალო, ტაძრად ღვთისად მიმაახლე, ღმრთისა სძალო დედოფალო,... შენგან, შენგან განიდიდა და განახლდა მიწა ძველი, მკვდრეთით აღდგა სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“.

მივმართოთ ლექსის წყაროებს.

„დაუჯდომელში“ მარიამი მოიხსენება, როგორც „წმიდი-სა წმიდათა უალრესი“ (3,12), „სძალი უსძლო“ (3,9), „სულთა წმიდათა სძალი შესამოსელი“.

ეს სახე (სძალი) მომდინარეობს სოლომონის ქებათა ქებიდან: „ბალი ხარ დახშული, სძალო, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი“ (ქებათა ქება სოლომონისა, 4,12) (6,16).

ბიბლიაში, სასულიერო პოეზიაში მარიამს ეწოდება დე-დოფალი, ზეცის დედოფალი, ოფირის ოქროთი შემკული დე-დოფალი.

ფსალმუნში ვკითხულობთ: „ტახტი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდეა, სიმართლის კვერთხია კვერთხი შენი მეუფებისა...“

შენს მარჯვნივ დადგა დედოფალი ოფირის ოქროთი შემკული“ (ფს.44,7,10) (7,569).

ფსალმუნის ეს ფრაზა ასე განიმარტება ღვთისმეტყველებაში:

„ვინ არის ის დედოფალი, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი და რომელიც მესის გვერდით დაუყენებიათ? რა თქმა უნდა, იმ ძის, იმ მესის დედა, სხვა ვინ უნდა იყოს მესის გვერდით მდგომარე ქალი?“ (8,152).

„უძველეს იადგარში“ მარიამი მოიხენება, როგორც „დი-დებული დედა, დედოფალი, ყოვლადწმინდა დედოფალი, წმინდა დედოფალი“ (6,439)...

ნიკოლოზ გულაბერიძის „გალობანი სუეტისა ცხოველი-სანი“ მარიამს ნარმოგვიდგენს, როგორც „წმინდა დედოფალს“, დავით ალმაშენებელი - „ქალწულ დედას, დედოფალს“ (გალობანი სინანულისანი) (9,164).

განსახილველ ლექსში მერაბ კოსტავა მიმართავს უფლის დედას: „დაუსაბამო ნათლის ცისკარო, სწრაფუშესმენითა მადლის მგებელო, შენდა გლალადებ ყოველ ცისმარე, უბინოო, შეუგინებელო“.

ამ სახეებს მრავალი წყარო აქვს. დავიმოწმებთ ზოგიერთს: „დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამი არის „ცისკარი, განმანათლებელი გონებისა“ (3,12).

ლექსს ამშვენებს მარიამის ბრწყინვალე კანონიკური სიმბოლოები: „შენ თვალო სულინწმინდისა, ადამის მოდგმის გაისო, ცისკენ გამდებო ხიდისა, სერაბინთ უზეშთაესო... ნუ-გეშად გამოგვიჩნდი რომელი, გვექმენი შუამდგომელი“.

ახალ აღთქმაში „ღმერთი მართალთა ნუგეშისმცემელია“ (ჰკორინთელთა 7,6).

ქრისტე არის „ნუგეშის ღმერთი“. მამალმერთი, ძე ღმერთი და მარიამ ღვთისმშობელი ხალხთა მარადიული ნუგეშის-მცემელნი არიან. ღმერთი ნუგეშისმცემელია ესაიას წინასწარმეტყველებაში (ესაია, 5,12)

„დაუჯდომელში“ მარიამი წარმოიდგინება როგორც „დაცემული ადამის აღდგომა“, „ცრემლთა ევასთა ხსნა“ (3,9).

მარიამის მეტაფორაა ხიდი: „ხიდი წიაღმყვანებელი ქუეყანისათა ცად მიმართ“, (3,9).

მერაბ კოსტავას „სულინმინდის თვალის“ შთამაგონებელი შეიძლებოდა ყოფილიყო წინარე ტრადიციები. მივმართავთ ზოგიერთს:

„ძლისპირნი“ მარიამს წარმოადგენს, როგორც „ქალ-ნულთა თვალს“ (2,132), „მზის თვალის უბრნყინვალესს“ (2,20). „ყოვლად ბრნყინვალე მზისთვალს“ (2,281). „ცხოვრების თვალის მშობელს“ (2,535). „ცხოვრების თვალი“ ქრისტეს სახელია.

მარიამი „დაუჯდომელში“ სახელდებულია, როგორც „ანგელოზთა ცხოვრების გამომაჩინებელი“ (3,11), „ძლისპირნში“ – „ანგელოზთა შემოქმედის დედა“ (2,341), „ქერობინთა უმაღლესი“ (2,7).

საყურადღებო ლექსია „თეთრი ქალწული“ (1,42-46), რომელშიც მარიამ ღვთისმშობლის მხატვრული სახეებია: „ღრუბელთა კოშკის ასული“, „თვალი პატიოსნების“, „ნუგეშის სვეტი“, „ქალწული ფიფეტი“.

სასულიერო ღვთისმეტყველებაში მარიამი წარმოიდგინება, როგორც „ასული დავითის“, „ასული სიონეველი“ (10,124).

„ქალწული“ მარიამის კანონიკური სახელია ისევე, როგორც თოვლის მადონა გალაკტიონის ლექსში „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“. (1,56-57).

ლექსში „შეხვედრა“ ქრისტე მოიხსენება როგორც „რაბი“. მარიამის მეტაფორად კი გვევლინება „საწმისი“.

მერაბ კოსტავას „დიდგორში“ საწმისს ენაცვლება ბარძიმი: „ზეცას დაუბრუნდა სერვიმ – ბარძიმი“. ამ შემთხვევაში ლექსის ავტორი ემყარება წინარე ტრადიციას. „ძლისპირნის“

მიხედვით, მარიამი არის „გედეონის საწმისი“ (2,839), „საღ-მრთო საწმისი“ (2,597).

ბარძიმი იგივე საწმისია, იგივე გრაალი, რომლის მნიშვნელობას ასე განმარტავს ზვიად გამსახურდია: „გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლის, სულინმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულინმინდით გამსჭვალული ადამიანი“ (11,38).

ლექსში „ძალუმი, ვით იეჰოვა“ (1,73) გვხვდება როგორც საღვთო, ისე საღვთისმშობლო სახელები : მთა, ია, ნუგეშის და, საყდარი. მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია. ცეცხლის ყვავილი, ელვა, კარი ძე ღმერთისა.

პოეტის ვედრება ერთდროულად მიემართება - როგორც ძე ღმერთს, ისე მის ზეციურ დედას: „... მთიდან რომ მოგანვდი ყვავილს, იცოდე, ცეცხლისა არის, ვითარცა ღველფისა გუნდა. ხელები დაგთუთქოს უნდა, შემცნობის ქველის და ავის ... ელვათა კვეთებად მოვალ, იათა ცრემლიან გულად. განმეხვენ, ნუგეშის დაო, შთამასვი ცხოვრების ზმულა, შემ-მოსე სიმშვიდის ბაო... უსაყდროდ გამრიყავს ყოფა, შენ თუ არ გამიღებ კარებს... ლოცვად და ვედრებად მოვალ, ლოცვად და ვედრებად მოვალ“.

მთა არის მარიამ ღვთისმშობლის სახელი და მომდინარეობს დანიელის წინასწარმეტყველებიდან: „ჰედევდე, ვიდრე არა გამოეკუეთა ლოდი მთისაგან თვინიერ ხელთასა“ (დანიელი, 2,34,38)(4,247).

„მთა“ განიმარტება მარიამის, ხოლო „ლოდი“ ძე ღმერთის სიმბოლოდ.

მიქაელ მოდრეკილის ჰიმნების მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელი არის „დავითის მიერ მთად პოხილად“, „საცნაურ მთად“, „გამოუკვეთელ მთად“ მოხსენებული (12,43,383).

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ მარიამს ეწოდება „მთა, ლოდის გამომტყორცნელი“ (13, 379).

ლექსში „ღირს მამა დავითს“ (1,104,109) გვხვდება „მთა პოხილი, მთა მეტყველი, მთა საკვირველი“, მაგრამ ეს სახეები მიემართება მთაწმინდას.

ყვავილი (აქ ცეცხლის ყვავილი) საღმრთო სახელად ფიქ-
სირდება სოლომონის „ქებათა ქებაში: „ყვავილები გაჩნდნენ
მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის
ჩვენს მხარეში“. (2,12)(4,15).

საღმრთო სახეებია ცეცხლი და ელვა.

ღმერთი ცეცხლის სახით გამოეცხადა მოსეს, ცეც-
ხლი ეკიდა მაყლოვანს, მაგრამ არ იწვოდა მაყვლის ბუჩქი
(გამოსვლა, 3,1,2,3). აქ ცეცხლი მიიჩნევა ქრისტეს, მაყვალი
— მარიამის მეტაფორად.

უფლის დიდება გაიგივებულია მოგიზგიზე ცეცხლთან:
„გამოჩნდა უფლის დიდება მოგიზგიზე ცეცხლივით ისრაელი-
ანთა თვალწინ“ (გამოსვლა, 23,17)(14,81).

სახარებაში ქრისტეს მოსვლა შედარებულია ელვის გა-
მონათებასთან: „ვინაიდან, როგორც ელვა გამოდის აღმოსავ-
ლეთიდან და თვით დასავლეთამდე ანათებს, ასევე იქნება კა-
ცის ძის მოსვლაც“ (მათე, 24,27)(7,54).

კარი საღვთო სახელია: „მე ვარ კარი: ვინც შედის ჩემით,
გადარჩება“ (იოანე, 10,9.)(7,201).

მერაბ კოსტავას ლექსში მარიამ ღვთისმშობლის სახე-
ლებად გვევლინება „ნუგეშის და“, ია.

„უბინო ია“ მარიამ ღვთისმშობლის სახელად ფიგური-
რებს ვახტანგ მეექვსეს პოეზიაში (15,45).

მერაბ კოსტავას ლექსის ღვთისმშობელი ცრემლიანი
იაა, როგორც ჯვარცმისას ძის მაყურებელი დედა შეიძლება
იყოს. „და“ მიმანიშნებელია მარიამ ღვთისმშობელზე. მისი
პირველადი წყაროა ქებათა ქება: „ბაღი ხარ დახშული, სძალო,
დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი“ (ქებათა ქება
სოლომონისა, 1,12) (4,16).

მერაბ კოსტავას ლექსში „დის“ მსაზღვრელია „ნუგეში“,
რაც ამ სახეს ორიგინალურ ელფერს ანიჭებს. ნუგეში, ნუგე-
შისმცემელი ღმერთს სახელიც არის (ესაია წინასწარმეტყვე-
ლი, 51,12)(4,112).

ახალ აღთქმაში მამა ღმერთს ეწოდება „მოწყალების მა-
მა“ და „ნუგეშის ღმერთი“: „კურთხეულია ღმერთი და მამა

ჩვენი უფლის იესო ქრისტესი, მოწყალების მამა და ყოველი ნუგეშის ღმერთი“, (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 1,3)(7,384).

პოეტს აძრნუნებს უსაყდროდ ყოფნის წარმოდგენა. საყდარი არის მარიამ ღვთისმშობლის სახელი. „დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამი არის „საყდარ მეუფისა“ (3,9).

სხვაგან მარიამ ღვთისმშობლისა და ძე ღმერთის სხვა სახელები იქცევს ყურადღებას: „ჭეშმარიტების მიჯნურთა მწდეო, ბჭეთა დახშულთა ლოცვავ ფარულო, მარადი მამის მარადო ძეო, რწმენავ, იმედო და სიყვარულო“ (შენ გევედრები სულით გლახაკი) (1,25-27).

ძე ღმერთის სახელებია: ჭეშმარიტება, მარადი ძე, იმედი, სიყვარული. გავიხსენოთ ამ სახეთა წყაროები.

„... ჭეშმარიტება ღმერთი, არაა სიცრუე, მართალი და წრფელია იგი“ (II რჯული 32,4)(14,209).

„კურთხეულია ღმერთი ჭეშმარიტებისა“ (II ეზრა 4,40)(4,480).

„შენა ხარ ჩემი იმედი, უფალო, ჩემი სასო“ (ფს. 71,5)(7,595).

„ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია“ (I იოანე, 7,8)(4,320).

მარიამის სიმბოლოა „ბჭე დახშული“, მისი წყაროა „დაუჯდომლის“ „ბჭე ცხოვრებისა“: „გიხაროდენ ბჭეო ცხოვრებისაო“ (3,12) აქვე მარიამი არის „სამოთხის ბჭეთა გამღებელი“ (3,10).

მერაბ კოსტავასთვის ღვთაებრივი სიმბოლოებია: „დედა მარიამი, ქეთევანი, თამარი“ (სულში ჩაგეღვენთოს) (1,32-33).

ცამეტი ასურელი მამის, მამა დავითის ღვანლით დამარცხდა „ბილწი დრაკონი“ და „თბილისს ცაზე აღებეჭდა ღვთის მშობლის ღიმი“ (ლირს მამა დავითს) (1,104-111).

ცნობილია, ემბაზი მარიამ ღვთისმშობლის სახელია „დაუჯდომლის“ მიხედვით (3,12).

მერაბ კოსტავას ლექსში „მთა პოხილი, მთა მეტყველი, მთა საკვირველი“ (მთა საღვთისმშობლო სახელია) არის მთაწმინდა, რომელსაც „პოეზიის წმინდა ემბაზს“ უწოდებს პოეტი.

ლექსში „თეთრი ქალწული“ (1,42-46) მარიამი გვევლინება „ნუგეშის სვეტად“, რომელსაც მოჰყვება განწმენდა, შენდობა: „ნუგეშის სვეტად გადმოდგა თითქოს, ფერი განწმენდის, ფერი შენდობის, შენდობა შენდა, ქალწულო ფიფქო,... მწუხრი მშვიდობის, მწუხრი მშვიდობის“.

გალაკტიონის პოეზიაში მარიამ ღვთისმშობელი ფიგურირებს, როგორც „ჯვარზე გაკრული ელვა“ – პოეტის და: „ჯვარზე გაკრული ელვა, ეს ჩემი დაა ლურჯი“ („საღამო“) (16,38).

ტერენტი გრანელს ღვთისმშობელი უდაბნოში ევლინებოდა, როგორც „მწუხარე დის ცისფერი ლანდი“ (მე და გაფითორება) (17,306).

მერაბ კოსტავას „ნუგეშის და“ და „ნუგეშის სვეტი“ შთა-გონებულია საღვთო შინაარსის „ნუგეშით“.

შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ მერაბ კოსტავას ლირიკაში ფიქსირებული ჩვენი ზეციური დედის კანონიკური და ორიგინალური სახისმეტყველება თავისუფლად უსწორებს მხარს ქართული კლასიკური პოეზიის ნიმუშებს.

ისევ მთლიანობაში გადავავლოთ ამ სახეებს თავი. მარიამ ღვთისმშობლის სახელებია: ხელთუმტკიცესი ბეჭედი, ანგელოზის ფრთა, დაუჭკნობელი ყვავილი, ქალწულის კდემა, აღურაცხელი მადლი, ცის სასუფეველი, ადამის მოდგმის მხსნელი, ნუგეში, უკვდავი სიტყვის მშობელი, ღმრთისა სძალ-დედოფალი, ძველი მიწის განმაახლებელი, სიწმინდე შეუვალი, დაუსაპამო ნათლის ცისკარი, სწრაფშესმენითა მადლის მგებელი, უბინო, შეუგინებელი, სულინმინდის თვალი, ადამის მოდგმის გაისი, ცისკენ ხიდის გამგები, სერაპინთ უზეშთაესი, შუამდგომელი, ღრუბელთა კოშკის ასული, თვალი პატიოსნების, ნუგეშის სვეტი, ნუგეშის და, ქალწული ფიფქი, საწმისი, ბარძიმი, მთა, საყდარი, ია, ცრემლიანი ია, ბჭე დახშული.

ლიტერატურა

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
2. ნევმირებული ძლისპირნი, გამოსცა, გამოკვლევა და სა-
ძიებელი დაურთო გ. კიკაძემ, თბ. 1982
3. საპატრიარქოს უწყებანი, 3-9 აპრილი, 2009
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
5. სინური მრავალთავი, აკაკი შანიძის რედაქციით, თბ. 1959
6. უძველესი იადგარი, თბ. 1988
7. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
8. იოანე-იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ. 1994
9. ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ. 1960
10. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგ-
დიდი, 1996
11. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ.
1990
12. პავლე ინგოროვა, ქართული სასულიერო პოეზია, თბ.
1913
13. ტიტე მოსია, „დავითიანის“ სახისმეტყველება, თბ. 2005
14. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
15. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, თბ. 1975
16. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982
17. ტერენტი გრანელი, ორ ტომად, ტ. I, თბ. 2012

გრაალის იდეალი

ორგვარ სიბრძნეს განარჩევენ ბიბლიაში: მიწიერს, ხორციელს და ღვთის სიბრძნეს (ბარუქი, 3,23) (1,190) ეშმაკე-ულ სიბრძნეს და მაღლით გარდმოვლენილს.

პავლე მოციქული აცხადებდა: „...ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე, როგორც წესია: „მათ ცბი-ერებაში შეიპყრობს ბრძენებს“ (პავლე მოციქული, I კორინ-თელთა, 3,19) (2,360).

სულინმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული მოგვინდებდა, შეგვეცნო „ღვთის სიბრძნე, საიდუმლოება-ში დაფარული“ (I კორინთელთა, 2,7) (2,358).

წმინდა მამა განასხვავებდა „ხორციელ გონებას“ და „ღვთის მადლს“ (II კორინთელთა, 12) (2,385).

პავლე მოციქულისთვის მიუღებელი იყო „ფუჭი ამპარ-ტავნობა ხორციელი გონებით“ (კოლასელთა, 2,18) (2,433).

მისი იდეალი იყო „სულიერი გონება“, ღვთის სიბრძნე: „ვლოცულობთ თქვენთვის, რათა აღივსოთ მისი ნების შეც-ნობით, ყოველნაირი სიბრძნითა და სულიერი გონებით“ (კო-ლასელთა, 1,9) (2,431).

უზენაესის შესაცნობად საჭიროა „სიბრძნისა და გა-მოცხადების სული:“ „...ვლოცულობთ, ...რათა მოგცეთ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად“ (პავლე მოციქუ-ლი, ეფესელთა, 2,17) (2,414).

ნეტარი ავგუსტინე განასხვავებდა ზერელე „სწავლას“ და „შემეცნებას“, კიცხავდა „ხორციელ სიბრძნისმეტყველე-ბას“ და მას უწოდებდა „სხეულებრივი გრძნობების უძლურე-ბას“ (3,47-48, 49-50).

აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ „კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია, ეროვნულ-ნაციონა-ლურია და ამდენად, საკაცობრიო, ცივილიზაცია-არარელი-გიურია, ინტერნაციონალური“ (აკაკი მინდიაშვილი) (4,116).

ნამდვილი მწერლობა ყოველთვის რელიგიური იყო და მისი ორიენტირი იყო ღვთის სიბრძნე.

ათეისტური ტირანიით ცნობილ მეოცე საუკუნეშიც იყვნენ ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატები, რომელთაც კავშირი არ გაუწყვეტიათ რწმენასთან, სულიერებასთან, მარადიულ იდეალებთან. ამ მხრივ, განსაკუთრებული ინტერესი ვლინდება გრაალის პრობლემისადმი.

გრაალი ქრისტეს სისხლის, ანუ უკვდავების სასმელის შემცველი წმინდა თასია.

უკვდავების ძიება კაცობრიობის მარადიული იდეალია, ამიტომ ყველა ქვეყანაში არსებობს გრაალის იდენტური საკრალური, დაფარული საგანი. ასეთია უკვდავების სასმელი „სომა“ ინდოეთში, ირანული ტრადიციით - „ჰაომა“. ეს სასმელი, სათანადოდ შემზადებული, ადამიანს აღუდგენდა მარადისობის განცდას.

წმინდა გრაალი ის თასია, რომელიც საიდუმლო სერობაზე ქრისტეს ეპყრა ხელთ და რომელიც შემდგომ იოსებ არიმათიელმა (ქრისტეს ფარულმა მოწაფემ) ქრისტეს ფერდში ასისთავ ლონგინუსის შუბით გახსნილი ჭრილობიდან გადმომსკდარი სისხლით აავსო.

ლეგენდის მიხედვით, თასი ბრიტანეთში წაიღეს თვით იოსებ არიმათიელმა და ნიკოდემოსმა. ეს კელტურ და ქრისტიანულ კულტურებს შორის კავშირის გაბმას მოასწავებდა.

თასი ანგელოზებს გამოუთლიათ იმ ზურმუხტისაგან, რომელიც ლუციფერს გადმოუვარდა შუბლიდან მისი დაცემისას. ეს ზურმუხტი გვაგონებს ურნას, შუბლის მარგალიტს, რომელიც ინდურ ტრადიციაში ძალიან ხშირად შივას „მესამე თვალის“ ადგილს იკავებს და მარადისობის განცდას ანიჭებს.

ლეგენდაში ისიც ნათქვამია, რომ გრაალი ადამს ჩაბარდა მინიერ სამოთხეში, მაგრამ დაცემისას დაკარგა იგი სამოთხიდან განდევნილმა, რადგან ზეადამიანურ მდგომარეობას ცოდვილნი ვერ ეზიარებიან.

შემდეგ შეთმა (სეთი, ადამ და ევას ძე კაენისა და აბელის შემდეგ) სამოთხეში შესვლის უფლება მიიღო და დაიბ-

რუნა თასი. მას თავის მიმდევრებთან ერთად უნდა დაეარსებინა სულიერი ცენტრი, დაკარგული სამოთხის ხატი და შემცვლელი.

ცნობილი არ არის, სად და ვინ შემოინახა გრაალი ქრისტეს ეპოქამდე.

გრაალი იყარგება ან იფარება, როცა ის უშუალო კავშირს წყვეტს უზენაეს ცენტრთან.

ავგუსტინეს მიხედვით, წარლვნა ვერ მისწვდა მიწიერ სამოთხეს, რომელიც არის „ენოქის სამკვიდრებელი და წმინდა“. მისი თხემი „მთვარის სფეროს ეხება“, ე.ი. ცვალებადობის მიღმაა, ცისა და მიწის გადაკვეთის წერტილში.

მაგრამ როცა შესუსტებულია რწმენა, იგი დახურულ ცენტრებში ინახება.

„გრაალ“ სიტყვას ორმაგი მნიშვნელობა აქვს. გრაალი თასიც არის და წიგნიც. ეს უკანასკნელი ასპექტი ცხადლივ აღნიშნავს ტრადიციას, ხოლო პირველი უფრო მდგომარეობის აღმნიშვნელია.

სულიერ ცენტრებს განუყრელად უკავშირდება მრგვალი მაგიდა, მის ირგვლივ შემოკრებული თორმეტი პერსონაჟით. ეს მაგიდა განკუთვნილია გრაალის მისაღებად(5,10).

გრაალს უკავშირდება მონსალვატის „მთა ხსნისა“, სიმბოლო მწვერვალისა, რომელიც მდებარეობს „შორეულ ნაპირზე“, მოკვდავთაგან რომ ვერავინ მიუახლოვდება. იგი „მიუწვდომელ მხარეში“, შუაგულ ზღვაშია აღმართული, რომლის უკან მზე ამოდის. ეს წმინდა კუნძულიც არის და „პოლარული მთაც.“ ეს არის უკვდავების მინაც, რომელიც მიწიერ სამოთხესთან უნდა გავაიგივოთ.

გრაალის უპირველესი მნიშვნელობა არსებითად ემთხვევა საკრალური თასის ზოგად მნიშვნელობას. აღმოსავლეთში სამსხვერპლო თასი შეიცავდა უკვდავების სასმელს: ვედური ტრადიციით-სომას, ხოლო მაზდეანურით-ჰაომას.

თასის დაკარგვა მოასწავებს არა იმდენად წივთიერი დოვლათის დაკარგვას, არამედ ტრადიციის შებლალვას და იგი კვლავ ზეპუნებივი ჩარევით უნდა აღდგეს. თასი უნდა გამოჩნდეს კვლავ ზეციდან მაღალ მთაზე, ან აღმოჩნდეს გა-

მოქვაბულში, ან მიწაში ჩამარხულს უნდა წამოედოს სახნის პირი. ასეთ ანდრეზებში თასი ჭეშმარიტებისა და წმინდა რეალობის ნივთიერი გამოხატულება და მისი ორმაგი ადგილმდებარეობა-ცაში და მიწაში- ჭეშმარიტების „ხილვადობისა“ და „შებურვილობის“ პერიოდებზე მიუთითებს (6,5).

„და თუ ანდრეზის საკრალური შინაარსი ასაღორძინებელია ცნობიერებაში, მისი აღორძინება კვლავ სიწმინდის წიაღშია შესაძლებელი (იქვე).“

რენე გენონის ნააზრევში განსაკუთრებით საყურადღებოა თასისა და წიგნის იდენტურობის დაშვება.

ხოლო მოციქულთა რიცხვის თანაზიარი თორმეტი რაინდი, მრგვალი მაგიდის გარშემო რომ არიან შემოკრებილი და ზნეობრივ სრულყოფას ესწრაფვიან, სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ეკლესია, რომელთა მინიმალური რიცხვი თორმეტია „მოციქულთა დადგენილებების“ (V) თანახმად, კრებული მორწმუნეთა პარძიმ-ფეშბუმის მოლოდინში, რომელსაც მათ წინაშე საფარველი (დაფარნა) უნდა აეხადოს, რომ სათითაოდ ეზიარონ „უხრწნელთა და ცხოველმყოფელთა საიდუმლოთა.“

ზურაბ კიკნაძე არ ეთანხმება თასის ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში გრაალის ლეგენდის გამოძახილის დანახვას. ფშავ-ხევსურეთის საყმოებში თასი სადღესასწაულო სიწმინდეა, მაგრამ მხოლოდ თავისი საიდუმლოებრივი წარმომობითა და მოუხელთებლობით თუ მოგვაგონებს იგი გრაალს. თასის მცველი და მპყრობელია უხუცესი (5,5).

გრაფ თარხანის მიხედვით, ქრისტეს ჯვარცმის დროს თასის ასაკი რამდენიმე საუკუნეს აღწევდა.

თასი ძვირფასი, არამინიური ქვისგან იყო გამოთლილი, რომლის შუაში ძვირფასი ქვა იჯდა. ეს ქვა მამალმერთმა ლუ-ციფერის განდევნის დროს მისი გვირგვინიდან მოხსნა, რითაც დაცემულ ანგელოზს სამყაროს მართვის უფლება წაართვა. შემდეგ სასმისი, ღმერთმა თავისსავე შექმნილ ადამს გადასცა, მაგრამ მისი შეცოდების შემდეგ თასი კვლავ ზეცაში დააბრუნა და ქრისტეს უბოძა.

არსებობს ლეგენდის სხვა ვერსიაც. მთავარანგელოზი მიქაელის მითითებით, ანგელოზები თავს დაესხნენ ლუცი-ფერს და შერკინების დროს მთავარანგელოზმა ცეცხლოვანი მახვილით ამოუგდო ლუციფერს გვირგვინიდან ზურმუხტის თვალი. შემდეგ მისგან გააკეთეს სასმისი, რომელსაც წმინდა გრაალის თასი ეწოდა.

გრაალის თასში თავმოყრილია ის დიდი სიძლიერე, რო-მელიც მამა ღმერთმა თავის შვილს გადაულოცა. გოლგოთა-ზე კი მაცხოვრის სისხლი ბოლო წვეთამდე სწორედ ამ თასში მოგროვდა. სისხლი არ დედდებოდა და არ ცივდებოდა. თას-მა იოსებს ხელები დასწვა. მისი ტემპერატურა მზის ტემპე-რატურას უტოლდებოდა, მაგრამ არაფერს წვავდა. იოსებმა ანგელოზისგან მიიღო მითითება, როგორ უნდა შეენახა და დაეცვა თასი. ეს მითითება თასთან ერთად მან გადასცა მემ-კვიდრეს, რომელმაც სულ მალე პალესტინა დატოვა და ქრისტეს მრწამსის გასავრცელებლად დასავლეთისკენ გაე-შურა.

გრაალის თასის კვალი IV საუკუნეში იკარგება... გრაა-ლის თასმა „ვერ აიტანა“ ეკლესიის დამოუკიდებლობის შეზ-ლუდვა და გაქრა. ამის შემდეგ ის ინახება საიდუმლო ტაძარ-ში და ელის დროს, როცა კვლავ წარდგება მსოფლიოს წინა-შე.

გრაალის თასის კულტი შუა საუკუნეების ბრიტანეთში წარმოიშვა. თასს აქვს უნარი გაჯანსაღებისა, თუ მას ადამი-ანი რვა წლის განმავლობაში დაეუფლება. ასევე, ვინც მისგან სითხეს მოსვამდა, ყველა ცოდვა მიეტევებოდა, ჩვეულებრი-ვი მოკვდავი და ცოდვილი თასს ვერ დაეუფლებოდა.

არსებობს ვერსია, რომლის მიხედვით იოსებ არიმათიე-ლი, წმინდა ფილიპეს დავალებით, იერუსალიმიდან ბრიტა-ნეთში გადავიდა და მისთვის მინდობილი რელიქვიაც თან წა-ილო. იქ, გლასტონბერთან, მან მიწაში ჯოხი ჩაარჭო. ჯოხმა ფესვები გაიდგა და კვრინჩხის ბუჩქად გადაიქცა, რომელიც წელიწადში ორჯერ ყვაოდა. იოსებმა ეს მოვლენა ღვთის ნიშ-ნად მიიჩნია და იმ ადგილას ეკლესია ააგო, რომელიც მოგვი-ანებით სააბატოდ გადაიქცა, მიიჩნევენ, რომ გრაალის თასი

სწორედ გლასტონბერის სააპატოს მიწისქვეშეთში ინახება. განსხვავებული ცნობით, თასის ადგილსამყოფელად ესპანეთში მდებარე სალვატის ტაძარი მიიჩნევა, რომელიც ერთ ღამეში აუშენებიათ ანგელოზებს.

მეფე არტურზე შექმნილ ლეგენდებში მთავარია გრაალის თასის ძიება.

1485 წელს, თამაზ მელორმა გამოაქვეყნა წიგნი „არტურის სიკვდილი.“ მასში აღწერილია, როგორ გაემართა 150 რაინდი წმინდა გრაალის საძებნელად კამელოტიდან. ციხე-სიმაგრეს, სადაც თასი ინახებოდა, პირველი სერ ლანსელოტი მიუახლოვდა. გაიღო კარი, იქიდან დიდი სინათლე წამოვიდა და როგორც კი ზღურბლზე გადმობიჯება დააპირა, შემოესმა ხმა, რომელმაც ამცნო, რომ თუ შენობაში შევიდოდა, აუცილებლად დაისჯებოდა. ლანსელოტმა უკან დაიხია, მაგრამ ლია კარიდან დაინახა დარბაზის შუაგულში აღმართული კათედრა წმინდა გრაალის თასით, რომელსაც ანგელოზები ეხვეოდნენ. კათედრის წინ თეთრებში გამოწყობილი მლოცველი ლევი ლევის მსახური იდგა. ლანსელოტს მოეჩვენა, რომ მას ფეხზე დგომა უჭირდა, ღმერთს სთხოვა, მიეცა მისთვის უფლება, მოხუცს მხარში შესდგომოდა. როცა გადააბიჯა ზღურბლს და კათედრისკენ გაემართა, ცხელი ჰაერის ტალღამ უკან გადააგდო, შემდეგ რამდენიმე ხელმა აიტაცა ჰაერში და გარეთ გაიყვანა. ლანსელოტი არ აღმოჩნდა ლირსი, რომ გრაალს მიახლოებოდა. რელიქვიამ ის უარყო. ლანსელოტის შემდეგ მოსულმა დიდგვაროვნებმა დაინახეს, როგორ დაეშვა ზეციდან ხელი, აიტაცა გრაალის თასი და ზეცაში წაიღო.

შუა საუკუნეებში გრაალს სიყვარულის ტაძარს უწოდებდნენ. მისი შეხების უფლება მხოლოდ უმანკო მამაკაცს ჰქონდა.

ლეგენდის მიხედვით, მამა ღმერთს სამყაროს შექმნის დროს ხელში წმინდა გრაალის თასი ეპყრა.

ბიბლიაში გრაალის პირველი ხსენება მეფე მელქისედეკს უკავშირდება. ის გრაალის მცველად მოიაზრება.

ვის ხელში არ გამოიარა გრაალმა, იკარგებოდა და ხე-ლახლა მოიძებნებოდა ხოლმე, ის მოულოდნელად ქრებოდა, ასევე მოულოდნელად გამოჩნდებოდა სრულიად შეუცნობელ ადგილებში.

მაცხოვრის ჯვარცმისას გრაალი ზეციდან დაეშვა უამ-რავ თეთრებში გამოწყობილ ანგელოზთან ერთად და ის მო-ულოდნელად აღმოჩნდა იოსების ხელში. იოსებმა იესოს სის-ხლი მოაგროვა თასში. ჯვარცმის შემდეგ გრაალის თასი მამა ლმერთის ტახტრევანთან ამაღლდა, ხოლო ჯვარცმისა და ქრისტეს სხეულის დაკრძალვის შემდეგ იოსებმა გრაალი წმინდა მარიამს მოუტანა და უთხრა: „დღეიდან შენ ხარ მისი მცველი, შენ ხარ ქრისტეს ხორცშესხმული თასი. შენ ხარ წმინდა გრაალი და ცოცხალი საკურთხეველი. წეტარო მარი-ამ, მიიღე ჩემი ხელიდან ეს წმინდათანმინდა ჭურჭელი ჩვენი ლმერთისა და გაუფრთხილდი მას. ლმერთი აღუთქვამს მუდ-მივ სიცოცხლეს მას, ვინც ამ წმინდა სასმისიდან მის წმინდა სისხლს მოსვამს“.

მარიამმა პირველმა მოსვა წმინდა სასმისიდან ღვთის სისხლი, რომელიც მაშინვე „გამრავლდა“ და პირვანდელი მოცულობა დაიბრუნა.

წმინდა გრაალს სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდა: თასის შიგნით თავიდანვე სასწაულები ხდებოდა. ვინც მასში ჩახედ-ვას მოახერხებდა, მხსნელის აჩრდილს ხედავდა. მაცხოვარი ჩნდებოდა თასში და იქიდან ესაუბრებოდა მათ, ვისაც ამის ღირსად მიიჩნევდა.

წმინდა სასმისის ანგელოზები აუწყებდნენ წმინდა ქალ-წულს, რა განსაცდელი ელოდა გრაალს, როგორ ბოროტებას ჩაიფიქრებდნენ მის წინააღმდეგ ჯერ იუდეველი ფარისევ-ლები, შემდეგ კი მათი მემკვიდრეები, ქრისტიანი მამები, იმ-პერიული რწმენისა და რომაული ცეზარეპაპიზმის დროს. ფა-რისევლებმა დააწესეს დიდი ფულადი ჯილდო იმისთვის, ვინც სინედრიონში წმინდა გრაალის მიტანას შესძლებდა.

წმინდა გრაალი მხოლოდ ადრექრისტიანული აღაპების დროს, ლიტურგიებზე, ერთდროულად ჩნდებოდა რამდენიმე ადგილზე, იცვლიდა ფერს, მის თავზე კი გამუდმებით ეკიდა

ცეცხლოვანი ჯვარი. ხანდახან კი თვით მაცხოვარი ცხადდებოდა და თასში ჩაეშვებოდა ხოლმე.

თასის მოულოდნელი გამოჩენა რწმენის გამყარებას უწყობდა ხელს. წმინდა გრაალის მეშვეობით ჩამოყალიბდა რაინდთა საძმო, რომლის წევრებსაც სამუდამო უმანკოების ფიცი ჰქონდათ დადებული. ისინი იკვებებოდნენ მხოლოდ ზეციდან მოვლენილი საკვებით. ტრაპეზის დროს მაგიდაზე მხოლოდ ვერცხლის და თიხის ჭურჭელს დგამდნენ. სპეციალური ლოცვის აღვლენის შემდეგ, მაგიდის თავზე გამოისახებოდა გრაალი. ჭიქები საუკეთესო ღვინით ივსებოდა, ხოლო ლანგრებზე, საუკეთესო თევზი და არამინიერი საკვები ჩნდებოდა. რაინდები ღვთის ნებას გრაალის შიგთავსში კითხულობდნენ, რომლებიც სითხეში წარწერების სახით ჩნდებოდა.

დედამიწაზე ცნობილია გრაალის 180 მცველი.

IV საუკუნეში, როცა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, გრაალი გაქრა. რაინდები ტყეში გადასახლდნენ. შუა საუკუნეებში, ინკვიზიციისა და ჯვაროსნული მოძრაობის დროს, გრაალი უფრო მიყრუებულ ადგილზე გადაიტანეს.

ფაშიზმის მიმდევრები ჰიტლერის დავალებით ცდილობდნენ გრაალის ხელში ჩაგდებას, მაგრამ მათ მხოლოდ იმ შუბს მიაგნეს, რომლითაც დაჭრეს იქსო. შუბი დიდი ხანი ინახებოდა ნიურნბერგის ახალ საიდუმლო საცავში, მაგრამ მესამე რაიხის დაცემის შემდეგ, 1945 წლის 30 აპრილს, ამერიკულმა სპეცდანიშნულების რაზმმა საიდუმლო სამალავი აღმოაჩინა. 1945 წლის 4 იანვარს რელიქვია გაიგზავნა ვენაში, სადაც დღემდე ინახება ჰოფბურგის სასახლის განძსაცავში (7,19-20).

გრაალი, ეზოტერული თვალსაზრისით, ტაბუდადებული სიბრძნის, საიდუმლოებისა და მისტერიების სიმბოლოა.

ალქიმიკოსებისთვის „გრაალი“ ზეციდან ჩამოგდებულ ქვასთან, ანუ „ფილოსოფიურ ქვასთან“ არის გაიგივებული, რაც ანტიკურ პერიოდში იგივეა, რაც შუა საუკუნეებში

„გრაალი“. „ფილოსოფიური ქვის“ ძიება არის სულიერი გზა, რომელიც ანტიკურ თუ ძველბერძნულ მისტერიებში უშუალოდ უკავშირდება ძიებას „ოქროს საწმისის.“ რამდენადაც „ფილოსოფიური ქვა“ და გრაალი იდენტურად მოიაზრება, „ქრისტიანულ-თეოლოგიური თვალსაზრისით, კლასიკურ გრაალს ეწოდება „ოქროს საწმისი.“

„გრაალი“, ბერძნული ვერსიით, ღვინისა და წყლის შესარევ ჭურჭელს, ლათინური ვერსიით ჭეშმარიტ სისხლს, ხოლო ისლანდიური ვერსიით სიუხვის კალათას ნიშნავს.

„გრაალთან“ დაკავშირებულია ადამიანის ასტრალური სხეულის განწმენდა ქვენა ინსტინქტებისა და ვნებებისაგან. ძველი ბერძნები ამ უდიდეს სულიერ პროცესს „ოქროს საწმისს“ უკავშირებდნენ. (8,225-235).

ცნობილი რუსი მოგზაური, მხატვარი და ორიენტალისტი ნიკოლოზ რერიხი ნერს: „Великая чаша сделана из драгоценного камня. Много внимания уделялось чудесному камню, упавшему с далекой звезды... Должное время камень исчезает, чтобы опять появиться в сужденный срок в совершенно другой стране“ (9,127).

პოეტი იოჰან იოზეფ გორესის (1776-1848წწ) აზრით, „გრაალში“ ჩაწერულია უძველეს ქურუმთა საიდუმლო სიბრძნე. იგი პარალელს ავლებს პერკულესის თასთან, რომელსაც ბაკხუსის მისტერიების დროს იყენებდნენ. ეს თასი პერკულეს მზის ღმერთმა პელიოსმა აჩუქა, რომელიც კოლხი მედეას პაპა იყო.

ზოგიერთი მკვლევარი „გრაალის“ თასს პერმეს მეგვიპტელისა და ჯემშიდის თასსაც უკავშირებს. პერსეპოლისის ამშენებელი ლეგენდური მეფის ჯემშიდის თასში ჩასხმული სითხეც სიბრძნისა და უკვდავების სიმბოლოდ მოიაზრება.

ბრიტანეთში „გრაალის“ ორდენის რაინდთა შორის იყო რაინდი პარციფალი (პარსიფალი), რაც სიტყვასიტყვით მოხეტიალეს ნიშნავს. მან მოიპოვა წმინდა სასმისი და ღვთაებრივ სიბრძნეს ეზიარა. მას სათნოებისთვის ერგო თასი, შუბი და დავით მეფის ჯადოსნური მახვილი.

წმინდა „გრაალი“ ჰიპოფიზის სიმბოლოა-ანუ ადამიანის თავის ტვინის ზედა დანამატის, რომლის მიერ გამომუშავებული ჰორმონები არის სწორედ მთავარი წარმმართველი ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიკურ-ფსიქიკური პროცესების, ხოლო სასწაულმოქმედი „შუბი“ ეპიფიზის სიმბოლოა. ეპიფიზი თავის ტვინის ზედა დანამატია, რომლის მიერ გამოყოფილი ბიოლოგიურად მაღალაქტიური ჰორმონები ადამიანის სისხლში შედის. კაცობრიობა მას „მესამე თვალის“ სახელწოდებით იცნობს, რაც ანატომიური ცდები-თაც დასტურდება. რენე დეკარტის აზრით, „ეპიფიზი სულის სამყოფელია.“

პარციფალმა უვნებლად განვლო კლინგსორის ხიფათებით სავსე სასახლე, დალაშქრა „ხსნის მთა“ და იქ მდებარე ტაძარი დაიპყრო. ეზოთერული თვალსაზრისით, კლინგსორის სასახლე ცხოველური ენერგიაა, რომლითაც ადამიანი ცდუნდება. „ხსნის მთა“ ადამიანის სხეულია, ხოლო მწვერვალზე არსებული ტაძარი-თავის ტვინი. მიზანი ის არის, რომ ფიზიკური სხეული უნდა გახდეს სულის მეგობარი, დაეხმაროს ჩვენს არსებას სულიერი ხედვის გაღვიძებაში, რელიგიური ცნობიერებით დაძლიოს ცხოველური საწყისები.

ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღებიდან ოცი წლის შემდეგ, 1119 წელს, იქმნება ტაძრის რაინდთა, ანუ ტამპლიერთა ორდენი.

ტამპლიერები მონაწილეობდნენ დიდგორის ომში.

ჯვაროსნები დავით აღმაშენებელს უწოდებდნენ მეფე-ხუცეს იოანეს.

ვოლფრან ფონ ეშენბახის პოემა „პარციფალში“ მეფე ხუცესი იოანე არის პარციფალის ნახევარდმის ფაირეფიცის ძე. ფაირეფიცი ეტიმოლოგიურად ნიშნავს „შავ-თეთრს.“

პარციფალი წარმოადგენს დასავლური ეზოტერიზმის გზას, რომელიც ეძებს „გრაალს,“ ხოლო ფაირეფიცი-აღმოსავლური და დასავლური სიბრძნის შერწყმის გზას, იმდროულად, თეთრი და შავი რასების შერევას. შავ-თეთრი არის იმიტომ, რომ ქრისტიანული დასავლური სიბრძნე შერწყმულია

არაბულ სიბრძნესთან. ხდება დასავლურ-აღმოსავლური სიბრძნის სინთეზირება.

დავით აღმაშენებლის ქრისტიანული მსოფლგანცდა დასავლურ-აღმოსავლური სიბრძნის ნაერთია, ამიტომ ძველ ისტორიულ-ჯვაროსნულ ქრონიკებში „შავ-თეთრი“ ანუ მე-ფე-ხუცეს იოანე სიმბოლურად ნიშნავს დავით აღმაშენებელს.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველი ბერები ტამპლიერებთან იყვნენ დაახლოებულნი. ტამპლიერები აღ-მოსავლურ ესთეტიზმს ქრისტიანულ მრწამსს უხამებდნენ. ტამპლიერთა გვიანდელი მემკვიდრეა როზენკროიცერთა ორდენი, რომელიც რელიგიათა სინთეზს ისახავდა მიზნად და ამის ემბლემაა ვარდებიანი ჯვარი. ჯვარი ქრისტიანობის სიმბოლოა, ვარდი-ისლამის, მაგრამ რელიგიათა ასეთი შერწყმა მიუღებელია მართლმადიდებლური ქრისტიანობისათვის (8,225-235).

სულ სხვაგვარია გრიგოლ რობაქიძის მიერ მოაზრებული გრაალი რომანში „გრაალის მცველი.“

გრაალის არსი გახსნილია ლექსში, რომელსაც გრაალის მცველი ლევან ორბელი კითხულობს.

უფსკრულის პირას იდგნენ რაინდები, რომლებმაც მტრის მორჩილებას სიკვდილი არჩიეს. მათ ჰქონდათ წმინდა ნინოს ჯვარი, ვაზისგან გამოთლილი და მისი თმით შეკრული. უფსკრულში გადაშვების წინ პატარა, მტირალი გოგონა შემთხვევით შეეხო ჯვარს. გამხმარი ხე აყვავდა, ოქროსფერი მწიფე მტევნები მოისხა და სასონარკვეთილ რაინდებს უძლეველი ძალა მიეცათ.

რაინდებმა ჯადოსნური მტევნები დაწურეს, წვენი თასში დააგროვეს და თასი ფარულად შეინახეს, როგორც სინმინდე. თასის გარშემო საიდუმლო ორდენი ჩამოყალიბდა მრავალი მცველით. თასში იდო გული - საქართველოს მზე. გრაალის გუმაგები დარაჯობდნენ იდუმალ მიწას.

თასის მცველები, განსხვავებით გრაალის მცველებისა-გან, იყვნენ მწერლობისა და ხელოვნების ნარმომადგენლები. ამ პერსონაჟთა გვარები გაშიფრა კ. სალიამ: ოდილიანი-პაო-

ლო იაშვილი, ავალა-ტიციან ტაბიძე, მზისავარ-აპოლონ წულაძე, დათა და კოსტა-ქმები ვლადიმერ და გრიგოლ ჯაფარიძები, ჰიდდირ-მამედ ბეგ აბაშიძე, სალარა-მფრინავი სალარაძე, მარჯანი-კოტე მარჯანიშვილი, უშანგ-უშანგი ჩხეიძე, ხორავ-აკაკი ხორავა, ვასსა-აკაკი ვასაძე, ვანო-იაკობ ნიკოლაძე, ს.ო.-სერგო ორჯონიქიძე, შავდია-ლავრენტი ბერია, ლეგა-ლევან ღოლობერიძე.

კ. სალიას არ მიუთითებია, ვინ იგულისხმებიან ლევან ორბელის და თავად გიორგის სახეში, მაგრამ ლევან ორბელის პროტოტიპი თვით გრიგოლ რობაქიძის უნდა იყოს!

ასევე დაუდგენელია რუსი ჩეკისტის ველსკის ადრესატი.

თასის მტრები არიან ს. ო. შავდია, რუსი ჩეკისტი ველსკი.

ბუნებრივია, გრიგოლ რომაქიძემ თასის მცველებად მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები, რწმენით, სულიერებით გამორჩეული ადამიანები რომ შეარჩია.

თასის განადგურება ერის სულის ჩაკვლის ტოლფასია და ამიტომ დაეძებს მას ჩეკისტი ველსკი, რადგან ამით ხალხის დაბეჩავება სურს. ამას ის კაცობრიობისთვის თავისუფლების მოტანის სურვილით ამართლებს და ამტკიცებს, რომ ღმერთის რწმენა იგივე მონობაა და ადამიანი უნდა განთავისუფლდეს მისგან.

რომანში იდუმალი კავშირი იკვეთება ორ მოვლენას შორის. ველსკის ნაამბობის მიხედვით, ნაპოლეონის ჯარებმა იტალიაში ილაშქრეს, გენუა დაიკავეს და სან ლორენცის ტაძარში საფირონის შვიდეულებიანი თასი იპოვეს, რომელიც, თქმულების თანახმად, ჩამოტანილი იყო ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიიდან და წმინდა გრაალად ითვლებოდა. მორწმუნები წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ ტაძარში მის სანახავად. ნაპოლეონმა თასი პარიზში გაგზავნა მისი ღირებულების დასადგენად.

იმავე დროს, ესპანეთში, ბარსელონას ახლოს, მონტსერატის მთასთან დაბანაკდა ჯარი. იქ იდგა ცისე-დარბაზი, რომელიც, თქმულების მიხედვით, ლოენგრინსა და გრაალის

სხვა რაინდებს უკავშირდებოდა. ფრანგებმა დაანგრიეს მონასტერი და მოციქულ ლუკას მიერ ხისგან გამოჭრილი ხატიც იავარქმნეს. ამ დროს პარიზში გაიძიარა სან ლორენცის ტაძრიდან ჩამოტანილი თასი.

ველსკის ნაამბობიდან ის აზრი იკვეთება, რომ სიწმინდეთა ხელყოფა სიმამაცეს ამტკიცებს და, ვინც უშიშარია, უბრალო მოკვდავზე, ათეისტზე მეტია.

რომანში აღნერილია 1924 წლის აჯანყება, რომელიც დამარცხდა.

ველსკის ამ დამარცხებაზე მეტად გრაალის განადგურება აინტერესებს, რადგან რწმენის, სულის გადარჩენა ერის გადარჩენის ტოლფასია.

ველსკი, ქართველი და რუსი ჩეკისტები ვერ მოახერხებენ გრაალის ხელში ჩაგდებას. ლევან ორბელი და მისი ამხანაგები გადაარჩენენ გრაალს.

გრიგოლ რობაქიძის რომანის „ალეგორიულ შინაარსს“ ასე შიფრავს აკაკი ბაქრაძე: „ყველაზე მძიმე ვითარებაშიც კი ხალხმა უნდა შეინარჩუნოს რწმენა და იმედი, ანუ დაიცვას გრაალი. ამით გაუმკლავდება იგი მტერს... მწერლობის ამოცანა კი ის არის, დაეხმაროს ხალხს გრაალის დაცვაში.“

„ქართული მწერლობის ისტორია 1921 წლიდან, ერთი მხრივ, არის ბრძოლა გრაალის დაცვისთვის და, მეორე მხრივ, ბრძოლა გრაალის დანგრევისთვის“ (აკაკი ბაქრაძე, „ბრძოლა გრაალისთვის“) (10,308-322).

აშკარაა გრაალის კავშირი ქართულ სინამდვილესთან.

როცა გოლგოთაზე მაცხოვრის ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავდა, მოხდა ქრისტეს მისტიკური დაკავშირება დედამიწასთან. ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მე-ს პირები არსებობს წმინდა ავგუსტინები, თომა აქვინელში, ფრანჩესკო ასიზელსა და სხვებში. ასევე, წმინდა ნინოში გადმოსულია ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მე-ს ხატი. „სვეტიცხოვლის ტაძარი გრაალის ტაძარია, რადგან იგი წმინდა ნინოს მითითებით იმ ადგილას

არის აგებული, სადაც ქრისტეს კვართია დამარხული.“ (აკა-კი ბაქრაძე) (11,63).

გრაალის მიმდინარეობას ქართველურ, კაბადოკიურ ეთნოსს უკავშირებს ზვიად გამსახურდია. მისი აზრით, ტერ-მინიც კაბადოკიურია: „გრაალი მიმდინარეობს ძველპროვან-სული და, ალბათ, ძირითადად, კაბადოკიური ტერმინიდან „გრაცალ“. კაბადოკიური ეთნოსი, რომელიც იგივე ქართვე-ლური, პროტოიბერიული ეთნოსია, არის ძირითადი შემქმნე-ლი გრაალის მიმდინარეობისა. ტიტურელი, ცნობილი პირვე-ლი მფლობელი გრაალისა, ეროვნებით იყო კაბადოკიელი, ე.ი. ქართველური წარმოშობისა... გრაალის მისია ეს არის სულინმინდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლი-სა, სულინმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულინმინ-დით გამსჭვალული ადამიანი.“

ზვიად გამსახურდიას დაკვირვებით, შავთელის ოდებში მოხსენებული „მადლთა ბარძიმი“ იგივე გრაალის თასია. ქართულ ფოლკლორში წმინდა გიორგის მიერ ქაჯავეთიდან წამოლებული თასიც გრაალია. გელათის ფრესკების ძირითა-დი მოტივები გრაალის თასთან არის დაკავშირებული... ყრმა მაცხოვარი, რომელიც უჭირავს გელათის ღვთისმშობელს, შუბლზე გრაალის ტვიფარს ატარებს. „ვეფხისტყაოსანიც“ გრაალის პოემაა იმიტომ, რომ გრაალის სიმბოლოებია, სი-ნონიმებია: საუნჯე, თვალ-მარგალიტი, ფილოსოფიური ქვა და ქალწული, ე.ი. ქალწულის გამოხსნა ტყვეობიდან იგივეა, რაც გრაალის გამოხსნა. ალეგორიულად, რაინდობა დაკავ-შირებული იყო ინიციაციასთან, რაინდობა იყო ინიციაციის ინსტიტუტი, ამიტომ მისი უმთავრესი მიზანი იყო ქვესკენელ-ში ჩასვლა და გრაალის გამოხსნა, ანუ წმინდა საწყისის გა-მოხსნა ბნელი ძალების ტყვეობიდან“ (12,38).

შერაბ კოსტავა იზიარებს რუდოლფ შტაინერის მოსაზ-რებას, რომ წმინდა გრაალის ბარძიმი, რომელსაც გრაალის ძმობის რაინდები ინახავდნენ სათუთად მონსალვატის მთა-ზე, დასავლეთიდან გადატანილ იქნა აღმოსავლეთში, მეფე-მღვდელმთავარ იოანესთან, ეს პირვენება კი დავით აღმაშე-

ნებელი იყო, რომელიც უმაღლეს დონეზე აერთებდა ღვთისა და მოყვასის სიყვარულისა და მსახურების მისტერიას.

„სწორედ გრაალის ბარძიმის გადაცემისას უნდა მიენიჭებინათ დავითისათვის მეფე-მღვდელმთავრის მაღალი სახელი იოანესთან ერთად და მისი ხელდასხმის საიდუმლო რიტუალს, ქართველებთან ერთად, შესაძლოა, ტაძრელი რაინდებიც ესწრებოდნენ.“

გელათის ფრესკული მხატვრობის ძირითად მოტივს სწორედ გრაალის ბარძიმი წარმოადგენს“ (13,51).

იოანე ხუცესის თქმულება გამოუყენებია კრეტიენ დე ტრუას რომანში „პარსიფალი ანუ თქმულება გრაალზე“, “ეშენბახი თავისი პოემისათვის უნდა დასესხებოდა ამ თქმულებას.

გერმანელმა პოეტმა ალბერტ შარფენბერგელმა (მე-13ს) თავის პოემას „ახალი ტიტურელი“ უნიდა და ფართო ადგილი მიუჩინა მასში იოანე ხუცესს და წმინდა გრაალის საკითხს.

ეზოტერული ქრისტიანობის წარმომადგენლებმა, რომელთაც უშუალო მეგობრობა აკავშირებდათ დავით-იოანე ხუცესთან, გრაალი აღმოსავლეთიდან კვლავ ევროპაში გადაიტანეს. განმარტოებულ და მიუწვდომელ ადგილას აღმართულ გრაალის კოშკს თორმეტი რაინდი მეთვალყურეობდა.

დავით აღმაშენებელი, დასავლეთში იოანე ხუცესად მიჩნეული, თვით იყო გრაალის რაინდი.

არსებობს ცნობა მეფე დავითისა და იოანე ხუცესის იდენტურობის შესახებ.

გრაალში მოცემულია საკაცობრიო სიყვარულის იდეალი.

გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონ სკერტი წიგნში „გრაალის ტაძრები კავკასიაში. თაურქისტიანობა სომხეთსა და საქართველოში“ - ამტკიცებს გრაალის ტაძრების არსებობას ამიერკავკასიაში...

გალაკტიონ ტაბიძე იყო სულინმინდის მადლით ცხებული პოეტი და ბუნებრივია გრაალისადმი მისი განსაკუთრებული ინტერესი.

მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში პოეტი მოწმე გახდა ღირებულებათა გადაფასების, სულის გაუდაბურების, ტირანიის, ანტიქრისტეთა ლეგიონების თარეშის. ქართველი კაცი გაუუცხავდა უფალს, უდანაშაულოთა სისხლით და ცხედრებით აივსო ქუჩები, რეპრესირებულ იქნენ ერის საუკეთესო წარმომადგენლები. გაუგონარი უსამართლობით გულმოკლული პოეტი მამალმერთს-„თიბათვის მზეს“ ევედრებოდა ძე ღმერთის მოვლინებას, რათა გადარჩენილიყო სიყვარული.

თიბათვის მზესთან მუხლმოყრილი, გრაალის ორეულად ქცეული, ანუ სულინმინდის მადლით ცხებული პოეტი ლოცულობს მხურვალედ, რათა გადარჩეს მისი სიყვარული: „მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები, იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე –ამას გევედრები.“

გულწრფელი სტრიქონები ლექსისა ფსალმუნის ავტორის ღალადისს ეხმაურება თითქოს: „ღმერთო, შემინახე თვალისწინივით, შენი ფრთების ჩრდილქვეშ დამიფარე ბოროტაგან, რომელი თავს მესხმიან, მტრებისგან, გარს რომ მერტყმიან სულის ამოსახდელად“ (ფსალმუნი, 17,8,9) (2,535).

მამალმერთის მეოხებით სწადია გალაკტიონს უბედურების ჟამს მამისმიერი სულის-სულინმინდის მოვლინება უმანკოთა მშვენიერი სულის შესანარჩუნებლად: „ტანჯვა-განსაცდელში თვალი მიურიდენ, სული მოუვლინე ისევ შენ-მიერი, დილა გაუთენე ისევ ციურიდან, სული უმანკოთა მიეც მშვენიერი.“ ლექსის „თიბათვის მზე“ მამალმერთია, მისმიერი სული-ქრისტე.

მამალმერთის სიმბოლოდ მიაჩნია აკაკი ბაქრაძეს „თიბათვის მზე“.

ლექსში „მზეო თიბათვისა“ ნახსენებია ქრისტიანული სამების სამივე წევრი: ღმერთი (თიბათვის მზე), სულინმინდა (სული მოუვლინე ისევ შენმიერი) და ძე ანუ ქრისტე („ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები“).

სტრიქონი - „ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედ-რები“ ასე უნდა წავიკითხოთ: ლოცვად მუხლმოყრილი ქრისტეს სისხლით სავსე თასს ვგავარო“ (აკაკი ბაქრაძე, „რას ნიშნავს თიბათვის მზე?“ (10, 300-301).

„თიბათვის მზესთან“ დაკავშირებით კი ასეთ ვარაუდს გამოთქვამს მეცნიერი: „პოეტი ღმერთს... სულინმინდის მოვლინებას ევედრება („სული მოუვლინე ისევ შენმიერი“), სულინმინდის მოფენის დღე კი 14 ივნისია (ძველი სტილით 1 ივნისი). ივნისი ხომ ქართულად თიბათვეა!“ (10, 302).

აშკარაა, მამალმერთის წინაშე „ლოცვად მუხლმოყრილი“ პოეტი გრაალს ედრება, ანუ თავის სულში სულინმინდის დავანებას გვამცნობს.

მხოლოდ ციური სულით არის შესაძლებელი მშვენიერების გადარჩენა, ამაღლება, თავისუფლების მიღწევა: „უფალი სულია, ხოლო სადაც არს სული უფლისა, იქვეა თავისუფლება.“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა მიმართ) (9,7) (2,388).

უკეთურობის, გაუტანლობის პერიოდში შემთხვევითი როდია სულის ნატვრა, რადგან „სულის ნაყოფია სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რნმენა, თვინიერება, თავშეკავება“ (პავლე მოციქული გალატელთა მიმართ, 6,22,23) (14,411).

ლექსის ფინალში კონკრეტდება შინაარსი ეპოქისა, რომელიც გამოიჩინა სისხლით, ცხედრებით, ქარტეხილებით და ბუნებრივია პოეტის სურვილი, ბოროტებამოძალებულ დროში გადარჩეს სასურველის ნათელი სული: „ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები, მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება, მზეო თიბათვისა, ამას გევედრები!“ (15,161).

ასე დაუპირისპირდა გალაკტიონის თანამედროვეობაში ერთმანეთს გრაალი, დიდი სიყვარული, უმანკო სული და ხანი უნდობარი, სისხლი, ცხედრები, მძაფრი ქარი.

არასწორი იქნებოდა იმ ლექსის დაკავშირება უცხოურ ტრადიციებთან. ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით, იგი მიძ-

ღვნილია ოლია ოკუჯავასადმი, შიშია მეგობრის მომავალზე, ვედრებაა სიყვარულის გამარჯვებაზე. ამიტომაცაა ასე გულწრფელი და სულისშემძვრელი მუსიკად ქცეული ტკივილები სულისა.

გალაკტიონის დროს ბევრჯერ იზეიმა ბოროტებამ, ძალმომრეობამ. ღმერთის საბოლოო სიკვდილისა და ცრუბელადების გაღმერთების იდეაც ამ ეპოქის გამონაგონი იყო. უჭირდა სიკეთეს, სიმართლეს, დრაკონის ნაშიერები ცდილობდნენ რელიგიური მრნამსის, გრაალის იდეალის ჩაკვლას. იტანჯებოდა პოეტების მეფე, იმსხვრეოდა გრაალის კოშკები, ლიდის სამრეკლო, უგულებელყოფილი იყო ციური ოცნება, კაცთა გაუგონარი მკრეხელობით კვდებოდა ვარდები და ქარვათა მორევში სამუდამოდ ეშვებოდა ფარდა. ანგელოსის პერგამენტზე ენერა უმძიმესი განაჩენი: „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი, მწუხარე, თვალებით მინას დაპყურებდა. მშვიდობით, მშვიდობით! ამაოდ დაგენდე, ელვარე საღამოვ ალმას საყურეთა! ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო, უთაოდ მახსენებ ოდესმე... ოდესმე! გრაალის კოშკები, ლიდის სამრეკლო შენს ფერხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა.“

ფითრდებოდა თვით ღვთისმშობელი, რომლის სიმბოლოა „ღრუბელი ფერადი“ (16,224) ციური ოცნების უხეში დაგმობით შეძრნუნებული იყო ძე ღმერთი – „ალვა თანადი“ (ალვა ძე ღმერთის სიმბოლოა) (17,122).

უიმედობა, ტკივილები და სამუდამო დამშვიდობება იყო ყოველივეს ფინალი: „ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები, საღამო კანკალებს შიშით და რიდობით, საღამო ნელდება და კვდება ვარდები... მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!“ (15,74)...

გალაკტიონი მზად იყო, სისხლით ენერა, ყოფიერების შხამიანი თასი დაეცალა, სიკეთისათვის სიცოცხლე გაეღო ქრისტესავით და გრაალის ბარძიმი გაევსო საკუთარი სისხლით, რაც მისი უკვდავების საწინდარი გახდა.

უდავოა, რომ ტერენტი გრანელის შემოქმედების ცენტრალური თემა იყო რწმენა, მართლმადიდებლური ქრისტიანობის, უმაღლესი რელიგიური ფასეულობების განუხრელი მსახურება. სამწუხაროდ, დაკარგულია მისი ოთხი კრებულის ხელნაწერები, რელიგიური პოემები. ძნელია მტკიცება, ჰქონდა თუ არა საკუთრივ გრაალზე ტერენტი გრანელს რამე დაწერილი, მაგრამ მისმა თანამედროვებამ იგი მაინც გრაალის ორდენის ერთგულ რაინდად წარმოიდგინა.

პოეტის მეგობარი კონსტანტინე გაჩერილაძე (კონნე სპერელი) ტერენტი კვირკველიას ფსევდონიმს – გრანელი – გრაალს უკავშირებდა და მიიჩნევდა, რომ ეს კეთილხმოვანი სიტყვა მიღებულია გრაალისგან: გრაალი – გრაალელი – გრანელი... (18,12-13).

ათეიისტურ მეოცე საუკუნეში სხვებსაც ენატრებოდათ გრაალი, მაგრამ ამ იდეალის გაუჩინარება ფაქტი იყო, რაც სევდით მსჯვალავდა მის მაძიებელს.

ზვიად გამსახურდიას თეორიულ ნააზრევზე, გრაალ-თან დაკავშირებით, უკვე გვქონდა საუბარი. მან პოეტურ ას-პექტმიც გამოავლინა ამ სახის წყურვილი და დააფიქსირა სავალალო სურათი: ქიმგაბზარული გრაალის კოშკი, სიბრძნე – ათენა შავი ყორნით და დემონების გაბატონება: „ვით შეღამების შუქ-ჩრდილები მთას დაფიქრებულს, ეწვევა სულის საკურთხეველს ახლა სხვა რული. გრაალის კოშკი შორით მოჩანს ქიმ-გაბზარული, პალლას ათენას, სიბრძნის ველზე უშფოთვლად რებულს „შავი ყორანი აზის თავზე“ და გაფითრებულს გარს ახვევია დემონების ბილწი არული“ (მიძღვნა. სონეტი) (19,5).

პოეტს ეზმანება გველეშაპების და ცისიერთა ბრძოლა, ესმის კენტავრების აურზაური, ახსენდება მონსალვატი, რომელიც ცისებრ სალუქი სულის უნაზეს ფოლიანტებს ააშრიალებს და მონსალვატზე დავანებული საგანძურის ნატვრას წარმოშობს: „გველეშაპები ინვოდნენ ცაზე... ცაზე კრებული ცისიერთა როს დაიფერფლა... და შემოგესმა კენტავრების აურზაური. მაშინ ლოგოსმა იფეთქა შენში და მოზღვაული

დაინთქა ლექსი და ამ ნალექსში შენ ამოაგზნე მონსალვატის ნელი ანთება და მით დალუქე ცისებრ სალუქი სულის შენის უნაზესი ფოლიანტები“. ლექსი ეძღვნება კონსტანტინე ჭიჭინაძეს და ამჯერად იგია გრაალის რაინდი, მონსალვატის საუნჯის მაძიებელი („კონსტანტინე ჭიჭინაძისადმი“) (19,36).

მონსალვატი არის „მთა ხსნისა“, მწვერვალი, რომელიც მდებარეობს მორეულ ნაპირზე, ...მიუწვდომელ მხარეში, შუაგულ ზღვაში, რომლის უკან მზე ამოდის... ეს არის უკვდავების მინა, რომელიც მიწიერ სამოთხესთან უნდა გავაიგივოთ“. (6,2).

სხვაგან ზ. გამსახურდია ღმერთს მიმართავს: „მეუფევ, შენი ბარძიმია სამყარო“, მაგრამ აქაც სევდაა, რადგან „გუმბათგადახდილი გაირღვა ტაძარი, ელვათა კვეთებამ კედლები დაბზარა“ („კოსმიური წირვა“) (19,116).

მერაბ კოსტავასადმი მიმართულ სტრიქონებში ივერიის ცაზე ღმერთის, ბარძიმის გაბრწყინების სურვილია: „დე, ელვარებდებდეს ივერთა ცაზე მზე შუაღამის, ბარძიმი წმინდა...“ (19,75).

მერაბ კოსტავას პოეზიაში გამორჩეული ადგილი ეთ-მობა გრაალის თემას.

ლექსში „ძმას ქრისტესმიერს“, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეძღვნება, ნაწარმოების ადრესატი წარმოიდგინება პარსიფალის ნახევარძმად, ტაძრელად, გრაალის მცველად: „...ხარ მწირი თამარ დედოფალისა საღვთო სინედლის გულში აღმძვრელი, თუ ნახევარძმა პარსიფალისა, დიდგორს მოსული ვინმე ტაძრელი, სამსხვერპლო სისხლით აღვსილი წმინდა გრაალის მცველი ღვთისგან ცხებული, თუ საიდუმლოდ ათონის მთიდან თორნიკესავით დაბრუნებული“ (20,9).

ცნობილია, რომ 1118 წელს, იერუსალიმში შეიქმნა ტაძლიერთა სამხედრო-სასულიერო ძმობა, რომელიც თავის თავს „მეტაძრეთა“ ორდენს უწოდებდა, რადგან მათი თავ-შეყრის შენობა აგებულ იქნა უშუალოდ იმ ადგილის მახლობლად, სადაც ლეგენდარული სოლომონ ბრძენის ტაძარი იყო

აღმართული (შ. ბადრიძე, „საქართველო და ჯვაროსნები“) (8,227).

საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სამუშაო ოთახში ეკიდა სურათი, რომლის კომპოზიცია ტამპლიერთა ცხოვრების ერთ ეპოზოდს გადმოგვცემს (8,227).

მეტაძრე ტამპლიერთა ორდენის წარმომადგენლებმა ტრაგიკულად დაასრულეს სიცოცხლე.

1314 წლის 18 მარტს საფრანგეთის მეფის ფილიპე IV ლა-მაზისა და მისი დამჯერე პაპის – კლიმენტი V შეთანხმებით, ინკვიზიციური პროცესი აღიძრა და სიკვდილით დასაჯეს კოცონზე მეტაძრე-ტამპლიერთა ორდენის უკანასკნელი მაგისტრი იაკობ მოლე, რითაც ფაქტიურად დაასრულა ორ-დენმა თავისი არსებობა (8,228).

„დიდგორში“ მერაბ კოსტავა ეხება დავით აღმაშენებლის სასწაულებრივ გამარჯვებას, მეფის სახელთან ბარძიმის დაკავშირებას, რადგან დავითი გრაალის მცველად მიიჩნეოდა: „აქეთ იყალთოთი, იქით გელათითა, მაცხოვარ, მან შენი სახელი ადიდა, აღსავლის კარიდან აღსტყორცნა არწივი, ზეცას დაუბრუნდა სერაფიმ – ბარძიმი (20,10).“

ლექსში „გალაკტიონი“ მერაბ კოსტავა პოეტების მეფის წუხილის უმთავრეს მიზეზად სამართლიანად მიიჩნევს ვრაალის, მონსალვატის მიუწვდომლობა-გაუჩინარებას: „...ყველა დროების პირველ პალადინს, რამეთუ გფერფლავს, ვითარცა ალი, სიწრფელე გულთამხილავი თვალის, შეულწევლობა მონსალვატისა, მიუწვდომლობა წმინდა გრაალის“...

„გრაალის“ მიმდევარს მოეთხოვება უმაღლესი კეთილშობილებისა და სიწმინდის პრინციპების დაცვა, ნათელი გონება და სუფთა გული; გახდეს ჭეშმარიტების დამცველი, კადნიერი მსახურება შეცვალოს თავმდაბლობით, უშიშრად შეავინროვოს სიყალბის სული და აღადგინოს თავის თავში სიტყვა (ლოგოსი). მხოლოდ იშვიათ რჩეულთ ეძლევათ ლირ-სყოფა გრაალის საიდუმლოებისა. გრაალი თვით უხმობს მათ. ეშენბახის მიხედვით, ფრაგეტანი გრაალის სახელს კითხულობდა ცის გუმბათზე (8,231).

„გრაალის რაინდი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის, ვინც შეიცნო პირველცოდვის სიმძიმე და რომელიც მოკრძალებით მიმართავდა „სრულ სამ – მზეს“, რათა „სულის მხედველობით“ ეხილა უფლის ნათელი და ამ „ნათელის“ განმტკიცებისათვის თვით ეტვირთა ჯვარი“ (8, 232).

პოეტი წარსული დიდებით ინუგეშებს თავს, რადგან საქართველოც იყო ერთ დროს „ისტორიის უმძლავრესი კოლოსი“ დავით მეფის დიდების დროს, როცა გელათის ამშვენებდა გრაალი: „საქართველოსაც ხომ ერგო რიგი, ვით ისტორიის უმძლავრეს კოლოსს, საოცრებათა გრაალი იგი, წმინდა გელათში იყო სულ ბოლოს. ჩვენი კაცობის დამამშვენებელს, ვინც იყო ჩვენი დიდების ჭერი, ხელთ ეპყრა დავით ალმაშენებელს, მეფე-მღვდელმთავარს ქართველი ერის“ (18, 11).

მერაბ კოსტავა თავის უდიდეს სატკივარს, ეჭვებს უზიარებს პოეტების მეფეს, რადგან ათეიზმის ზეობის ჟამს და-დუმებულია წმინდათა სავანე, ბურუსშია მომავალი: „მოვდივარ შენთან, როგორც მავანი, მარქვი, მგოსანო, რატომ მდუმარებს ღირსთა მამათა წმინდა სავანე? ნუთუ დაგვეხშო აღ-სავლის კარი და ერთიანად წაგვერთვა სმენა? რამეთუ ვუწყით, მეტყველი არი, ერთობ მჭევრია საგანთა ენა. რადგან უწყიან იქაც, მინაზეც, ვისთვისაც ჯერ არს, ყველამ იციან, ბარძიმი იქ არს, იმასთან ცაზე, გალილეია ვინც აირჩია“ (20, 144-162).

ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბ. 1992
4. აკაკი მინდიაშვილი, ხელოვნების რელიგიურობისა და თანამედროვე სინამდვილის შესახებ, „ცისკარი“, 1999, №3
5. რენე გენონი, გრაალის სიმბოლიზმი, ფრანგულიდან თარგმნა თამარ ჯაყელმა, „ლიტერატურული საქართველო“, 15 ოქტომბერი, 1992
6. რენე გენონი, მთა და გამოქვაბული, „ლიტერატურული საქართველო“, 27 დეკემბერი, 1987
7. გრაფი თარხანი, გრაალის თასის მცველები, მისი წარმოშობის ისტორია და სერ ლანსელოტის თავგადასავალი, ურნ. „გზა“, 2007, 28 ივნისი-4 ივლისი
8. თენგიზ ბურჭულაძე, დავით აღმაშენებელი და გრაალის რაინდები, აღმანახი „რინა“, სოხუმი, 1982
9. Н. Рерих, Избранные, М., 1979
10. აკაკი ბაქრაძე, თხ. ტ. III, თბ. 2004
11. აკაკი ბაქრაძე, „რწმენა“, თბილისი, 1969
12. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990
13. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991
14. დავით ტაკიძე, გრაალის მისტერიის ისტორიულ-ქრისტიანული არსი, „მწერლის გაზეთი“, 15-31 ოქტომბერი, 2004
15. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
16. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
17. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
18. მარინე ქადაგიძე, სივრცეში დარჩენილი ფრაზები. კონნესპერელი (კონსტანტინე გაჩეჩილაძე) ტერენტი გრანელის შესახებ, თბ. 2003
19. ზვიად გამსახურდია, მთვარის ნიშნობა, თბ. 1989
20. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990

მაცდური და კათილი დემონი

მერაბ კოსტავა ცდილობდა დრო-ჟამის ენის, სამყაროს ენის გაგებას, სიკეთისა და ბოროტების განჭვრეტას, სიცოცხლის, სიკედილის, ადამიანის არსის შეცნობას და ამ მიზნით მიმართავდა საღვთო სიბრძნეს, საღვთო სიყვარულს, ღრმა-აზროვან, უძველეს სიმბოლურ სახეებს. განსაკუთრებული ინტერესის საგანია მის შემოქმედებაში ეშმას, დემონის, სატანის, ლუციფერის, მეფისტოფელის, მაცილის პარადიგმები.

ეს სახეები გვხვდება ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, მითოლოგიაში, მხატვრულ ლიტერატურაში.

დაბადების წიგნში ეშმაკი, მაცდური გველის სახით ცხადდება პირველი ადამიანების – ადამის და ევას წინაშე, ევას აქეზებს აკრძალული ხის ნაყოფის მისაღებად, მერე ადამიც შეჭამს და ამის გამო ისინი განიდევნებიან სამოთხი-დან, კარგავენ უკვდავებას (დაბადება, 3,1,24) (1,8-9).

სახარებაში იესოს ცდის ეშმაკი, მაგრამ ვერ გადაიბი-რებს ღვთის ძეს, რომელიც ეუბნება მაცდურს: „განვედ, სა-ტანავ, ვინაიდან დაწერილია: უფალს შენს ღმერთს ეცი თაყ-ვანი და მხოლოდ მას ემსახურე“ (მათე, 4,1-17)(2,5-6).

ქრისტემ განკურნა ორი ეშმაკისეული (მათე, 9,28-34)(2,16).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში გვხვდება დი-დი, წითელი გველეშაპი, რომელსაც მიქაელი და მისი ანგე-ლოზები ებრძვიან ცაში: „გადმოგდებულ იქნა დიდი გველე-შაპი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი და სატანა ჰქვია; მთე-ლი წუთისოფლის მაცდუნებელი და მისი ანგელოზებიც გა-მოყრილ იქნენ მასთან ერთად“ (იოანეს გამოცხადება, 12,9)(2,503).

მიწაზე გადმოგდებულ გველეშაპს თაყვანს სცემენ ზღვიდან ამომავალი მხეცი და მიწის მხეცი, რომლებიც არი-ან ღვთის მგმობელები.

თეოლოგები ჯერ კიდევ || საუკუნიდან ექებდნენ ბიბლიური ანტიქრისტეს ისტორიულ პროტოტიპს. ასახელებდნენ ნერონს, დიოკლეტიანეს, ნაპოლეონს, პატრიარქ ნიკონს, მაგრამ არავის უცდია, გაეხსნა ეს შიფრი ლენინისა და სტალინის მიმართ (ვახტანგ გოგუაძე, ორი მხეცი) (3,249).

ერთ-ერთი მოსაზრებით, ზღვიდან ამომავალ მხეცში იგულისხმება ხალხის მასიდან მოსული ლენინი, ხოლო მიწის მხეცში იატაკევეშელი სტალინი (აპოკალიფსი და დღევანდელობა) (4,441).

ღვთისმეტყველებაში მითითებულია, რომ „ერთნაირი ბუნებისაა გველი, ვეშაპი, ლომი, როგორც მაცდური დემონი და ეშმაკი, როგორც სულის, ისე ხორცის დამღუპველი“ (ათანასე დიდი, ეპისტოლე) (5,104).

წმინდა ეფრემ ასური საუბრობს გველის სასწაულებზე, ეშმაკთა მიერ ანგელოზის სახის მიღებაზე, მინაზე მათი მეუფების შესახებ (6,16-78).

ახალ აღთქმაში „ცრუ მოციქული, მზაკვარნი მუშაკნი ქრისტეს მოციქულად“ გარდაისახებიან ხოლმე, „და არ არის საკვირველი, რადგან თვით სატანაც ხომ ნათლის ანგელოზად გარდაისახება“ (პავლე მოციქული, || კორინთელთა, 11,13,14) (2,298).

იოანეს გამოცხადებაში ზეცის ანგელოზმა შეიძყრო გველებაპი, იგივე ეშმაკი და სატანა, შებორკა ათასი წლით, ჩაკეტა უფსერულში და დაადო ბეჭედი (იოანეს გამოცხადება, 20,1,2,3) (2,516).

ათასი წლის შემდეგ გათავისუფლდება სატანა ხალხთა საცდუნებლად, მაგრამ მხეცთან და ცრუნინასწარმეტყველებთან ერთად ჩავარდება ცეცხლისა და გოგირდის ტპაში, დაიტანჯება უკუნითი უკუნისამდე (იოანეს გამოცხადება, 20,7-10) (2,517).

ბიბლიაში მაგიაში გაწაფული ბალამი დემონთა ზემოქმედების ქვეშ იყო, მაგრამ „საღვთო მობერვამ,... „საღვთო ძალამ“ ჩამოაცალა გრძნეულებას და „საღვთო განზრახვის ქადაგად იქცა“ (წმ. გრიგოლ ნოსელი) (7,118).

ღვთისმეტყველები ორ გზაზე, ორ მეგზურზე გვესაუბრებიან: „გზა ორია... ორია მეგზურიც. სწორი და დაფერდებული გზის მეგზური ცრუ და ბოროტი დემონია, ვინც ტკბობის მეშვეობით მიმდევართა მისთა დალუპვისკენ მიაქანებს, ხოლო უსწორმასწორო და ციცაბო გზისაა კეთილი ანგელოზი, რომელსაც სათხოებათა ქმნით ნეტარი აღსასრულისკენ მიჰყავს მიმდევარნი მისნი“ (წმ. ბასილ დიდი) (8,52).

ღვთის სახელის ხსენებით, ფსალმუნების გალობით შესაძლებელია დემონთა განდევნა, გვასწავლის წმინდა ნილოს სინელი: „ფსალმუნთაგალობას ნუ დაცხრებიან ბაგენი შენნი: რამეთუ ღვთის სახელის ხმობა განასხავს დემონთ“ (9,106).

„ფსალმუნი თავშესაფარია დემონთაგან და ანგელოზთა მოხმობა შემწეობისთვის“ (წმ. ბასილ დიდი) (8,45).

წმინდა ასური გვირჩევს, ქრისტიანული საჭურვლით, ჯვრით აღვიჭურვოთ სიკვდილის მომტანი დემონების წინააღმდეგ (5,138).

„ახლოსაა ჩასაფრებული და გამხრწელი ვეშაპი ანუ ამპარტავნების ეშმაკი“, გვაფრთხილებს წმ. ისააკ ასური (6,243).

„.... აქვს ეშმაკს სიკვდილის ხელმწიფება“ (პავლე მოციქული, წერილი ებრაელთა მიმართ, 3,14) (2,470).

პავლე მოციქული გვმოძღვრავს: „არ შეგიძლიათ სვათ უფლის სასმისი და ეშმაკის სასმისი, არ შეგიძლიათ უფლის სუფრასაც ეზიაროთ და ეშმაკის სუფრასაც“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 10,21) (2,371).

ეშმაკის მზაკვრობას მხოლოდ ღვთის რწმენით აღჭურვილი შეებრძოლება: „შეიმოსეთ ღვთის სრული საჭურველი, რათა შესძლოთ წინააღვუდგეთ ეშმაკის მზაკვრობას“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 63,11) (2,421)

ახალ აღთქმაში დაგმობილია მიწიური, მშვინვიერი, ეშმაკეული სიბრძნე, წუთისოფლის მაცდური სიბრძნე, რომელსაც უპირისპირდება „მაღლიდან გარდმომავალი... მშვიდობიანი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერ-

ძოებელი და უთვალთმაქცო სიბრძნე“ (იაკობ მოციქული, 4,15,17)(2,298).

სატანა - „მშენიერი ეშმაკი“ აღმატებული ნიჭის სინონიმი იყო ბოდლერისთვის, ამიტომაც საუბრობდა მასთან წილნაყარობაზე და ხოტბას აღუვლენდა „ბოროტების ყვავილების“ წინასიტყვაობაში: „თუ არ დაგმოძღვრა შენ თვით სატანამ, ვინც სავერაგეს ასწავლის ყველას, მოეშვი! მაინც გაიგებ ვერას, ან ტვინაშლილად შემრაცხავ მანამ“ (ეპიგრაფი მსჯავრდადებული წიგნისათვის) (10,245).

ბოდლერს უყვარდა სატანა, რომელსაც ცოდვის გზით სიკეთისკენ – ცოდნისკენ მიჰყავდა ადმიანი, მისი დევიზი იყო: „Обожать прекрасного дьявола“ (Ш.Бодлер, Лирика, М. 1970, 241).

ზოგჯერ აწყვილებენ დემონს და შეშლილს.

გოეთე გენიალობასთან აკავშირებდა შეშლილის ცნებას და შეშლილ დემონს უწოდებდა ბეთხოვენს: „საჭიროა მოკრძალება იმის წინაშე, რასაც გამოთქვამს ასეთი შეშლილი დემონი, რადგან მას გენია უნათებს გზას და ხშირად იქ უსხივოსნებს, სადაც ჩვენ უკუნეთით ვართ მოცული და ვერც კი მივმხვდარვართ, საიდან ამობრნებინდება მზე“ (11,102)

გოეთე აიგივებდა დემონს და მფარველ ანგელოზს (12,159).

ამასთან საუბრობდა „შემყოვნებელ“, შემფერხებელ, ხელისშემშლელ დემონებზე“ (12,173).

„ამაღლებულ ადამიანთა მმართველ ძალას დემონი წარმოადგენს და მუდმივად საჭიროა სიფხიზლე, რათა სწორი მიმართულება მიეცეს მის ზემოქმედებას. რაც უფრო მაღლა დგას ადამიანი, მით უფრო ექვემდებარება ის დემონთა ზეგავლენას და მუდამ უყრადღებით უნდა იყოს, რომ მისი ნებისყოფა გზას არ ააცდინონ“ (12,185).

დემონურს ადამიანთა ურთიერთობის მახასიათებლადაც გაიაზრებდა გოეთე:

„ასევე განაგებდა ჩემი და შილერის ურთიერთობას დემონური ძალა, რაც ორივესთვის ლირსშესანიშნავი იყო“ (12,185).

დემონური შემოქმედებითი ნებით იყვნენ ხელდასხმული მუსიკისა და მწერლობის გიგანტები: „დემონები დროდადრო კაცობრიობის გამოსაჯავრებლად ნებას აძლევენ ამათუ იმ პიროვნებას, იყოს იმდენად მომხიბლავი და დიდი, რომ ყველას სურს მას დაემსგავსოს, მაგრამ მის სიმაღლეზე ვერავინ ადის. მათი ნებით იშვა რაფაელი, რომლის აზრი და ნამოქმედარი ერთნაირად სრულყოფილია. დემონებმა ინებეს გაჩენილიყო მოცარტი, მიუწვდომელი სიმაღლე მუსიკაში, ხოლო პოეზიაში შექსპირი“ (12,198).

ერთ შემთხვევაში გოეთე ჰომუნკულუსის მსგავს სულიერ არსებებს დემონებს მიაკუთვნებდა, ნეგატიურ ჭრილში, რა თქმა უნდა (12,199).

„ჰომუნკულუსი ლათინურად კაცუნას ნიშნავს. იგი შუა საუკუნეების ალქიმიკოსების მიერ წარმოდენილი ადამიანის მსგავსი რაღაც არსებაა, რომელიც ხელოვნურად არის მიღებული (13, 466)“.

გოეთე დემონურს უმეტესად შემოქმედი ადამიანების, გენიალური მხედართმთავრების, ბუნების უჩვეულო მოვლენების დასახასიათებლად მიმართავდა. გოეთეს იტაცებდა დემონური, ბოლომდე ამოუხსნელი ბუნების ადამიანები, მათ ნახევრად ღმერთებთან ახსენებდა და ასეთებად მიაჩნდა ნაპოლეონი, ჰერცოგი.

ძალაუფლებისმპყრობელ, გამოჩენილ პიროვნებებშიც ხედავდა გოეთე დემონურს: „დემონური ხალისით ისადგურებს გამოჩენილ პიროვნებებში, მით უმეტეს, თუ მათ ძალაუფლებაც უჭირავთ ხელში, მაგალითად ფრიდრიხ დიდი და პეტრე დიდი“ (12,221).

დემონურს, ამოუხსნელს, მთლიანად დემონურს და ნაწილობრივ დემონურს ჭვრეტდა გოეთე ხილულსა და უხილავში: „დემონური არსებობს აგრეთვე მოვლენებში, თანაცყველაფერში, რომელთაც გონი, საზრისი და გონება ვერ

გვიხსნის... საყოველთაოდ გვევლინება ის ... ხილულშიც და უხილავშიც. ზოგი ქმნილება საერთოდ მთლიანად დემონურია, ზოგშიც ნაწილია დემონური“.

„ფაუსტის“ ავტორი განასხვავებდა მეფისტიფელს და დემონურს, დემონს ხედავდა მუსიკოსებთან, მაღალი რანგის დემონურ ძალას შეიგრძნობდა პაგანინის მუსიკაში: „მეფისტოფელი მეტისმეტად უარყოფითი სახეა, დემონური კი გამოვლინდება მხოლოდ დადებითი, პოზიტიური მოქმედებით“.

„ხელოვანთა შორის... უფრო მუსიკოსებთან იელვებს, ნაკლებად მხატვრებში. პაგანინის სახით მაღალი რანგის დემონურ ძალასთან გვაქვს საქმე, რითაც ზემოქმედებას ახდენს“ (12,220).

ძალზე ლოგიკური, კლასიკური, რეალისტური ხელოვნების მოთაყვანე გოეთე მაღალ პოეზიას აღიქვამდა, როგორც დემონურს, შეუცნობელს, „განსჯის, გონების, საზრისის მაღლა მდგომს და მომაჯადოებელს, ამავე დროს“ (12,221).

„პოეზიაში... უკვე თავისთავად არის რადაც დემონური, უფრო კი შეუცნობელში, სადაც ყოველგვარი განსჯა, გონება, საზრისი უძლურია, რის გამოც ასე გვაჯადოებს ხოლმე..“

დემონური, დადებითი გაგებით, გოეთემ გამოჩენილ პიროვნებებში, ძალაუფლებისმპყრობელებშიც დაინახა: გოეთე მრავალგზის უსვამდა ხაზს ბაირონის განსაკუთრებულობას, მის გენიალობას და ამბობდა: „ბაირონშიც მაღალი ხარისხის იყო დემონური სული.“.. (12,221).

ეკერმანი, რომელმაც შემოგვიხახა გოეთეს გამონათქვამები, ასკვნის: „... თვით გოეთეს გამოჩენაც განსაზღვრეს დემონებმა“ (12,198).

აღმატებულ, საზღვრებს მიღმა არსებულ მოვლენად ესახებოდა გრიგოლ რობაქიძეს დემონური. დემონურს იყენებდა მწერალი პოეზიის, იდეის, პოლიტიკოსთა, წინასწარმეტყველთა, სარდლების, ძალაუფლებისმპყრობელთა მახასიათებლად, როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ჭრილში.

გრიგოლ რობაქიძის აზრით, „დემონურ თრობას“ განიცდიან პოეტები, წინასწარმეტყველები, სარდლები, ტომის ბელადები“ (დემონი და მითოსი).

მსოფლიოში აღიარებული კლასიკოსი რევოლუციის, ბოლშევიზმის იდეოლოგებში ლუციფერულს, არიმანულს ანუ უარყოფით ენერგიას ხედავდა. მნერლის აზრით, ლენინში „ცეცხლოვან – ლუციფერული“ გამოვლინდა, სტალინში – „ცივ-არიმანული“ (14,64).

ნეგატიურ ჭრილში უნდა გავიგოთ მარქსისტული იდეის დემონურობა, რადგან გრიგოლ რობაქიძე ყოველთვის უარყოფითად იყო განწყობილი როგორც მარქსიზმის, ისე სტალინისადმი: „სტალინი ბრმა ინსტინქტით გრძნობდა მარქსისტული იდეის დემონურობას“ (14,73).

უარყოფითი მუხტის მატარებელია მნერლის განაცხადი ბოლშევიკებზე, მინის კოლექტივიზაციაზე: „ბოლშევიკი ... მინის კოლექტივიზაციაში თავის დემონურ ყოვლისშეძლეობას ზეიმობს“ (14,81).

სტალინისა და ტროცკის დაპირისპირებას გრიგოლ რობაქიძე აღიქვამდა, როგორც ორი დემონის ბრძოლას, ორი ბოროტი ენერგიის დაპირისპირებას, მაგრამ მაინც განსაკუთრებულად წამოსწვდა წინ სტალინის ბოროტებას, არიმანული ძალის, სიძულვილის ნაშიერს უწოდებდა მას, ხოლო ტროცკის „ნახევრად ლუციფერად“ მოიხსენებდა. „ორივე დემონის ბრძოლაში სიძულვილის ნაშიერმა, როგორც ყოველთვის, დაამარცხა ნახევრად ლუციფერი, ასკვნიდა გრიგოლ რობაქიძე“ (14,93).

კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავდა, რომ ინგლისში ბაირონს დემონად აღიქვამდნენ.

ლემონტოვი თავის თავს „ბოროტების რჩეულად“ თვლიდა, მის პოეზიაში დემონი გონების გამასხივოსნებელ, სრულყოფილების მომნიჭებელ ძალად, შფოთვისა და მოუსვენრობის სათავედ აღიქმება.

გალაკტიონი გოეთეს სატანასთან აიგივებდა (მაგიდა ალემბიკებათ) (15,91) დადებით ჭრილში, რა თქმა უნდა და

პოეტობას დემონური, გენიალური ნიჭის გამოვლინებად აცხადებდა (16,63-73).

ამასთან, დემონს, სატანას, ბელზებელს, მეფისტოფელს, ლუციფერს ბოროტი ძალის სიმბოლოდაც წარმოაჩენდა (16,217-229).

ქართული მწერლების და პოეტების აზრი დემონურზე ემთხვევა დიდი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის აზრს: „მას, ვინც ყველაფერი შეიცნო, დემონურს ვუწოდებთ“ (17,52).

მერაბ კოსტავა ცხოვრებას აღიქვამდა სიკეთე – ბოროტების, მიწის და ზეცის, თეთრის და შავის დაპირისპირების ჭრილში, ცხოვრობდა მართლმადიდებლური ქრისტიანული მცნებების ერთგულებით, განადიდებდა სამებას, მარიამ ღვთისმშობელს, წმინდა გიორგის, ანგელოზებს, ქერუბიმს, სერაფიმებს, ხედავდა სულს, აცნობიერებდა ბოროტების გარდუვალობას, ცხოვრების განსაცდელს და თავისი პოეზიის უპირველეს მისიად მიაჩნდა რწმენის მსახურება, სულის წრთობა, სულის განწმენდა, სინაულით, ლოცვებით ზნეობრივი ამაღლება და ზესთასოფელში დამკვიდრება.

პოეტი უცდომლად ხედავდა ადამიანის სულს, როგორც ოკეანეს, რომელსაც ადამიანის უდრევემა ნებამ უნდა ამოსდოს ლაგამი, დააცხროს ღელვა, ამასთან, მისი სული იყო ფიქრების, ოცნებების, ხილვების, იდეების განუჭვრეტელი ოკეანე.

მერაბ კოსტავამ შეძლო ადამიანის სულში დაბუდებული მხეცების, გველების ალაგმვა, დემონის, როგორც ორსახეობის შემეცნება და ნეგატიურ საწყისებთან ბრძოლა, წინამორბედი კლასიკოსების მსგავსად.

მის შემოქმედებაში მრავალსახოვანი ბოროტება სახელდებულია, როგორც მაცილი, სატანა, ეშმა, ლუციფერი, მეფისტოფელი, დემონი, თანაც დემონი როდია მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი.

დემონი მხოლოდ გარეგნული ძალა არ არის, იგი, უპირველესად, ადამიანის შინაგანი სამყაროს, ასტრალების

მკვიდრია, ამიტომაც უკეთურების გამოვლენამდე, იგი სულ-ში, ასტრალურ სფეროში უნდა დამარცხდეს. სულიერ ჭრილ-ში დემონების დამმარცხებლად პოეტს ესახება თავისი იდე-ური თანამებრძოლი ზვიად გამსახურდია და ასე მიმართავს მას: „.... უკიდეგანო, ასტრალურ ზღვაში, დემონთა ხროვის დამამხობელო“ (ძმას ქრისტესმიერს) (18,11-15).

თვითონაც, მისი ლექსიც დემონურ ცდუნებას განრი-დებულია, რადგან განგებით აქვს მომადლებული სიტყვით ბოროტების დამარცხების ძალა, ნიჭი: „ჰე, ლექსო, ვეღარ გამკეჭნავ დემონიური ჭანგებით, შენი ცხენივით გახედნა მომნიჭებია განგებით“ (ლექსი) (12,60-61).

პოეტის სურვილია, მშვენიერ სხეულში მშვენიერი სუ-ლი იხილოს, მარიამ ღვთისმმობელი, ქეთევან წამებული, თა-მარ დედოფალი უნდა იწამოს, უმაღლესი ზნეობის მიმდე-ვარმა არ უნდა გაიკაროს მზაკვარი სატანა: „იყავ უმაღლესი ზნეობის მპყრობელი, მშვენების მისხალსაც ნუ მისცემ სა-ტანას“ (სულში ჩაგეღვენთოს) (18,32).

დემონი მხოლოდ ბოროტი ძალა როდია, ერთ-ერთი გა-გებით, კეთილი დემონი შემოქმედებითი გენიის სიმბოლოა.

აღმავალ ერს მართებს ღმერთების, კეთილი დემონების ხსოვნის ერთგულება, საღვთო ცეცხლის განახლება: „ჰოი ეგვიპტევ, სჯობს განიახლო ცეცხლი საღვთო ძველი დიდე-ბის, ხსოვნა ღმერთების, ხსოვნა კეთილ დაიმონისა“ (ბიბლი-ური რემინისცენციები) (18,101).

დემონ-ლუციფერთა შესახებ საუბარი ბუნებრივად უკავშირდება გალაკტიონ ტაბიძის სახელს, რადგან ამ თემა-ზე გალაკტიონს ძალიან ვრცელი ციკლი აქვს.

მერაბ კოსტავას მართებული აზრით, გალაკტიონი არის „შემმეცნებელი მეფისტოფელის“ ანუ ბოროტების (გა-ლაკტიონი) (18,158).

პოეტის განსაკუთრებული ყურადღება დაუმსახურებია გალაკტიონის ლექსს „შეუნდე!“, რომელშიაც ლუციფერის მიმართ წყევლა კი არ აღევლინება, არამედ შენდობა და ბო-როტებას „უმანკო ნათელი“, ანუ ღმერთი უპირისპირდება,

ვინაიდან მხოლოდ ყოვლისშემძლე უზენაესის პრეროგატი-
ვაა მოსპობა, გარდაქმნა, გარდასახვა.

მერაბ კოსტავა ასე მიმართავს გალაკტიონს: „თუმც არ
უმღერდი ლუციფერს ოდას, სიცისფრეს მისას ვარდად
ათოვდი და ვისაც ტატო განვედო! – სთხოვდა, მისთვის შენ-
დობას გულწრფელად გვთხოვდი“ (გალაკტიონი) (18,151).

მერაბ კოსტავასთვის დემონი, გარდა ბოროტებისა,
არის „შენდობის ლირსი“, „საანგელოზო“ (მართლაც, დემონი
დაცემული ანგელოზია, რომელიც ამპარტავნობის გამო იქნა
სამოთხიდან განდევნილი), სწორედ ასეთი დემონია გალაკ-
ტიონის სულში, როგორც გენიის სიმბოლო: „... რომელმაც
სულში ჩასტირე დემონს, შენდობის ლირსს და საანგელო-
ზოს“ (გალაკტიონი).

„ორფიულ საგალობლებში“ დემონი მოაზრებულია
ორგვარი გაგებით, როგორც „უწმინდესი“ და ამასთან „სია-
ვე“, „მოკვდავთა დემონი“, „დემონი ცათა და დედამიწის,
ქვესკნელის“.

მერაბ კოსტავას ლექსში „ქვეგამხედვართა და მზაკ-
ვართა“ მტრები არიან წმინდა მამები (ლირს მამა-დავითს).

პოეტი გვირჩევს, ხორცს კი არა, სულს ვემსახუროთ:
„... შესძელ ალაგმო შენში გურმანი, გაავებული, როგორც სა-
ტანა“ (შიმშილობა).

როგორც სოკრატეს, გოეთეს არსებაში, დემონის ბო-
ბოქრობას ხედავს მერაბ კოსტავა გალაკტიონის სულში:
„ვით სოკრატეში, ვით გოეთეში, შენშიც მძლავრობდა ის და-
იმონი“ (გალაკტიონი) (18,154).

ასე ძირისძირობამდე სწვდებოდა მერაბ კოსტავა წინა-
მორბედთა ტრადიციებს, ამასთან, ჰქონდა განუმეორებელი
მიგნებები და არასოდეს კარგავდა ორიგინალობას.

ღვთისმეტყველთა კვალიობაზე, ქრისტეს უარმყოფელ-
ნი სახელდებიან მაცდუნებელ ეშმაკებად: „პოეტს ვერ დაც-
დის მაცდურის თვალი, თქვა ღვთისმეტყველმან, ნათლით
ცხებულმან, ვინც სიქველეთა უწყოდა რიგი, ვინც ქრისტეს

არ ცნობს განკაცებულად, ეშმაკისაგან არისო იგი“ (გალაკტიონი) (18,151).

სატანის დამმარცხებელი, პოეტის აზრით, მხოლოდ სიყვარულია: „... რომ თვით სატანას დავცემთ არულით, რადგან ვირწმუნეთ თვით უკვდავება, რომ არ არსებობს უსიყვარულოდ“ (გალაკტიონი) (18,147).

პავლე მოციქული გვაიმედებს: „მშვიდობის ღმერთი მალე თქვენს ფერხთით შემუსრავს სატანას“ (რომაელთა, 13,33) (2,202).

„შეიმოსეთ ღვთის სრული საჭურველი, რათა შესძლოთ წინ აღუდგეთ ეშმაკის მზაკვრობას“ (ეფესელთა, 6,11).

„ბილწი მაცდური“, სატანა ყოველთვის „სისხლით ხელ-მოწერილს“ ითხოვს (როგორც გოეთე ბრძანებდა), მაგრამ თუ მწიგნობარი „ეშმას ნაზირი“ გახდა, ამაოდ დაშვრება, ვერ მიაღწევს „სულისა და სისხლის კავშირს“ (ბიბლიური რემინისცენციები (18,93).

„საჭესთან“ მყოფი „მაცდური“ მუდამ „მავნებლობს“ (ძმას ქრისტესმიერს) (18,14), მაგრამ პოეტი „მშვიდობის ღმერთის“ თანამგზავრია და, წმინდა წერილის კვალობაზე, „სიტყვის მახვილით“, „ღვთის საჭურველით“ სძლევს უწმინდურს.

ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
3. ვახტანგ გოგუაძე, სტალინი და საშინელი სამსჯავრო, თბ. 2006
4. იოანე – იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ. 1994
5. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ. 1991
6. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ. 1991
7. გრიგოლ ნოსელი, მოსეს ცხოვრება, თბ, 1990
8. წმინდა ბასილ დიდი, თხზულებანი, თბ. 2002
9. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბ. 1992
10. ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, თარგმანი დავით აკ-რიანის, თბ. 1992
11. ალ. ალშვანგი, ბეთხოვენი, აკაკი გელოვანის თარგმანი, თბ. 1958
12. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, თარგმანი აკაკი გელოვანის, ბათუმი, 1988
13. მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 1973
14. გრიგოლ რობაქიძე, დემონი და მითოსი, თარგმნა მანანა კვატაიამ, თბ. 2012
15. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, თბ. 1991
16. ლუარა სორდია, მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონი თბ. 2011
17. პლატონი, ნადიმი, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ. 1964
18. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990

მრავალთავიან პიდრასთან მებრძოლი

მეოცე საუკუნე გამოირჩა ათეიზმით, სიკეთის, სიმართლის იგნორირებით, რეპრესიებით, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპით, სოციალისტური რეალიზმის დოგმებით, რომელიც კრძალავდა სატანური სინამდვილის ობიექტურად ასახვას. რევოლუციამ, ბოლშევიზმმა ისევ დაჰკიდა დამოკლეს მახვილი ჩვენი სამშობლოს თავზე და კიდევ ერთხელ გახდა საჭირო, რომ მწერლობას მოესხა მებრძოლის, მოსამართლის, მოძღვრის მენტია და ეკისრა გადამრჩენის ურთულესი მისია.

ჭეშმარიტების ერთგულნი მაინც ეროვნული ტრიადის მსახურებას მიიჩნევდნენ მხატვრული სიტყვის უმთავრეს დანიშნულებად, ისინი ენიგმებს, სიმბოლო-ალეგორიებს მიმართავდნენ და ქვეტექსტებით ამხელდნენ ეპოქის უკუღმართობებს, რათა ხელიდან დასხლტომოდნენ „ქორმეძებრებიან ცენზურას“.

ამ მხრივ, ბიბლიური, აპოკალიფსური სახეები იძლეოდა დიდ შესაძლებლობას „ჯოჯოხეთური სამოთხის“ არსის გახსნისათვის.

მერაბ კოსტავა მეფისტოფელის საუკუნეს საქმითაც ერკინებოდა და სიტყვითაც, რათა გადაერჩინა უმაღლესი, საქვეყნო იდეალები.

პოეტი მოგვევლინა შეურიგებელი მებრძოლის, ობიექტური, მოუსყიდველი მსაჯულის როლში, რაც მხოლოდ „გამბედაობის დიდი გენიით“ გამორჩეულთ ხელენიფებათ, მაგრამ ასეთების ხვედრია რეპრესიები, დილეგი, ფიზიკური განადგურება.

მერაბ კოსტავამ ბოლომდე იწვნია აპოკალიფსური მხეცების სისასტიკე, მაგრამ მუხლჩაუხრელად ატარა თავისი ჯვარი და საუკუნის ურჩხულთან შერკინების რაინდული მაგალითები დაუტოვა შთამომავლობას, ბევრჯერ დააფრთხო და დაახევინა ბოროტებას, ამასთან, შეუმცდარად იწინასწარმეტყველა უკუთურთა გარდუვალი განკითხვა.

როგორც ცხოვრებაში, ისე პოეზიაში მერაბ კოსტავა დარჩა, როგორც უშიშარი გოლიათი, ერის უკომპრომისო სინდისი, მისი ნიჭის, სულიერი და ფიზიკური ძალების უდრეკი შემართების უებრო გამოვლინება.

გველის, იქედნეს, ღრიანკალის, ასპიტის, დრაკონის, გველეშაპის სახეთა გამოყენებით ააშკარავებდა პოეტი თავისი თანამედროვე ეპოქის ჯოჯოხეთურ ხასიათს.

ეს პარადიგმები გასდევს მითოლოგიას, ბიბლიას, საერთოდ, მხატვრულ სიტყვას.

საყოველთაოდ ცნობილია ბიბლიის მაცდუნებელი გველი, რომელმაც უკვდავება დააკარგვინა სამოთხის პირველ ადამიანებს – ევას და ადამს (დაბადება, I, II, III, 7-9)(1,7-9).

კაცობრიობის ისტორიის მარადიული თანამდევია უზენაესისგან დაწყევლილი, ბოროტებად სახელდებული გველი და მისი ვარიაციები.

ესაია წინასწარმეტყველი ჭვრეტდა გველის ფესვიდან გამოსულ საშიშ, მფრინავ გველეშაპს: „გველის ფესვიდან გამოვა უნასი და მისი ნაშეირი მფრინავი გველეშაპი იქნება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 14,29) (2,841).

გველეშაპის კომპლექსებს ხედავდა იერემია წინასწარმეტყველი ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის არსებაში (იერემია, 51,34)(1,177).

ურჩ ებრაელებს გველებს აგესლინებდა უზენაესი (რიცხვთა, 21,6-9)(2,157).

წუთისოფლის მაცდუნებელ დიდ, წითელ გველეშაპს ციდან ჩამოაგდებენ მიქაელი და მისი ანგელოზები (იოანეს გამოცხადება, 12,9)(3,505).

მიწაზე გადმოგდებულ გველეშაპს თაყვანს სცემენ ზღვიდან ამომავალი მხეცი და მიწის მხეცი. გველეშაპი ღვთისმგმობელ ზღვის მხეცს მისცემს თავის ძალას, ტახტს და ხელმწიფებას (იოანეს გამოცხადება, 13,1,2,5,6)(3,506).

მიწიდან ამომავალი მხეცი სასწაულებით აცდუნებდა ხალხს, დედამიწის მკვიდრთ შთააგონებდა, რომ გაეკეთებინათ მხეცის ხატება (იოანეს გამოცხადებ, 14,11-18)(3,507).

თეოლოგები მეორე საუკუნიდან ეძებდნენ ბიბლიური ანტიქრისტეს პროტოტიპს, ასახელებდნენ წერონს, დიოკ-ლეტანეს, ნაპოლეონს, პატრიარქ ნიკონს და სხვა (4,249).

ცნობილი მოსაზრებით, ზღვიდან ამომავალ მხეცში იგულისხმება ხალხის მასებიდან მოსული ლენინი, ხოლო მინის მხეცში – იატაკქვეშელი სტალინი (აპოკალიფსი და დღე-ვანდელობა) (5,441).

ღვთისმეტყველების მიხედვით, „გველი, ვეშაპი... მაც-დური დემონი და ეშმაკია, როგორც სულის, ისე ხორცის დამ-ღუპველი“ (ათანასე დიდი) (6,104).

წმინდა ეფრემ ასური საუბრობს „უსაძაგლეს ვეშაპზე“, გველის სასწაულებზე, ეშმაკთა ამაღლებაზე და სისასტიკე – ბოროტებაზე, ვეშაპის მიწის მეუფედ ქცევაზე, კაცთა დამო-ნებაზე, სიკვდილის აჩრდილებზე (სიტყვა უფლის მოსვლი-სათვის, აღსასრულისა და ანტიქრისტეს გამოჩინებისათვის) (7,76,78).

წმინდა მამა აფრთხილებს არამტკიცე რწმენის ადამია-ნებს, რომ ქრისტიანული ჯვარი შეიცვლება მხეცის ბეჭდით და ამ სატანური დაღის მიმღებნი ჯოჯოხეთში მოექცევიან (7,82).

ასევე, აცხადებს, რომ „ურწმუნოთა ბიწიერი სულები“ მორიელების და გველების მომაკვდინებელი შხამით დაიგეს-ლებიან (7,415-416).

წმინდა ეპისკოფოსი ეგნატე გვირჩევს: „... რწმენის მახ-ვილით მოჰკვეთე თავი ამ გვევლებს, როგორც კი თავისი ხვრელიდან გამოსრიალდებიან“ (7,263).

გარეული მხეცები, გველები ნართაულად გამოხატავენ სულიერ მდგომარეობას (ნეტარი ავგუსტინე)(8,294).

ეშმაკის, დემონის სახელია გველი, ვეშაპი (ათანასე დი-დი) (6,104).

ოქროს საწმისზე არგონავტების თქმულებაში საწმისს დარაჯობს გველეშაპი. საწმისი სიმბოლოა სულიერი განძი-სა, ეს კი ნიშნავს, რომ ეს სიბრძნე ქვენა ძალების ხელშია (9,176).

ვეშაპის დამარცების საშუალებაა უფლის მცნებათა დაცვა, მარხვა, სინანული, ლოცვა, ნათლისღება.

ზემოხსენებული სახეებისადმი დიდია ინტერესი სასულიერო მწერლობაში, მე-19 და მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

ამ ასპექტით მერაპ კოსტავას წინამორბედები არიან კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, ოთარ ჩხეიძე, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ალექსან-დრე აბაშელი, პაოლო იაშვილი.

მერაპ კოსტავა ტრადიციებს შემოქმედებითად იყენებს. იგი ფსიქოლოგიურ ჭრილში გაიაზრებს პრობლემას. გველის სახეს პოეტი მკვლელის წაბილული სულის გასაშიფრად მიმართავს. გისოსებში მოქცეულ ბოროტმოქმედს გველივით გესლავს თავისი კოშმარული ხსოვნა. საიქიოში იგი ვალებით წარდგება, მკვლელი სიკვდილის ცელს ვერ აიცილებს: „... გეკვრიან ლორნოვან გველებად კოშმარულ ხსოვნათა რკალები, ნაბდად აგისხია მკვლელობა, გუდად-საიქიო ვალები. სახე მიტკლისებრ გაგხდომია, ნაგვემი ლეკვივით ტანჯული, ავი წინათგრძნობა აგხდომია, სიკვდილის ცელს ლესენ მსაჯულნი“ (განაჩენის მოლოდინში)(10,28-31).

შიშისგან დაბერებულ არაკაცს მოკლულთა თალჩით შემოსილი დედების ხილვა არ ასვენებს. სიკვდილის აჩრდილთან შეხვედრაზე მძიმეა მოკლულთა სულებთან შეხვედრა, მკვლელის სიკვდილით შეძრნუნებული სული ზეცაში არ დაპინავდება, შეუბრალებლად გადაითიბება. ტანჯვას ადლიერებს უთვისტომობა, მკვლელს არავინ ეკარება შიშით, რადგან მრავალი ჩაუწვენია სამარეში ნაადრევად. ცხადში მედილეგეს ხედავს, ახლობლებს – მხოლოდ ძილში. ჩასაფრებულ იქედნეს მოლოდინში გადის უმზეო ცაში გახიზნული „ცოფიანი ვეფხვის“ დრო და მისი ტანჯვის შემყურე პოეტი მზად არის საკუთარ თავზე აიღოს სასჯელი... ლექსში პოეტ-მა შესძლო გველის საშუალებით ეგრძნობინებინა მკითხველისთვის დანაშაულის ჩამდენი ადამიანის სულიერი ტრაგედია, ამასთან, იქედნე წარმოსახა, როგორც სიკვდილი.

პოეტს არ ასვენებდა ბიბლიურ ედემში მოკალათებული ადამიანის სულის წამწყმედი ბოროტი გველი, კაცობრიობის მარადიული თანამდევი სატანა, რომელიც გადაგვარება – გადაშენებით ემუქრებოდა კაცთა მოდგმას და მარიამ ღვთისმშობელს ევედრებოდა ხსნას: „ადამის მოდგმა დაობლდა, თუ გველი გაწვა ცაზედა, ედემში ალვა ჰყვაოდა, აქ ნაცარს ვიყრი თავზედა. სოფლისა წარმავალობამ გამიასკეცა ჭრილობა, თუ მიხსნის, შენი წყალობა და შენი წილხვდომილობა“ (ღვთისმშობლისადმი) (10,34-36).

უსათაურო ლექსში „ქარვა გაუხუნდათ ალვებს“ (10,66-67) უბეში მოკალათებული გველი სასოწარკვეთილებში აგდებს ლირიკულ პერსონაჟს. ყოველივე ნათელს, კეთილს გესლით, ცოფით, სისინით ემუქრება გველი, სურს ზღვის ფსკერში ჩალალოს ადამიანები, მოცელოს ანძები, დაამსხვრიოს გემები, ემუქრება ცას, ღრუბლებს, არ ასვენებს „სიბრძნის უჩინარი ტახტი“.

„ცა“ მარიამ ღვთისმშობლის სახელია (11,90), ასევე ღრუბელი, „სულმცირე ღრუბელი“, „ღრუბელი ნათლისა“ არის ჩვენი ზეციური დედის მეტაფორა (12,200).

უბეში დაბუდებული გველი გესლით, ცოფით იმუქრება, დაუნდობლად თელავს ამაგს, სიკეთეში დაეჭვებას იწვევს: „ფეხით მითელავენ ამაგს, სიკეთეს არვისგან ველი, შვილივით სუყველგან დამყავს, უბეში ჩაკრული გველი... მაინც ვერ ისვენებს გველი, უბიდან ამოჰყრის კისერს, გესლი აქვს ნემსივით მწველი, ცოფიან სისინით მიმზერს“.

ქრისტეს პერანგით შემოსილ პოეტს არ სჯერა უკეთურის ყოვლისშემძლეობის, მას ეიმედება „სიბრძნის უჩინარი ტახტი“ (ლმერთი): „ო, ნურც ივაგლახოს გველმა, რომ რამეს დამაკლებს ეულს, რა უნდა მოსწიოს კრულმა სამსალით გაჟღენთილ სხეულს“...

მხოლოდ განსაცდელს გადარჩენილი გემები და ანძები იმსახურებს პატივისცემას: „მხოლოდ გადარჩენილ გემებს, მხოლოდ გადაუმსხვრევ ანძებს, თრთოლვით დაუკოცნის ქიმებს, კრძალვით აარიდებს ხანძრებს“.

ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში „ზღვა, მწარენყლი-ანი მარილისგან და მშვოთვარე ქარიშხალთაგან, სიმბოლოა ამა სოფლისა“ (18,519).

იოანეს სახარების ნეტარი ავგუსტინესეული განმარტებით, ამ „ზღვაზე გადასასვლელია გემი, ძელი, იგივე ჯვარი, ჯვარცმა“ (8,519).

ანდა, აფრა, იალქანი ძველბერძნული სიმბოლოა სული-სა (გრიგოლ ღვთისმეტყველი, „სწავლანი“, ეფრემ მცირის თარგმანი (13,82).

პოეტის მიზანი იყო სულის, რწმენის, ეროვნული ფასეულობების გადარჩენა და მთელი მისი ცხოვრება სწორედ ამ გადარჩენის, მუხლჩაუხრელობას, ამპარტავნების ვეშაპთან, მუცლითმხობავ იქედნებთან დაპირისპირების ისტორია და გმირული სულის მატიანეა.

მერაბ კოსტავა ადიდებდა „მინდვრის კანჯარს“, წმინდა გიორგის რაინდს თურმანს, რომელიც გველ-ლრიანკალთა სამსალას, ცხრა დევის მუქარას უშიშრად ებრძოდა და ამარცხებდა: „.... ტოლებში გამორჩეულო, რკინით გამკვეთო ძვალისა, ვერაფერს გაკლებს სამსალა გველის და ლრიანკალი-სა“ (თურმანო, მინდვრის კანჯარო) (10,62).

მორწმუნე პოეტს სწამდა ქრისტეს მსახურთა სასწაულებრივი ძალის, ეთაყვანებოდა ცამეტ ასურელ მამას, რომელთაც რწმენით, სიკეთით დაამარცხეს ბილწი დრაკონი, უკვდავება დაიმკვიდრეს და ჩვენი ზეციური დედის მადლი დაიმსახურეს: „...საქმეთა თქვენთა ასაპყარეს ბილწი დრაკონი და ბოროტება უმსახურეს სიკეთის წიაღს... უკვდავებას-თან დადებული აღთქმა აღსრულდა და თბილისს ცაზე აღებეჭდა ღვთისმშობლის ღიმი“ (ლირს მამა— დავითს) (10,104).

რწმენის ძალით, სიმართლის შეწევნით შეძლო წმინდა გრაალის მცველმა დავით აღმაშენებელმა დიდგორში სასწაულებრივი გამარჯვება, გველის, ბასილისკოს, ლრიანკალის გათელვა, ფილოსოფიური აზროვნებისა და ღვთისმეტყველების აღორძინება თავის მიერ დაარსებულ სიბრძნის კერებში — იყალთოსა და გრემში: „დუშმანს გაეგება დავით

თოროსანი, მესიის ელვა და ედემის სოსანი და ბოცომკალი-ვით მომდგარი საჰარა მკლავზე დაიგრიხა, მშვილდივით წა-სარა. გულდაგულ შემუსრა მტარვალთა კერპები, გველს და ბასილისკოს დაასო ტერფები, ბალდადურ ღრიანკალს დას-თხარა ჭანგები, იდიდოს მადლი და კურთხევა განგების. აქეთ იყალთოთი, იქით გელითითა მაცხოვარ, მან შენი სახე-ლი ადიდა. აღსავლის კარიდან ასტყორცნა არწივი, ზეცას დაუბრუნა სერაფიმ-ბარძიმი“ (10,117).

ლექსში „გალაკტიონი“ პოეტების მეფე წარმოდგენი-ლია, როგორც საღვთო სიბრძნეს, საღვთო სიყვარულს ნაზი-არები, ბიბლიურ მოსესავით სულიერი წინამძღოლი ერისა, რომელმაც ებრაელი ხალხის მეთაურივით აღმართა სპილენ-ძის გველი ნამდვილი გველის შხამის ძალის გასანეიტრალებ-ლად და ამით გადაირჩინა თავი: „ვითარცა მოსემ, აღმართე გველი, ანაზდად ლურჯას მათრახი სწყვიტე, საასპარეზო უჩვენე ვრცელი. როცა გახელდი, მთლად აიწყვეიტე, ახსენე ტრფობა უკანასკნელი“ (10,145-159).

ბიბლიაში ურწმუნო ებრაელები ეურჩებოდნენ ღმერთს, მოსეს. ბევრჯერ პატიების შემდეგ, ღმერთმა დასაჯა თავნე-ბა ადამიანები შხამიანი გველებით, რის შედეგად დაიხოცა ბევრი. ებრაელებმა ინანეს, აღიარეს თავიანთი დანაშაული და სთხოვეს მოსეს, ისევ შევედრებოდა მათთვის ღმერთს, რომ ეხსნა ისინი შხამიანი გველებისგან. მოსეს შუამდგომ-ლობის შემდეგ ღმერთმა აპატია ებრაელებს შეცოდება, მო-სეს კი გააკეთებინა სპილენძის გველი და ჩამოაკიდებინა მა-ლალ ადგილზე. გველისგან დამხამულთ უნდა შეეხედათ ამ სპილენძის გველისთვის, რათა დაკბენილთა შხამი განეიტ-რალებულიყო. ეს იყო მათი გადარჩენის საშუალება (რიცხ.21,6-9)(1,157).

ცნობილია, მკითხველები და კრიტიკოსები გალაკტი-ონს ამუნათებდნენ ხელისუფლების იძულებით, შეკვეთით დაწერილი ეპოქის სახოტბი ლექსების გამო, მიზეზებს კი არავინ ულრმავდებოდა.

მერაბ კოსტავამ, ამ ერთი შეხედვით საჩოთირო თემას, დამაჯერებელი პასუხი გასცა და დაგვარწმუნა, რომ რო-

გორც სპილენძის გველი იყო ნამდილი გველის შხამისგან ზე-მოქმედების გაუვნებელყოფის საშუალება, ასევე გაღაკტიონის გადარჩენის საწინდარი, სპილენძის გველის ტოლფარდი ხერხი იყო პოეტის უგულოდ დაწერილი, ვითომცდა ძლევა-მოსილი სოციალიზმის სადიდებელი ლექსები, რადგან ტო-ტალიტარულ ეპოქაში მხატვრულ სიტყვას ხელისუფლების პოლიტიკის მსახურება ევალებოდა და სიმართლის მსახურ-თა ხვედრი იყო ფსიქიატრიული რეპრესიები, დევნა, ციხე.

მერაბ კოსტავას რწმენით, სიკეთე მარადიულია, ბორო-ტება დროებითი, რომელიც ყოველთვის მარცხდება. „ასპი-ტის ელდა“ უძლურია „სიწმინდის თვალის“, მაცხოვრის წინა-შე: „იყავ უმწიკვლო, ვითა ცხოვარი, სიწმინდის თვალი, ასპი-ტის ელდა, მხსნელად მივირქვათ ჩვენ მაცხოვარი, დაგვი-შოშმინებს მსოფლიო სევდას“ (10,121).

თვალი, „თვალი ცხოვრებისა“, „მზის თვალი“ საღმრთო სახელია, მერაბ კოსტავასთან ეს სახე ფიგურირებს მიგნებუ-ლი ეპითეტის - „სიწმინდის“ თანხლებით. ამ სახის წყაროა ბიბლია: „უფლის თვალი ათასჯერ ნათელია მზეზე, ის ადამი-ანთა ყველა გზას ჭვრეტს“... (სიბრძნე ზირაქისა, 23,19)(2,50).

„ყველგან უფლის თვალებია, ხედავენ უკეთურებს და კეთილებს“ (იგავნი სოლომონისა, (5,3)(1,627).

ჭეშმარიტი ცხოვრება სიხარბის, მომხვეჭელობის, გან-ცხომის დაგმობაა, სიწმინდის მსახურება, ღმერთის გეზის ძიება, „ერთის“ ორგვლივ გაერთიანება მაღალი მიზნით: „...ასე იკვრება მრავალი ერთით, მსგავსი, რომლისაც არ გვე-გულება, თუკი სამყაროს გულია ღმერთი, გზაა სიწრფელეც და ერთგულებაც. და ამიტომაც დაგვმოძღვროს, გვედრით, ულირსთ გვაჩვენოს თავის დიდება, თუკი სამყაროს აზრია ღმერთი, გზაა სიბრძნეც და ჭეშმარიტებაც“ (იყავ უმწიკ-ვლო, ვითა ცხოვარი)(10,54).

ერთი ღმერთის „სახელია: „ერთია ღმერთი და ერთია ღმერთსა და კაცთა შორის შუამავალი ქრისტე იესო“ (პავლე მოციქული, იტიმოთე, 3,5) (3,452).

გზა ღმერთის სახელია. ქრისტე არის „გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე 14,6)(3,211).

სიბრძნე თავად უფალია: „მე, სიბრძნე, დავანებული ვარ შეგნებაში და ფიქრების ცოდნა მოვიპოვე“ (იგავნი სოლომონისა, 48,12)(1,622).

ჭეშმარიტება ღმერთია: „.... ჭეშმარიტებაა ღმერთი, მართალი და წრფელია იგი“ (II ეზრა, 32,4)(2,209).

„კურთხეულია ღმერთი ჭეშმარიტებისა“ (II ეზრა, 4,40) (2,480)

„ღმერთი – ჭეშმარიტების სვეტი და საფუძველია“ (პავლე მოციქული, I ტიმოთე, 4,75)(3,451).

ლექსში „შიმშილობა“ ერთად ისახება გველი და მტრედი. საუბარია მათ „შეხმატკბილებაზე“: „განმისპეტაკე, მაღალო ცაო, გველისა ტრედთან შეხმატკბილება, ბალლურ სიწმინდეს რომ შევუზავო ცხოვრების ჩემის გამოცდილება“ (10,149).

გველი სიბრძნის სიმბოლოა, მტრედი – სიწმინდის.

მერაბ კოსტავას ფრაზის წყაროა სახარება. როცა ქრისტემ თავისი მონაფეები მიავლინა ხალხში, სიკეთის, მშვიდობის, მკურნალობის მისით, ასე დამოძღვრა: „აპა, მე მიგავლენთ თქვენ, როგორც ცხვრებს მგელთა შორის. აბა, იყავით გონიერნი, როგორც გველნი და უმანქონი, როგორც მტრედნი“ (მათე, 10,16)(3,20).

პოეტის რწმენით, მზის–უფლის სასწაულმოქმედება ჭის წყვდიადშიც აღწევს, რათა უნასი უნაზეს ქალად – სიკეთედ გარდასახოს: „ჭის წყვდიადიდან თუნდაც უნასი აბრდლვიალებდეს თილისმა თვალსა, თუნდაც წყეული უდგეს კრიჭაში, მზე ჩაბრძანდება მაინც იმ ჭაში და უნასს აქცევს უნაზეს ქალად“ (დე, ჩამოიქცეს ტანჯულის ცრემლი)(10,79).

მერაბ კოსტავას კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვილ წერილშიც წარმოჩნდება საზარელი გველის ნაირსახეობა – ჰიდრა, როგორც ეპოქის მახასიათებელი, რომელიც მონუსხა, დაამარცხა დიდი პროზაიკოსის ნიჭმა: „მსოფლიო აღიარების შემდეგ აირჩიეს (მწერალი ლ.ს.) აკადემიის წევ-

რად, პრესაში ხოტბა აღუვლინეს, გამოუცეს ტომეულები, გადაუხადეს იუბილე, გაირინდა მრავალთავიანი ჰიდრა, გულში ჩაიგუბა ბალდამი“ (გამოსათხოვარი) (14,198).

ჰიდრასთან მებრძოლი, ამ სატანისეული ძალის დამ-მარცხებელი იყო დიდოსტატის ქმნილებები: „ქართველი ხალხის სიყვარულმა გააპატიოსნა მისი ცხედარი, სიყვა-რულმა, რომელიც მწერალთა და მოღვაწეთა სიდიადის ერ-თადერთი უცდომელი ბარომეტრია, ამიტომაც ცხრათავიან-მა ჰიდრამ ვერ მიჩქმალა, ვერ მიისაკუთრა მისი სახელი“ (14,199).

ბიდრა ბერძნული მითოლოგიის მიხედვით არის წყლის გველი, რომელსაც მოჭრილი თავების ნაცვლად ახლები ამოსდიოდა. მოკლა ჰერაკლემ (15,462).

მერაბ კოსტავას პოეზია არის დიდ ქართველ კლასი-კოსთა საუკუთესო ტრადიციების შემოქმედებითი გათავისე-ბის, ბოროტებასთან, მრავალთავიან ჰიდრასთან შეუდრეკე-ლი ბრძოლის საშვილიშვილო მაგალითი.

ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
4. ვახტანგ გოგუაძე, ორი მხეცი (ლენინი და სტალინი), სტა-ლინი და საშინელი სამსჯავრო, თბ. 2006
5. იოანე - იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ. 1994
6. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ. 1991
7. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ. 1991
8. ნეტარი ავგუსტინე, ალსარებანი, ლათინურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1995
9. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყვე-ლება, თბ, 1991
10. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
11. სინური მრავალთავი, თბ. 1959
12. ნევმირებული ძლისპირნი, თბ. 1982
13. თამარ კუკავა, ეფრემ მცირის იამბიკოები, თბ. 1988
14. მერაბ კოსტავა, შეწყვეტილი ფიქრები, თბ.1991
15. მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 1973

სული — ოკაცე

მერაბ კოსტავა საქართველოს თანამდევი მარადიული სულია.

ერის ბედისწერამ მოავლინა იგი ადამიანისა და სამშობლოს მისის შესაცნობად, აპოკალიფსურ მხეცებთან მებრძოლად, რათა უდიდესი უპირატესობით გაემარჯვა ბნელეთის მოციქულებზე.

ქრისტეს მხედარი, უფლის მებაღე, ქართული ეროვნული ფენომენის განსაკუთრებულობის დასტური, უნმინდური გველაშაპისთვის ლახვარჩამცემი წმინდა გიორგის მიწიერი ჰიბოსტასი, ცოტნე დადიანივით მაღალი ზნეობის, გმირული სულით გამორჩეული, სამშობლოს „მუდამ ფხიზელი სინდისი“ (კობა იმედაშვილი) იყო მერაბ კოსტავა.

გრაალის ორდენის უშიშარი რაინდი, მისივე მიგნებული გამოთქმით, „სიტყვით ნათლისმცემელი“, ასეთად დარჩება მერაბ კოსტავა ერის მეხსიერებაში.

მისი ფილოსოფიურ-რელიგიური ხასიათის ნაშრომები: „ფიქრები საქართველოს მისიაზე“, „ფიქრები ქართულ კულტურაზე“, „წერილები“, „ლექსები“ გვენმუნებს, რომ მათი ავტორი იყო სულინმინდის მადლით გაბრძნობილი, ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, ცნობილ ღვთისმეტყველთა, ფილოსოფოსთა აზროვნებას, ქართული და მსოფლიო სულიერი კულტურის მიღწევებს ნაზიარები სიტყვის ოსტატი.

მერაბ კოსტავას პოეზია „ზეცის, მიწის და საქართველოს მარადიული დიდებაა“ (ზვიად გამსახურდია, „ძე ქარიშხლისა,,“) (1,10).

მაღალი სულიერება, ქრისტიანული მრწამსი, ეროვნული ტრიადის ერთგულება დაანათლა არსთგანმრიგემ მის შემოქმედებას.

მერაბ კოსტავა უცდომლად იცნობდა ადამიანს, გაცნობიერებული ჰქონდა მისი პიროვნული, საქვეყნო, საკაცობრიო ვალი, ულრმავდებოდა სიკვდილ-სიცოცხლის, სულის და ხორცის, მიწის და ზეცის იდუმალებას, ხედავდა „უჩინარს“, „მჭვრეტელთაგან უხილველს“, სწამდა სულის მარადიულობა.

მისი ლირიკის მთავარი პერსონაჟია სული უფლისმიერი, სული სატანისეული, სული რაინდული, სული მარადიული, სასწაულმოქმედი.

ის ფლობდა სულის მართვის, სულის წრთობის, დაოკება-დაურვების, მისი სიკეთისკენ მოქცევის, ბელზებელის განგდების ძალას, დაოსტატებული იყო სულის ზრდის საიდუმლოებებში, ნაზიარები იყო ეზოტერულ სიბრძნეს.

ბიბლიაში, თეოლოგიაში, სასულიერო ლიტერატურაში სულის მრავალსახეობის, უსაზღვრობის, უკეთურობის დასახასიათებლად გამოყენებულია ზღვის, ოკეანის ბინადართა, ქვეწარმავალთა, ნადირ-მხეცების, სცილასა და ქარიბდას სიმბოლური სახეები, რომელთა დამარცხება მხოლოდ გულისა და გონების განსაკუთრებულ ძალისხმევას, რწმენას ხელეწიფება.

მერაბ კოსტავა ამ მარადიულ პრობლემას ბრძენი ფილოსოფოსის სიდინჯით, მარლთმორნმუნე ქრისტიანის სულგრძელობით აშუქებდა და, ჭეშმარიტების მიმგნები, სულის ხსნის გზებს გვიჩვენებდა, გარდუვალ გამოცდასა და განსაცდელთა დაძლევის შესახებ გვესაუბრებოდა.

ამ მხრივ, მის პოეზიაში ყურადღებას იქცევს ოკეანის, ზღვის, მდინარის, წყაროს სახეები.

ბიბლიაში ზღვა ცოდვილი ცხოვრების სიმბოლოა: „ბოროტეული აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრის ლაფს და ტალახს“ (ესაია, 57, 20) (21,16).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით „ზღვა მწარე წყლიანი მარილისგან და მშფოთვარე ქარიშხალთაგან, სიმბოლოა ამასოფლისა“ (3,519)

ზღვა წმინდა წერილის ენაზე აჯანყებული, მოუსვენარი, ღვთისმოსაობის მტერი ხალხის სიმბოლოცაა (4,179)

ღვთისმეტყველი გვასწავლის, რომ ამ ზღვაზე გადასასვლელია გემი, ძელი, იგივე ჯვარი, ანუ რწმენა (3, 453).

ზღვაზე წარმატებით გადასვლა შეძლო ებრაელი ხალხის წინამდოლმა მოსემ (გამოსვლა, 14,1-31) (5,71-72).

ქრისტე აწყნარებდა ქარს, ზღვას და თავისუფლად დადიო-ოდა წყალზე (მარკოზი, 4,39) (6, 76).

„მცირედმორნმუნე“ პეტრემ ვერ შესძლო იგივე და ჩა-ძირვა იწყო (მათე, 15,28) (6, 32).

ზღვის გადალახვა იქ ბინადართა – ეშმაკეულთა, ვეშაპის, ნიანგის დამარცხებას, სცილასა და ქარიბდას შორის გავლასაც გულისხმობს და ღვთისმოსავნი ევედრებოდნენ ღმერთს დან-თქმისაგან გადარჩენას და მყუდრო ნავთსაყუდელის პოვნას (გრიგოლ ხანძთელი, სოფლისა ზღვაი აღძრულ არს) (7, 476)

გალაკტიონ ტაბიძეს ზღვის გადავლის, უკეთურ ძალებ-თან შერკინების ძალას აძლევდა „დამხსნელი ჯვარი“, რაღაც სპეტაკი, უცხო შვენება“(პორტრეტი).

მზე, სიცოცხლე, სიყვარული, ღმერთი იყო პოეტის წინამ-ძღვარი მრისხანე ზღვების გადავლისას(გადავიარეთ მრისხანე ზღვები) (8,385).

ამასთან, გალაკტიონის პოეზიაში „დიადის“ შექმნის სტი-მულია ზღვასავით ამოუწურავი ოცნება, ხოლო პოეტის არსე-ბაში ახმაურებული ზღვა მისი გენია (ზღვა ახმაურდა) (9, 491).

მერაბ კოსტავას ლირიკაში ადამიანის სულის მახასია-თებლად გვხვდება ზღვა, ოკეანე, ტბა, მდინარე, წყარო.

ლექსში „ეტიუდი“ (1,80) ცოდვის წვეთები „რისხვიან, გულღვარძლიან, დაუნდობელ, მძვინვარე ოკეანედ“ იქცევა და ახალი წარღვნის საშიშროებას ქმნის: „ისევ აღვზევდები, დავ-ლახავ ნაპირებს, მე ოკეანე ვარ რისხვაგვიანი, ვარ გულღვარ-ძლიანი, წარღვნად ამხედრებას აშკარად ვაპირებ. ვარ დაუნ-დობელი, შფოთი და მძვინვარე... კაცთა მზვაობრობავ, გაგაუ-ჩინარებ ჩემი მზვაობრობით და გვამთა მდინარეს ზღვას გაუმ-დინარეს რომ შევრთავ, გპირდებით... მტრისას, ო, მტრისას ჩე-მი გავეშება, აშკარად სიკვდილი ცელს ლესავს თქვენს უკან“.

ეს ოკეანე - უკეთურება ადამიანის სულშია, ნების მოჩ-ლუნგების, ცოდვათა დაუოკებლობის შედეგია: „მე ოკეანე, არათუ გარეთ, ადამიანო, შენს სულში ვმძვინვარებ, ნების მოჩ-ლუნგებას განანებ მწარედ, ვერ დამაოკებ და სასტიკად ინა-ნებ“.

„ვნებათა ღელვის“ დამარცხების ძალა „სულიერი კუნთებია“, ადამიანის ძალისხმევაა: „ჩვენს შორის ზავი არასდროს დაიდება, ისევ შენს ხელთა ჩემი დამშვიდება. ვნებათა დააცხრე ღელვა სამინელი, სულიერ კუნთებით ეკვეთე გულადად“.

ახალ აღთქმაში ბოროტების დამმარცხებელ ძალას ეწოდება „ღვთის სიტყვა“, „ორლესული მახვილი“ (პავლე მოციქული, ებრაელთა 4,12) (6, 472) „რწმენისა და სიყვარულის აბჯარი“, „ხსნის იმედის მუზარადი“ (პავლე მოციქული, I თესალონიკელთა, 5, 8) (6, 442).

სულინმინდის ქარად წოდებული წმინდა მამა გვირჩევს ბოროტებასთან ბრძოლისთვის ავიღოთ „სიმართლის ჯავშანი“, ... „რწმენის ფარი“, ხსნის ჩაჩქანი და სულის მახვილი“, რომელიც არის „ღვთის სიტყვა“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 6, 14, 16, 17) (6, 422).

მერაბ კოსტავას „ეტიუდში“ ხსნის გზად ისახება „სიქველის ნათელი“ (ღმერთი), სულის ხორცზე აღმატება, მხოლოდ „მშვიდი ზღვით“ (მშვიდი ბუნებით) იხილვება ზეცა - ვარსკვლავეთი: „სიქველის ნათელით იხსენ სამშვინველი, თავად სამშვინველი გარდაჰქმენ სულადა. სიმშვიდით დაჰკაფე ზვირთები ას-მკლავა, რამეთუ მშვიდი ზღვა ირეკლავს ვარსკვლავეთს“.

პოეტის აზრით, მხოლოდ ასე შეიძლება „არსთა არსთან“ (ღმერთთან) მიახლოება, ციური დასის ჰარმონიის განცდა, ამაღლება: „მშვიდი სამშვინველი აროდეს ბერდება, ის ამრეკლავია თვით არსთა არსისა, საოცარ ნათებად ოდეს აუღერდება, მასში ჰარმონია ციერთა დასისა“.

დაცემის აცილება, ცოდვათა დამარცხება მხოლოდ რელიგიასთან, სიბრძნესთან, სიყვარულთან, მშვენიერებასთან წილნაყარის ხვედრია: „აღარ გაბადია შენ სხვა რელიქვია. ვერ-სით მოიპოვო შენ სხვა ბედნიერება. ეგრე დაცემული გიხსნას რელიგიამ, სიბრძნემ, სიყვარულმა და მშვენიერებამ“.

თავად ღმერთია „წყარო სიბრძნისა“ (ბარუქ წინასწარმეტყველი, 3, 12) (5, 190).

„ღმერთი სიყვარულია“ (კათოლიკე ეპისტოლენი I იოანე-სი, 4,8) (6, 320).

ოკეანის მუქარის, „სასტიკი ლტოლვების“ ამლაგმავი მხოლოდ სულია, სული ღვთისგან ნაბოძები, რადგან ადამიანი შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა.

ხორციელ ადამიანში აბობოქრებულ ცოდვის ოკეანეს მხოლოდ ღვთაებრივი საწყისიდან ჩანსრგილი სული ამარცხებს.

და სული უნდა იქცეს ამ სტიქის მმართველ ძალად, სათავედ: „მაშინ ისევ შენ უნდა ამომდო ლაგამი, სასტიკი ლტოლვები, ვითარცა ნაგავი, საკუთარ ბუნების ფესვიდან აღგავი. ბუნება შენი არის ოკეანე, სული შენი კი არის სადავე“. პოეტი ენდობა მხოლოდ „გადაუმსხვრევ ანძებს“.

ღვთისმეტყველებაში აფრა, ანძა, იალქანი, ღუზა არის სულიწმინდის, სულის სიმბოლო (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სწავლანი, ეფრემ მცირეს თარგმანი) (10, 82)

ადამიანი ზეცის ნერგია, ედემის ბალის ბინადარი, იქიდან ცოდვის, აკრძალული ცნობადის ხის ნაყოფის მიღების გამო განდევნილი, მაგრამ ადამის და ევას შვილმა სეთმა წმინდა ცხოვრებით ისევ მიიღო სამოთხეში შესვლის უფლება, რათა დაებრუნებინა გრაალი და დაეარსებინა სულიერი ცენტრი, დაკარგული სამოთხის ხატი და შემცვლელი (11,4).

მერაბ კოსტავა თავისი ღერძის პერსონაჟს შეახსენებს ადამის მაგალითს, თავის ვალს - მოსთხაროს ეკალ-ბარდები და ახაროს ვარდი (ასეთ შემთხვევაში გალაკტიონი ამბობს: „ყვავილთ შემოშენებაო,“): ნერგს ზეცით გადმორგულს ნუ დააზიანებთ, ცად მობრუნებული გახსოვდეს ადამი, ვალის მიტევებას ნუ დააგვიანებ, ვარდი დარგე და მოსთხარე ეკალი“.

ვარდი საღვთო და საღვთისმშობლო სახელია.

ეკალი ურნმუნო სულის მახასიათებელია: „როგორც დაუმუშავებელი მინა უხეშდება და იფარება ბუჩქნარებით, ასევე საღმრთო სწავლებას მოკლებულ სულშიც აღმოცენდება ეკლები და მანკიერი სურვილები“ (12, 25).

ადამიანის ცდომილებას მოსდევს „ეკლებისა და კუროს-თავების აღმოცენება“ (13, 357).

ამ შეგონების გაუთვალისწინებლობისას ხდება სულის დაწყლულება: „თორემ მოგიხტები ყოვლის წამლეკავი, თორემ არ დაცხრება ჩემი მძვინვარება. ზათქით გადავრეცხავ ზურგს დედამიწისა, მცირე ნაკოდარებს გიქცევ იარებად“.

ცოდვილი ადამიანი გადაგვარებული, მავნე, უნაყოფო თესლია, მატლი, მას ვერ იხსნის „ახმახ-ცათამბჯენები“, მისგან მხოლოდ მტვერი დარჩება, ფსკერზე აღმოჩნდება: „ქიმს შენა-ხეთქები მტვრად გარდაიქმნები, საკუთარ ლტოლვათა ფსკერ-ზე დაინთქმები, ოდეს გადაგიარ ტალღათა გრეხილით“ (ეტიუ-დი).

ადამიანის სული აბობოქრებული ოკეანეა, ყოვლისწამ-ლეკავი სტიქიაა, რომელსაც სჭირდება ჯებირი: „შენ ხარ ოკეა-ნე, აბობოქრებული, ამასთანავე შენ ხარ ჯებირი, შლეგი ტალ-ღების შემკეტველი რვალის კლიტულში“.

სული არის როგორც დიონისოს (ქვეცნობიერის, ქაოტუ-რის, დაფარულის), ისე აპოლონის (ლვთაებრივი ჰარმონიის) სავანე: „შენში ღრეობდა დიონისო და ან აპოლონ უკრავს შენში ლვთაებრივ ჰანგებს“ (პაემანი) (1, 121).

„პაემანი“ ეძღვნება ზვიად გამსახურდიას, რომელიც წერს, რომ ამ ლექსში მერაბმა „საოცრად ინინასწარმეტყველა ის, რომ იგი ჩემზე ადრე დასტოვებდა ამ წუთისოფელს და მე მის აკლდამასთან, თაღლით მოსილი, დაველოდებოდი მეგობ-რის აჩრდილს. აკი ამიხდა ყოველივე!“ (1,5).

სულით მკვდრეთით ალდგომის საწინდარია „სინანულის ზღვა“, ცოდვათა მოკვდინება: „...ხამს სინანულის ზღვაში ჩაყ-ვინთო, მოკვდი და მკვდრეთით ალდექ“ (სულო დაიცა) (1, 40).

გველის და ცოფის სახეში სიმბოლიზირებული ბოროტება ემტერება სიკეთეს, რჩმენას: „გველი ღუზიდან ამოჰყრის გე-მებს, ზღვაში გადარეკავს ლახტით“.

შარლ ბოდლერი ყოველ ადამიანში ხედავს უარყოფის სულს, რომელიც სიმბოლიზირებულია გველის სახეში და „სავ-სე იმედის თასს“ აცარიელებს ეს „აუტანელი გველგესლა“ (მებენარი) (14, 252).

„სიბრძნის წყაროსთან (ღმერთთან) წილნაყარს ძალუდს თავის ნებას დაუმორჩილოს „ოკეანეთა ვწება“, რათა სულში აშენდეს ახალი პლანეტა: „და ოდეს ვწებას ოკეანეთა, გარდაჰქმნი პირმშოდ შენივ ნებისა, სულში ჩადგება სულ სხვა პლანეტა, სხვა სიბრძნე სფინქსის ქარაგმებისა“ (სფინქსი) (1, 7677).

ადამიანი უნდა ელტვოდეს მადლის მდინარეს, ცის წყაროს – ღმერთს (წყაროვ) (1, 115).

„მკვდარი ტბა“ ეწოდება უგულო, ეგოისტი, მხოლოდ პირადულისთვის მზრუნველ არაკაცს (ბიბლიური რემინისცენციები)(1, 87-164).

პოეტის იდეალია „მხოლოდ გადარჩენილი გემები, მხოლოდ გადაუმსხვრევი ანძები“, (ქარვა გაუხუნდათ ალვებს), რის-თვისაც საჭიროა „რწმენა და კეთილსინდისიერება“ (პავლე მოციქული, I ტიმოთე, 2, 19) (5, 440).

მერაბ კოსტავას რწმენით, ბოროტება ჯერ სულში, „ასტრალურ ზღვაში“ უნდა დამარცხდეს, რწმენის გზით, რათა განწმენდილი ადამიანი სიკეთისთვის ირჯებოდეს, ასეთი პიროვნების იდეალი იყო ზვიად გამსახურდია, რომელსაც შემდეგნაირად მიმართავს: „დაუცხრომელო სულიერ ცდაში, დაუსაბამო სიტყვის მხმობელო, უკიდეგანო ასტრალურ ზღვაში, დემონთა ხროვის დამამხობელო“ (ძმას ქრისტესმიერს) (1, 11-16).

როგორც ვხედავთ, „მერაბ კოსტავას ლექსი ღვთიური სიყვარულისა და სათნოების წყაროა ულევი“ (სოსო ჯაჯანიძე მერაბ კოსტავას შემოქმედება) (15,12).

ლიტერატურა

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
3. ნეტრი ავგუსტინე, აღსარება, თბ. 1995
4. Толковая Библия, комментарий: А. П. Лопухина, М. 1991
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
7. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტომი I, 1987
8. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1991
9. გალაკტიონ ტაბიძე, ორ წიგნად, წიგნი 1, 1988
10. თამარ კუკავა, ეფრემ მცირეს იამბიკოები, 1988
11. რენე გენონი, გრაალის სიმბოლიზმი, „ლიტერატურული საქართველო“, 15 ოქტომბერი, 1992
12. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი 3, 1990
13. წმინდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმონევნითი გადმოცემა, 2002
14. შარლ ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, თარგმანი დავით აკრიანის, 1992
15. „მწერლის გაზეთი“, 2002 წ. 10-16 სექტემბერი

თავი III

ფილოსოფიური ლირიკის ზოგიერთი პრობლემა

ჰადესი მერაპ კოსტავას პოეზიაში

მერაბ კოსტავამ სულის თვალით იხილა „ათასფერი, ათასთვალი, უჩინარი მხლებელი, მჭვრეტელთაგან უხილველი“ სული.

სულის უკვდავების იდეა გასდევს მის პოეზიას: „ნუ გგონიათ დამაბერონ წუთისოფლის ვალებმა, ან როდისმე დავიჯერო სულის გარდაცვალება“.

პოეტის რწმენით, მიწაზეც და საიქიოშიც შეიგრძნობა „სულის სუნთქვა“: „საიქიოც, სააქაოც სუნთქვა არის სულისა“ (ვერაფერმა განაქარვოს“ (1,20-21).

ასევე შესაძლებლად მიჩნეულია ხილულსა და უხილავს, სოფელსა და ზესთასოფელს შორის ხიდის გადება, ხოლო ჭეშმარიტი ლექსი არის „სიკვდილის ზიარი, შავეთში გადანახედი“ (ლექსი) (1,60-61).

მერაბ კოსტავამ დანტესავით იმოგზაურა მიღმურ სამყაროში და წინასწარმეტყველური ხილვები გაგვანდო.

ქართველ პოეტს უმაღლესი პოეზიის დანიშნულებად მიაჩნდა ჰადესის ჭვრეტა, „სულეთის სილრმის“ განცდა და ამ თვალსაზრისით გამოარჩევდა გალაკტიონ ტაბიძეს და ტერენტი გრანელს (გალაკტიონი) (1,144-162).

მიწის მკვიდრთა სიამაყე ზეცის გადასახედიდან, უმაღლესი სამართლიანობის არშინით გაზომა, სადაც სულ სხვა კრიტერიუმებით განიკითხებიან ადამიანები: „.... სიამაყე, აქ რომ მბრძანებლობს, მათხოვარია იმ სოფლის ბჭესთან“ (ძმას ქრისტესმიერს) (1,14-15).

„მაცდური“, შემთხვევითობის წყალობით, შეიძლება ცხოვრების საჭესთანაც აღმოჩნდეს, მაგრამ „ამგვარ სტუმარს ზეცაში არ აქვს თავშესაფარი, რომ ვერ იხილავს სანუკვარ შედეგს, ჭეშმარიტებას ვინც ვერ იმშვილდებს“.

ძმის აღსარების გამცემი ზიარებამდე თუ ვერ მოინანიებს, ვერასოდეს ელირსება შვებას (ძმას ქრისტესმიერს) (1,114-15).

მაღალზნეობრივი ადამიანი გამუდმებით ისწრაფვის სრულყოფისკენ, ამასთან, შფოთავს თავის წარმავლობაზე, ცდილობს გადაიხედოს მიღმურში, თუმცა რწმუნდება, რომ უკვდავება არაა მისი ხვედრი, მაგრამ ცნობიერების გამდიდრებას და ახალი მორალური ღირებულებების მიგნებას ახერხებს.

სატრფოს აჩრდილის წინამდლვრობით სულეთის სამყაროში მოგზაურ დანტეს ამ ოდისეის მიზანი ასე დაუკონკრეტა ბეატრიჩემ: „... არა იმისთვის, რომ სრულყოფა მოგახვეჭინო (ეს არ მოხდება), რათა თავად განათდე შენაც მის ათინათით და იტყოდე: „აპა, ვარსებობ“ (2,393).

ახალი შთაბეჭდილებებით გამდიდრდა ასტრალურ მოგზაურობაში დანტეს ხედვა და სული: „.... გამახვილდა აქ თვალი ჩემი და შემეცნებაც მკვიდრ ნიადაგს დამყარებია“ (2,293).

ახალ, სამერმისო ცნობიერებამდე ამაღლება, „ხილვის გაახლება“ ჰადესში ჭვრეტის შედეგი „ღვთაებრივი კომედის“ მიხედვით.

სიკვდილია ადამიანის ხვედრი, მაგრამ წმინდა სულებს სამოთხე ელოდებათ: „კაცს სიკვდილი... უწერია, რათა სამოთხეს აქ ეწიოს, – მან ეს არ იცის, თუ რა ნეტარი გველოდება ზეცაში რთველი“.

სიკვდილის საიდუმლოებებზე ფიქრი, სიცოცხლეში სიკვდილის განცდა რჩეულთა ხვედრია, რათა დამარცხდეს წარმავლობა სულის გადარჩენის ფასად: „.... მრავალი მწარე სიკვდილი უნდა განიცადოთ ცხოვრებაში, მქმედნო! ესე იქნებით მეოხენი და დამცველნი ყოვლისა წარმავლობისა“ (3,56).

სიკვდილის შიშის დამარცხების, იდუმალებაში წვდომის საშუალებაა გამუდმებული ფიქრი და გაშინაურება ამ ულმობელი მოვლენის: „რათა იარაღი ავყაროთ სიკვდილს,

ჩამოვაშოროთ მას იდუმალების სასურველი, დავუკვირდეთ და თანდათან გავუშინაურდეთ მას... უფრო ხშირად ვიფიქ-როთ მასზე, ვიდრე სხვა რამეზე ვფიქრობთ“ (მიშელ მონტენი, ცდები) (4,11).

ჩვენი ხანმოკლე სიხარული ყოველთვის სიკვდილის სა-მიზნეა და მუდამ უნდა გვასხოვდეს ეგვიპტელთა დღესასწა-ულები, როცა დარბაზში, ნაირნაირ ხორაგთან ერთად, შე-მოჰქონდათ მუმია შეძახილით: „მემენტო მორი!“, რათა სიკ-ვდილი შეეხსენებინათ მონადიმეთათვის.

„არ ვიცით, სად გვისაფრდება სიკვდილი, მაშ მოდით, ყველგან ველოდოთ მას. სიკვდილზე ფიქრი თავისუფლებაზე ფიქრს ნიშნავს, ვინც მიეჩვია სიკვდილს, მონობას გადაეჩ-ვია“.

სიცოცხლის წესის შერჩევაში მთავარი მრჩეველია სიკ-ვდილზე ფიქრი: „ვინც გვასწავლის, როგორ მოვკვდეთ, იმავ-დროულად გვასწავლის, როგორ ვიცხოვროთ“.

„სიკვდილზე ფიქრი ძალიან სასარგებლო რამ გახ-ლავთ“ (4,16).

გარდაუვალზე ფიქრი მთავარი სიბრძნის მიგნების სა-შუალებაა მერაბ კოსტავას მიხედვით: „სიკვდილზე ფიქრებს, სიბრძნის ამ დედას, თუ სამარცხვინოდ არ გაექცევი, ჯანგა-ლეული სხეულის ჭვრეტა, შემაზრზენ შიშად თუ არ გექცვა, მაღალი აზრი უფსკრულთა ზედა, გარეშემოთა და შენდა ბე-დად, კვლავაც აღგმართავს ხელთუქმნელ სვეტად, ჭეშმარი-ტების შენისა ჭვრეტად, მშობლიურ ცასთან კვლავ შეგაერ-თებს“ (შიმშილობა) (1,133).

მუცლის მსახური ადამიანი „დაუანგებულ ძრავას“ მია-გავს, იგი დაცილებულია მაღალ იდეალებს, ამაოების მონას დავინებული აქვს მინის ვალი მაშინ, როცა ტანჯვა ცნობიე-რების ამაღლებას, ახალი ზნეობრივი ჭეშმარიტების მიგნე-ბას უნდა ემსახუროს: „საგზურს მინისას რა თავში იხლი, სი-ცოცხლე განა უვალო არის, ამაოებით თავს რატომ იღლი. შეუპოვრობის განცდა ჯიუტი დე, ნაადრევად სიკვდილს გა-

ნელოს, ოღონდ კი ტანჯვის ყოველი წუთი, ცნობიერების არეს შეეხოს“ (1,138).

სიკვდილის შიშის დაძლევას შეგვაძლებინებს იმის შეგნება, რომ იგი „ახალი სიცოცხლის დასაბამია“, სიკვდილი სამყაროული წესრიგის ერთი ნაწილია, ის არის სამყაროს სიცოცხლის ნაწილი“ (4,19).

ქვესკნელის ღმერთი ჰადესია დედამიწის ერთ მესამედზე გაბატონებული და სისხლსავსე სიცოცხლეს აჩრდილების სამეფოდ აქცევს.

„ჰადესი... ადამიანს ... მიწიერი სურვილების სასიამოვნო თვალსაწიერს გადაუხსნის, შედეგი კი ყოველთვის ... განადგურებაა“ (ჰერმან ვაიდელენერი, „ჰადესის აჩრდილები“) (5,151).

სიკვდილს „ბოროტებათა შორის უმცირესად“ მიიჩნევს ფრენსის ბეკონი, რადგან სწამს, რომ სიკვდილის შედეგად ადამიანი ყოველდღიურობას სცილდება და გარდაისახება უფრო მაღალი არსებობისთვის: „სული, ასხლტომილი სხეულის არტახს, თვითვე მაღლდება ყოველდღიურობის არადჩამგდები, მიჰყება თავის წარმმართველ ხელს“.

„... სიკვდილი არსებობისგან კი არ ათავისუფლებს ადამიანს, მარტოდენ გარდასახავს მას...“

„... სიკვდილი მოკეთეა ჩვენი, ხოლო ვინც მზად არ არის კეთილი მასპინძლობა გაუწიოს მას, უშფოთველად ვერ იცხოვრებს ამ ქვეყანაზე“.

მაგრამ რაკი სიკვდილი გარდუვალია, „სანატრელია სიკვდილი არა წინაშე მტერთა, არამედ მოყვასთა შორის“ (ფრენსის ბეკონი, „სიკვდილის თაობაზე“) (5,226).

ჭეშმარიტი პოეზია ერთდროულად ცდილობს სიკვდილ—სიცოცხლის საიდუმლოებათა წვდომას: „არ ვარ მეხოტბე მარტოდენ სიცოცხლის გრძნობის, სიკვდილის ტრფობაც შემიქა, მიდიდებია“ – ამბობს უოტ უიტმენი (ჰიმნები სიხარულისადმი) (6,36).

შარლ ბოდერისათვის სიკვდილი „ძველი კაპიტანია“ და პოეტს სურს იყოს მისი მეგზური უფსკრულში, ცის და ქვეს-

კვნელის ბჭეთა გახსნისას, რათა „უცნობში მოვიძიოთ რამე ახალი“ (მოგზაურობა) (7,222).

ბოდლერის სტიქია მოგზაურობა ჰადესში, მიჯნურთა, უპოვართა, ხელოვანთა სიკვდილის გაცნობიერება. გარდას-ხეულების თეორიის, სულის უკვდავების რწმენით პოეტი უიმედობას ამარცხებს.

ნიცშეს მიხედვით, „ყველა საფლავთა მმუსვრელია ნება“ და „სად საფლავნი ჰგიებენ, ჰგიებენ აღდგომანი“.

„ზედმეტებს, ყვითლებს, შავებს, სულით ჭლექიანებს, ცოცხლად მკვდრებს, ცოცხალ კუბოებს, სულის სიმძიმით მოსილებს, შეჭირვებულებს“ ნიცშე ურჩევს: „ზრუნვიდეთ, რათა ცხოვრება მოისპოს, რომელი მხოლოდ ჭირვებაა“ (სიკვდილის მქადაგებელთათვის) (3,88,39,40).

„ფაუსტში“ გოეთე სიკვდილს „ძმას“ უწოდებდა: „და ჩვენი ძმა სიკვდილი ჩვენსკენ მოიპარება“.

„შოთა რუსთაველი ირწმუნებოდა: „ცდების და ცდების სიკვდილისა/ვინ არ მოელის წამისად“, ამასთან, „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი შეგვაგონებდა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“ (ფიქრის მტკვრის პირას).

სიკვდილ - სიცოცხლის გამოცანა ასე გაუაზრებია ვა-ჟა-ფშაველას: „მრწამს, მარად მიწამებია მუდმივ სიცოცხლე სულისა, კარგისა, ქვეყნის მოყვარის, ქვეყნის ბედისგან წყლულისა“ (მრწამს, მარად მიწამებია) (8,246-247).

კონსტანტინე გამსახურდიასთვის სიკვდილი იყო „ჩვენი ცხოვრების იდუმალ ეტრატზე აღბეჭდილი მეშვიდე ბეჭედი, ჩვენი სულის უკანასკნელი წრთობა, უკანაკნელი ომი, მოუცილებელი მეაბჯრე“.

„უკვდავება მხოლოდ ისეთ ადამიანს დაუმკვიდრებია ამქვეყნად, ვინც მაღალი გრძნობის სახელით ცოცხალი ზიარებია სიკვდილს. გზა, უკვდავებისკენ მიმავალი, მუდამ სიკვდილის არკის ქვეშ გაივლის“, გვაზიარებდა თავისი მრავალ-ნაცადი სულის გამოცდილებას კონსტანტინე გამსახურდია.

მწერალი ღირსეულად ემზადებოდა ამ უკანასკნელი ომისთვის და, მართლაც, გაბედულად, ფეხზე ამდგარი შეხვდა „ხელცელიან ბერიკაცს“.

გალაკტიონ ტაბიძე დაინტერესდა „ყოფნისა და არყოფნის წიგნებით“, შეიგრძნო „სიო, საიმქვეყნიო და საამსოფლო“, შექმნა თავისებური სიკვდილის სახელმძღვანელო, თავისი „შავი წიგნი“ და სიკვდილი „ვარდისფერ გზად“ წარმოისახა, „შუქთა კამარას“, „დიდ საიდუმლოს“, ანუ უზენაეს მსაჯულს შეხვდა, რომელმაც მშობლიურ ცაზე შუქის სახით განუსაზღვრა ადგილი: „შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ (დრო) (9,77).

ტერენტი გრანელმა მოიახლოვა, გაიშინაურა სიკვდილი, სიცოცხლეშივე განეწყო მასთან შესახვედრად, მაგრამ აირჩია „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი“, არამედ „მესამე გზა“, რადგან „უკვდავების ცისფერ მხარეში“ დაფრინავდა მისი მარადისობასთან წილადაპარი სული და სჯეროდა „სიცოცხლე სხეულის გარეშე“ (გულიდან სისხლის წვეთები).

გალაკტიონმა და ტერენტი გრანელმა გარდაცვალების შემდეგ „სულის გაღვიძების“, ასტრალური მოგაურობის გასაოცარი მაგალითებით გაგვაოგნეს.

მერაბ კოსტავას არაერთხელ უცქერია სიკვდილისთვის წარბშეუხრელად, როგორც გალაკტიონს: „სიკვდილის განცდა შენი ბედია, ამგვარ წრთობასთან შეუღლებული“, მიმართავს იგი პოეტების მეფეს (გალაკტიონი) (1,156).

ჩვენი „ვაჟკაცობის დიდი მოძღვრის“, სინდისის ეტალონის დევიზი ასეთი იყო: „იყავ უშიში, ვითარც უხორცო, თავგანწირვისთვის მუდამ მზადმყოფი“ (იქ თავგანწირვა მაგიდებს კარებს) (1,22-23).

სიკვდილს სიცოცხლეშივე შეიგრძნობდა მისი ლექსის ლირიკული გმირი: „სიკვდილი, ვით გაურკვეველობა, ტანში დალასლასებს ცახცახით, ადრე განაგონი იგავად, გზარავს სულთამბრძოლის ხავილით, სჩანს შეუბრალებელ მთიბავად და არა ცხოვრების ყვავილად“ (სული ნაკუნებად ნაკეპი) (1,29).

მერაბ კოსტავა გამოარჩევდა გმირული სულის ადამიანებს, უხორცოსავით უშიშართ, თავგანწირვისთვის მზად-მყოფთ, „ჭეშმარიტების მხლებელთ“, რომელნიც იქით აფრთხობდნენ ჯალათებს. დასახვრეტად გაყვანილმა დოსტოევსკიმ იქით შეუტია მტარვალთ, „ელვაგაკრული შუბლით“, „ხანჯალივით ბასრი თვალებით“, გაუძლო „უჩინარი მფარველის“ გამოცდას და სამერმისოდ აღსრულდა ბედის ვარსკვლავით განჩინებული გადარჩენა: „მაგრამ დაღუპვა მისი არ სურდა, გამოცდა სწადდა მფარველს უჩინარს და სამერმისოდ იგი აღსრულდა, ბედის ვარსკვლავმა რაც განუჩინა“.

ლოცვით „ეშმათა დასტის“ დამძლევი დიდი რუსი მწერლი მერე თვით გახდა ცოდვის საწერლით დადაღულ კაცთა ჭირისუფალი“, ორგზის ნაშობი მოგვი, უფლის ხელდას-ხმული, „ღმერთის მაძიებელ“ სამშობლოზე მეოცნებე (ტანჯვათა ტიტანი)(1,16-19).

მერაბ კოსტავა შეგვახსენებს, რომ „სინანულის ზღვაში“ მყვანთავი მკვდრეთით აღდგება (სულო დაიცა) (1,104), „სულით საპყარნი“ კი ჯოჯოხეთში გოდებენ (ორი პაემანი) (1,47).

მოწინების აღმძვრელია უშიშართა, მეფეთა და მხედართმთავართა ვაჟუკაცური შერკინება სიკვდილთან. იგი ასე მიმართავს შალვა მაღლაკელიძეს: „სიკვდილს არ შეხვდი სასომიხდილი, ვითარცა ქვეყნად კვდება მრავალი, რადგან კვდებიდი სულ სხვა სიკვდილით, როგორც მეფე და მხედართმთავარი“.

ასეთი სიკვდილის მაგალითი განსხვავებულია გედის სიკვდილისგან, იგი ქარქაშიდან ამოღებული ხმლის ელვარებას შეადარა ლექსის ავტორმა: „შენი სულის და, არა, არ მოჰვავს ნატიფ სინაზეს, მომაკვდავ გედის ყელმოღერებას, იგი ელვათა ჰეგავს სიკისკასით ქარქაშით ხმალის ამოჟღერებას“ (მემატიანე ცრემლით გაგამხელს) (1,48).

ასევე უმღერის პოეტი მინდვრის კანჯარს-თურმანს-დუშმანთა, გველთა და ღრიანკალთა რისხვას, წმინდა გიორ-

გის რაინდს, „ცხრა სიკვდილის წარბშეუხრელად მაოტებელს“ (თურმანო, მინდვრის კანჯარო) (1,62).

ზღვის ღელვას, გველის ცოფიან სისინს „გადარჩენილი გემები, გადაუმსხვრევი ანძები“, გადარჩენილი სულია პოეტის აღტაცების საგანი (ქარვა გაუხუნდათ ალვებს) (1,66-67).

დროული და ბუნებრივი სიკვდილის განცდასთან ერთად, პოეტს წილად ხვდა ჭაბუკი შვილის თვითმკვლელობის ტრაგედიაც განეცადა. ეს თემა ორი სოფლის შეერთებას დაუკავშირა და სულ სხვა ჭრილში გაიაზრა ფილოსოფიურად.

პოეტი მუხლს უყრის წამებული ქეთევან დედოფლის „მინანქრულ სიწმინდეს, „ჩვენთა ცრემლების მდინარეს“ და „ნეტართა პარნასში“ ხედავს წმინდანს (ივერიის მნათობის ქეთევან წამებულისადმი) (1,120).

მერაბ კოსტავამ სიცოცხლეშივე განიცადა სიკვდილის აგონია, მან ვერ აიცდინა „სიკვდილთან პაემანი“, რადგან ციმბირის საპატიმროში რვა თვე იშიმშილა პროტესტის ნიშნად, მაგრამ გაუძლო უდიდეს გამოცდას. „... ისევ წვალება, ისევ წუხილი, გამოსაცდელად ჩემდა წვეული, სიკვდილის პირას ვიყავ წუხელის, მაგრამ გაბრუნდა, მომწყდა ძლეული“.

ტანჯვა „ცნობიერების არეს“ უმდიდრებდა, ხელახლა ბალლური უმანკოების შენარჩუნებად ესახებოდა, სასუფევლის გზად. „მართალთა“ განსასვენებელში დამკვიდრების ღირსად არ თვლიდა თავს, მუდმივ ლოცვაში, „მარტვილობის ბრძმედში“ გადიადდა, ზეცის პურს, ზეცის წყაროს (საღვთო სახელებია) ეწაფებოდა, სულის და ხორცის ჰარმონიას ეძებდა და სიკვდილისთვის მზადმყოფი აცხადებდა: „ცხოვრება ჩემი განვლიე სწორად, მუდამ მთლიანი ვიჯექ ინახად, არ გავთიშულვარ ასოდეს ორად. წილხვდომილ სიკვდილს თუ ვმზერდე ავად, მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო, ჩემი სამშობლო ზეცაა თავად, შემდეგ ეს მიწა და საქართველო“ (შიმშილობა) (1,161).

მერაბ კოსტავამ გალაკტიონის სიკვდილი აღიქვა, როგორც მარადისობასთან შეხვედრა რაც ერთეულთა ხვედრია (გალაკტიონი).

მიწის მკვიდრს მრავალი მოვალეობა აქვს და ვინც დროსა და სივრცეში ვერ რეაგირებს, ბარმადშობილია, სულს მუდმივად ახალ—ახალი საზრდო სჭირდება, რომ არ დამყაყდეს: „თუ სულის საზრდო არ იცვლება, ყოვნდება დიდხანს, აშმორებული ჭაობივით ხდება ურგები“ (ბიბლიური რემინის-ცენციები (1,88).

„მსოფლიო სცენის დრამატურგი და რეჟისორი“ (ღმერთი) ადამიანს მუდმივად განსაცდელს უვლენს, რათა სიძნე-ლესთან ბრძოლით გაკაუდეს, ცნობიერება გაიმდიდროს, რადგან „ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 12,6).

ტანჯვა, წვალება დიდი გამოცდაა ადამიანისთვის: „ისევ წვალება, ისევ წუხილი, გამოსაცდელად ჩემდა წვეული“ (შიმშილობა) (1,137).

განსაცდელთან, სიკვდილთან ბრძოლით ცნობიერება მდიდრდება: „შეუპოვრობის განცდა ჯიუტი, დე, ნაადრევად სიკვდილს განელოს, ოლონდ კი ტანჯვის ყოველი წუთი, ცნობიერების არეს შეეხოს“ (შიმშილობა) (1,138).

პოეტი მზად იყო თავისი ერისთვის მსხვერპლი გაელო და ემარტვილა, ტანჯვის ბრძმედში გაევლო, უზენაესი მცნებები დაეცვა, რათა ქე ღმერთი ეხილა, მისი ცხოვრების წესი გაეთავისებინა: „უფალო, ღირსმყავ ჩემი ერისთვის არ შევეპუო ხვედრის სიმძიმეს, აქ გამოვლილი სატანჯველისთვის, იქაურ ტანჯვას ნუ შემიმცირებ. გთხოვ, მარტვილობა მიქ-ციო ბრძმედად, გარდასახდენი არ განმარიდო, ღირსად მყო ძისა შენისა ჭვრეტად, ჩემი ცხოვრების სამაგალითოდ“ (შიმშილობა) (1,140).

მერაბ კოსტავა „ხვდებოდა“ ენქიდუს, გილგამეშის, ბიბლიურ წინასწარმეტყველთა სულებს, უზენაესი სიყვარულით ცდილობდა ორი სოფლის შემტკიცებას.

შეცნობას, საცნაურყოფას, გაგებას უპირველესი ადგილი უკავია პოეტის შემოქმედებაში.

ადამიანი, უპირველესად, „პიროვნული ეგოს“ შემცნობი უნდა იყოს, შემდეგ სამყაროს, ადამიანების, სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოების.

ვინც სულის და სხეულის, მიწის და ზეცის მიმართებას ჩაუღრმავდება, სულის უკვდავებას ირწმუნებს და მაღალ-ზნეობრივად იცხოვრებს, მკვდრეთით აღდგება, რადგან სული მარადიულობის კატეგორიას განეკუთვნება: „თუ ზეცა გწყურის და მიწა გშია, თუ შენი თავის ხარ გამგებელი, სინდისის შენის წინაშე წარდექ, იცან სიკვდილი და მკვდრეთით აღდექ“ (გალაკტიონი).

ლიტერატურა

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
2. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941
3. ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თარგმანი ერეკლე ტა-ტიშვილის, თბ. 1991
4. ახალი თარგმანები, I, ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1992
5. ახალი დროება, თბ. 1994
6. უოტ უიტმენი, ბალახის ფოთლები, თბ. 1966
7. შარლ ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, თარგმანი და-ვით აკრიანის, თბ. 1992
8. ვაჟა-ფშაველა, ხუთტომეული, ტ. I, თბ. 2012
9. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1989

სოფელი და ზესთასოფელი

მერაბ კოსტავამ ნათელხილვის მადლით იხილა „ათას-ფერი, ათასთვალი, უჩინარ მჭვრეტელთაგან უხილველი, ქვეყნად დაუტევნელი სული“ (ვერაფერმა განაქარვოს) (1,2-21), „გონის თვალით“ განჭვრიტა „სულეთის სიღრმე“, ჰადესი, ნათელსმენის უნარით გაიგონა „სულის სუნთქვა“, „კოს-მოსის სუნთქვა“, უტყუარად ჩასწვდა სიკვდილ—სიცოცხლის საიდუმლოებებს...

პოეტმა დაგვიტოვა საგულისხმო დასკვნები მინიერი ვალის მოხდის, ხრწნილებასთან ბრძოლის, სიკვდილისთვის მზადების, მიქელ—გაბრიელთან ღირსეული შეხვედრის შესახებ, შეგვახსენა საღვთო სამსჯავროს გარდუვალობა, ხილული სამყაროდან მარადიულ ზეცაში დამკვიდრებისათვის აუ-ცილებელი მოთხოვნები, გაგვიცნომიერა სოფლისა და ზეს-თასოფლის მიმართების ურთულესი პრობლემა.

მერაბ კოსტავას ჭეშმარიტი პოეზია ესახებოდა, რო-გორც „სიკვდილის ზიარი, შავეთში გადანახედი“ (ლექსი) (1,60-61).

წინაგრძნობის უნარით, წინასწარმეტყველური ინტუი-ცით გამორჩეულმა ქართველმა პოეტმა დანტესავით იმოგ-ზაურა მიღმურ სამყაროში, ჩაუღრმავდა მინის და ზეცის, ხი-ლულის და უხილავის, მატერიალურის და ტრანსცენდენტუ-რის, სიკვდილისა და სიცოცხლის, ორ რადიკალურად გან-სხვავებულ სამყაროთა შორის კავშირის შესაძლებლობა—მნიშვნელობას.

უზოდებდა რა „სიკვდილზე ფიქრებს სიბრძნის დედას“ (შიმშილობა) (1,113) 1,113) უზენაესი მსაჯულის გადასახედი-დან აანალიზებდა პრობლემას, ერთმანეთს ადარებდა „შუ-რისმგებელ წუთისოფელს“ და „იმ სოფელს“, „სოფლის წარ-მავლობას“ და „ზეცის ტატნობებს“, ცოდვილ, ეკლებისა და კუროსთავების აღმომცენებელ მინას და ღვთისმეტყველთა მიერ მინიშნებულ უკვდავთათვის აღთქმულ მინას, აწვალებ-და „ორი სოფლის“, „შემტკიცების იდეა“.

ამ პრობლემებისადმი ინტერესი ვლინდება ბიბლიაში, რელიგიაში, ფილოსოფიაში, მითოლოგიაში, მწერლობაში.

ქრისტიანობის მიხედვით, სიკვდილი არის სულის და-შორება სხეულისგან, მაგრამ სული უკვდავია და მერეც აგ-რძელებს არსებობას.

„მიიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორიც იყო და სული დაუბრუნდებოდეს ღმერთს, რომელმაც შთაბერა“, შეგვაგო-ნებს ბიბლია (ეკლესიასტე, 12,7)(2,14).

იესო ქრისტე სულის უკვდავებაში არწმუნებდა მოსწავ-ლებს: „ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვდა კი არ ძალუძთ“ (მათე, 10,28)(3,21).

პავლე მოციქული განარჩევდა მიწიერ და ზეციურ სხე-ულებს (I კორინთელთა, 15,40) და ამბობდა: „... ხრწნადი უხ-რწნელობით..., მოკვდავი უკვდავებით უნდა შეიმოსოს“ (I კორინთაელთა, 15,53).

„... აჰა, გეტყვით თქვენ საიდუმლოს: ყველანი როდი მოკვდებით, მაგრამ ყველანი შეიცვლებით“ (პავლე მოციქუ-ლი, I კორინთელთა, 15,51)(3,381).

იოგების ფილოსოფიის მიხედვით, ადამიანის სული უკ-ვდავია, სიკვდილი დიადი გადასასვლელია, ნაბიჯია უფრო სრულყოფილი სულიერი არსებობისაკენ.

ბიოლოგიური სიკვდილი - ესაა დასაწყისი ცნობიერე-ბის ახალ ფორმაში არსებობისა. სიკვდილი დასასრული კი არ არის, არამედ ახალი მდგომარეობის მიღწევა. ცხოვრება არის მიახლოება ან განშორება უმაღლეს სფეროსთან „(ე. და ნ. რერიხები, აუმ“)(4).

ადამიანს სულიერ სამყაროშიც გააჩნია ცნობიერება, მიღმურ სავანეში მხოლოდ ცნობიერების ცვლაა (რუდოლფ შტაინერი)(5,121).

გარდაცვალება ახალი სიცოცხლის დასაწყისად მიიჩნე-ვა სპარსულ პოეზიაში: „ჩემთვის შერთვა და კავშირია გარ-დაცვალება, დამფალ სამარეს და ნუ იტყვი, „გზა მშვიდობი-სა“, რადგან სამარე სულთა ბინის კრეტსაბმელია“.

სიკვდილის შემდეგ ხდება „კაცური სახის შეცვლა და „ანგელოზთა არსებობის“ მიღება (ჯალალ-ედ-დინ რუმი, სიკვდილის შემდეგ)(6,231).

ოფიციალური ეგვიპტური იდეოლოგიის თანახმად, ადამიანის დედამიწაზე ცხოვრების დრო წარმოადგენდა მისი არსებობის მხოლოდ მოკლე ეპიზოდს, რომელიც გრძელდებოდა სიკვდილის შემდეგ „დასავლეთის ქვეყანაში“, ასე ეძახდნენ ეგვიპტეში მიცვალებულთა ადგილსამყოფელს (7,145-146).

გოეთე დარწმუნებული იყო სულის მარადიულობაში, სიკვდილის შემდეგ ადამიანის არსებობის გაგრძელებაში: „მე ეჭვი არ მეპარება ჩვენი არსებობის გაგრძელებაში. ყოველი ენტელექტი ზიარებულია მარადისობას... ეჭვი არ მეპარება, ჩვენ განვაგრძობთ არსებობას ... მაგრამ ყველანი ერთნაირად უკვდავნი არა ვართ“ (8,164).

„ამჟამად უკვე აღარავინ თვლის საეჭვოდ არც ღმერთს, არც თავის თავს, ასევე ცნებებს: ღმერთი, უკვდავება. ჩვენი სულის არსი და მისი დამოკიდებულმა სხეულთან ეს მარადიული პრობლემებია“ (8,195).

სიცოცხლეშივე მიღმურში მჭვრეტელნი, სიმბოლური სიკვდილის გამცნობიერებელნი ხაზს უსვამენ ამქვეყნიური არსებობის წამიერობას და ტრანსცენდენტური ყოფის მშვენიერებას. სიკვდილთან მიახლოება მთავრდება სულიერი განახლებით, ზნეობრივი ამაღლებით.

ამქვეყნიური საზღვრის გადაღახვის შემდეგ დროის შეგრძნება ქრება და გაერთიანებულია ყველა ცოდნა-წარსულის, აწმყოსი და მომავლის.

სიკვდილი დიდი გამოცდაა. ადამიანის სრულქმნის პროცესი სიკვდილის ჟამს სრულდება.

ადამიანმა უნდა გადაიტანოს მინი სიკვდილი, რათა გაკონტროლოს თავისი უკანაკუნელი წასვლა ამ ქვეყნიდან.

ამერიკელი უ. გოულდი ხალხს ასწავლიდა „შეგნებული სიკვდილის მეცნიერებას“ ,მისი დევიზი იყო: „მოკვდი სიკვდილზე ადრე!“.

დოქტორ უორდენის პროგრამა იყო „სიკვდილის პირა-დი გაცნობიერება“⁽⁹⁾.

„ყოფიერების რა მდგომარეობაც ახსოვს ცოცხალ არ-სებას სხეულის დატოვებისას, იმავე მდგომარეობას მიაღ-წევს“, ნათქვამია „პჰაგავად-გიტაში“.

გარდაცვალების სახელმძღვანელო ეწოდებოდათ ეგ-ვიპტურ და ტიბეტურ მკვდართა წაგნებს, რომლებშიც საუ-ბარია ღმერთის სამსჯავროზე, ადამიანთა ცოდვა—მადლის მიხედვით განკითხვაზე.

ქართულ კლასიკურ პოეზიაში გაზიარებულია სულის მარადიულობის იდეა.

გალაკტიონის აზრით, ემპირიულ ყოფას მოშორებული, ხორცისგან გაღწეული სული კი არ ისპობა, თავის მარადიულ სახლს უბრუნდება ზეცაში: „მიდიხარ...ისე მიგაქვს წვალება, თითქო ზღვის კარად თივას თიბავდე, ვინა თქვა შენი გარ-დაცვალება. არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე. მიდიხარ... აღარ დაგემდურება არც მიწიერი, არც ზეციერი, ვინცა თქვა შენი უბედურება, არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი. მიდი-ხარ ... ტებილი გქონდეს მგზავრობა, სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი, ვინა თქვა შენი მიუსაფრობა, არა, შენ პჰოვე თავ-შესაფარი. მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი, შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს – შენ უკვდავების ხარ ბინადარი“ (ეს იყო წინათ)(10,332-333).

სიკვდილ—სიცოცხლის მარადიული პრობლემის შემ-სწავლელ მეცნიერთა მტკიცებით, მატერიალური ქვეყნის მკვიდრთა და სულეთში გამგზავრებულთა შორის გამუდმე-ბული კონტაქტი არსებობს. ორი დაპირისპირებული სამყა-რო მუდმივად კავშირშია, მიცვალებულები ცოცხლებს ევ-ლინებიან და პირიქით, ამქვეყნიურთ ჰადესში ჭვრეტის უნა-რი მიემადლებათ.

არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია რადიოკონ-ტაქტი მკვდრებთან, აჩრდილების ფოტოგრაფირება, გარ-დაცვლილთა ხმების ჩაწერა მაგნიტოფირზე, ხდება მიცვა-ლებულთა გამოცხადება ცოცხალთა გაფრთხილების მიზ-

ნით. ეს დამყარებულია ხედვის, სმენის შეგრძნებებზე, ცოცხალს ეჩვენება მიცვალებული, ესმის ხმა, სუნთქვა, გრძნობს შეხებას. თითქოს მიიღწევა სულეთის მკვიდრთა გამოძახებაც და პასუხის მიღება მთელ რიგ კითხვებზე (10).

ასეთი რწმენა და ამგვარი მოვლენები მოიძიება ბიბლიაში, მითოლოგიაში, მწერლობაში, მეცნიერებაში.

ბიბლიაში ფილისტიმელთაგან შეშინებულმა მეფე საულმა მესულთანე ქალს სთხოვა სამოელის გამოძახება საიქიოდან. მიწიდან ამოვიდა მოსასხამიანი სამოელის აჩრდილი. საულმა მას შესჩივლა, როგორ ავიწროებდნენ ფილისტიმელები, როგორ განურისხდა ღმერთი და როგორ განუდგნენ წინასწარმეტყველები. კეთილმა ღვთისმსახურმა უგუნურ მეფეს ამცნო, რომ ღმერთი დასჯიდა, წაართმევდა სამეფოს, მისცემდა დავითს, ხოლო საული და მისი შვილები ხვალიდან იქნებოდნენ შავეთში, რომ ეს იყო საზღაური უფლისადმი ურჩობის გამო.

მართლაც ახდა წინასწარმეტყველება, საულის შვილები ფილისტიმელებთან ბრძოლაში დაიხოცნენ. დამარცხებულმა საულმა კი, ტყვეობის შიშით, თავი მოიკლა. (I მეფეთა, 28, 140, ო-31, 1-6)(2,293-294,296).

ცნობილია ცოცხლებზე გარდაცვლილთა შურისძიების მაგალითი პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიებიდან“. ბრუტუსს გამოეცხადა მისგან განწირული იულიუს კეისარი და მიმართა: „მე ვარ ბრუტუს, შენი ბოროტი გენია და ფილიპთან შევხვდებითო ერთმანეთს“.

მართლაც, ფილიპთან ბრძოლა კეისრის მომხრეებსა და ბლუტუს-კასიუსის ლაშქარს შორის უკანასკნელთა მარცხით დამთავრდა. შეთქმულების ყველა მონაწილე დაიღუპა (11,84).

დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ წინასიტყვაობიდან (გამოიცა ვენეციაში 1477წ.) ცნობილია, რომ პოეტის გარდაცვალების შემდეგ ვერ იპოვეს პოემის მეცამეტე თავი. რვათვის შემდეგ შვილს გამოეცხადა მამის აჩრდილი და მიასწავლა ხელნაწერის ადგილსამყოფელი.

დანტეს ეცხადებოდნენ წარსულის, აწმყოს, მომავლის ლანდები, ჯოჯოხეთის, სალხინებლის, სამოთხის ფონზე. პოემაში გვხვდება „მისტიური აჩრდილები“, ადამის, ვირგილუსის, პლატონის, ოვიდის აჩრდილები, სულთა ლანდები, დასჯილი, განწმენდისათვის გამზადებული თუ სამოთხეში გამნესებულთა წმინდა აჩრდილები.

სხეულისგან განშორებული სული მოკლებულია მოქმედების უნარს, მაგრამ გარდაცვლილთა სულები მაინც ერევიან მინიერთა საქმეებში.

გოეთე აცხადებდა, რომ „სულთა სამეუფო არ არს კარდახშული“.

„ფაუსტში“ სული აჩრდილის სახით ცხადდება: „მოჰქრის აჩრდილი... ვგრძნობ, შენ მოქრიხარ, ნატრულო სულო, გამომეცხადე!“

გალაკტიონს ენუგეშებოდა იდუმალი არსების აჩრდილის გამოცხადება.: „დაიმსხვრა სული ფრქვეული ცამდე, გაქრა ფარული ცის სიდიადე... შავ ფიქრთა წყება კვლავ აღარ ქრება და გევედრები, გამომეცხადე!“

ხან კი პოეტის ძახილი ვერ აღწევდა სულის სავანემდე: „ვეძახი სულს და ხმას არავინ მაძლევს, პასუხს არ მაძლევს ხმათა ხავერდი“ (თვლემს ტყის ნაპირი).

ადამიანის სიკვდილი, მისი გადასვლა ჩვენგან უხილავ და საიდუმლოებით მოცულ სამყაროში, ახლობლის მონატრება ხშირად მიცვალებულთა უახლოესი ადამიანების თვითმკვლელობითაც კი მთავრდებოდა.

კაცობრიობას დასაბამიდანვე აწვალებდა მის ქვეცნობიერში იმთავითვე ჩადებული უკვდავების სურვილი, ჩვენგან წასულებთან კონტაქტის დამყარებაზე ფიქრი. ამ პრობლემის გადაწყვეტის თავისებულ გზებს ეძებდნენ მწერლები.

გაოგნებას იწვევს ვაჟა ფშაველას განაცხადი: „ცოცხალი მკვდრებთან ვსაუბრობ“.

ფშაველ გენიოსთან თითქოს მიღწეულია ორმხრივი „კომუნიკაცია“: „სიყრმითგან საიქიოსთან დამკვებებია კავშირი. წასული ამა სოფლითა დღესაც მოდიან, მხედავენ,

სწირავენ მყუდრო სადგურსა, ცოდვილთან მოსვლას ბედა-ვენ“ (სიყრმითგან საიქიოსთან).

ღირსეულ წინაპრებთან შეხვედრა უკეთესი გზების გაგნების, სიძნელეთა დაძლევის სტიმულია: „მკვდრები მიშაქვრენ ცხოვრების გულში ჩანაწვეთ შხამასა“ (ერთხელ კი ჩვენც ვყოფილვართ).

წინაპრები პოეტის ტანჯული ოცნების „მარგალიტების ღილებია“.

ვაჟა ფშაველას შთაგონების წყაროა შოთა რუსთაველის და დავით გურამიშვილის სამყარო: „მიშველეთ შენ და შოთამა, მგოსნობა გამიძრახაო, გული დადნა და დანავლდა, მიხმება, შრება ხახაო... მიშველეთ, მომავლებინეთ, ლელო რაც დამისახაო. მაშინ თქვენს ნათელ სახეებს მეცა პირნათლად ვნახავო“ (დავით გურამიშვილის ხსოვნას) (12,88).

ზოგჯერ საფლავებიდან წინაპრების კვნესა ესმოდა, მათ „მწყრომარე“ სახეებს ხედავდა: „ტანზე ამასხა ეკალი საფლავთ წინაპართ კვნესამა, აკლდამებიდან მწყრომარედ იმათმა გამოხედვამა“ (მოდი, მოხშირდი ჭალარავ) (12,37).

ხან აკლდამიდან ერეკლე მეფის ტრაგიკული აჩრდილი ევლინებოდა: „აგერ ამოდგა აჩრდილი, აკლდამის კარი გაიღო. რა ფრიად შეწუხებულა, ხელში ფრანგული აიღო“ (1795 წლის სახსოვრად) (12,36).

ასეთი სულიერი ერთობის გამო ებაასებოდა ვაჟას ილია ჭავჭავაძის აჩრდილი: „ილიაც მესაუბრება, უნდა დავუგდო მას ყური“ (აკაკის საიუბილეოდ) (12,66).

პოეტის ოცნება სამარეშიც აღწევდა და მამულიშვილებს ევლინებოდა: „გაფრინდი ჩემო ოცნებავ, გასჭერ სამარის დირენი, იქ ნახავ მამულიშვილთა, არიან არა – მცირენი და დაამშვიდე ამ ამბით, ის ჩემი ამატირენი, ჩვენს ილიასაც იქ ნახავ, გთხოვ ანუგეშო სიტყვითა: მტკიცდება ქართველთ კავშირი, ძმობა ერთობის ფიცითა, მტერსა და მოყვარეს ვარჩევთ, კარგი და ავი ვიცითა, მის ანდერძს ვიჭდევთ გულში ღრმად, ვატარებთ გულის ფიცრითა“ (ილიას სალამო) (13,204).

„ჩვენებაში“ გარდაცვლილი გმირები მომავლის იმედს აძლევდნენ ვაჟას: „სრულდება, მალე იქნება ღვთისაგან და-ნაპირებიო“.

ლექსში „ხმა მესმის“ ნუგეშისმომცემია მიცვალებულის რჩევა: „ხმა მესმის, აღარ მასვენებს მიცვალებულის კაცისა: მის რჩევა, მადლით მოსილი, გულს მევლებოდა თაღადა“.

ვაჟას სწამს, რომ „კარგ გულს არა ჰყლავს ბუნება, თან დააქვს ძველისძველადა“.

სულმნით აკაკი წერეთელს რუსთაველი, თამარი და მათ თანამედროვეთა კრება ეცხადებოდა სიზმარში (სიზმა-რი).

ილია ჭავჭავაძეს მოევლინა „საქართველოს თანამდევი უკვდავი სული“ (აჩრდილი).

კონსტანტინე გამსახურდიას რომანში დავით აღმაშე-ნებელი „უამიდან უამზე მიცვალებული წინაპრების ტყვე“ ხდებოდა და „ისინი თავიანთი რჩევებით ცოცხლებს გადაა-ჭარბებდნენ ხოლმე“... „მე აგრე მგონია, პაპაჩემმა ბაგრატმა, რომელიც მე თვალითაც არ მინახავს, ჩემზე გაცილებით მე-ტი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე მამაჩემმა“, ათქმევი-ნებს მწერალი დავით აღმაშენებელს (14,556).

გალაკტიონს უხმობდა გარდასული სამყარო, წინაპრე-ბის სული: „და მეძახიან მშვიდ სამეფოში მთები, სიზმრები და წინაპრები“ (პირიმზე) (15,173).

ნუგეში და თანაგრძნობა პოეტს თავისი რანგის წინა-პართა საუფლოში, „მარადიულ მხარეში“ ეგულებოდა: „ნუ დაღონდები, არსებობს მხარე, სად თანაგრძნობას არსებობს შენთვის. იქ დაუდეგარ, მეოცნებე სულს ბინა ექნება მუდამ, ყოველთვის“.

ეს მარადიული ბინა იყო დანტეს, რუსთაველის, ბარა-თაშვილის სულის ნავთსაყუდელი (ნუ დაღონდები).

მშვენიერების გაუკვდავებით პოულობდა პოეტი „უცხო წალკოტს“, სადღაც ეგულებოდა რუსთაველი, ბარათაშვილი (მშვენიერებით ვიპოვე).

სულიერი ნათესაობა რუსთაველთან შესაძლებლობას აძლევდა, მისი ბავშვობაც წარმოედგინა, რაც ურუანტელის-

მომგვრელი სტრიქონებით გამოხატა: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, მიცქეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიავში“. ასეთი გენიალური ხსოვნით თუ აიხსნება გალაკტიონის, ერთი შეხედვით ალოგიკური განაცხადი: „მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში“...

საუკუნეების წინაპრებთან ასეთი სულიერი სიახლოვის საფუძველია გენეტიკური კოდების მსგავსება, რეინკარნაცია, რადგან „გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული“ (ნოდარ დუმბაძე).

ასე ქრისტეს შეეძლო თავი გამოედო აბრაამის ნაცნობობაზე, რადგან იგი იყო განკაცებამდეც და იყო ცაში, როგორც ღმერთი.

ღმერთივით შუქის სახით ევლინებოდა გალაკტიონს თავისი საყვარელი კუმირი აკაკი წერეთელი (აკაკის ლანდიც), თრობისა და შვების ღმერთი დიონისე (მარმარილო), რომელიც „მსოფლიო გონება, მსოფლიო სულია“.

სულიერი კავშირი პოეტს ყველა ქართველ კლასიკოს-თან ჰქონდა: „კედლით გიმღერის ექვსი მგოსნის ძვირფასი ქნარი: რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს და ვაჟას სურთ დაგიჭირონ მხარი“ (ო, ნანა, ნანა) (16,150).

„კომუნიკაცია“ ქართველ კლასიკოსებთან ორმხრივი იყო, წინაპრებიც გრძნობდნენ გალაკტიონის პოეტურ გმირობას და მონინებით ეგებებოდნენ : „კარს გაუღებენ მას წინაარები: გიცდიდით, ვიცით, ხომ მიატოვე ის ნაპირები ჩვენი სიმტკიცით? მიეგებება არაგვის პირი და ხმა ძლიერი, შენ უსათუოდ კაცი ხარ გმირი და ნიჭიერი“ (კარს გაუღებენ).

ასევე ხედავდა გალაკტიონი გოეთეში განსხეულებულ სატანას: „ობიებებიან კუთხეში დივანს ვხედავ: ვით გიოტე, ზის იქ სატანა“ (მაგიდა ალემბიკებით).

„ოქროს ნავში“ ეზმანებოდა გალაკტიონს შელი, შენიე და მათთან ერთად მღეროდა უკვდავების საგალობელს: „... და ჩემთან ერთად ოქროსფერ ნავში იყვნენ ედგარი და ნოვალისი“ (ის ადგილები) (17,242).

პოეტის მარადიული სულის „აჩრდილი თანაზიარი“ იყო ედგარ პო (საუბარი ედგარზე).

ლენინგრადში პოეტების მეფე „ხვდებოდა“ ნევის ნაპირებზე მიმავალ პუშკინს: „ყოველ ნაბიჯზე ვხვდები აღფრთოვანებულ პუშკინს. ის ნაპირებზე მიდის, ახალ სახეებს ხედავს“ (ლენინგრადში).

მომავლიდან აწმყოში გამოიძახებდნენ ხოლმე თავიანთ უკვდავ სულს გალაკტიონი და კონსტანტინე გამსახურდია და „მყოფადიდან“ აკვირდებოდნენ მომავლის ჩრდილებს, „ვითარცა მენცარი“.

ტერენტი გრანელი ხედავდა „ტანჯვისგან გასპეტაკებულ“ სულს, შორეულ მიზანს, სიცოცხლის ბოლოს, ბედის მწვერვალს, იქაურ ცას, მომავლის გზებს, წარსულის მოგონებას, ძვირფას ლენორას, მარადისობის ცისფერ შუქს, შორეულ და მარადიულ სამყაროს, ვარსკვლავიდან ესმოდა ქრისტეს ძახილი, დედის აჩრდილის მოწოდება, საიქიოდან გამოღწეული მშობლების ხმა (18,67,82,102,203).

ნათელზილვის უნარი გენიოსებს სხვადასხვა დროში ჭვრეტის საშუალებას აძლევს: „ფრთამალი ფიქრიც-ჩემი ლალი, შორსმჭვრეტი აზრი, როგორც მომავალს, ისე წარსულს ნათლად ხედავდა“, წერდა გოეთე (შუალამისს) (19,41).

მერაბ კოსტავას „გონის თვალი“ ჰადესის სიღრმეში ტრიალებდა, მან ზესთასოფელი აღიქვა არა როგორც სიცარიელე, არამედ საოცრებების რიგი, სულების სავანე, ახალ სივრცეთა წყობა, უჟამობა: „სად წუთისოფლის დასასრულია, სიცარიელე ჰქრება სრულიად, იწყება რიგი საოცრებების, ზესთასოფელი რადგან რთულია, რადგან სამყარო ყველგან სულია, ცხოვრების პულსით და არსებებით. გარდაცვლილები განცდებს ვერ მალავთ, სივრცეთა წყობა თქვენშია უკვე, გულისნადებით ერთმანეთს მსჯვალავთ, უჟამობაშიც ერკვევით უკეთ. სივრცე, სხეულთა სიმცირის გამო, უჟმარისობის განცდაა მხოლოდ, მისი აღვსებით ყოველი ლამობს, ამ ილუზიას მოუღოს ბოლო“ (გალაკტიონი) (1,161).

პოეტის რწმენით, „... მხოლოდ სულია თავის არსებით ყველგან მყოფი და ყოვლის აღმვსები“ (გალაკტიონი), სული ორივე სამეფოს მეუფეა: „სააქაოც, საიქიოც სუნთქვა არის სულისა“ (ვერაფერმა განაქარვოს) (1,20-21).

ორ განზომილებას შორის პირობითი საზღვრის მოშლა-ზე მეოცნებე პოეტის აზრით, ამ სასწაულის მოხდენა მხო-ლოდ სიყვარულის პრეროგატივაა. სული ფხიზლობს სხეუ-ლის დატოვების შემდეგაც, ხოლო სულეთის მგზავრებს ეი-მედებათ დავიწყების მდინარის-ლეტოს დაშრობა, რათა არ გაწყდეს კავშირი ცოცხალთა და მზეგადასულთა შორის. გარდასხეულების თეორიის მიხედვით, მიღმურში სულს და-ვიწყების მდინარის - ლეტოს წყალს ასმევენ, რათა აღარ ახ-სოვდეს წარსული, რადგან მინაზე სულის კვლავ მოვლინება მოხდება ახალი სახით, ახალი მისით, სხვაგვარი ცნობიერე-ბით, რისთვისაც აუცილებელია გარდასულთან კავშირის გაწყვეტა: „ვერ დაგვაშორებს აქერონის შმაგი ტალღები, სუ-ლი იფხიზლებს, თუნდ რომ გვამი ეგდოს მძინარე, სულეთის მგზავრნი, ანგელოზებს ჩვილი ბალღები დავაშრობთ ლე-ტოს, დავიწყების წყეულ მდინარეს“ (ველარ ვიოკებ) (1,49).

„ადამიანის შემდგომი ევოლუცია“ დამოკიდებულია „სიყვარულის გრადაციაზე“ ... სიყვარული ხდება ორი სამყა-როს ურთიერთლტოლვის მიზეზი... კოსმიური ჰარმონია და სფეროთა მუსიკა სხვა არაფერია, თუ არა უზენაესი სიყვა-რული... სიყვარულია ადამიანის უკვდავი სულის ყველა ღირ-სებითა შორის უპირველესი და დანარჩენ ღირსებათა ამოსა-ვალი წყარო,“ წერს მერაბ კოსტავა (20,57).

„იქ“, საიქიოში „აღურაცხელი მოყვასნი“ ბინადრობენ, რომლებიც პოეტს მიელიან, ნატრობენ, მაგრამ ჯერ მინაზე უნდა მოიხადოს ადამიანმა თავისი ვალი, რომ ზეცის სამ-შობლოში დამკვიდრდეს (შიმშილობა) (13,142).

ნინამორბედი პოეტებიდან მერაბ კოსტავა განსაკუთ-რებით გამოარჩევდა იმათ, რომლებიც „უხილავით“, „სულე-თის სიღრმით“ ინტერესდებოდნენ და ასეთებად მიაჩნდა გა-ლაკტიონი და ტერენტი გრანელი.

„სულის შიმშილით“ ატანილმა პოეტმა თვითონაც იწამა მესამე გზა, როგორც მარადიული არსებობის, მკვდრეთით აღდგომის დასაწყისი და ასე შეეხმიანა „მემენტო მორის“ ავტორს: „თუ ზეცა გწყურის და მინა გშია, თუ შენი თავის ხარ გამგებელი, სინდისის შენის ნინაშე წარსდექ, იცან სიკვდილი და მკვდრეთით აღდექ!“ (გალაკტიონი) (1,154). მისთვის მახლობელი იყო ტერენტის განაცხადი: „ზეცა მწყურია და მინა მშია“.

გალაკტიონის თვითმკვლელობა მერაბ კოსტავასთვის იყო სულის ომი ხარცთან; „ხორცის ბადეთა“ გარღვევა, სულის ამარა დარჩენა და მარადისობასთან შეხვედრა, უკვდავების გზა. თავისი გასვენების დღესაც ხედავდა გალაკტიონი ჩვეულებრივ მოკვდავთათვის შეუმჩნეველს: „... რასაც ვერ ჭვრეტდა ცოცხალთა თვალი, გულთმისანივით ხედავდი მკვდარი“ (1,157).

მერაბ კოსტავა სიკვდილს გარდაქმნას უწოდებდა, მიცვალებულ შვილთან შეხვედრა თავის სიცოცხლეში ეწადა და ორი სოფლის „შემტკიცებაზე“ საუბრობდა: „კიდევ კარგი, რომ ჩემთვის ირაკლი, გარდაცვლილები არ არსებობენ, არც კვდებიან და არცა ქრებიან, გარდიქმნებიან ღმრთივ საოცრებად, რადგან ისინი მუდამ რჩებიან ჩემთვის ცოცხლებზე უფრო ცოცხლებად“ (ირაკლის).

„შურისმგებელ წუთისოფელს“ უნდა დაუპირისპირდეს „ჭეშმარიტი გეზი,“ „უდრეეკი ნება“, რათა მიღწეულ იქნას „აუღებელი გოდოლივით“ შემტკიცება, რაც მხოლოდ „სულიერ ძმებს“, „სულით ... უახლოესთ“ ხელენიფებათ (ირაკლის) (1,128).

არსებობის მიზანია ქვეყნად მდიდარი „სამკალის“ „თავთუხის ძნებად“ შეკონვა და „ზოდიაქოებში“ ატანა.

სოფლად შთენილთა და ზესთასოფლად გარდავლენილთა გაერთიანებას შეეწევა სიყვარულის ძალა: „ტრფობანა-ჭარბი რადგან გულებით, სასუფეველი იიძულების, უდრეკ ზღუდეთა მარად დამძლევი, ვყოთ სიყვარული ჩვენ გზად და

ხიდად და ბნელში ნათლით გეზის გამკვლევი, მეოხ გვექმნების განგება დიდად“.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ გვხვდება სულები, „გაღვიძებული მარადულ ტრფიალის ძალით“.

გალაკტიონის ლექსში „ამაო ცდა“ „სამარის ჩრდილით“ სულების გამომხმობის სტიმულია „ტრფობის სიმღერა“: „... და ფერფლი შენი, მივიწყებული, სამარის ჩრდილით გამოიხმობა, ასეთი არის ტრფობის სიმღერა და ასეთია თვით იგი ტრფობა“.

მხოლოდ რწმენის ყოვლისშემძლეობით გაიკვლევა ერთმანეთისკენ გზა: „არცოდნა აღარ გვეპატიება იმის, თუ რაა გეზი ღმერთისკენ, ეს ურთიერთის არის ძიება, იგი გზა არის ურთიერთისკენ“, აცხადებდა მერაბ კოსტავა.

„თითქმის შეუძლებელი“, „აღსასრულებლად ძნელი“ საქმის აღსრულება, „ორი სოფლის“ შემტკიცება შესაძლებელია „სიყვარულით“, „სამებით“, „მზიანი ღამის“ რწმენით, რადგან „მზიანი ღამე“ ღმერთია: „მაშინ გაუვა ყავლი წამებას, შეხვედრის წამი როს არ აგვიდება, როს ჩვენს წიაღში ესე სამება, მძლე სიყვარულით გაერთარსდება“.

ამ წატვრის ასრულებაში იმედისმომცემია ლაერტის ძისა და აქილევსის, ენქიდუსა და გილგამეშის შეხვედრის მაგალითები: „... ჩვენ უნდა შევხვდეთ ჩემს სიკვდილამდე, ვით ლაერტის ძე და აქილევსი, რომ შევამტკიცოთ ორი სოფელი, მზით წათელებულ შუაღამეში, ჩვენ უნდა შევხვდეთ უცილობელად, როგორც ენქიდუ და გილგამეში“ (ირაკლის) (1,128-129).

გილგამეშისა და მიღმური სამყაროს ბინადარ ენქიდუს შეხვედრა აღწერილია უძველეს ეპოსში „გილგამეშიანი“.

მეგობარ ენქიდუს სიკვდილმა შეძრა გილგამეში, იგი პირისპირ აღმოჩნდა საკუთარი არსებობის გამო დაფარული შიშის აჩრდილის წინაშე.

სიკვდილ—სიცოცხლის საიდუმლოებათა წვდომის, უკვდავების ძიების სურვილმა გილგამეშს შეაძლებინა შეუპოვრად გავლა მორიელ—კაცებში, 12 მიჯნიან გვირაბში, გადაა-

ლახვინა ოკეანე, „სიკვდილის წყლები“, აატანინა ყინვა-არმური, შიმშილ-წყურვილი, რათა მიეღწია უკვდავი კაცის უთნაფიშთიმის სამყოფელისათვის. შამაში და უთნაფიშთიმი გილგამეშს სიცოცხლის წარმავლობის აზრს შეაგონებდნენ. გილგამეშს კი ამ სასტიკ კანონში გამონაკლისის პოვნა სურდა. ეს გამონაკლის უთნაფიშთიმის მიმართ იყო დაშვებული, რომელმაც იხილა შემზარავი წარლვნა, ქაოსი, სამყაროს განადგურების გამო ცრემლი დაღვარა, ამიტომ იგი უკვდავად აქცია სამყაროს შემოქმედმა, რათა ეხილა ახალი ცა და ახალი ქვეყანა. გილგამეშმა უთნაფიშთიმივით ვერ გაუძლო გამოცდას, ვერ შეძლო 6 დღეს და 7 ღამეს ეფხიზლა, ძილს მიეცა და მარადიული კაცის მაგიურმა შეხებამ გამოაფხიზა.

მიზანმიუღწეველ გილგამეშს განჭაბუკების ბალახი მისცა უთნაფიშთიმმა, მაგრამ ისიც დაეკარგა და ერთა-დერთ ნუგეშად დარჩა გამოცდილება, ახალი ცოდნის მოპოვება, დაბრძენება.

გილგამეშის ეპოსზე დამატებულ მეთორმეტე დაფაში (ენქიდუ ქვესკნელში) გოლგამეში გამოიხმობს ენქიდუს სულს და აამბობინებს საიქიოს ამბავს... (21)

აი, ასეთ შეხედრაზე ოცნებობდა ტრაგიკულად დაღუპული შვილის მამა, სიბრძნისა და ვაჟკაცობის აპოლოგეტი მერაბ კოსტავა.

პოეტის ამგვარი რწმენის ამოსავალი იყო სულის უკვდავების იდეა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სწორი მიმართება მარადისობისა და ჭეშმარიტებისადმი, სამყაროსა და დედამიწისადმი.

სულეთის სამყაროში მოგზაურ დანტეს წინამძღვრობდა სატრფოს აჩრდილი, რომელმაც დაუკონკრეტა ამ ოდისეის მიზანი: „... არა იმისთვის, რომ სრულყოფა მოგახვეჭინო (ეს არ მოხდება), რათა თავად განთდე შენაც მის ათინათით და იტყოდე: „აპა, ვარსებობ!“ (22,393).

ასტრალურმა მოგზაურობამ ახალი შთაბეჭდილებებით გაამდიდრა „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორის ხედვა და სუ-

ლი: „.... გამახვილდა აქ ვალი ჩემი და შემეცნებაც მკვიდრი ნიადაგს დამყარებია“ (22,293).

ახალ, „სამერმისო ცნობიერებამდე“ ამაღლება, „ხილვის გაახლება“ იყო ჰადესში ჭვრეტის მიზანი დანტეს მიხედვით.

სიკვდილია ადამიანის ხვედრი, მაგრამ ნუგეშია ის, რომ უცოდველ ადამიანთა სულები სამოთხეში მკვიდრებიან: „კაცს სიკვდილი... უწერია, რათა სამოთხეს აქ ეწიოს, – მან ეს არ იცის, თუ რა ნეტარი გველოდება ზეცაში რთველი“, ასკვნიდა დანტე.

მერაბ კოსტავას აინტერესებდა არა ადამიანის მიწიერი არსებობის გახანგრძლივების, არამედ სულის მარადიულობის იდეა, წინაპართა იდეალების გათავისება, უკვდავების საწინდრად კი ერისა და კაცობრიობის, მოყვასის, სამშობლოს, მიწიერი ვალის პირნათლად მსახურება ესახებოდა... მან კლასიკოსთა სიმაღლეზე განჭვრიტა, თუ რა ელოდებოდა მართალ სულს მიღმურ სამყაროში, რაც ანელებდა წარმავლობის სევდას...

ჭეშმარიტებაა ზვიად გამსახურდიას განაცხადი, რომ „მერაბ კოსტავას პოეზია... ზეცის, მიწის და საქართველოს მარადიული დიდებაა“ (1,10).

ლიტერატურა

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
4. Мозаика Агни Иоги, в двух книгах,I, Тб. 1990
5. რუდოლფ შტინერი, ქრისტე გოლგოთას მისტერიის დრას და ქრისტე XX საუკუნეში, თბ. 1994
6. აღმოსავლური პოეზია, თარგმანი ზურაბ კიკნაძის, თბ. 1981
7. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ. 1988
8. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, თარგმანი ა. გელოვანის, ბათუმი, 1988
9. გალაკტიონ ტაბიძე თხზულებანი ხუთ ტომად, ტ.III, თბ. 1994
10. Жизнь после смерти, М.1990
11. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე თბ. 1991
12. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ. 1986
13. ვაჟა-ფშაველა ხუთ ტომად, ტ. III,2011
14. კონსტანტინე გამსახურდია, დავით აღმაშენებელი 4 წიგნად, წიგნი III-IV, თბ. 1962
15. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ.I, თბ. 2011
16. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. III, თბ. 2011
17. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. II, თბ. 2011
18. ტერენტი გრანელი ორ ტომად, ტ. I, თბ. 1991
19. გოეთე, ლირიკა, თარგმანი ბენუკელის თბ. 1967
20. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1991
21. გილგამეშიანი, აქადურიდან და შუმერულიდან თარგმანი ზ. კიკნაძის, თბ. 1964
22. დანტე, ლვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941

ჩემი სამშობლო ზეცაა თავად

„და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენი,
ცა გარდაგვეხსნა მარადუამული“
ზვიად გამსახურდია

მიწისა და ცის არჩევანი, სოფლისა და ზესთასოფლის
დაპირისპირება თუ მორიგება მუდამ იყო გონებაგახსნილი
ადამიანის საფიქრალი, რელიგიისა თუ ფილოსოფიის ინტე-
რესის საგანი.

ეს საკითხი პოზიტიურად წყდებოდა ბიბლიაში, ღვთის-
მეტყველებაში, რელიგიურად მოაზროვნე ადამიანთა შემოქ-
მედებაში.

ურნმუნოების, ათეიზმის ბატონობის, მატერიალურის,
საგნობრივის, მიწიერის გაფეტიშების ჟამს ზეცის უგულე-
ბელყოფა ხდებოდა, რასაც განუზომელი ზიანი მოჰქონდა
სულისთვის.

გაქცევა თუ შერიგება? სული თუ მატერია?

მატერიალისტური შემეცნების დამახასიათებლად შტა-
ინერს მიაჩნდა სიჩლუნგე, მიამიტობა, ეჭვი, ზეციური ძალე-
ბისგან მოწყვეტა და მიწიერთან შეზრდა: „ჩვენ პირდაპირ მი-
ნაში ვართ... ჩათხრილი. სრულიად მოვწყდით ზემიწიერ ძა-
ლებს“, წუხდა შტაინერი და შეგვაგონებდა: „ადამიანი არ უნ-
და შეზარდოს მიწას, არ უნდა დაიძიროს მასში“ (1, 269, 270,
273).

ღმერთმა ადამიანს დედამიწაზე დაუსახა ამოცანა, ამი-
ტომ მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრების წესით შეუძლია მის-
გან გაღწევა და არა სხვა სამყაროში გაქცევით: „ადამიანის
ამოცანა მთლიანად ამ დედამიწაზეა საძიებელი... და ვისაც
სხვა სამყაროში სურს გაქცევა, ვერასოდეს მიაღწევს მი-
ზანს“ (1,97).

ეზოთერიკული ქრისტიანობა ამქვეყნიური სინამდვი-
ლიდან მოწყვეტას კი არა, მიწისა და ზეცის შეერთების,
გრძნობადისა და ზეგრძნობადის დაკავშირების გზებს გვას-

წავლიდა: „მხურვალედ ვითხოვოთ ზეციური სიმაღლეები, და ე მიველტვოდეთ სილაჟვარდეს, ვინძლო უნყინრად მოგვექცეს მიწიერი სიკეთე ამ საუკუნეში“ (წმ. გრიგოლ პალამა) (2,388).

„სოფლისა და ზესთასოფლის სრული ჰარმონიის“ მიღნევის ნიმუშად მიჩნეულია „ვეფხისტყაოსანი“ (3,93).

უიტმენი ერთდროულად მოუხმობდა ცას და დედამიწას (სიმღერა ჩემს შესახებ) (4,71).

დანტე მარადიული მშვენების საუფლოდ არა მიწას, არამედ ცას სახავდა: „ცა გიხმობთ ისევ და ტრიალებს იგი თქვენს თავზე, გიჩვენებთ თანაც მარადუამულ მშვენებას თვისსა, მაგრამ თქვენ მაინც ისევ მიწას დასჩერებიხართ და სასჯელს გიწვდით ამიტომაც ყოვლისმხილველი“ (5,93).

„ღვთაებრივ კომედიაში“ ცის უარმყოფელთა სასჯელია მიწისკენ გამუდმებული ცქერა: „რადგანაც თვალნი არასოდეს მოგვიქცევია სიმაღლეთადმი, რადგან ვჭვრეტ-დით მხოლოდ მიწიერს, მართლმსაჯულებამ მოგვისაჯა მიწისთვის ცქერა“ (5,137).

მიწაზე ვერ დაეტევა უსაზღვროებისკენ გაჭრილი სული: „....მიწაზე... ესდენ ამაოდ ვეძიებდი საზრდოს სულისას“ (5,216).

მიწისა და ზეცის მორიგება იოგებისათვის იყო გონებისა და მოქმედების პრობლემა, ორი გზა: „გონებამოსილთათვის შემეცნების იოგა, ღვაწლმოსილთათვის მოქმედების იოგა“.

„საქმისაგან განდგომილი კაცი... ასეთი განდგომით სრულყოფამდე ვერ ამაღლდება.

„უნდა მისდიო სოფლურ საქმეს და მით ქვეყანას შეენიო“ (შდრ. 6. ბარათაშვილი: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდეცა მიესდიოთ მას, გვესმის მშობლისა“ – „ფიქრნი მტკვრის პირას“).

ყოველგვარი საქმე წმინდა სულით უნდა კეთდებოდეს: „ვერ შემსვრიან მე საქმენი და საქმეთაგან მონაგარი არა მხიბლავს მე“...

„ნათელლებული“ მხოლოდ სიბრძნის გზის მიმდევარია: „ვისი ღვაწლიც სიბრძნის სახმილშია გამობრძმედილი, იგი ნათელლებულად იწოდება“.

„არშობილისა და წარუდინებლის“ შემეცნებას ვერ მიაღწევს ქვეყანა ეგე შეცთომილი“.

„ნივთა შეწირვას სიბრძნის შეწირვა სჯობს“.

„სიბრძნე მოიცავს ყოველგვარ საქმეს“, გვასწავლის ბჟაგავად-გიტა (6,33,38,41,57).

ნიცშეს სძულდა „მიწის მუცლით მოლაპარაკენი“, ზე-დაპირულთა ორიალი, „ნაცრით დაბნელება“, „მათი სულის შიგნეულის ზიზლის ტალახი“... (7,157).

უარყოფდა რა სადლეისო, ხრნნად, წარმავალ ღირებულებებს, ნიცშეს სურდა ფრენა ესწავლებინა მომავლის ადამიანებისთვის, ხოლო ამისთვის მოუმწიფებელთ „სწრაფად დაცემისკენ“ უბიძგებდა.

ღმერთის უარმყოფელი და ზეკაცის მაძიებელი ზარატუსტრა განკურნების ადგილად მაინც მიწას მიიჩნევდა: „ქეშმარიტად, მიწა კვლავ განკურნების ადგილად იქმნება! და უკვე ჰმოსავს მას ახალი სურნელება, განკურნების მცემელი – ახალი იმედი“.

„ქვეყანასა ზედა მრავალი კეთილი აღმოჩენაა, ვიეთი სარგო, ვიეთი საამო: მათი გულისთვის ლირს მიწის სიყვარული“ (7,159).

ეს პრობლემა ყოველთვის აქტუალური იყო ქართული ლიტერატურისთვის.

„მიწიერ-ზეციერი იყო ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი „ხან მიწის“ იყო, „ხან ცის“, მასთან მიღწეული იყო „ცის და მიწის“ კავშირი“.

ნიკოლოზ ბარათაშვილს აღიზიანებდა მიწიერი ცხოვრების ამაოება, „ზენაართ სამყოფს“ ეტრფოდა, მაგრამ წუხდა, რომ „ვერ ცნობენ გლას მოკვდავნი განგებას ციურს“ (შემოღამება მთანმინდაზე).

ვაუა ფშაველა ამბობდა: „მიწას მიწურად და ცას ციურად მივეთავაზი“.

გალაკტიონისთვის მახლობელი იყო „ცის და მიწის ჰანგი“, „ცის და მიწის შეზავება“, „ორი სიმღერა“, „ოცნებისა და სინამდვილის შედუღება“, სამყაროს ჰარმონიის მიკვლევა. მის შემოქმედებაში ერთდროულად იხილვება დიონისური და აპოლონური საწყისები.

ტერენტი გრანელი მიწას უწოდებდა „გალიას“, „ყუთს“, „სამარეს“. მას „მარადისობის ლაუვარდები“ ეიმედებოდა და ამბობდა: „ყოფნა მიწისთვის რა მიზანია“.

„მემენტო მორის“ ავტორი გონიერი ცის, „ცანი ცათანის“, მარადი ცის მშვენიერების ტყვე იყო: „რა ბრწყინვალეა ცა იქაური“.

უცნობი სფინქსი ლაუვარდებს მიიჩნევდა თავის მარადიულ სამშობლოდ: „...ჩემი ნაზი სამშობლო ლაუვარდები ცისფერი“, მავრამ ტერენტის აქვს ასეთი განაცხადიც: „ზეცა მწყურია და მიწა... იგი აიდეალებდა არა სიცოცხლეს, არა სიკვდილს, არამედ „მესამე გზას“, სულის მარადიულობას.

ანა კალანდაძე „ორი ქვეყნის საზღვარზე“ იმყოფებოდა, ცდილობდა საპირისპირო საწყისების მორიგებას: „რაა ციური, თუ მიწისაც არ ექნა ძალი?“

ამასთან, ანა კალანდაძე კიცხავდა „ცა და ციურის“ დამვიწყებელთ.

მერაბ კოსტავა გმობდა არა საერთოდ მიწიერ ცხოვრებას, არამედ დუნე, უიდეალო, უმიზნო არსებობას, როცა მიზანი მხოლოდ ძლომაა, ხორცის სიამოვნება: „ვინც ლუკულუსის ნადიმებს მართავს, დაუცხრომელად ახარებს მუცელს, ვისაც თან დააქვს მსოფლიო ხვავი, გადაუანგებულს მიაგავს ძრავას და ასე ცხოვრობს, რაც ახსოვს თავი, უიდეალოდ, დუნედ, უძრავად“ (შიმშილობა) (8,133).

ამაოების მსახურთ, ადამიანური ვალის დამვიწყებელთ მიმართავს პოეტი: „...საგზურს მიწისას რა თავში იხლი, სიცოცხლე განა უვალო არის, ამაოებით თავს რატომ იღლი?“ (შიმშილობა) (8,138).

მატერიალური ყველაფერი ჭიის და ჩრჩილის ხვედრია: „ნთქავს მატერიას ჭია და ჩრჩილი“ (შიმშილობა) (8,134).

პოეტი წუხს დაცემულებზე, რომელთაც მაღლა ვერ აუ-
ხედავთ: „ხალხს დამინებულს რა აღმართავს, მაღლა რა ას-
წევს?“ (ბიბლიური რემინისცენციები) (8,93).

და ხსნის გზად მიჩნეულია რწმენა, სიბრძნე, სიყვარუ-
ლი, მშვენიერება: „ეგრე დაცემული გიხსნას რელიგიამ, სიბ-
რძნემ, სიყვარულმა და მშვენიერებამ“ (ეტიუდი) (8,81).

სიბრძნე და სიყვარული ღმერთის სახელებია.

წარმავალია, ეფემერულია, ცეცხლის ხვედრია მხო-
ლოდ მიწიერი ინტერესებით არსებობა: „ცეცხლი წვავს მი-
ნის ყველანაირ წარმავლობას“ (ლირს მამა დავითს) (8,109).

ხორცის გალალებით გაამაყებულნი, მათხოვარივით
წარსდგებიან მარადისობის წინაშე: „სიამაყე, აქ რომ მბრძა-
ნებლობს, მათხოვარია იმ სოფლის ბჭესთან“ (ძმას ქრისტეს-
მიერს) (8,11).

საწუთოს დიდება წარმავალია, ამაო მიზნისათვის არ
უნდა გაისარჯოს ადამიანი, მაცილის ლამაზი ღიმილის მაძი-
ებელთ ასე აფრთხილებს პოეტი: „რად გინდა საწუთოს
ამაო დიდება, მპარავი წაიღებს, არარა დაგრჩება, უსაგნო
მიზნისთვის ხელი რად გაიღე, საწუთოს დარჩება, ქურდი-
ვით წაიღებს. ასეა ლამაზის ღიმილი მაცილი, საწუთოს სა-
ცერში წყალია გაცრილი“ (რად გინდა) (8,185).

მერაბ კოსტავა ეთაყვანება სულიერ მამებს, რომელ-
თაც ზეცის ზნეობა მიწაზე დაამკვიდრეს: „...ვითა პრომეთემ,
გამოსტაცეთ ზეცას ზნეობა და ჩვენს მიწაზე გადმონერგეთ
ძლევის მაგიად“ (ლირს მამა დავითს) (8,105).

არსებითი მორალური პრობლემების, სინდისის უგუ-
ლებელმყოფი ვერასოდეს მიეახლებიან უზენაესის პირს:
„ცხოვრება მუდამ სვამდა საკითხებს უკომპრომისოდ, ულ-
მობლად, მწვავედ, საკუთარ სინდისის მკაცრად მოჰკითხე,
თორემ პირისგან მისისა განვედ“ (ტანჯვათა ტიტანი) (8,17).

მხოლოდ მიწიერი ვალის შემცნობთ, ზნეობრივი პასუ-
ხისმგებლობის მქონეთ იციან ცხოვრების ფასი: „მაგრამ ჩვენ

ვიცით ცხოვრების ფასიც, გვაქვს მიწიერი ვალის შეგნება, განვლილ დღეთათვის ჩვენ ვაგებთ პასუხს“ (შიმშილობა) (8,143).

რათა საქმე იქცეს სიტყვის თავკიდურად და ადამიანი სერიოზული შედეგებით წარსდგეს სამსჯავროზე, საჭიროა მიწაზე ცხოვრება, მრავალი გამოცდის ჩაბარება: „მაგრამ ჭაპანი თუ გსურს გასწიო, საფუძვლად საქმე დაუდო სიტყვას, სერიოზულ შედეგს აქ მიაღწიო, მიწაზე უნდა იცხოვონ დიდხანს“ (შიმშილობა) (8,142).

ვისაც სწამის სულის უკვდავება, სასუფეველი, ამ სოფლის სიყვარულში, სიკეთის მსახურებაში ქრისტეს უნდა მიჰბაძოს: „...თუ გსურს ბოლომდე დაიმკვიდრო სასუფეველი, უნდა ბოლომდე შეიყვარო ესე სოფელი, ისე, ვით ქრისტემ შეიყვარა იგი ბოლომდე“ (მსხვერპლი) (8,185).

ერის, თვისტომის, მსოფლიოს პროგრესული იდეალების ერთგული ადამიანის საქმეები ზეცაში აღინუსხება: „საქმეა იქცე მსოფლიო კაცად და არ უმუხთლო ერსა და თვისტომთ, ცის მაღალ ყელზე ვარსკვლავთა აცმას ჰმატო ზურმუხტი და ამეთვისტო“ (ტანჯვათა ტიტანი) (8,16-19).

მხოლოდ დედამიწაზე პროგრესის მსახურს, მორწმუნეს წყალობს ღმერთი: „არსთა გამრიგემ არ გაიმეტოს, ვინც სამყაროთა თვალის ჩინია“ (იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს) (8,22-23).

„ამა სოფლის თავადის“ მსახური ვერ გაითავისებს მაღალ მიზნებს (გალაკტიონი) (8,148).

„დიდის ძალისხმევით მოსწყვიტე თვალი ამქვეყნიურს, რამეთუ მისგან ამომავალი კვამლი აღამღვრევს სულს“, აფრთხილებს ადამიანს წმინდა მამა (წმ. ნილოს სინელი) (9,110).

სამოთხეს მხოლოდ სიკეთისა და რწმენისთვის ჯვარცმულს უმზადებს უზენაესი: „მიღმურში ისე ვერ გადახვალ, ჯვარცმულის წვით თუ არ ევნები“ (ვინ იცის) (8,122).

უკეთური თავშესაფარს ვერ ეღირსება ზეცაში: „...მაცდურს ზეცაში არ აქვს თავშესაფარი“ (ძმას ქრისტესმიერს) (8,11-15).

წმინდა სული ორ განზომილებაში ცხოვრობს, ზეცის სიმაღლეს ელტვის და მიწასაც ეთაყვანება: „სულო, გასდიე სალი კლდის არნივს, ლაუვარდში შვება იცან, ვარსკვლავთა წალკოტს ოცნებით ასწვდი და ეამბორე მიწას“ (სულო, დაი-ცა) (8,40-41).

ვინც მიწისა და ზეცის ვალს ერთდროულად შეიგნებს, ვინც გაიცნობიერებს, რა ელოდება ადამიანს სიკვდილის შემდეგ, ვინც სინდისის წინამძღვრობით იცხოვრებს, მკვდრეთით აღდგება: „თუ ზეცა გწყურის და მიწა გშია, თუ შენი თავის ხარ გამგებელი, სინდისის შენის წინაშე წარსდექ, იციან სიკვდილი და მკვდრეთით აღსდექ!“ (გალაკტიონი) (8,154).

სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებათა შემცნობს ვერ აშინებს სიკვდილი, გარდუვალთან შეხვედრა, რადგან ზეცი-დან მოვლენილი წმინდა სული შეუბილნავად უნდა მიაპაროს უფალს, რომ ისევ თავის მარადიულ სამშობლოს, ზეცას და-უბრუნდეს: „წილხვდომილ სიკვდილს თუ ვმზერდე ავად, მა-შინ ნამუსის ქუდი გავთელო, ჩემი სამშობლო ზეცაა თავად, შემდეგ ეს მიწა და საქართველო“ (შიმშილობა) (8,131-143).

ასეთი რწმენის საფუძველია უცოდველი ცხოვრება: „ცხოვრება ჩემი განვლიე სწორად, მუდამ მთლიანი ვიჯე ინახად, არ გავთიშულვარ აროდეს ორად“ (შიმშილობა) (იქ-ვე).

ღვთისმეტყველები გვასწავლიან, რომ „ზეცა ყველა რჩეულის მამულია“ (განმანათლებელი ტიხონი) (10,396).

„ცოდვილს ეწოდა მიწა, როცა უთხრეს, რომ მიწა ხარ და მიწად იქცევიო“ (დაბად. 3,19), ასევე, საპირისპიროდ, მარ-თალს შეიძლება ეწოდოს ზეცა“ (10,397).

წმ. ეპისკოპოსი ეგნატე მოგვიწოდებს: „ასწიეთ თავი, შეხედეთ მოწმენდილ ცას! იქ არის თქვენი ადგილი! ღმერთი ღმრთებრ არსებას გიბოძებთ. ჩამოიბერტყეთ ამაო სოფ-ლის ხიბლი“ (10,394).

„ამსოფლიურ ვნებათა უღლის“ გადამგდებთ, მაღლამ-ხედთ ელოდებათ „ნათელი, მამისგან გამომავალი“ (წმ. ისააკ ასური) (11,232).

ზეცისკენ წინამდლოლია ქრისტეს მცნებანი, ამიტომ მი-მართავს წმინდა მამა ძე ღმერთს: „ქრისტე მეუფევ! შენ ხარ ჩემი სამშობლო, ჩემი სიმტკიცე და ჩემი ნეტარება. შენ ყვე-ლაფერი ხარ ჩემთვის“ (წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი) (12,86).

უცოდველთა სულში თვით ზეცა, მეუფე და ანგელოზე-ბი ივანებენ: „თუ განწმენდილი ხარ ვნებათაგან, მაშინ შენ-შია ცა და ამ ცაში ხედავ ანგელოზებს... და მათთან ერთად მეუფეს მათსას“ (წმ. ისააკ ასური) (11,230).

„ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ საჭურ-ველთაგან ნაკლულოვანია, გონებით აღმატებულს, თვით ზეცამდე ამაღლება შეუძლია“, ასკვნის ნეტარი ავგუსტინე (ალსარება, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985, გვ. 267).

„...ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია, საიდანაც ველით მაც-ხოვარს უფალ იესოს“, ირწმუნება პავლე მოციქული (ფილი-პელთა, 4,20) (13,428).

მაგრამ ეს იოლი როდია, ადამიანის სურვილზე არ არის დამოკიდებული ცაში დამკვიდრება: „მყობადის ბედი არ წყდება უცებ, არ გადიხსნება ზეცა იოლად...“ (ტანჯვათა ტი-ტანი) (8,16-19).

სახარების კვალობაზე, ლექსში „შიმშილობა“ ვითარდება აზრი, რომ სასუფეველში შესვლას, მართალთა მხარეში დამკვიდრებას, ღმერთის გზაზე სვლა, ბაღლური სიწმინდე და უმანკოება სჭირდება: „ხელახლა ბაღლად თუ არ ვიქე-ცით, სასუფეველში ვერ შევალთ ისე. ვინაც ირეკდა, განეღო კარი, მართალთა შორის მოიხსენებენ, ის სანუკვარი საცაა მხარე, სადაც მართალნი განისვენებენ“ (შიმშილობა) (8,139).

პოეტი იზიარებს მოსაზრებას, რომ „...ნებისმიერ სწრაფვას სულიერს ამსოფლიური აქვს შესატყვისი“ (შიმშილობა) (8,131-143).

ღმერთმა ერთიანობაში ჩაიფიქრა ცა და მიწა და ცის კანონი მყარზე დააფუძნა: „რომ არ განიყოს ისტორია ცისა და მიწის, კანონი ცისა დავაფუძნე უსალეს კლდეზე, მყარია იგი და ამადაც ჰქვია სამყარო“ (ბიბლიური რემინისცენციები) (8,131).

ასევე, ღმერთმა ერი „ცის ჰარმონიას“ აზიარა „რვალი-ვით მტკიცეს“ (ბიბლიური რემინისცენციები) (8,91).

ბიბლიაში გარჩეულია ცოდვილი, ეკლებისა და კუროს-თავების აღმომცენებელი მიწა და მართალთა მიწა.

ბოროტეულთა სამყოფელი განქარებადი და ცვალება-დი მიწაა, მართალთ კი ელოდებათ „მშვიდთა მიწა, უკვდავი მიწა“: „მიწაც განქარდება და შეიცვლება. ხოლო ნეტარია ის, ვინც მიწას დაიმკვიდრებს, რადგან ის მიწა, რომელმაც წმინ-დანები უნდა შეიწყნაროს, უკვდავია...“

ესაა „მშვიდთა მიწა, უკვდავთა მიწა“ (წმ. ოთანე დამას-კელი) (14,357).

ცასთან ერთად უნდა გვიყვარდეს მიწა, რომელზედაც ძე ღმერთი მოვიდა კაცის სახით: „ცა ღვთის ტახტია, მიწა ღვთის ფეხთა კვარცხლებეკი, რადგან ხორციელად მასზე იმ-ყოფებოდა იგი ადამიანებთან ერთად“ (14,339).

პოეტისთვის მთავარია „იბერიის წმინდა მიწის გამო-სარჩლება“, ხოლო „მთაწმინდის მიწა თავადაა ლოცვა ანკა-რა“ (ღირს მამა დავითს).

სწორედ წმინდანთა მიწას ეამბორება მერაბ კოსტავა (სულო დაიცა) (8,40-41).

პოეტისთვის მარიამ ღვთისმშობელი არის „ძველი მი-წის“ და „ძველი ზეცის“ განმაახლებელი, რადგან მან დაბადა „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“ (ღვთისმშობლი-სადმი) (8,34-35).

ლექსში „ორი პაემანი“ (8,47) გვხვდება „აღთქმული მიწა ჰესპერიდების“, სადაც ენეოსს მიაცილებენ.

მაცდურს „ზეცაში არ აქვს თავშესაფარი“ (ძმას ქრის-ტესმიერს) (8,11-15), ხოლო „მაღალი აზრი უფსკრულთა ზე-და... კვლავაც აღგმართავს ხელთუქმნელ სვეტად, ჭეშმარი-

ტების შენისა ჭვრეტად, მშობლიურ ცასთან კვლავ შეგაერთებს“ (შიმშილობა) (8,133).

ლირს მამა დავითს ასე მიმართავს პოეტი: „თუ გორგასალმა ალაშენა ფუძე თბილისის, შენის კურთხევით ჰყავ უკვდავი ან და მარადის! შენ ამწყალობე მის სანახებს მკაცრი იერი და ქართულ მინას ააცილე უსახურობა, სულის საჭრეთლით ჩვენი ერი ჰყავ სახიერი, როს საიდუმლო აღასრულე ღვთისმსახურება“ (ლირს მამა დავითს) (8, 108). „...მთაწმინდის მინა თავადაა ლოცვა ანკარა“... (8, 106).

პოეტი წუთისოფლის იქით, მიღმურში, ზესთასოფელში იხედება და ყველგან სულს პოულობს: „...სად წუთისოფლის დასასრულია, სიცარიელე ჰქება სრულიად, იწყება რიგი საოცრებების, ზესთასოფელი რადგან რთულია, რადგან სამყარო ყველგან სულია, ცხოვრების პულსით და არსებებით“ (გალაკტიონი) (8, 160).

მერაბ კოსტავასთვის გალაკტიონი იყო მაკროკოსმიური კაცი, სულით ხორცის დამმარცხებელი, ზოდიაქოებში აჭრილი „აზრების რთველით“, ცის და მინის საიდუმლოებებთან ნაზიარები...

„სიკვდილის განცდა შენი ბედია“, ამბობდა „გალაკტიონის“ ავტორი და აშკარაა, რომ თვითონაც სულეთის სიღრმეებში იხედებოდა ნათელმხილველთა დარად, ზეცის ტახტის მეუფეს ხედავდა: „სჭვრეტ მეუფებას ოქროს ტახტიანს, მნათობთა ბადეს გაშლილს...“ (სულო, დაიცა) (8,40-41).

და ზეიად გამსახურდიაც ხომ შეეხმიანა: „დაგვცეკერის თვალი არსთავანმრიგის, ის აგვარიდებს ბედის შავ ტაროსს, და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენნი, ცა გარდაგვეხსნა მარადუამული“ (1,10).

მართლაც, პოეტისთვის ხშირად იხსნებოდა სანთლებიანი ზეცა: „ანაზდად პირი იბრუნა ბნელმა, ზეცამ სივრცეებს მოხსნა სარქველი და უჩინარი მლოცველის ხელმა ერთად დაანთო ყველა სანთელი“ (თეთრი ქალწული) (8,42-48).

ლიტერატურა

1. რუდოლფ შტაინერი, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, თბ. 1994
2. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ. 1991
3. რევაზ თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ. 1985
4. უოტ უიტმენი, ბალახის ფოთლები, თბ. 1966
5. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ. 1941
6. ბჰაგავად-გიტა, თბ. 1983
7. ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბ. 1993
8. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
9. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბ. 1992
10. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ. 1991
11. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ. 1991
12. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I, თბ. 1990
13. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
14. მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმინევნითი გადმოცემა, თბ. 2000

პოეტის ზეოპარიზი იდეალი

მერაბ კოსტავა იყო სულიერი გონებით, საღვთო სიბრძნით გამორჩეული ეროვნული მოღვაწე და შემოქმედი, რომელსაც სიღრმისეულად ჰქონდა გათავისებული ცის და მინის ისტორია (...რომ არ განიყოს ისტორია ცისა და მინის – „ბიბლიური რემინისცენციები“). ის არასოდეს თიშავდა ერთმანეთისგან ცოდნას და რწმენას, სიბრძნეს და ზნეობას.

პოეტს აინტერესებდა პიროვნების, ერის, კაცობრიობის სულიერი ფიზიონომია, მისი მასშტაბური თვალსაწიერი წვდებოდა მსოფლიოს, სამყაროს, კოსმოსის პრობლემებს. თვითშეცნობის და გლობალური სატკივრების გაგების უნარით მომადლებული, ამავე დროს, იყო მომავლის გამჭვრეტი „უმაღლესი... მისანი“...

მერაბ კოსტავას შემოქმედებაში უპირველეს ადგილზე გვევლინება ზნეობრივი სრულყოფის იდეალი. არც სიყვარული, არც ვაჟკაცობა და რწმენა არსებობს მაღალი მორალის გარეშე, აქ ყველაფრის საჯილდაო ქვა მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანული მრწამსია. მაღალი ზნეობა კი მხოლოდ განსაცდელთან შერკინებაში, ცხოვრებისეული ფათერაკების ძლევაში ყალიბდება.

მერაბ კოსტავა იყო, მისივე ნათქვამი რომ გავიმეოროთ, წმინდა მამის მისამართით თქმული, „მზერაუქცეველ აღმართხედვით ნამწვერვალები“ (ლირს მამა დავითს) (1,104-111).

სულის უკვდავების რწმენით სავსე ლირიკულ პერსონაჟს ლექსისა „ვერაფერმა განაქარვოს“ (1,20-21), შეგნებული აქვს „წუთისოფლის ვალები“.

„ქართული საგალობელი“ (1,51) „ღმერთების ენით“ უგალობს მამულს, სიკეთეს, შეცნობილი აქვს ამქვეყნიურ სიძნე-ლეებთან ბრძოლის აუცილებლობა, მოძმის გულისტკივილი: „შემაძლებინე, მაღალო ღმერთო, მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო, მოძმე მკერდიდან არ მომიკვეთო, ტრფიალი მისი არ განმიქარვო. მის გულისტკივილს ვგრძნობდე უსიტყვოდ,

გავუადვილო წუთისოფელი, აი ყველაზე ნაღდი მუსიკა, აი, ქართული საგალობელი“.

პოეტის დევიზია: „იყავ უმაღლესი ზნეობის მპყრობელი, მშვენების მისხალსაც ნუ მისცემ სატანას“ (სულში ჩა-გელვენოს) (1,32).

უშიშარი გმირები, რჩეულები მარადიულ სასუფეველში მკვიდრდებიან: „აწყვეტილი ნიაღვარი რჩეულ გმირთა დასში ბრწყინავ, უშიშარი ალამდარი მარადიულს ჰპოვებ ბინას“ (სიზმარი) (1,63-65).

ცოდვის ოკეანე წარღვნით ემუქრება „კაცთა მზვაობ-რობას“, მხოლოდ „სიქველის ნათელით“ შეიძლება სულის ხსნა, დაცემული სულის ხსნის გზა არის „რელიგია, სიბრძნე, სიყვარული და მშვენიერება“.

ადამიანის ბუნება ოკეანეა, მისი სადავე კი სული უნდა იყოს.

ზეცით გადმორგული ნერგია ადამიანი და მას ჰმარ-თებს ადამივით ისევ ცად მიბრუნება, მიწის ვალის მოხდა, განწმენდა, ეკლის ადგილას ვარდის გახარება: „ნერგს, ზე-ცით გადმორგულს ნუ დააზიანებ, ცად მიბრუნებული გახ-სოვდეს ადამი, ვალის მიტევებას ნუ დააგვიანებ, ვარდი დარ-გე და მოსთხარე ეკალი“.

საკუთარი მდაბალი ლტოლვების შედეგად მატლივით გაისრისება, იარებით დაწყლულდება, მოისპობა, მტვრად გარდაიქმნება ცოდვების მორევში ჩავარდნილი (ეტიუდი) (1,80,82).

რწმენას ცოდნის ძლიერი შარავანდედი სჭირდება, ბრმადშობილთა სული კი ჭაობივით ურგებია, მთავარია „სუ-ლიერი წრთობა, მიწიერის „ცის ჰარმონიასთან“ ზიარება, წა-რუვალი საუნჯის პოვნა, რომ არ განიყოს „ისტორია ცისა და მიწის“.

მთავარია ღმერთისა და მოძმის სიყვარული (ბიბლიური რემინისცენციები) (1,96).

სრულყოფილი სული ლაუვარდებთან სიახლოვით სპე-ტაკდება და, ამავე დროს, მიწასაც პატივს მიაგებს: „სულო,

გასდიე სალი კლდის არწივს, ლაუგარდში შვება იციან, ვარ-სკვლავთა წალკოტს ოცნებით ასწვდი და ეამბორე მიწას“.

ბოროტებასთან შეურიგებელი, სინანულით განწმენდილი სული სიკვდილის შემდეგ მკვდრეთით აღდგება, რომ უზენაესის მეუფება იხილოს: „სჭვრეტ მეუფებას ოქროს ტახტიანს, მნათობთა ბადეს გაშლილს, განგებას შენთვის დაურახტია ცეცხლის მფრქვეველი რაში“ (სულო, დაიცა) (1,40-41).

მთავარია ზეციური პურის შიმშილი, ხოლო თავთუხებს ძნებად კრავენ და სამსხვერპლოზე ზოდიაქოებთან ააქვთ სულიერ მამებს, ისინი „ბილჩ დემონებს“ ამარცხებენ.

მამა დავითმა „ვნებების რაში რკინის სალტით დაასა-დავა“, „ნებელობა უქცეველი მეაბჯრედ“ იხმო, თავისი ხორ-ცი სისხლთან ერთად ბარძიმში ჩადო და იბერიის მწყურვალ შეილთ უზიარა, მას ამშვენებდა „მეფე-მოგვის სათნობა“, ირისე გადმონათოდა თავზე.

ის იყო „მწყემსი კეთილი“, „ქარიშხლის პირმშო“, ბრძენი მინდია, „ნიალთა სიბრძნის აიაზმად მასხურებელი“... მან „ქართულ მინას ააცილა უსახურობა“, „სულის საჭრეთლით სახიერ ჰყო ჩვენი ერი თავისი „საიდუმლო ღვთისმეტყველებით“... (1,105).

ცამეტ ასურელ მამათა ღვანლით, „თბილის ცაზე აღე-ბეჭდა ღვთისმშობლის ღიმი“ (1,104), ისინი იყვნენ „დაუც-ხორმელი სპარაზენი სულიერ ომის“, „ჩვენი სინდისის და მეობის აკვნის დამრნევინი, „ზნეობის რაინდები და ღმერთკა-ცები“, „ჩვენი კაცობის ბასტიონები“...

„სატანის წაშიერთათვის“ ეშვების დამთხრელს, სიკე-თისათვია ჯვარცმულს ელოდება სასუფეველი“ (ვინ იცის) (1,122).

მიზანი უნდა იყოს ღმერთისკენ გეზის ცოდნა, სამების ადამიანის სულში „გაერთარსება“, სამკალის ბეჯითი მუშა-კობა და თავთუხის ძნების შეკვრა ზოდიაქოებში ასატანად (ირაკლის) (1,126,131).

მისი ლირიკული გმირი იმისთვის ლოცულობს, რომ განიახლოს „სულის საყდარი“, იხილოს „მზიანი ღამე“, აირიდოს ცოდვები, რათა ლირსი იყოს უზენაესის მზერის: „ოდეს ვირევდე, განმიღე კარი, ელვავ, ღრუბლებში შემოპარულო და განმიახლე სულის საყდარი, სასოებაო და სიხარულო... როდესაც წარვთქვი: „იყავნ წათელი“, აენთო ჭალი მზიან ღამისა“ (შენ გევედრები სულით გლახაკი) (1,25).

საღვთო სახელებია: ელვა, კარი, სასოება, სიხარული, წათელი.

მივმართოთ მაგალითებს: „...როგორც ელვა გამოდის აღმოსავლეთიდან და თვით დასავლეთამდე ანათებს, ასევე იქნება კაცის ძის მოსვლაც“ (მათე, 24,27) (2,54).

„...მე ვარ კარი ცხოვართა“ (იოანე, 10,7) (2,201).

ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2,10) (2,113).

„მე წათელად მოვედი წუთისოფელში, რათა არც ერთი, რომელსაც ჩემი სწამს, ბნელში არ დარჩეს“ (იოანე, 12,46) (2,208).

სასოება, იმედი ღმერთის სახელია: „ხოლო იმედის ღმერთმა აგავსოთ ყოველგვარი სიხარულით და მშვიდობით რწმენაში, რათა სულინმიდის ძალით იუხვოთ იმედში“ (პავლე მოციქული, რომაელთა, 15,13) (2,352).

„მზიანი ღამე“ ორიგინალური საღვთო მეტაფორაა და მომდინარეობს „ვეფხისტყაოსნიდან“ (3,57-58).

პოეტი უფლის დედას ევედრება ცოდვათა მიტევებას, მონანიებით ცდილობს განწმენდას, მაღალი მიზნის ერთგულებას: „...თუ რამ ვცოდე, მომიტევე, დამიშრე ცრემლთა ტბორები... სინანული განმიახლე, სიწმინდეო შეუვალო, ტაძრად ღმრთისად მიმაახლე, შენით დავუტევო გზანი ცოდვისანი“ (ღვთისმშობლისანი) (1,34-35).

სძალი, დედოფალი მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა. ქებათა ქებაში წათქვამია: „ბალი ხარ დახშული, სძალო“... (4,12 (2,16).

„ფსალმუნში“ დედოფლის ადრესატი მარიამია: „შენს მარჯვნივ დადგა დედოფალი ოფირის ოქროთი შემკული“ (ფს. 44,11) (2,16).

ბოროტებასთან შეურიგებელი სული სინანულის ზღვაში იწმინდება, სიკვდილის შემდეგ მკვდრეთით აღდგება, რომ უზენაესის მეუფება იხილოს: „სჭვრეტ მეუფებას ოქროს ტახტიანს, მნათობთა ბადეს გაშლილს, განგებას შენთვის დაურახტია ცეცხლის მფრქვეველი რაში“ (სულო, დაიცა) (1, 40-41).

პოეტის იდეალია „გადარჩენილი გემები“, გადაუმსხვრევი ანძები (ქარვა გაუხუნდათ ალვებს) (1,66-64).

ღვთისმეტყველების მიხედვით, გემი იგივე ჯვარია, ქრისტეს მეტაფორა, რომელიც ცოდვილი ცხოვრების – ზღვის გადალახვის საშუალებაა: „ზღვა, მწარენყლიანი მარილისგან და მშფოთვარე ქარიშხალთაგან, სიმბოლოა ამა სოფლისა“ (5,519).

იოანეს სახარების ნეტარი ავგუსტინისეული განმარტებით, ამ „ზღვაზე გადასასვლელი გემია ძელი, იგივე ჯვარი, ჯვარცმა“ (5,519).

ტანჯვამ, განსაცდელმა ცნობიერების ამაღლება უნდა გამოიწვიოს, მინიერი ვალის შეგნებაში უნდა დაგვეხმაროს.

სასუფეველში შესვლა მხოლოდ ბალლური სიწმინდით არის შესაძლებელი...

პოეტის იდეალია „მზეგადასული შეთქმული, ზეალმტაცი ჭვრეტის საგანი ცოტნე დადიანი, გუამის გვემით არ დამდნობელი“ (კოხტაგორა) (1,166).

„გაზაფხულის“ ლირიკული გმირი ევედრება უზენაესს. „დამიმკვიდრე სულში ქრისტე და აღდგომის სურნელი“ (1,113).

სამყაროს, ადამიანის არსებობის მიზანი „სამშვინველის“ სულად გარდაქმნაა, ედემთან მიმსგავსება, სამყაროს საცნაურყოფა, და აქ შემწე ანგელოზი ანუ მფარველი სულია: „კაცთა აღზევება და აღმავლობა დიად განზრახვის ანგელოზის გახდა მიზანი“ (ბიბლიური რემინისცენციები).

წმინდა მამები განსაცდელს სიკეთედ მიიჩნევენ და დაბრკოლებებზე გამარჯვებულთ თვლიან ღმერთების რჩე-ულად: „მართალთათვის... განსაცდელი სიკეთედ იქცევა, გა-მოცდილებას სძენს და წინსვლაში ეხმარება.

„ვინც ჩავარდა განსაცდელში და გაიმარჯვა, იგი დი-დების გვირგვინის ღირსია“ (სვიმეონ თესალონიკელი) (6,485).

მწუხარება სიკეთის ფასის შეცნობაში გვეხმარება, ამ-ქვეყნიურისადმი გულგრილობა სამოთხესთან გვაახლოებს: „მწუხარებანი დაითმინე, რამეთუ ვითარც ვარდი ეკალში, იმგვარად აღმოცენდებიან მათში სათნოებანი“ (წმ. ნილოს სინელი) (6,102).

„დიდის ძალისხმევით მოსწყვიტე თვალი ამქვეყნიურს, რამეთუ მისგან ამომავალი მავნე კვამლი აღამღვრევს სულს“ (6,110).

თავმდაბლობა განსაცდელის მიღებისთვის გვამზა-დებს, განსაცდელი გვაძლიერებს, ცნობიერებას ამაღლებს, განსწავლა კი თავმდაბლობის საწინდარია: „ვერვინ გამარ-თავს თავის საქმეს სიმდაბლის გარეშე და განსაცდელთა გა-რეშე ვერავინ განისწავლება, ხოლო განსწავლის გარეშე ვე-რავინ მიაღწევს სიმდაბლეს“ (წმ. ისააკ ასური) (7,244).

დავით წინასწარმეტყველი ევედრებიდა უზენაესს: „გა-მომცადე მე, უფალო და განმცადე მე“ (ფს. 25,1,2).

მერაბ კოსტავას იდეალია მოძმეთათვის ფათერაკს შერკინებული, უდრეკი, უხორცოსავით უშიშარი ადამიანი: „ფათერაკს მკერდით გადაუდექი, მოძმეთ იმედი არ წარუხო-ცო, ადამიანო, იყავ უდრეკი, იყავ უშიში, ვითა უხორცო“.

პოეტს ეიმედება „ვაჟუაცური გზნების“, „სტიქიონების ველურ თარეშში“ სულის სიმტკიცით აღჭურვილი სიყვარუ-ლის რაინდი.

მოწინებას იმსახურებს მხოლოდ განსაცდელთან მშვი-დად შერკინებული, დინებასთან, სტიქიასთან დაპირისპირე-ბული, „ცხოვრების გრიგალზე“ გამარჯვებული რაინდი – „პირმშო ქარიშხლის“, მხოლოდ „უტეხი რწმენით“, „თავგან-

წირვით“ ითრგუნება ცხოვრების გრიგალ-ქარები (იქ თავ-განწირვა გაგიღებს კარებს) (1,22-23).

ადამიანის განწმენდას ემსახურება „სინანულის ბილი-კების“ პოვნა, „სინანულის ზღვაში“ ჩაყვინთვა (სულო, დაი-ცა) (1,40), საკუთარი ჯვრის ღირსეული ტარება, „ღმერთის-კენ გეზის“ ძიება, „სინანულის ტალღის“ აღძვრა (ღირს მამა დავითს) (1,109).

პატივისცემას მხოლოდ ერისთვის, სამშობლოსთვის გახარჯული ძალისხმევა იმსახურებს და პოეტი მზად არის, აქაც იტანჯოს და იქაც: „ღირსი გამხადე, ჩვენი ერისთვის არ შევეპუო ხვედრის სიმძიმეს. აქ გამოვლილი სატანჯველის-თვის იქაურ ტანჯვას ნე შემიმცირებ“.

პოეტი დარწმუნებულია, რომ მარტვილობა აწრთობს, აკაუებს ადამიანს და მხოლოდ სიძნელეების დამძლევი იმსახურებს უზენაესის მადლს: „გთხოვ, მარტვილობა გვიციობრდედად, გარდასახდენი არ განგვარიდო, ღირსად გვყო პი-სა შენისა ჭვრეტად, ჩვენი ცხოვრების სამაგალითოდ“ (იყავ უმნიკვლო, ვითა ცხოვარი) (1,54-55).

მოყვასისისთვის, მოძმისთვის თავგამოდებას და სიყვარულის უნარს შესთხოვს უზენაესს: „შეგვაძლებინე, მაღალო ღმერთო, მოყვასთა ჩვენთა მუხლი ვუყაროთ, მოძმე მკერდი-დან არ მოგვიკვეთო, ტრფიალი მისი არ განგვიქარვო“.

ვინც უზენაესის მოთხოვნებს გაითავისებს, მიხვდება, რომ ადამიანის უპირველესი ვალია „ურთიერთის ძიება“, „გზა... ერთურთისკენ“.

რაბის (ძე ღმერთის სახელია) სიწმინდესთან წილნაყარი ასპიტის რისხვაა, ადამიანის მხსნელი მაცხოვარი კი „მსოფლიო სევდის“ მკურნალია: „იყავ უმნიკვლო, ვითა ცხოვარი, სიწმინდის თვალი, ასპიტის ელდა, მხსნელად მივირქვათ ჩვენ მაცხოვარი, დაგვიშოშმინებს მსოფლიო სევდას“ (იყავ უმნიკვლო, ვითა ცხოვარი) (1,54-55).

ადამიანის ვალია „შეიცნოს თავი, უმაღლესი გახდეს მისანი“ (ბიბლიური რემინისცენიები) (1,99).

ლიტერატურა

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
3. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, 1995
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
5. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესი-ის კალენდარი, თბ. 1985
6. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი II, თბ. 1991
7. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ. 1991

თავი IV

ეროვნული და ზეეროვნული იმპულსები

სახითი ერი მერაბ კოსტავას პოეზიაში

მეოცე საუკუნის 20-იანი წლები და შემდგომ მთელი 70 წლიანი პერიოდი იყო ჩვენი თავისუფლებადაკარგული სამ-შობლოს მონაბის, ათეისტურ-ტოტალიტარული მონსტრის დიქტატით ცხოვრება. ბოროტების იმპერიის კედლებში ჩა-შენებულ საქართველოში ფიქცია იყო ეროვნული ტრიადა: ენა, მამული, სარწმუნოება. სიტყვის მსახურთა უმეტესობა გადაიბირა სიმართლისმოძულე ხელისუფლებამ და თავისი სატანური პოლიტიკის აგიტატორ-პროპაგანდისტად აქცია.

მერაბ კოსტავა იმ ერთეულთა შორის იყო, ვინც ამა ქვეყნის ძლიერთა მეხოტბეობა-მეტაშეობას მინოტავრის ბრჭყალებში მოქცეული სამშობლოს გამოხსნის მისია არჩია, რაც გილიოტინაზე თავის დადების ტოლფასი იყო. თავისუფ-ლების იდეის რეალიზება იმ დროს ფანტასტიკის, ილუზიის სფეროს განეკუთვნებოდა.

დისიდენტობა, არალეგალური წრეების იატაკქვეშეთში მუშაობა და ტაბუდადებული თემის გაუღერება თვითგამო-ცემის ჟურნალებში (საქართველოს მოამბე, ოქროს საწმისი) მხოლოდ რეპრესიის, ფიზიკური განადგურების საფრთხეს ქმნიდა. „ქორმეძებრებიან ცენზურას“ და „მიწიერ თავადთა“ ყნოსვას, ჩეკას „მესამე თვალს“ ვერ გამოაპარეს პატრიოტუ-ლი იდეალებისთვის ბრძოლა და ამიტომაც იწვნია ათწლიანი პატიმრობა საბჭოთა გულაგში. მაგრამ ამ ხვედრმა ვერ გა-ტეხა სულით რაინდი და ნებაყოფლობით იქცა „სალვოო ზვა-რაკად“, ერთხელაც ვერ დააჩოქეს. ასეთი მსხვერპლთშენირ-ვა მხოლოდ ერთეულთ, ღვთისგან ხელდასხმულთ ხელენი-ფებათ.

ამიტომაც ინამა ერმა წმინდა გიორგივით უწმინდურის-თვის ლახვარჩამცემი ტიტანური შემართების ჭაბუკი და უკვე მარადისობის პირისპირ ალმოჩენილს, მოწინებით დაუჩოქა.

ეროვნული იდეოლოგიის მსახური იყო მერაბ კოსტავა სიტყვითაც და საქმითაც. იგი იყო საღვთო სიყვარულისა და საღვთო სიბრძნის ადეპტი, ერის სამერმისო სხივის მაძიებელი, მტერთა მოუსყიდავი მსაჯული.

მხოლოდ „ერისთვის გახელილი თვალებით“ ცხოვრობდა „სამშობლოს ტრფობით ნაშიმშილები“, ის იყო ერის მარადფხიზელი, ყოვლისმჭვრეტელი „გონის თვალი“.

ქვეყნის მარადაქტუალური პრობლემის პასუხს ათეისტურ მარქსიზმ-ლენინიზმში კი არ ეძებდა, არამედ ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან, კაცობრიული აზრის საჭეთმპყრობელებთან, თავის დიდ წინაპრებთან.

პოეტი ჩასწვდა არა მხოლოდ თავის პიროვნულ ეგოს, არამედ ერის სულს, ისტორიული პროცესების აზრს,... ის დარწმუნებული იყო, რომ ყოველ ქვეყანას, ხალხს განგების მიერ ეკისრება გარკვეული მისია და მხოლოდ ამის შემცნობ, უფლის გზით მოარულ ერს შეუძლია მარადისობაში გაღწევა, რომ უპირველესია ერის სულიერი წრთობა, სიბრძნის, სიკეთის მსახურება, ყოველი ქმედების საფუძვლად ზნეობის პოსტულატების გათვალისწინება: „ძლიერი ხასიათი, სახე ერისა, სულის წრთობაში, ქმედებაში, ბრძოლაში იშვის, რადგან ოჯახი ეროვნების დასაყრდენია“.

მხოლოდ ბედთან მორკინალი, სიძნელეებთან მებრძოლი, განსაცდელში გამოწრთობილი, ღმერთის მორწმუნე ერი შესძლებს სიკეთისა და ბოროტების გარჩევას, მოიმკის სულიერ ნაყოფს, მხოლოდ მდარე სურვილების დამთმობი და ჭეშმარიტების მსახურთა მოდგმა იქცევა სახიერ ერად, ვინც მერკურისა და ვენუსის იმპულსებს შეაერთებს: „მსოფლიო სცენის დრამატურგი და რეჟისორი, ვინც განსაცდელთა მოვლინებას არ ერიდება, რომ კაცთა მოდგმამ გადასძალოს ბედის სასწორი, იქ ჯერ არნახულ სიძნელეებს შეეჭიდება. იმისთვის, რათა შეაერთოს იმპულსი ორი, მერკურისა და ვენუსს შორის გაიხიდება“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,87-104).

რომაულ მითოლოგიაში მერკური არის ვაჭრობის ღმერთი, ვაჭრებისა და მგზავრთა მფარველი, ღმერთების შიკრიკი. ბერძნულ მითოლოგიაში მას შეესაბამება ჰერმესი.

მეორე მნიშვნელობით, მერკური არის მზის სისტემის პლანეტა, მზესთან ყველაზე ახლოს მყოფი (2,260).

როგორც ვხედავთ, ისევ და ისევ უზენაესთან კავშირისთვის არის მერკური დამოწმებული.

ვენერა (ლათ. VENUS) რომაულ მითოლოგიაში სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთია (ბერძნულ მითოლოგიაში მას შეესაბამება აფროდიტე).

მეორე მნიშვნელობით, ვენერა დედამიწასთან ყველაზე უფრო ახლო მყოფი პლანეტაა, ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი (2,146).

როგორც ვხედავთ, მერაბ კოსტავასთვის მთავარია რწმენის, სიყვარულის, სილამაზის მსახურება.

უფლის გზაზე მავალი ხალხი ყოველთვის შესძლებს სიკეთისა და ბოროტების გარჩევას, განსაცდელი განსაწმენდელია, მხოლოდ მდარე სურვილების დამთმობი გაიგნებს გზას ჭეშმარიტებისკენ. მერკური ერადქცევის სტიმულია, ვენუსი – ზეეროვნული იმპულსების, როგორც უზენაესი სიყვარული და სილამაზე: „წრფელყოფით გზანი უფლისანი რომ განისწოროს, კეთილს მიითვლის, ხოლო ბოროტს განერიდება. სულიერ ნაყოფს სიძაბუნით არ განიმნარებს, ვინც განსაცდელთა მეოხებით განინმინდება, უდრევის ნებით ვინც წარიხოცს სურვილებს მდარეს, მუდმივი სწრაფვით მოიპოვებს ჭეშმარიტებას... მას, ვინც მერკურის მეშვეობით იქცევა ერად, ვენუსმან წარცხოს იმპულსები ზეეროვნული“ (1,91).

სულს „კოსმოსის სუნთქვა“ შემოაქვს დედამიწაზე, იგი უკვდავია და საიმედო ანტიკოს ამკვიდრებს, რაც მომავლის საწინდარია.

ერის მისია ზეცაში განისაზღვრება, ჭეშმარიტი ერი ცის ჰარმონიას უნდა ეზიაროს, დროში, სივრცეში გამოწრთობილი, განსაცდელთა მეოხებით განწმენდილი, მტრულ გარემოში გაკაუებული ერი შეიძლება გახდეს ჭეშმარიტი:

„რომ ერი შეჰქრას, განალაგოს ცის ვარსკვლავეთი, ზოდია-ქალურ წრის მიხედვით მკვიდრად განაწყოს, ყველას თავისი აქვს ვარსკვლავი და ზოდიაქო, დაბადებამდე სიცხოველეს რისგანაც იძენს, ერი რომ შეჰქრა, სხვა დუღაბი უნდა მივა-გო, ცის ჰარმონიას ვაზიარო რვალივით მტკიცეს, შევარჩევ მათგან გამობრძმედილთ სივრცეში, დროში, მხოლოდ იმგვა-რებს, სიკვდილსაც რომ არ ნებდებიან, თუ არ იცხოვრეს, არ გაკაუდნენ მტრულ გარემოში, ჭეშმარიტ ერად ვერასოდეს გარდიქმნებიან“ (1,91-92).

გიორგი გურჯიევი წერს: „ჩვენშიც არსებობს მთვარე, მზე და ა.შ. ჩვენ მთელ სისტემას წარმოვადგენთ.

დედამინა, პლანეტათა სამყარო და მზე, მსგავსად ყო-ველი ცოცხალი არსებისა, ავრცელებს ემანაციებს“... (3,59).

ასტრალური სხეულის ნივთიერება თავისი რხევების, ვიბრიორების მიხედვით მზის ემანაციების ნივთიერებებს შეე-ფარდება“ (3,447).

მ. კოსტავა ხედავდა ასტრალურ სხეულებს, ერის სულს, მომავლის შუქს.

ჭეშმარიტ ერად წრთობის უპირველესი პირობაა მოწი-ნება უფლის სახლისადმი, მამა-პაპათა საძვალეთა, მათი აკ-ლდამების მარადი ხსოვნა, წინაპართა ღვაწლის დაფასება, წარუვალი საუნჯის (საუნჯე საღვთო სახელია) პოვნა, „ცხო-ველი სულის“ (ღმერთის) მსახურება, სიქველეზე, მოყვასის ინტერესებზე დაფუძნებული კანონი. მხოლოდ რწმენის ძა-ლას ხელეწიფება ქვეყნის შეძვრა, ცისა და მიწის ისტორიის სრულყოფილება: „როცა უფლის სახლს მოწინებით ეახლები-ან, არ დაივიწყონ საძვალენი მამა-პაპათა, მათ აკლდამებზე რომ აენთოს მარადი ხსოვნა, მუდამ ახსოვდეთ ღვაწლი მათი დაუცხრომელი, ესწრაფონ მხოლოდ წარუვალი საუნჯის პოვნას. იმათ წიაღში მოიპოვონ სული ცხოველი, კანონს სიქ-ველე შეაშველონ მოყვასის მიმართ. რწმენამ უდრეკმან შე-არყიოს, შესძრას მთა-ბარი, რომ არ განიყოს ისტორია ცისა და მიწის“.

დაბეჯითებით ჩაგვაგონებს პოეტი საკუთარი მოდგმის შეცნობას, ამასთან ერთად, მუდმივად მომავალზეა ორიენტირებული.

არა სასწაულის მაძიებელ „უბირ მონათა“ მხარეს, არა-მედ „ჭეშმარიტების, თავისუფლების მეტრფეთა“ მხარეს დგას ლექსის ავტორი.

ცოდვილები ვერ ეზიარებიან „იდუმალების წყაროს“ (ლმერთს), სიბრძნეს, რომელიც თავად ღმერთია ანუ „ნათლის სვეტი“, ამიტომ ცოდნა ზნეობას უნდა დაემყაროს: „იდუმალების დასწყვეტიათ წყარო ცოდვილთა, სიბრძნეს დაწმენდილს, ნათლის სვეტად აღვიქვამთ მუდამ, ამადაც, როცა თითო ნაბიჯს დგამენ ცოდნისკენ, ორი ნაბიჯი ზნეობისკენ გადადგან უნდა“ (1,101).

მსოფლიოს ისტორიაზე დაკვირვება არწმუნებს პოეტს, რომ ძნელი მისაღწევია ციური და მიწიერი საწყისების მორიგება.

რუდოლფ შტაინერი ამბობს: „ადამიანი არ უნდა შეეზარდოს მიწას, არ უნდა დაიძიროს მიწაში“ (4,269-270).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ მხოლოდ მიწიერი ინტერესების მსახურნი საიქიოში მიწის ცქერით ისჯებიან: „რადგანაც თვალი არასოდეს მიგვიქცევია სიმაღლეთადმი, რადგან ვჭვრეტდით მხოლოდ მიწიერს, მართლმსაჯულებამ მიგვისაჯა მიწისთვის ცქერა“ (5,213).

ანა კალანდაძე გულისტყივილით წერდა ღმერთისგან გაუცხოებულებზე: „დავიწყებოდათ მიუწვდომელი, კანდელი ხატთან ობლად კრთებოდა, ო, მიწისკენ მიქცეულ სულებს ცა და ციური დავიწყებოდათ“ (შემოიკრიბნენ ტაძრად გლეხკაცნი) (6,224).

და პოეტი კითხულობდა: „რაა ციური, თუ მიწისაც არ ექნა ძალი?“

ვაჟა-ფშაველა ბრძანებდა: „...ვნუგეშობ ამით: მიწას მიწურად და ცას ციურად მივეთავაზი, არ მიბობლნია დაბლა ქვემძრომად, მაღლა დავფრინავ, როგორც გავაზი“ (ნუგეში მგოსნისა) (7,4-5).

გალაკტიონი ეზიარა „ცის და მიწის შეზავების“ ბედნიერებას, „კოსმიურ ჰარმონიას“.

„ზეცა მწყურია და მიწა მშია“, ამბობდა ტერენტი გრანელი, მაგრამ საბოლოოდ, ამ ორი საწყისის საბედისწერო გათიშვამ ტრაგიკულ პიროვნებად აქცია.

მერაბ კოსტავა სვამდა კითხვას: „ხალხს დამიწებულს რა აღმართავს, მაღლა რა ასწევს?“ და უფლის ნება იხატებოდა იქვე: „ნებაი ჩემი, დასახული მისგანვე მიზნად“ (1,93).

სსნა მხოლოდ ზნეობისა და აზროვნების სიწმინდეშია, შემოქმედის, მეცნიერების სამუშაო მაგიდა წმინდათა წმინდა საკურთხევლად უნდა იქცეს: „...და მომავლისთვის ბოროტებად შესარაცხია, მეცნიერებამ სამუშაო მაგიდა თვისი წმინდათა წმინდა საკურთხევლად თუ არ აქცია“.

მერაბ კოსტავას აზრით, მხოლოდ ასეთი ღირებულებების მსახური ერია მომავალში გაღწევის ღირსი.

არა მარტო პოეზიაში, პუბლიცისტურ და მეცნიერულ წერილებშიც ვლინდება დაინტერესება ეროვნული თავისებურებების, ქართული ფერმენტის კვლევისადმი, როგორც ს. დანელიას, ნ. მიწიშვილის, გრ. რობაქიძის, მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, გ. ტაბიძის შემოქმედებაში.

„ფიქრები საქართველოს მისიაზე“ (თბ. 1991) წარმოადგენს ქართველობის არა მარტო წარსულში ან აწმყოში გამოვლენილი, არამედ პოტენციაში არსებული შესაძლებლობების კვლევას.

ქართველი ერი მერაბ კოსტავას „მრავალუცნობიან განტოლებად“ ესახება, ბედისწერასთან მორკინალ „დიდ ერად“, რომელმაც წარსულში შეასრულა დიდი მისია, მუსულმანური კოალიციის დამარცხებით შეაჩერა მისი სვლა ჩრდილოეთისკენ (იგულისხმება დიდგორის ომი, დავით აღმაშენებლის ეპოქა).

პოეტის აზრით, „საქართველო დაფარული სიკეთის ქვეყანაა“..

ხაზგასმულია დასავლური და აღმოსავლური კულტურების სინთეზირება, ქართულ რენესანსი, რომლის აღამდარი იყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

ქართული ნიჭის დასტურად მიაჩნია პოეტს ჩვენი ერის მუსიკალური მონაცემები, მედიცინის, მეტალურგიის განვითარება უძველეს დროში.

ამავე დროს, გაზიარებულია აზრი, რომ „არა ქმედითი, არამედ „ჭვრეტითი ელემენტია“ მთავარი ქართულ ბუნება-ში“.

ქართველის დამახასიათებლად მიაჩნია მერაბ კოსტავას ვაჟკაცობა, სიბრძნე, უშიშარი ბუნება, მოყვასის სიყვარული, თავმდაბლობა, რისი დასტურიც არის დავით ალმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“.

გამჭოლ იდეად ესახება სულის უკვდავების იდეა.

ყურადღებას ამახვილებს სუფრაზე, რომელიც არა ღრეობის, არამედ მახვილისტყვაობის, გონიერების, მოვლენების საფუძვლიანი ანალიზის არენაა.

ქართული სუფრის თავისებურება, მისი მაღალი დანიშნულება არც სხვებს დარჩენიათ შეუმჩნეველი: სხვათა შორის, პავლე ანტოკოლსკი აღნიშნავდა, რომ ქართული სუფრა თავისებური პლატონისებური აკადემია იყოო. ანდრეი ბელი ქართულ სუფრას არა ქეიფს, არამედ „კოლექტიურ შემოქმედებას“ უწოდებდა (ქარი კავკასიოდან).

თავისი დროის იდეალური თამადა იყო გიორგი ლეონიძე, რომელიც ინტელექტით, ერუდიციით, ფართო თვალსაწიერით ხიბლავდა მსმენელს, მეცნიერულ დონეზე მსჯელობდა სუფრაზე ისტორიის, კულტურის საკითხებზე.

მერაბ კოსტავა იზიარებს მესიანისტურ იდეას, რომლის მიხედვით, საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და ასე მიმართავს ძე ღმერთის დედას: „სოფლისა წარმავლობამ გამიასკეცა ჭრილობა, თუ მიხსნის, შენი წყალობა და შენი წილხვდომილობა“ (ღვთისმშობლისადმი) (1,34-35).

საინტერესოა პოეტის მიერ ეზოთერული სიბრძნის ძიება ქართულ აზროვნებაში, გრაალის იდეალზე აქცენტირება. დავით აღმაშენებელზე – დავით-იოანეზე შექმნილი ლეგენდის გახსენება.

რაინდობის უმაღლეს გამოხატულებად მიჩნეულია და-
ვით აღმაშენებლის ცხოვრება, პოეზიაში „ვეფხისტყაოსანი“,
რომელშიც იდეალურ ქალთა სახეების შექმნის საფუძველი
იყო საქართველოში არსებული თამარ მეფის კულტი.

დავით აღმაშენებელი ხელდასმული რომ იყო, ამას ღა-
ლადებენ გელათის ტაძრის კედელზე გამოსახული მისი
ფრესკა და თავს ზემოდან ციდან ჩამოშვებული ხელი (8,47).

რაინდული ლეგენდა გვაუწყებს: როცა მეფე მღვდელ-
მთავარი იოანე და ფრიდრიხ ბარბაროსა ხელს გაუწვდიან
ერთმანეთს, გამხმარი კვერთხიც მაშინ აყვავდებაო. გამხმა-
რი კვერთხის აყვავება ნიშნავს ვეგეტაციის ძალის ამოქმე-
დებას, რაც რელიგიურ სიმბოლიკაში მარადიული ცხოვრე-
ბისა და სპირიტუალობის გამომხატველია (8,48).

მერაბ კოსტავა იმოწმებს რუდოლფ შტაინერს, რომ
წმინდა გრაალის ბარძიმი, რომელსაც გრაალის ძმობის რა-
ინდები ინახავდნენ სათუთად მონსალვატის მთაზე, დასავ-
ლეთიდან გადატანილ იქნა აღმოსავლეთში, მეფე-მღვდელ-
მთავარ იოანესთან, ხოლო ამ პიროვნებაში დავით აღმაშენე-
ბელი იგულისხმება.

მეფე-მღვდელმთავარი მხოლოდ ის შეიძლებოდა ყოფი-
ლიყო, ვინც ერთდროულად სპირიტუალურ და საერო სფე-
როში მოქმედებით უმაღლეს დონეზე რომ აერთებდა და
ახორციელებდა ღვთის და მოყვასის სიყვარულისა და მსახუ-
რების მისტერიას... დავით აღმაშენებელი ნიადაგ მზად იყო
საკუთარი სიცოცხლის ფასად დაეცვა თვისტომთა კეთილ-
დღეობა, მაცხოვარივით მოყვასისთვის მასაც შთაელვარა
გრაალის ბარძიმში საკუთარი სისხლი... მას უშუალო კონ-
ტაქტი ჰქონდა სულიერ სამყაროსთან. ამიტომაც გახლდათ
იგი ღირსი გრაალის ბარძიმის (8,49).

სწორედ გრაალის ბარძიმის გადაცემისას უნდა მიენი-
ჭებინათ დავითისთვის მეფე-მღვდელმთავრის ხარისხი სა-
ხელ იოანესთან ერთად“ (8,50).

გელათის ტაძარი გრაალის ბარძიმის მოტივისადმია
მიძღვნილი.

მერაბ კოსტავა ეთანხმება შტაინერს, რომელიც ამბობს, რომ გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანო, ეპიფიზი, რომელიც ნათელზილვის ორგანოა და ადამიანის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული (8,51).

დავითი სივრცული ნათელზილვის უნარით იყო დაჯილდოებული, იგი ადამიანთა ფიქრებს კითხულობდა და ამის გამო ვერავინ ბედავდა ღალატის გაფიქრებასაც კი.

ეროვნული და საკაცობრიო კულტურის მწვერვალებად მიიჩნევს მერაბ კოსტავა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას, რომელმაც რუსეთს, ევროპას დაანია ქართული ეროვნული გონი.

ქართული ენა ღმერთების ენად მიაჩნია პოეტს, მუსიკასა და მუსიკად.

ქართული ფენომენის შეცნობა მუსიკის გარეშე შეუძლებელია, რადგან მასში კოდირებულია ეროვნული სიკეთე, მოყვასისა და ღვთის სიყვარული.

ქართული მუსიკა, ქართული ენა ღმერთების საგალობელია, ქართულ სიტყვაში ჩადებულია ერის სახმილი, გულისტქმა, ქართული სიმღერა და მოძახილი საგალობელია, რომელიც ღვთის და მოყვასის სიყვარულს, სიკეთის ქმნის სურვილს აღძრავს მსმენელში (ქართული საგალობელი) (1,31).

ღვთაებრივი სიმბოლოებია დედა მარიამი, ქეთევან, თამარი (სულში ჩაგეღვენთოს) (1,32-33).

ცნობილია, თამარი სამების მეოთხე წევრად იყო აღიარებული (9,25), ლაშა გიორგი გათანაბრებული იყო ქრისტესთან, რაც ორთოდოქსული ქრისტიანული შეხედულებით. უსაშველო მკრეხელობაა (აკაკი ბაქრაძე, დავიწყებული იდეა) (10,48).

მერაბ კოსტავას პოეზიაში ახმიანებულია „გარდასულ გმირთა საგალობელი“ (ქარის სიმღერა) (1,36-37).

მისთვის იდეალური ქართველები არიან შალვა მალლა-კელიძე (მემატიანე ცრემლით გაგამხელს) (1,48), თურმანი –

მინდვრის კანჯარი (1,62), ცოტნე დადიანი (კოხტაგორა) (1,66).

ლექსში „რუსთავი“ საქართველო მიჯაჭვული ამირანია (1,82-83).

განსაკუთრებული სიამაყით საუბრობს პოეტი დავით აღმაშენებელზე, მის მიერ დიდგორის ომში გამოვლენილ სასწაულებრივ გმირობაზე: „დუშმანს გაეგება დავით თორო-სანი, მესსის ელვა და ედემის სოსანი და ბოცომქალივით მომდგარი საპარა მკლავზე დაიგრიხა, მშვილდივით წახარა. გულდაგულ შემუსრა მტარვალთა კერპები, გველს და ბასი-ლისკოს დასო ტერფები, ბალდადურ ღრიანკალს დასთხარა ჭანგები, იდიდოს მადლი და კურთხევა განგების“.

დავით მეფის დიდების მღალადებელია იყალთოს, გე-ლათის აკადემიები, ბარძიმის (გრაალის) ფლობა: „აქეთ იყალთოთი, იქით გელათითა, მაცხოვარ, მან შენი სახელი ადიდა, აღსავლის კარიდან ასტყორცნა არწივი, ზეცას დაუბ-რუნდა სერაფიმ-ბარძიმი“ (დიდგორი) (1,117).

სარწმუნოებისთვის ჯვარცმის სასწაულებრივი მაგა-ლითია ქეთევან დედოფალი, რომელიც წმინდანად აღიარა ერმა (ივერიის მნათობის ქეთევან წამებულისადმი) (1,120).

ქართულ კულტურას ორგანულად უკავშირდება ოქ-როს საწმისის ფენომენი (შეხვედრა) (1,56-57).

მერაბ კოსტავას აზრით, ურელიგიო კულტურაა არ შე-იძლება ჭეშმარიტ კულტურად იქნეს მიჩნეული. განუზომე-ლი იყო ქრისტიანობის როლი ჩვენი ერის ზნეობრივი სრულ-ყოფის, შემოქმედებითი აღმავლობის საქმეში, ამიტომ უძ-ღვნის ოდას ცამეტ ასურელ მამას, კერძოდ, მამა დავითს (ლირს მამა დავითს) (1,104-109).

წმინდა მამის ბაგეთა ლოცვით გადასხვაფერდა მთაწ-მინდა, თვით იგი იქცა ლოცვად, მისი მადლით განიდევნა სა-ტანა: „ჰოთი თბილისო, შენს დიდებად მთაწმინდა კმარა, იმისი მადლით ხამს სატანა შენგან განვიდეს, მთაწმინდის ზეცა თავადაა ლოცვა ანკარა, ლოცვა წართქმული წმინდა ბაგით მამა დავითის“.

მთაწმინდას „ზეკაცური ნატერფალები“ დააჩნიეს წმინდა მამებმა, „ფიქრების საკმეველი“ აკმიეს „ზეცის ზნეობა ჩვენს მიწაზე გადმონერგეს ძლევის მაგიად“.

მამა დავითმა თავისი სისხლი და ხორცი ბარძიმში ჩადოდა რწმენასმოწყურებულ იბერიის შვილებს უზიარა. სამწყოსთვის სულის დამდები მამა „კეთილი მწყემსის“ (ქრისტეს სახელია) საქმეს აკეთებდა მიწაზე, სინანულით მამის წიაღს უბრუნებდა ურჩ და უძღებ შვილებს...

მამა დავითი ასიზელისკენ (გრაალის მცველი) ძმობის ხიდის გამდები, იდუმალთმწვდომი ბრძენი მინდია იყო...

მგოსნებიც მანვე აკურთხა პოეზიის ემბაზში, პარნასის როლი დააკისრა მთაწმინდას, რომელიც შემდგომ უკვდავთა სავანედ იქცა.

მამა დავითს თან სდევდა „მადლი ციური, იდუმალი და მისტიური“, იგი „ცხოვრების წყაროს“ ასხურებდა ურწმუნოებისგან დაგვალულ სულებს, დამჭკვნარ კვერთხზე ყლორტს ახარებდა, უპოვარ „შვილთა შესამოსელი“ იყო.

თბილისის აშენება ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება, მისი კურთხევა - მამა დავითს, რომელმაც ქართულ მიწას ღვთიური ცეცხლი და მადლი აპკურა, სულის საჭრეთლით, საიდუმლო ღვთისმსახურებით ერის სულიერება აამაღლა, სახიერად (კეთილად) აქცია თავისი სამწყსო: „თუ გორგასალმა აღაშენა ფუძე თბილისის, შენის კურთხევით ჰყავ უკვდავი აწ და მარადის. შენ ამწყალობნე მის სანახებს მკაცრი იერი და ქართულ მიწას ააცილე უსახურება, სულის საჭრეთლით ჩვენი ერი ჰყავ სახიერი, როს საიდუმლო აღასრულე ღვთისმსახურება“.

ურწმუნოების უამს წმინდა მამებმა „უშრეტი“,.. ქერუბიმული ცეცხლით“ გაანათეს „უსიერი წყვდიადი“, „სულიერი ომის“ სპარაზენი, ჩვენი სინდისის, მეობის, ზნეობის რაინდებად, ჩვენი კაცობის ბასტიონებად იქცნენ: „...დაუცხრომელი სპარაზენი სულიერ ომის, ჩვენი სინდისის და მეობის აკვანს არწევდით... ზნეობის რაინდები და ღმერთკაცები, ჩვენი კაცობის ბასტიონად აღემართენით“ (ლირს მამა დავითს) (1,104-109).

მერაბ კოსტავა ქართული ეროვნული ფენომენის თავი-სებურაბათა კვლევისას ყოველთვის დაუპყრობელ მწვერვა-ლებს, დაულაშქრავ სიმაღლეებს, საქართველოს თანამდევ, მარადიულ სულებს მიაპყრობდა მზერას.

საკმარისია ითქვას, რომ იგი დიდი ილიას საქმეს აგ-რძელებდა ქართულ პოეზიაშიც და მოღვაწეობაც ილიას მა-რადიულ თეზაზე დააფუძნა: „რადგან ჩვენც შევსტრფით თა-ვისუფლებას, ჩვენადვე თავი ხამს გვეყუდნოდეს“ (ძმას ქრისტესმიერს). ილიას „მგზავრის წერილების“ პერიფრაზი-რებული სიტყვები ქართველი ერის უმთავრეს სამოქმედო პროგრამად მიაჩნია მერაბ კოსტავას.

პოეტი საუბრობს ქართული ეკლესიის მიერ ილია ჭავ-ჭავაძის წმინდანად, წმინდა ილია მართალის წოდების მინი-ჭების შემდეგ პარაკლისის დროს თბილისის ცაზე ორი უზარმაზარი ცისარტყყელის გამოჩენაზე, რაც კაცობრიობის მიერ ღვთაებრივ წიწნად მიჩნეულია მას შემდეგ, რაც პირვე-ლად გამოუბრნყინდა იგი წარლვის დასასრულს ბიბლიურ ნოეს. ეს „აჩრდილში“ ილიას მიერ აღვლენილი ლოცვა-ვედ-რების გახსენებას იწვევს: „ჰო სახიერო, ცისარტყყელა გა-ნავლე ცასა, რათა წარლვისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა“ (11,175-176).

მერაბ კოსტავა სიამაყით იხსენებს ილიას წმინდანად კურთხევის დღეზე კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და ელადის წარმომადგენლების თანდასწრებით პატრის მიტ-როპოლიტ ნიკოდემოსის განაცხადს: „ამიერიდან წმინდა ილია მართალი მთელს ქრისტიანულს სამყაროს ეკუთვნის და იგი ყველა ქრისტიანის მფარველიაო“ (11,176).

ილიას დამსახურებათაა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მწერლის მიერ ნაწილობრივი კულტურული ავტონომიის მიღწევა (ქართული უურნალ-გაზეთების, წიგნე-ბის გამოცემა, ქართული თეატრისა და სკოლების დაარსე-ბის უფლება), იმავე პერიოდში საქართველოს „ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის იდეის“ გაუღერება, საკუთარი კონსტიტუციის შექმნის, საკუთარი კანონებით მართვა-გამ-

გეობის იდეა, მაგრამ ამ ეროვნულ იდეას ქართველი სოცი-ალ-დემოკრატები დაუპირისპირდნენ (11, 179).

სიამაყით აცხადებს მერაბ კოსტავა: „ილია ჭავჭავაძე ვერ შეიზღუდებოდა რომელიმე პოლიტიკური პარტიის იდე-ოლოგით, რადგან იგი მსოფლიო მოქალაქე გახლდათ და თვით ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მსოფლიო სამართლიანობისა და მსოფლიო მოქალაქეობის პოზიციი-დან ეწეოდა“ (11,180).

ქართველი ერის სიდიადის დასტურად ესახებოდა ილი-ას მუსულმანურ გარემოცვაში ქრისტიანობისა და სახელ-მწიფოებრიობის შენარჩუნება, რითაც ევროპული კულტუ-რის დამკვიდრებისათვის მოამზადა ნიადაგი.

„ენაში ერთიანდებიან“ ილიასთვის „მიწიერი და ზეციუ-რი ხმები“, „მისი მსოფლგაგება“ გასაოცარ მთლიანობაში წარმოგვიდგენს ღმერთს, ენას და მამულს“ (11,184).

მერაბ კოსტავა იხსენებს მწერლის სახლ-მუზეუმში გა-მოფენილ უცნობი მხატვრის სურათს, რომელშიც ასახული იყო ტამპლიერების უკანასკნელი გროსმაისტერის ჟაკ დე მოლეს კოცონზე დაწვა საფრანგეთის მეფის ფილიპე ლამა-ზისა და სამეფო საბჭოს თავმჯდომარის გიიომ ნოგარეს და პაპის კლიმენტი მეხუთის გადაწყვეტილებით. სიკვდილის წინ ჟაკ დე მოლემ დასწყევდა ამ განაჩენის ინიციატორები, რაც ასრულდა და უმოკლეს დროში სამივე გარდაიცვალა (11, 180).

დიდი ილია კი გულში ლახვრის ჩამცემი მტერებისათვი-საც კი შენდობას ითხოვდა: „....რომ მტერთათვისაც, რო-მელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან, გთხოვდე შეუნდო, არ იციან, ღმერთო, რას იქმან“.

მერაბ კოსტავა საქართველოს ბულბულად წოდებული აკაკი წერეთლის მამულიშვილურ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებდა, როცა ქაჯეთში (რუსის ალექსანდრია) გამომ-წყვდეული ნესტანის (საქართველოს) თავისუფლებაზე საუბ-რობდა (ძმას ქრისტესმიერს), ასევე ამირანის სახეში გაიაზ-რებდა სამშობლოს.

ჩვენი ეროვნული გმირი ქედს იხრიდა ფშაველი გენიოსის – ვაჟა-ფშაველას წინაშე და „გველისმჭამელის“ „იდუ-მალთმწვდომი“ მინდია იყო მისი ზეობრივი იდეალი.

ქართული სულის მასშტაბურ გაელვებას რომ ეძებდა ჩვენს ისტორიაში, მერაბ კოსტავა განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა კონსტანტინე გამსახურდიას, „ერის სულის დიდ ქურუმს და მესაიდუმლეს, მსოფლიო თვალსაწიერის რომანისტს, ვაჟკაცობის დიდ მასწავლებელს, მაგიური, ავის-მჩხრეკელთა ძირს დამცემი სიტყვის მფლობელს“ (გამოსათხოვარი) (11,190).

სიამაყით საუბრობდა მერაბ კოსტავა ჩვენს დიდ სულიერ მოძღვარზე: „ერის სულმა კონსტანტინე გამსახურდია გრიგალთა შორის უმძაფრესის, მეოცე საუკუნის გრიგალებთან საბრძოლველად მოავლინა.

ილია ჭავჭავაძეს მეცხრამეტე საუკუნიდან მეოცესათვის რომ შემოეხედნა, უთუოდ დიდ პატივს მიაგებდა კონსტანტინე გამსახურდიას, ვიდრე ამ უკანასკნელმა მიაგო მას, რადგან ნიავის ქროლვად მოსჩანს მეცხრამეტე საუკუნის ქარი მეოცე საუკუნის გრიგალთან. ამ წითელ გრიგალს თავდაუზოგავად მოაჭენებდა უშემზარავესი მხედარი, ცეცხლშემართული აზრთა მმუსვრელი წითელი ცენზურა, მის-თვის უცხო, მიუღებელ აზრებს ხშირად თავებიანად რომ ათიბავდა მათსავე მატარებელთ“ (გამოსათხოვარი) (11,188).

სიტყვით და კალმით შეება კონსტანტინე გამსახურდია „მეოცე საუკუნის გრიგალს უუფლებობის წყვდიად დამეში, რათა ამგვარ ყიამეთში... აღეზევებინა მშობლიური ისტორია, ლიტერატურა, განებანა, შეემოსა, სული შთაებერა და გვირგვინი დაედგა იმ ენისთვის, რომელიც ცოცხალ-მკვდარი წამოაყენეს საფლავიდან მეცხრამეტე საუკუნის სამოციანელებმა“ (11,189).

მწერალმა სძლია თვალებედით საუკუნეთა სიმრუმეს და ქართული ენა რუსთაველის ეპოქის დონემდე აღაზევა“ (11,188).

მწერლის „ცეცხლფრთიანი გენია“ მომავლის მცველი-ცაა“ (11,190).

ცნობილია, კ. გამსახურდიას შერკინება აპოკალიფსურ მხეცებთან, 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ მწერალმა შავი ჩოხა ჩაიცვა, რადგან გლოვობდა სამშობლოს დაკარგულ სახელმწიფოებრიობას და ვერავინ შეაცვლევინა ეს გადაწყვეტილება.

კ. გამსახურდიამ ლენინისადმი მიწერილი წერილით დაგმო რუსული შოვინიზმი და ნაპოლეონის მაგალითით გააფრთხილა ყინულოვანი იმპერიის მესვეურნი.

სოლოვკის არქიპელაგზე სამი წლით გადასახლებამდე, მოსკოვში დაკითხვაზე ძერუინსკის მოადგილეს სილა უთავაზა დედის გინებისთვის.

გამომწვევად ექცეოდა საქართველოს უშიშროების მინისტრს, თვით სტალინსაც არ ეპუებოდა და მის პოლიტიკა-საც აკრიტიკებდა. მწერლის დაჭერას მოითხოვდნენ უშიშროების მინისტრი კოჭლავაშვილი, საქართველოს ცკ-ს მდივანი ა. მგელაძე, სტალინისგან ითხოვდნენ კ. გამსახურდიას დაპატიმრების ნებართვას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

„უცნაური ბედისწერა, სიმტკიცე და ხალხის სიყვარული მუდამ თან ახლდა მწერალს ფარად და მუზარადად“ (11,193).

დიდი მწერალი იყო რწმენის, ეროვნულობის დიდი ქომაგი.

როდესაც მთავრობამ სიონის ტაძარს უზარმაზარი გადასახადი შეაწერა და ტაძარს დახურვა ემუქრებოდა, კონსტანტინე გამსახურდიამ თხოვნის ბარათი გაუგზავნა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში კალინინს და თხოვნა შესმენილი იქნა, გადასახადი მოიხსნა.

დიდმა მწერალმა პირველმა დაუნთო სვეტიცხოველში სანთელი გარდაცვლილი გრიგოლ რობაქიძის განაწამებსულს, რითაც ანდერძი აღუსრულა. ამ პანაშვიდს მწერლის ოჟახისა და შალვა მაღლაკელიძის გარდა არავინ დასწრებია,

მწერალთა კავშირმა ამით თავისი „სულით დაცემა“ დაადასტურა (11,197).

მხოლოდ მორწმუნენი იქცევიან ასე მაღალზნეობრივად.

„მეტაფიზიკური ცეცხლის აგიზგიზებისკენ“ მოწოდება იყო მწერლის ესსეში „მაგიური შანდლები“.

„დავით აღმაშენებელში“ მწერალი ქრისტიანობის საიდუმლო უფსკრულებს ჩასწვდა (11,197).

მწერლის თაობიდან „სირცხვილის ჭაპანი“ უნდა ზიდონ მათ, ვინც თავი აარიდა ბრძოლას და ეულად დასტოვა ბრძოლის ველზე სამართლისათვის ხმალამოწვდილი უებარი სპარაზენი სიტყვისა (11,197).

დიდოსტატის გამარჯვების, მსოფლიო აღიარების გამო „გაირინდა“ სახელმწიფოს ხელისუფლება – „მრავალთავიანი ურჩხული, გულში ჩაიგუპა ბალღამი“... საბოლოოდ, „მრავალთავიანმა ჰიდრამ ვერ მიჩქმალა, ვერ მიისაკუთრა მისი სახელი“ (11,199).

მერაბ კოსტავა ბრძანებს: „ოდესლაც ალექსანდრე მაკედონელს უთქვამს: „დიდ არსო აქილევს, მაგრამ მისი მეხოტბე ჰომეროს უფრო მეტი“...

„რაც დავით აღმაშენებელმა მოიმოქმედა ჯვრითა და მახვილით ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნებისათვის თავის დროზე, ამასვე მიელტვოდა მისი მეხოტბე კონსტანტინე გამსახურდია ჩვენს შავბნელ, ტრაგიკულ დროში. დავინწყების საუფლოს გამოგლიჯა მან საქართველოს წარსული“.

„ღვთისა და ერის წინაშე ვალმოხდილ, უკვდავთა საუფლოში დამკვიდრებულ წმინდა გიორგის უშიშარ რაინდს“ მის გაზრდილთა გულისთქმის გამომხატველი სიტყვებით მიმართავდა მერაბ კოსტავა: „ძვირფასო ადამიანო, შენი ცხოვრების მაგალითი მომავლის იმედად გვექცა! შენთან ერთად გვნამს ღვთისმშობლის წილხვდომილი საქართველოს უკვდავებისა. გვჯერა, ვინც გათათრებისგან იხსნა საქართველო, იგი დაიხსნის მას გარუსებისგანაც“ (11,199).

ნინასწარმეტყველური გამოდგა ეს სიტყვები.

ასევე, მერაბ კოსტავას ეროვნული სულის თავისებურებათა წარმომჩენად, ქართული ლექსის სთველობად ესახება გალაკტიონის პოეზია. მასში ესმოდა „კოსმიური ორკესტრის უდერა“, საღვთო მუსიკა.

პოეტების მეფის მთავარ მახასიათებლად მიაჩნდა საღვთო სიბრძნის, საღვთო სიყვარულის პრობლემების გამუქება, უხილავის ჭვრეტა, განუმეორებელი ენიგმები, მრავალმნიშვნელოვანი სახეები, გრაალის იდეალის ერთგულება, „ღმერთების ენის ახალი ხარისხი“, „რუსთველის ჯუფთ“ გენიას უწოდებდა.

გალაკტიონი იყო უცდომელი ინტუიციის, წინასწარმჯვრეტი და წინათმგრძნობი, ერთადერთი და განუმეორებელი.

აქვე ხაზგასმულია საქართველოს, როგორც „ისტორიის უმძლავრესი კოლოსის“ მისია – ყოფილიყო გრაალის მცველი: „საქართველოსაც ხომ ერგო რიგი, ვით ისტორიის უმძლავრეს კოლოსს, საოცრებათა გრაალი იგი, წმინდა გელათში იყო სულ ბოლოს, ჩვენი კაცობის დამაშვენებელს, ვინც იყო ჩვენი დიდების ჭერი, ხელთ ეპყრა დავით აღმაშენებელს, მეფე-მღვდელმთავარს ქართველი ერის“ (გალაკტიონი) (1,149).

პარნასისთვისაც კი უცნობია ქართული ენის სიმძაფრე, ქართული პოეზია გენის პოეზიაა, ასეთია მერაბ კოსტავას აზრი.

მაგრამ კოსტავას სიამაყე იყო თბილისი, სიონი, მთაწმინდა, გელათი, ზედაზენი, მცხეთა, სვეტიცხოველი, სრულიად საქართველო. მისი იდეალი იყო „მამულის ტრფობით ნაშიმშილები“ ადამიანი.

ციმბირის საპატიმროში გამომწყვდეული, შინაგან თავისუფლებას მაინც არ ჰყარგავდა.

ერის სახეს ქმნიან სულიერებით, სამშობლოს, თავისუფლების სიყვარულით გულანთებული ადამიანები.

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ეროვნული იდეოლოგიის მსახურნი, ეროვნული მოძრაობის ლიდერები იყვნენ.

მერაბის დიდბუნებოვნების დასტურია მისი ლექსი „ძმას ქრისტესმიერს“, რომელიც ეძღვნება ზვიადს.

ზვიადს დიდი მისია დაკისრა განგებამ: ყოფილიყო „გრაალის მცველი ღვთისგან ცხებული“, უმაღლეს საიდუმლოთა დამტევი, წინაპართა გზების ერთგული, ერში მაღალი ზრახვების, ეროვნული თვითშეგნების გამღვივებელი.

ზვიად გამსახურდიამ „ოსტატის სიბრძნით“ შეცვალა თავისი ხალხის აზრთა წყობა, შთაბერა ახალი სული, დაუსახა მაღალი იდეალები. მისგან გულანთებული ცხრა მოყმე „ვეფხვთან სარკენად“ აღმოჩნდა მზად.

ზვიადის „გულისსწორი“ იყო ქაჯეთს გამომწყვდეული ნესტანი – საქართველო. ქაჯეთი რუსეთის ალეგორიაა, ნესტანი – საქართველოსი.

მამულიშვილური გრძნობით დამუხტული მოყმენი ავლენდნენ ქაჯეთის ციხის აღებისთვის მზაობას. მათი ბრძოლის მიზანი საკუთარი უფლებების დაცვა იყო და არა სხვათა დათრგუნვის მცდელობა: „არ დაგვითრგუნავს სხვათა უფლება, ყველამ გაიგოს, ყველამ უწყოდეს, რადგან ჩვენც შევეტრფით თავისუფლებას, ჩვენადვე თავი ხამს გვეყუდნოდეს“.

ქართული ბუნების მახასიათებელი იყო არა თავდასხმითი, არამედ თავდაცვითი ომები.

მერაბ კოსტავა დარწმუნებული იყო, რომ მყოფადს გადაეცემოდა ზვიადის სახელი, რომელმაც „სამართლის ფარით“, „რწმენის სამკლავით“ დამხო დემონთა ხროვა. წინასწარმეტყველურია ლექსის სტრიქონები: „გადაიჭრები გზნებით მყოფადში, დაემკვიდრები ხალხში მითივით, ზეაღმართული ჩვენს ეპოქაში მიქელანჯელოს კუშტ დავითივით, დაუცხრომელო სულიერ ცდაში, დაუსაბამო სიტყვის მხმობელო, უკიდეგანო ასტრალურ ზღვაში დემონთა ხროვის დადამხობელო“.

„ნესტანის“ მაძიებელ ტარიელს (ზვიადს) ავთანდილურ მეგობრობას უწევდა მერაბი, რაც არ იყო ადვილი.

მოყვასისთვის თავდადებულ რაინდს ღმერთი ცდიდა, როგორც თავის რჩეულს, ეკალ-ბარდებში სიკეთის მთესვე-ლის ხევდრი გახდა ჭორის ღვართქაფი, ძმრით სავსე ფიალა, მაგრამ მაცდურმა – ამქვეყნიურმა მპრძანებელმა არ იცოდა, „იმ სოფლის ბჭესთან“ მათხოვარივით რომ წარდგებოდა, ცოდვების სინანულით გამოსყიდვის გარეშე მიტევება და ზეცაში თავშესაფარი რომ არ ეღირსებოდა.

მრავალგზის ახერხებდა მერაბ კოსტავა მომავალში გა-დახედვას და ეიმედებოდა, რომ უზენაესი არ განირავდა სა-ქართველოს: „ვაჲ, თუ მეუფემ ისევ ინება, მახვილად დაგ-ვცეს ფრთა ანგელოზის, არა, არა სურს ჭეშმარიტებას გა-ნირვა დედა საქართველოსი“...

მხოლოდ შემოქმედ ღმერთს ძალუძს ახალი მეტამორ-ფოზის დაშვება, ქართლის გადარჩენა: „დღევანდელობის ავიტანთ პროზას, რადგან განზრახვა შემოქმედისა გვპირ-დება ახალ მეტამორფოზას, თანამდგომელად ქართლის ბე-დისა“ (ტანჯვათა ტიტანი) (1,16-17).

მიჯაჭვული ამირანის სახე აკაკი წერეთელმა საქარ-თველოს მდგომარეობის ალეგორიად გაიაზრა და იწამა მისი აშვება (ამირანი) (12,227).

მერაბ კოსტავა ამ ტრადიციას თავის ეროვნულ ოპტი-მიზმს უსადაგებდა: „...ხოლო ამირანს, რკინის მკვნეტელად ვინც დაპბადა, იგი აუშვებს“ (რუსთავი) (1,83-85).

ლიტერატურა

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
2. მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 1973
3. გიორგი გურჯიევი, ჭეშმარიტების სამყაროში, თბ. 2000
4. რუდოლფ შტაინერი, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, თბ. 1994
5. დანტე, ლვთაებრივი კომედია, კ. გამსახურდიას თარგმანი, თბ. 1941
6. ანა კალანდაძე, რჩეული, თბ. 1987
7. ვაჟა ფშაველას ხუთტომეული, ტ. 3, თბ. 2011
8. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991
9. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1959
10. აკაკი ბაქრაძე, რწმენა, თბ. 1990
11. მერაბ კოსტავა, შეწყვეტილი ფიქრები, თბ. 1990
12. აკაკი წერეთელი, ხუთტომეული, ტ. I, თბ. 2012

მპროტალი რაიონი მცხეთარე სახის (ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა)

უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვწებული,
სასუფეველში შეხვალ, იცოდე.
(ზვიად გამსახურდია)

გადაიჭრები გზნებით მყოფადში,
დაემკვიდრები ხალხში მითივით.
(მერაბ კოსტავა)

1921 წლის 25 თებერვალი რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ხელახალი ოკეპაციის, ჩვენი დამოუკიდებლობის მუხანათური ხელყოფის თარიღია.

სატანისტურ-ათეიისტური საუკუნე, „საუკუნე მეფის-ტოფელის“, ამავე დროს, იყო ხალხის გამოლვიძების, თავისუფლების იდეის აქარიშხლების პერიოდი.

ერს სიტყვით ნათლისმცემლებად ევლინებოდნენ, სულიერად დიადი მიზნებისთვის წვრთნიდნენ ჩვენი კლასიკოსები, რომლებიც მხატვრულ სიტყვას რელიგიის ფუნქციით მუხტავდნენ და მინავლებული ქრისტიანული რწმენის ხანძარს ანთებდნენ, ახლებურად გაიაზრებდნენ პიროვნების, ერის მისიას და მონობის უდლის გადაგდებისთვის ამზადებდნენ თვისტომთ, მსოფლიოში, საკაცობრიო არენაზე ჩვენი ქვეყნის ადგილს ეძებდნენ.

შემთხვევითი როდია, რომ კოლხურ კოშკში აენთო ერის გენეტიკურ კოდებში შემონახული უმაღლესი იდეალების ნაპერნკლები, რადგან სწორედ დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია იყო აპოკალიფსურ ტირანებთან დაუცხრომელი მებრძოლი, როგორც მხატვრული სიტყვით, ისე საქმით.

უპირველესად, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ხვდათ წილად სამშობლოს უდიადესი იდეალების, რწმე-

ნის განუხრელი მსახურება, რაშიც განუზომელი იყო დიდი კონსტანტინეს პიროვნების და შემოქმედების როლი. სწორედ მისგან მოინათლნენ დამოუკიდებლობის ემბაზში, სწორედ დიდი მოგვისგან მიეცათ სიბრძნე და ძალა, რათა შერკინებოდნენ საბჭოთა ურჩეულს, რომელიც მთელ მსოფლიოს აფრთხობდა.

ზვიადისა და მერაბის არალეგალურმა წრემ, მათმა თვითგამოცემის უურნალებმა „საქართველოს მოამბემ“ და „ოქროს საწმისმა“ დამუხტა სხვა მოყმენიც გიგანტურ მონსტრთან საომრად.

მოყვრად მოსული მტრისადმი მოურევნელი პროტესტის გრძნობის მასაზრდოებელი იყო 1956 წლის 9 მარტის შემზარავი ტრაგედია, სისასტიკით შეუდარებელი 1989 წლის 9 აპრილი.

ამ ეროვნული მოძრაობის დაუცხრომელი ალამდარები იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კუსტავა.

ამ რაინდებისა და მრავალ მათ თანამებრძოლთა მცდელობას ამაოდ არ ჩაუვლია. საქართველომ მართლაც გადაიგდო რუსეთის იმპერიის მონობის უღელი, ზვიადის თაოსნობით დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

საბოლოოდ, მაინც დაუგო უკეთურმა ძალამ ორივეს მახე, მერაბი საქვო ვითარებაში დაიღუპა 1989 წელს. მადლიერმა ხალხმა მუხლზე დაუჩოქა უშიშარ რაინდს, ერის სინდისსა და პატიოსნების სიმბოლოს და დამსახურებულად მიაკუთვნა მას სამუდამო განსასვენებელი უკვდავთა სავანეში – მთაწმინდის პანთეონში.

მრავალ კითხვას აღძრავს, ასევე, სამშობლოდან განდევნილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას წასვლა ამ ქვეყნიდან, მისი საფლავების ცვლა, გროზნოში გადასვენება და, საბოლოოდ, ისევ მშობლიურ მიწაზე დაბრუნება საქართველოს თანამდევი, მარადიული სულის სახით და მთაწმინდის პანთეონში დავანება.

„ქრისტეს საფლავის“ – „სიცოცხლის წყაროს“ ნაფიცი რაინდები, ალბათ, წინასწარ ჭვრეტდნენ თავიანთ ტრაგი-

კულ აღსასრულს და ამიტომ ახლობელი იყო მათთვის ჯვარ-ცმის მისტერია, მარტვილობა და წმინდა მსხვერპლის სიდია-დე, მაგრამ გაუცხოება ხომ რჩეულთა, თავგანწირულთა ხვედრია უკეთურთა მძლავრობის უამს.

ილია და აკაკი, გალაკტიონი და გრანელი, ზვიადი და მერაბი – ეს სახელები უერთმანეთოდ ვერ წარმოიდგინება.

ავყიათ ბევრჯერ უცდიათ მათი გათიშვა ჭორის, ცი-ლისნამების საშუალებით, მაგრამ, საბოლოოდ, ყოველთვის ჭეშმარიტი აზრი ზეიმობს ხოლმე და უკეთურთა მცდელობას მხოლოდ გაცუდება უწერია.

ზვიადი და მერაბი კ. გამსახურდიას სულიერი შვილები იყვნენ, მათ ერთნაირად სრულად ჰქონდათ შემეცნებული ქართული კლასიკური კულტურის მარადიული სიბრძნე, იყ-ვნენ „პირვნული ეგოს შემცნობი“, ერის სამერმისო მისიაში გათვითცნობიერებული და უყოყმანოდ შეეძლოთ თვითგა-ღება უმაღლესი ეროვნულ-საკაცობრიო იდეალებისთვის.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს მათი ერთმანეთისადმი მიძღვნილი ლექსები, ის დიდი სათქმელი და საქმეები, რასაც შესწირეს სიცოცხლე და რაც ჩვენთვის საინტერესო ნაწე-რებში გამოვლინდა.

ზვიადი იგონებდა: „ჩვენ, თანაკბილანი, სიყრმიდანვე ვმეგობრობდით. ჯერ । ვაუთა საშუალო სკოლაში ვსწავლობ-დით ერთ კლასში, შემდგომ ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სასწავლებელში. მერაბი ჩინებუ-ლი სპეციალისტი იყო. მშვენივრად ასრულებდა გრიგს, ბეთ-ჰოვენს და შუბერტს. ბეთჰოვენის და ვაგნერის გმირული მუ-სიკა იყო იმუამად ჩვენი სტიქია. მერაბში თითქოს ორი სული იბრძოდა, ფაუსტის მსგავსად, მუსიკისა და პოეზიისა, ბო-ლოს პოეზიის სულმა იმძლავრა, მერაბი მუსიკას შეეშვა და პოეზიას მისცა თავი. თუმც მისი ლექსი არ გაჰყრია მუსიკას, მუსიკის ტალღათა მძლავრი პულსირება საცნაურია მის სტრიქონებში (1,3).

ამასთან, ერის წყლული წყლულად გვაჩნდა და არც პო-ლიტიკაში ვიყავით უმოქმედონი. მამაჩემი იმთავითვე შთაგ-ვაგონებდა ორივეს ეროვნულ იდეებს, გვათვითცნობიერებ-

და, თვალს გვიხელდა სინამდვილეზე, დამოუკიდებელი საქართველოს ოცნებით გვზრდიდა, რაც ბრწყინვალედ აისახა მერაბის შესანიშნავ ესსეში კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ“ (გამოსათხოვარი) (2).

იმუამინდელი განწყობილებების ამრეკლავად მიაჩნია ზვიად გამსახურდიას 15 წლის ასაკში დაწერილი ლექსი, რომელშიც საუბარია სამშობლოს აღდგომაზე, თავისუფლებისა და აღმაფრენის სილამაზეზე, „დიადი დღის“ მოლოდინზე, გამოფხიზლებაზე, ერისთვის „ჩრდილოეთის წითელ ჯალათთა კრებულის“ მიერ დადებული ბორკილის შეხსნაზე...

ლექსის ლირიკული გმირი მორწმუნეა, ხახულის ღვთისმშობლის წყალობისა და თეთრი გიორგის მფარველობის მომიედე.

ზვიად გამსახურდია საუბრობს მერაბ კოსტავასთან ერთად არჩეული რელიგიური და თეოლოგიური შემეცნების გზაზე, 60-იან წლებში საიდუმლო ღვთისმეტყველებითა და მისტიკით გატაცებაზე, მერაბის ლექსების მისტიურ სიღრმეზე და რელიგიურ აღმაფრენაზე, რომლის ნიმუშად მიაჩნია ლექსი „მეგობარ ზვიადს“ (1,5).

ლექსში ვლინდება ქრისტიანული მრნამსი, მიწიერ სრა-სასახლესთან დაპირისპირებულია სულეთის სამშობლო, ისეთი ღვაწლი, რომელიც არა ბრძოსთან, არამედ ჩვენს ზე-ციურ მამასთან წარმოაჩენს ლირსეულად: „შენი სამშობლო არის სულეთი, სხვა სრა-სასახლე, ძმაო, ნუ გინდა, დე, ხალ-ხის თვალში დარჩი სულელი, მამის წინაშე იყავი წმინდა“.

მამა – იგივე მამაღმერთია, „მარადი მამა“, „დიდების მამა“ (პავლე მოციქული, ეფესელთა მიმართ, 1,16), „მოწყალების მამა“)|| კორინთელთა, 1,3), „მარადისობის მამა“ (ესა-ია წინასწარმეტყველი, 9,5), „ნათელთა მამა“ (იაკობ მოციქული, 1,17), „მოხუცი მამა“ (დანტეს ღვთაებრივ კომედიაში“, გოეთეს „უკანასკნელ საზღვარში“, გალაკტიონის „მამულ-ში“).

მერაბ კოსტავა ვარსკვლავს (ღმერთის სიმბოლოა), იო-ანეს გამოცხადების ვეშაპის მმუსვრელ მიქაელს ავედრებს

მეგობარს და უნინასწარმეტყველებს რა „ნმინდა ზვარაკად“ ქცევას, ეს მსხვერპლი ბედნიერებად მიაჩნია: „დაე, გფარავ-დეს ვარსკვლავთ კრებული და მიქაელის ცეცხლის მახვილი, დაე, ღირსად გცნონ, იქმნა ვნებული ნმინდა ზვარაკის ტკბილი სასმელით“.

უსურვებს რა მარადიულ სიწმინდეს, სულინმიდის სადგურად ყოფნას, ურჩევს მესიისკენ სავალი გზა განიმზადოს, ანუ ჯვარცმით ენიოს უკვდავებას: „არ მიიკარო მწიკული ზადის, შენი ტანია თვით ეკლესია. სცან ღალადისი, გზა განიმზადე, დედამიწაზე დადის მესია“.

ახალი აღთქმა გვასწავლის: „ნუთუ არ იცით, რომ ღვთის ტაძარი ხართ და ღვთის სული ცოცხლობს თქვენში“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 3,16) (3,360).

მერაბ კოსტავას ლექსი „პაემანი“ მიძღვნილია ზვიად გამსახურდიასადმი. ნაწარმოების ადრესატი წერს, რომ ავტორმა „საოცრად ინინასწარმეტყველა ის, რომ იგი ჩემზე ადრე დასტოვებდა ამ წუთისოფელს და მე, მის აკლდამას-თან, თალხით მოსილი, დაველოდებოდი მეგობრის აჩრდილს! აკი ამიხდა კიდეც!“ (1,5).

„პაემანი“ მრავალმხრივ საყურადღებო ლექსია.

ცნობილია, ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში ადამიანის სულს ადარებენ ზღვას, ოკეანეს, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური აზრით.

„ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრის ტალახსა და ლაფს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57,20) (4,216).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ზღვა ცხოვრების სიმბოლოა და ამ ზღვაზე გადასასვლელია გემი, ძელი, იგივე ჯვარი, ანუ რწმენა (ალსარება) (5,453).

ებრაელი ხალხის წინამძღოლმა მოსემ გადალახა მეწამული ზღვა ღმერთის შემწეობით, რადგან იგი დიდი მისის-თვის იყი მოვლენილი.

ქრისტე აწყნარებდა ქარს და ზღვას, თავისუფლად და-დიოდა წყალზე (მარკოზი, 4,39) (3,70), ხოლო მცირედმორ-ნმუნე პეტრემ ვერ შესძლო იგივე (მათე, 15,28,29,30,31) (3,32).

გალაკტიონ ტაბიძეს ზღვის ბობოქარ ტალღებთან შერ-კინების ძალას აძლევდა „დამხსნელი ჯვარი“, „რაღაც სპე-ტაკი, უცხო შევენება“ (გადავიარეთ მრისხანე ზღვები) (6,385).

პოეტების მეფე თავის არსებაში გენიის ყოვლისშემ-ძლეობას ზღვას ადარებდა: „ჩემში ზღვა ახმაურდა“ (ზღვა ახმაურდა).

ზღვის, ოკეანის სახის გააზრებაში მერაბ კოსტავა ძალ-ზე ორიგინალურია: „იდეების ოკეანე უკიდეგანოა და თავად ინდივიდუალობა უნდა გახდეს მესაჭე მის ტალღებზე მოცუ-რავე ხომალდისა“ (მერაბ კოსტავა) (7,130).

ლექსში „პაემანი“ (1,121) მერაბ კოსტავამ აბობოქრებუ-ლი ოკეანის სახე გამოიყენა მეგობრის სულის უსაზღვროე-ბის მახასიათებლად: „შენ ხარ ოკეანე აბობოქრებული, ამას-თანავე, შენ ხარ ჯებირი შლეგი ტალღების შემკეტველი რვა-ლის კლიტულში“.

ამ სტრიქონებში მართლაც ჩანს ლექსის პერსონაჟის ოკეანესავით ვრცელი იდეები და მისი დაურვების უნარიც.

ზვიადის უღრმესი და ურთულესი სული, ლექსის ავტო-რის აზრით, დიონისური და აპოლონური საწყისების საუფ-ლოა: „შენში ღრეობდა დიონისო და ან აპოლონ უკრავს შენში ღვთაებრივ ჰანგებს“.

დიონისო არის თრობისა და შვების ღმერთი, მსოფლიო გონება, მსოფლიო სული, ქვეცნობიერის, დისპარმონის სიმბოლო.

განსხავებულია აპოლონი, მუზის ღმერთი, კოსმიური ჰარმონიის, სინათლის, მუსიკის პრიმატით გამორჩეული.

ამ ორი საპირისპირო საწყისის მორიგების მაგალითია მერაბ კოსტავასთვის ზვიად გამსახურდიას აზროვნება.

ლექსის ლირიკული პერსონაჟი შემდეგ ჩამოღამებულ საფლავებთან ჩნდება, ობლის სამარხზე საროს კვნესა ამ-

გლოვიარებს და, თალხით მოსილი, მეგობრის აჩრდილს ელის, როგორც ლაქრტის ძის მომლოდინე აქილევსი.

უდროოდ დაღუპული შვილის აჩრდილის გამოძახება, გილგამეშის მიერ ენქიდუს სულის გამოხმობა გვხვდება აგრეთვე მერაბ კოსტავას ლექსში „ირაკლის“ (1,126-131).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „პაემანს“ წინასწარმეტყველური სამართლიანად უწოდა ზვიად გამსახურდიამ.

ისევ თავის მეგობარს უძღვნა მერაბ კოსტავამ „ძმას ქრისტესმიერს“ (1,11-16), რომელშიაც დიდი მოაზროვნის, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაუკინწყარი სულიერი პორტრეტი შექმნა, ერთობლიობაში გაიზიარა მისი ღვანლი ერის წინაშე და უკვდავება უწინასწარმეტყველა (ცნობილია, ამ ეროვნულ მოძრაობას და იდეალებს „პროვინციულ ფაშიზმად“ ნათლავდნენ ზვიადის და მერაბის დაუძინებელი მტრები, იანიჩრები, ურჩხულის აგენტები).

ლექსის სათაურიც მრავლისმეტყველია.

მერაბ კოსტავს მოღვაწეობას, პოეზიას, აზროვნებას წარმართავდა უფლის სული, სულინწმინდა. სულიერი ძვრების, სულიერი წრთობის დიდი ოსტატი მუდმივად საუბრობდა სულიერ ძმობაზე. შვილს დაუწერა: „მამაშვილობა ვგიჩნის ავბედითად, თუ სულიერი არ გავხდით ძმები“ და სულიერი ნათესაობა სისხლით ნათესაობაზე მაღლა დააყენა.

მერაბისთვის ზვიადი მართლაც ქრისტესმიერი ძმა იყო, ზეცით დანიშნული ძმა. ქრისტე ნამდვილ ძმად, დად და დედად ჩვენი ზეციური მამის ნება-სურვილის შემცნობს აღიარებდა: „ვინც ჩემი ზეციური მამის ნება-სურვილს შეასრულებს, ის არ არის ჩემი ძმაც, დაც და დედაც“ (მათე, 13,50) (2,127).

ლექსში იმთავითვე იქმნება წმინდა ალაგებში, ტაძრებში მოარული, წარსულის სუნთქვის შემგრძნობი გმირი, რომელიც პარსიფალის (გრაალის მცველი იყო) ნახევარძმას (ფაირეფიცს), დიდგორს მოსულ ტაძრელს (ტაძრელი რაინდები გრაალის იდეალის მსახურები იყვნენ), გრაალის

მცველს, ათონის მთიდან საიდუმლოდ მოპრუნებულ თორნიკეს მოგვაგონებს. იგი ფერს უცვლის ირგვლივ ყველაფერს...

უპირველესად, ვაჭრული სულის აღზევების, ჩვენში შემოხიზნული დუშმანის მეუფების უამს დაშრეტილი რწმენის ჭირისუფლის მისიას იტვირთებს, რადგან ქვეყნის ყოველგვარი უბედურება სარწმუნოების უგულებელყოფიდან იწყება: „...ვინც განგვიახლე ნათლობის მადლი, კურთხევის ძალა შორს გამიზნული, როს მოგვეძალა დიდვაჭრის ადლით დუშმანი ჩვენში შემოხიზნული, ოდეს ტაძართა შედრკა მწირველი და მიეფარა ღრუბლებს უფალი, შენ აღემართე, ვითა პირველი, დაშრეტილ რწმენის ჭირისუფალი“.

ის იყო ზეცის რჩეული, დუშმანის წინააღმდეგ მახვილ-შემართული, კლდის სიმტკიცის, ჭეშმარიტების მაძიებელი: „გჩვეოდა მტერთან არდარიდება, შენყვილებულო სიმტკიცით კლდესთან და ეძიებდი ჭეშმარიტებას, ვითა ტარიელ დაკარგულ ნესტანს“.

ჭეშმარიტება ღმერთის სახელია: „სულინმიდა ეთქმის სულად ჭეშმარიტებისა და სიბრძნისა“ (8,341).

კლდე არის საღვთო სახელი: „უფალო, კლდევ და სიმაგრევ ჩემო, ...ჩემი კლდე ხარ, თავშესაფარი“ (ფს. 17,3) (3,536).

ქრისტე არის სულიერი კლდე: „და ყველანი სვამდნენ ერთსა და იმავე სულიერ სასმელს, ვინაიდან სვამდნენ სულიერი კლდიდან, რომელიც თან დაჲყვებოდა მათ; ხოლო ის კლდე იყო ქრისტე“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 10,4) (3,370).

სამშობლოს სატრფოს სახეში წარმოდგენა არახალია, აკაკის „ჭაღარაში“ ტყვე ნესტან-დარეჯანი საქართველოს სახეა, ტარიელი – ქვეყნისთვის თავგანწირული მიჯნური.

მშობელი ხალხის რწმენის გზაზე დაყენებას, მისი ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, მისთვის სწორი გეზის ჩვენებას, მაღალი იდეალებისკენ წარმართვას დიდი „ოსტატის სიბრძნე“ სჭირდებოდა: „დიდ წინაპართა ტანჯვით ვნებულმან, ერშიც ზრახვანი აღძარ ვნებისა, როს გა-

ნაახლე მინავლებული ხმა ეროვნული თვითშეგნებისა. ოსტატის სიბრძნით გამოარჩიე, აზრთა განწყობას უცვალე ფერი, ხელწერა შენი გულს დაამჩნიე, ახალ ხარისხზე ასწიე ერი“.

მეხივით ცათა მკვეთელი სიტყვით შემოიკრიბა ზვიადმა ვეფხვთან საბრძოლველად განწყობილი ძმები: „შენგან ნატყორცნი გავარდა სიტყვა, ვითარცა მეხი ცათა მკვეთელი.., შემოიმტკიცე ფიც-ვერცხლით ძმანი... შლეგებს მოვგავდით მოყმენი ცხრანი, ვეფხვთან სარკენად ველად გასულებს“.

ჭაბუკები გაერთიანდნენ დიდი ილია ჭავჭავაძის იდეით: „ჩვენადვე თავი ხამს გვეყუდნოდეს“. ქაჯთაგან გამომწყვდეული გულისსწორის – ნესტანის ციხიდან განთავისუფლება გახდა მათი ცხოვრების უპირველესი მიზანი.

„ნესტან დარეჯან ქაჯებს ჰყავს, მოელის ტურფა გამომხსნელს“, ჰგოდებდა აკაკი წერეთელი.

ქაჯი და ვეფხვი ჰქვია ჩვენი მონობის ხუნდების გამომჭედელს გალაკტიონ ტაბიძის პოემაში „მშვიდობის წიგნი“.

საქვეყნოდ ელავდა ზვიად გამსახურდიას „სიმართლის ფარი“, „რწმენის აბჯარი“.

პავლე მოციქული შეგვაგონებდა: „იდექით ჭეშმარიტებით წელშემოსარტყყლულნი და სიმართლის ჯავშნით შემოსილები“ (ეფესელთა, 6,14) (3,422).

„...აიღეთ რწმენის ფარი...“

„აიღეთ ხსნის ჩაჩქანი და სულის მახვილი, რომელიც არის ღვთის სიტყვა“ (ეფესელთა, 6,17) (3,422).

„ვითხიზლოთ და შევიმოსოთ რწმენისა და სიყვარულის აბჯრით და ხსნის იმედის მუზარადით“ (I თესალონიკელთა, 5,8) (3,442).

იმ დროს, როცა შინაურთაგან ძალიან ცოტას ესმოდა ამ დიდი ქართველის ეროვნული და სარწმუნოებრივი იდეალების სიდიადე და „პროვინციული ფაშიზმის“ სუნი სცემდათ შადიმან ბარათაშვილის შთამომავლებს, მერაბ კოსტავა მომავლის სამშობლოში ხედავდა თავისი ქრისტესმიერი ძმის

გამითებას და მიქელანჯელოს დავითის სიდიადით ზეაღმართულ ძეგლს, რაც უტყუარი წინასწარმეტყველების მაგალითია: „გადაიჭრები გზნებით მყოფადში, დაემკვიდრები ხალხში მითივით, ზეაღმართულო ჩვენს ეპოქაში მიქელანჯელოს კუშტ დავითივით...“

მართლაც, ლეგენდების, მითების საბურველი ჰბურავს დიდ ქართველს.

რწმენის ძალით, დემონთა ხროვასთან დაუცხრომელი მებრძოლის სახე იქმნება ლექსში: „დაუცხრომელო სულიერ ცდაში, დაუსაბამო სიტყვის მხმობელო, უკიდეგანო ასტრალურ ზღვაში დემონთა ხროვის დამამხობელო“.

სიტყვა, დაუსაბამო სიტყვა ღმერთის სახელია: „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოანეს სახარება, I,1) (3,176).

ტარიელის მარადში თანამდგომი მეგობარი ავთანდილობის ერთობ ძნელ საქმეს არასოდეს ღალატობდა...

„სვებედის საწყისთა“ (ღმერთის) მძებნელ პოეტს უკვირს „ედემის ხმის“ მსმენელი, სხვებზე მეტად დამაშვრალი, „უკვდავთა დიადემის ღირსი“ რაინდი მოყვასისგან რომ გაინირა, მაგრამ ამას უფლის გამოცდად მიიჩნევს: „ალბათ გამოცდა ენება უფალს, როს გიმზადებდა ხვედრს არასაცდენს, რადგან განგებას რომელი უყვარს, მასვე მოუვლენს სასტიკ განსაცდელს“.

ღვთისმეტყველი გვასწავლის: „ზოგჯერ ღმერთი დაუშვებს, მართალი მორნმუნეც განსაცდელს ეწიოს, ჭირი და უბედურება დაითმინოს, რათა სხვა ადამიანებს დაანახვოს მორნმუნეობაში დაფარული სათნოება“ (9,91).

„ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 12,6) (3,485).

„ნეტარია განსაცდელის გადამტანი კაცი, რადგან რაკი გამოიცდება, მიიღებს სიცოცხლის გვირგვინს, რომელიც აღუთქვა ღმერთმა თავის მოყვარულთ“ (იაკობ მოციქული, 1,12) (3,295).

ლექსში ზვიად გამსახურდია წარმოჩნდება, როგორც ქრისტეს ბედის გამზიარებელი, ჭორის ღვართქაფით, ცილისწამებით გაწამებული, რომელსაც ქრისტესავით ძმრით აუვსეს ფიალა, მაგრამ არ აიცდინა, რადგან მაცდურის მავნებლობა აქ ბუნებრივი იყო, იმ სოფელში კი მის ამქვეყნიურ სიამაყეს მათხოვრობა შეენაცვლებოდა: „ჭორის ღვართქაფით გადაგიარა და როს ალგივსეს ძმარით ფიალა, არ აიცდინე სასმელი ესე, რადგან იცოდი, როგორ მავნებლობს, როცა მაცდური გიდგას საჭესთან, რომ სიამაყე აქ რომ მბრძანებლობს, მათხოვარია იმ სოფლის ბჭესთან“.

ჭეშმარიტებას განშორებული, ძმის ალსარების გამთქმელი, ზიარებამდე სინანულისგან შორს მყოფი ზეცაში ვერ იპოვის თავშესაფარს...

„ძმას ქრისტესმიერს“ დაიწერა 1978 წ. 12 აგვისტოს.

ათ წელზე მეტი ხნით ადრე განჭვრიტა მერაბ კოსტავამ ზვიად გამსახურდიას მომავალი სულიერი გმირობა, ტრაგიკული, ჯვარცმის ტოლფასი ალსასრული და ინინასწარმეტყველა მისი უკვდავებაც.

ლიტერატურა

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
2. „ოქროს საწმისი“, 1977, №4
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
5. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, თ. I, თბ. 1991
7. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991
8. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000
9. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ. 1991



დაიბუჭვა გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com